

114  
1930



# მეამბო

10

საბავარცხენო კაფრეხვაშვილი  
თბილისი 1930

„ბიბლიოტეკის“ გამომცემი, თბილისი

გაერთიანებული  
გამომცემლობა

# მნათობი

10

ყოველთვიური მხატვრული ლიტერატურული  
მეცნიერული პუბლიცისტური ჟურნალი

წამყვანი მწვინი

ოქტომბერი

საბუნებისმეტყველო განმარტებელი  
სერიისი 1930

საქართველოს  
პარლამენტის  
ბიბლიოთეკა



856x5  
419

მხატვრული ლიტერატურა



ქართული  
ენციკლოპედია

## დაგმვრელთა სიმღერა

რა მძიმეა დაძლევა სიძნელისა,  
თუ ბრძოლაში დროზე აღარ ებმები.  
სწრაფია ამ გადამწყვეტი წელისა  
საკავშირო მრეწველობის ტემპები.

წინ წაესწიოთ უკან ჩამორჩენილნი,  
არ შევსწყვიტოთ მანქანათა გრაგანი.  
დამკვრელობას იწონებდა ლენინი  
დედამიწის მძლავრი დამკვრელთაგანი.

ბრიგადელო! შრომა არ შენულდება,  
თუ გვეცნება ძმობა ამხანაგური.  
რესპუბლიკის ძალოსანობა შენდება,  
შენც შემატე ერთი ნტკიცე აგური.

ბრიგადელო! წარმატება გწვევია,  
შეფერხების წინაშე ნუ შესდგები.  
შეჯიბრით და ბრძოლით დასაძლევია  
საწარმოო-საფინანსო გეგმები.

მთა-გორები მანქანებმა დაბარა,  
ხუთწლედშია ძალა მუშურ-გლეხური.  
გოგანტებმა სახელმწიფო დაბფარა,  
მწინვარხედაც კეთდება საუფხური.

საკავშირო ცაზე მღდამ დარია,  
მშვიდობიან შენებაში ებმებით,  
„დაწვეა და ვასწრებაზე“ ჩქარია  
ბოლშევიკურ ქარიშხალის ტემპები.

## ვ ა ლ ა დ ი დ ი

ვ. იმედაძეს

კაცი უდროით დაბერებული,  
რომელიც იღვა ოდნავ ნოხრილად,—  
მე შეუბნება გახარებული:  
თურმე იქნება ძველი კოლხიდა  
ნაირნაირად აცვავებული.  
კარგი საქმეა, ლხენა და შეება...  
ნაყოფი შრომის და ოფლის ღვრისა:  
ჭაობი შრება, ჭაობი შრება!  
უნდა აცვავდეს ხმელეთი ზღვისა,—  
სუბტროპიკული სანაპირონი!  
და კალაპოტში უხსოვარ ბნისა  
ადიდებული ჩადგეს რიონი.

აი მოხუცი, ღამით სიზმარში  
ღევებს, ვეშაპებს თურმე შეება...  
ახლა წყალმავით სნეული  
ზის ბაიდაში მტკელვეება.  
იცის კოლხიდა, სად საშინელი  
ციებტებლების სიმწუხარეა;  
გაყვითლებული როგორც ჩინელი  
ზის და სიცოცხლე არ უხარია.

იცის კოლხიდის დაბლობი,  
ჭაობების ველები,  
სადაც მოდის წვიმის ღვარი,  
ჩნდება ცისარტყელები.  
სად უკბილო დედაბერი  
ეუბნება ყველასა:  
„კბილი აღარ ანახო  
ქალო ცისარტყელასა“!  
იცის კოლხიდის დაბლობი,  
ამბები სასახლონი  
ქვეყანა მუდამ ნოტიო,

ქაობები და თხმელონი...  
 საღ ნავეებით შედიან  
 ტყეში ქალადიდელები...  
 ქაობებში იჭერენ  
 წურბლებს ქალადიდელები.

დაღუბულის ამბავი  
 აი შარშან წინდელი:  
 სანადიროთ წასულა  
 ვინმე ქალადიდელი...  
 სახლში აღარ მოსულა.

გახედავ ზღვიდან, მოსჩანს ხმელეთი  
 შენი იმედი და სიხარული,  
 ფეხებს აბიჯებ, ირყევა იგი  
 ტბაა წინდორით გადაფარული...  
 დაღუბულის ამბავი  
 აი შარშანწინდელი;  
 სახლში აღარ მოსულა  
 სანადიროთ წასული  
 ვინმე ქალადიდელი.

ქალადიდელებს ყავთ კანეჩები,  
 რაა ქაობებში მათთვის გზა და ბიდი,  
 კანეჩებს უნდა ტბა და კაშა დიდი  
 კანეჩებს ნიტომ უყვართ ჭალადიდი.  
 ქალადიდელებს სძულთ ქალადიდი,  
 მჭადი თხმელონის ფურცელ გადამწვარი,  
 იციან ცხელი ღომის კაშა დიდი—  
 მათ ენატრებათ მთა და წყაროს წყალი.  
 მათ ენატრებათ აერი სუფთა,  
 გამშრალი მიწა და თეთრი პური,  
 მათ ენატრებათ მზიანი სუნთქვა  
 და ნაძვნარების ტყე უდაბური.  
 მათი სურვილი „კასაც მოხრიდი“—  
 სძულთ ქაობების თავშესაფარი...  
 პოეტებს უყვართ მაინც კოლხიდა  
 არგონავტებზე რაღაც ზღაპარი.

ქალადიდელი ღამით სიხმარში  
 დევებს, ვეშაბებს თურმე შევბა...  
 ახლა წყალმაკით სნეული  
 ზის ბაიდაში მუცელვება.

დაბერებულს მეთვეზის  
 მაინც ქონდა ყაიდა:  
 პალიასტომს შეაგდო  
 კოლექტივის ზაიდა.  
 გადაეკრა ყველაფერს  
 საღამოსის ელფერი,  
 პალიასტომს მივედივართ  
 მე და ჩემი ბებერი.  
 ტბაზე კიფალების  
 ზღუნაობა ისმოდა.  
 ატამანი მეთვეზეთ  
 ბადე ვადაისროლა.  
 პალიასტომს ვიგონებ,  
 პალიასტომს გრივალში,  
 დაეღუპა ნინოშვილს  
 საყვარელი გმირები,  
 ტბაზე კიფალების  
 ზღუნაობა ისმოდა,  
 ატამანი მეთვეზეთ  
 ბადეს ვადაისროდა.  
 მეთვეზენი ნაეებში  
 თევზებს, თევზებს აყრიან...  
 ჭაობები, ჭაობები  
 ტბას ვარშემო არტყიან...

წამოვიდა ნიაღვარი,  
 მესმის ზღვისა მქუხარება,  
 რიონს შიაქვს თქვენი ყანა,  
 მესმის თქვენი მწუხარება.  
 წამოვიდა ნიაღვარი,  
 რიონს ზვირთებ ტანიანს  
 თქვენი ყანა და სოფელი  
 ზღვაში გაუტანია...  
 გადაიღო ნიაღვარი,  
 ჩაქრა ზღვისა მქუხარება...  
 მესმის თქვენი სინანული,  
 მესმის თქვენი მწუხარება...  
 მესმის თქვენი გიტარაზე  
 სიმებისა მე ფურანი,  
 მესმის თქვენი მოგონებით  
 სევდიანი სიმღერანი  
 ჭალადიდელ გოგონების:

კაცი ქალი და მცენარე  
 ყვითელ ლერებთან,  
 ქალადიდი, ქალადიდი  
 ციკვტხელებთან.  
 ლპება მიწის ზედაპირი  
 წვიმა თუ დღე შიანი,  
 ქალადიდი, ქალადიდი  
 ქალა ლაქაშ ტყიანი.  
 კედები, ველარ გელირსება  
 შენ ცხოვრება გვიანი...  
 ქალადიდი, ქალადიდი  
 ქალა ჭაობიანი.

ამოსაშრობი სიერტე შობაზეს  
 აუტანელი სამღშაოთა...  
 უნდა აყვავდეს ფოთის ბოლაზი,  
 დასატვირთავად გემი შემოვა,  
 რომ გაიტანონ ქალადიდიდან  
 სუბტროპიკული ქვეყნის დოვლათი...  
 ქაობს ებრძვიან ბოლშევიკები  
 და კომკავშირის ბრიგადირები, —  
 დღეგრძელი იყოს თქვენი სიციოცხლე-  
 დიდ გარდატეხის თქვენ ხართ გმირები!  
 კარგი საქმეა... ლხენა და შუება  
 ნაყოფი შრომის და ოფლის ღვრია,  
 ჭაობი შრება, ჭაობი შრება!  
 უნდა აყვავდეს ხმელეთი ზღვისა!  
 სუბტროპიკული სანაპირონი!  
 და კალაპოტში, უხსოვარ ხნისა  
 აღიდგებელი ჩადგეს რიონი.



## მე და მოსუტი ბაქოში

გზა ვაშოლტილი ისევ წინ არი  
გზას—ხევი სდევდა, როგორც მზღებელი;  
ღარაა ფოილო, მთა და წყინუარი  
ღვია და დეკას სახსენებელი.  
ქაბურღილები ცა ღაიხურე  
ქაბურღულები თუ ხარ ჰოდგმისა,  
ნავთი ამოაქვთ, ნავთი გუგუაებს  
და შავი არის ცა ბაქოისა.

ეხლა თვალდათვალ მხერად მოსული  
ვხედავ რომ აქაც განგული დღეა  
ბაქოში მე ვარ და ეგ მოხუცი  
ნიადავ მიძიმე ფიქრით დაწყება...  
მხრებზე დააწვა მწუხრი და ფიქრი,  
როცა ნოხუცი ჩვენ შორის ჩადგა,  
და მის ჩანგრეულ თვალების იქით  
გარდასულ დროის ტყვიელი სჩანდა...  
ის ყვება ამბავს, სახეს აწეალებს  
ლეგენდა არი საგანი თქმისა,—  
მას უღურჯებდა ლეღვისგან თვალებს  
ატალღებული ზღვა კასპიისა.—

„ოქრო და ვერცხლი... თვალებს დაფარულს  
სადღეგრძელოსი ახაზებს თასი...  
ღარაა ლეგენდა ბაქოში განთქმულ  
ქალისთვის ნაგებ კიზიკალასი“.

სისხლი სად არი?!

— სისხლი გაშრა და იმის მაგივრად  
ჩამიდგა ნავთი,—  
დაწყდენ ძარღვები,  
არ ღარჩენილა ტანში არც ვრთი,—  
და ამ ცხოვრების დროთა მანძილზე  
მე შემრჩა მხოლოდ  
ჭრილობით საესე ოთხმოცი წელი.  
ეხლა?!

— სხვა დროა, წვეკ ვაშენებდი  
გუგუებს, ხიდებს, მიხნებს ხეალისას,  
გამიასრია, რომ ჩაებნულიყავ მოძრაობაში,  
სადაც ყოველდღე შრონაა მტკიცე, პასუხნებელი;  
მაინც, საკუთარ მიზნის გარეშე  
მე დაერჩი, როგორც წაყურებელი.

გამახსენდება ინგლისის ჯარმა  
 დასწყვიტა ჩვენი გზა და მიზნები  
 და კომისრები გზა შებოქილნი  
 ქართა ქალაქში გადაიხიზნენ!  
 გარს შემოგვერტყა მტერთა ბანაკი  
 მათმა მიზნებმა რომ გაიხარონ  
 ცეცხლში იწოდა ჩვენი ქალაქი  
 ცეცხლში იწოდა ჩვენი მიდამო,—  
 ქართა ქალაქმა აიღო გენი  
 ქართა ქალაქში ჩადგნენ რაზმები  
 და კომიტეტის—ნიშნად ბრძანების  
 სკრძდა, ჰყოიდა თათვის ვაზნები  
 და მეც ვხედავდი, რომ ეგ ბრძოლები  
 და ყუმბარები დღევანდელ დღეთა  
 იყო სურვილი მილიონების  
 და მილიონთა იყო დაკვეთა...  
 სანაპიროზე მოგროვდა ხალხი  
 შურისძიებამ მათში იქცა  
 ცეცხლი გაუჩნდა ნავთის ბუდობებს  
 თავგამოდებით გვებოძოდა რაზმი!  
 არ დავანებეთ მაინც უცხოელთ

ჩვენი ქალაქის სისხლი და ნავთი...  
 შე გადმომვდგარვარ ამ სიწალოდან  
 (კომისის სახურავს ხელით მაჩვენებს)  
 შე გულში ესწერდი მტრებისთვის რისხვას  
 მტრებისთვის გულში ესწერდი განაჩენს...  
 და ხშირად, როცა შუალამისას  
 ქალაქს დუმლით სივრცე ავსებდა,  
 იყო სიწყნარე შორეულ მხარისა  
 შე ვქვითინებდი  
 დროთა ქიდილში დანგრეულ ლოდთა  
 და საკუთარი თავის სასმენად...

სალამოისას მოხუცმა ზღვაზე მიმიპატიცა.  
 როცა ნაპირებს გასცილდა ნავი  
 სჩანდა სიმუქე ნავთის მხარისა,  
 მოხუცმა ზღვაზე დაჰკიდა თვალი  
 ზღვა იყო ისევ ჭუბი და წყნარი.

— ეხლა ყმაწვილო, უნდა იდარდო  
 ხედავ დაძვარა ქვიშამ თვალები!  
 ქართა ქალაქის დღე და მიდამო  
 სამღლომბელოა მხოლოდ ქარების  
 — რა სინაზეა,—

გამბედაობაც როგორ რბილია  
 ხალხმა დაღვარა სისხლი დოხებად  
 ჩვენ კი ისედაც ვერ გაგვივლია  
 ვაბილავს სინაზე შენი თვალისა  
 ვერ გადაგიდგამს ქარში ნაბიჯი,  
 როცა ამ ვხედავს სისხლი აცხია  
 შაუმიანის და ჯაფარიძის.

შემოქმედება ჩადგა რიგში და  
გამბედაობის არი უნარი  
თავის მიხვევებს თვალწინ გვიშლიდა  
ჩვენ რაიონი წაუმიანის:—  
აიძარბება დაზგა—პირველად  
და სასაუბროთ მუშა ვერ იცლის,  
რადგან ბრძოლაა დანაკლისებთან,  
რადგან ბრძოლაა სამშინგვემისთვის.  
დე, ფუქი შრომა წაილოს ქარმა  
შრომას შეზრდილი მარტოდენ დარჩეს!  
შრომას უბღეროს შრომის ამქარმა  
გეგმას დალუპვას ის ვადაარჩენს,  
დანაკრელი არის მუშა და დაზგა  
გვეგმები ხაზავს ახალ სართულებს  
ოფლის ღვრა შრომის ვადაეზარდა  
და დროზე ადრე გეგმას ვასრულებთ.

ჩვენი ქარხანა პატაკით წარსდგა  
მეთექვსმეტე პარტყრილობაზე...

შავი ქალაქი... ნავთის მიღებთან  
გამაგებულა აგერ ხმელეთიც!  
და დღეიანად აქ იტვირთება  
ხავთით ვეშები და ცისტერნები.  
ცისტერნები მიდიან  
მიაქვთ ნავთის სიუხვე  
რიგზე მდგარი რიგია  
რიგებს რიგი იუფლებს  
ქაბურღილი ხმელეთს აშრობს  
არ დააკლდეს წვეთი ზომას!  
მანქანებით ამოქაჩოთ  
დღეამიწის ნავთის ზონა.

მობუცი ჩემთან არის და ისევ  
იგონებს განვლილ დროების წუხილს,  
ეხლა ცხოვრებას განდავან მისდევს  
განდავან სდევდა ბრძოლების ქუზილს;  
მას დამტკიცება სურდა გმირობის,

ხელით მაჩვენებს,—  
თვალწარმტაცია ზღვა კასპიისა  
და ვადაშლილი სანაპირონი:  
კვლავ აგონდება დღეები კრული  
ახსენებს გვირთა გვიარებს და საბელს;  
როს მოედიოდო:—  
უკან მრჩებოდა ცა გაყვამლული  
და კვიანში სჩანდა  
გაუთირებული მობუცის სახე.

# გ ა თ ა ქ ე ქ ი ა

რომანი

ნაცარქექია

იყო ერთი ღარიბი ცოლქმარი, მაგარი ვაჯაკი იყო ქმარი და ტანად ბრგე, მაგრამ, რათ გინდა, უსაშველო ზარმაცი იყო და ხელუკუღმართი. საჭმე ჭირივით სძულდა და საკუთარი მშორის ათრევაც ეზარებოდა. ჯობი რაა, ჯობი რომ ფეხქვეშ წამოსდებოდა, არ დაიღუნებოდა, ხელში არ აიღებდა და სახლში არ შეიტანდა ცეცხლზე დასადებად. დღედაღამე კერიასთან იჯდა, ოჯახქორი, ნაცარს ჰქექდა და ქვეყნის საქმეებს გულს უცემდა. ჯავრით არ იყო, რომ მისი ერთი მეზობელი ზარმაცია და ლატაკი, მეორე უბედი და მატყუარა, მესამე ძილის გულა და ყოვლად უმაქნისი და, საერთოდ, ვერ არის ეს ქვეყანა კარგად მოწყობილი.

— დაიქცა ქვეყანა, დაიქცა და ესაა! ამ ზარმაცებმა დააქციეს ეს ქვეყანა! — ჩიოდა იგი.

და ასე: ქვეყნის საქმეებზე ფიქრით ისე იყო გართული, რომ წუთი რაა, ერთი წუთით მოკლა არ ჰქონდა. თავის მოსაუხსნად არ ეცალა კაცს. წაიღო იგი, გაიტაცა ქვეყნის დარღმა და ოჯახზე ზრუნვა ცოლს შეატოვა ხელში. რა ოჯახისთვის სცხელოდა, როცა ეს ამოდენა ქვეყანა იღუპებოდა.

როცა მოთმინება დაკარგული ცოლი დაუტატანებდა, რომ რამე საქმეს მოკიდოს ხელი, ნაცარქექია ღრმად ამოიხორებდა და ხმას არ გასცემდა, მხოლოდ თავისთვის გაიფიქრებდა:

— ტყუილა კი არ არის დედაკაცი თმაგრძელი და ჰქუამოკლე! რა დროს ოჯახია? ამ დედაკაცის საქმე ისეა: ვიდელი იწოდა და ლაღვი იციროდაო.

რახან ის ასე იჯდა მთელი დღეები კერიასთან და ნაცარს ჰქექდა, ამიტომ მეზობლებმა ზედმეტ სახელად ნაცარქექია შეარქვეს და შერჩა და შერჩა მის ეს სახელი.

მთელ დღის ჯაფითა და ხელგარჯილობით წელში გაწყვეტილი ცოლი მაინც არ უსვენებდა, მისი ასე უქმად გდებთ მოთმინებიდან გამოსული, დაბადებას იწყებოდა და ქმარს შესწიოდა:

— რაა, შე კაცო, მთელი დღეები რომ მივ კერიას უზიზარ და ნაცარს იქექები? ქვეყნის საქმეები ვინ გაასწორა, შენ რომ თავი გამოგიდევია?

ნაცარქექია არაფრად აგდებდა დედაკაცის რიტინს, იცოდა თუ რაოდენ დიდი იყო ნაცარს გულდაგულ იქექებოდა. რა იცოდა დედაკაცმა თუ რაოდენ დიდი იყო და განუსაზღვრელი მისი ფიქრი და ოცნება.

და აი, ერთ დღეს, რაღაც ცოდვის ბრალი იყო თუ სხვა რამე, ნაცარქექიამ რის ვაივაგლახით წელი აითრია, წამოდგა და გარეთ გავიდა. კარშიდამო მიიარ-მოიარა და, როცა დაბრუნდა, ნახა, ცოლს კარები შიგნიდან ჩაუკეტია და ქმარს სახლში არ უშვებს.

ბევრი ეხეწა ნაცარქექია ცოლს, ემუდარა როგორმე სახლში შეეშვა, მაგრამ დედაკაცის გული თუ ერთხელ გაქეადა, მერე ვარდის ზეთიც რომ დაასხა, ვერ მოაღობ, და ასე დარჩა ნაცარქექია გარეთ. არცერთმა მეზობელმა ის სახლში არ მიიღო. ყველამ ურდული გადუგდო სახლის კარებს. როცა მან ცოლთან ვერც ხვეწნითა და ვერც მუდართი ვერაფერი გაარიგა, მაშინ ერთი წველა ახალი ყველი, ერთი სადგისი და ერთი გულა ნაცარი სთხოვა. მოიკიდა ზურგზე და გზას დაადგა. სადგისით ქალამანს გამოიკერავდა, ყველს საგზლიად მოიხმარდა და ნაცარს... ნაცარი ტკბილია. როცა ნაცარს ჰქექ, აზრები ნაცარივით ირევიან.

წინ გზა დიდი იყო და გაუთავებელი, იმიტომ რომ არ იცოდა სად მიდიოდა, ან სად მიიყვანდა ეს ფათერაკებით სავსე გზა.

ბევრი იარა, თუ ცოტა, — ერთ დიდ მდინარეს მიადგა. ბორანი ზედ არ იყო და ნაფი, — რა ჰქნას ნაცარქექიამ? — ჩავარდა საგონებელში. და აი, როცა ის ასე იდგა წყლის პირას დაღვრემილი, ხედავს რომ წყალმა უცნაოდ კლება იწყო. გაკვირდა კაცი, წყალს გაღმა გახედა, ხედავს ერთი უზარმაზარი მღვეი მთასავით წამოქცეულა, წყალს დასალუვად დაწაფებია და მდინარე დაუწრეტია.

შეშინდა ნაცარქექია, გულმა ბაგაბუგი დაუწყო, მაგრამ რას იზამს? — გაიტკეტ, მთლიად უბედურება იქნება, არ გაიტკეტს და ეს პირმკრალი მღვეი თავის ნაცრიან-სადგისიანად ისე შესანსლავს რომ ყბასაც არ მოიქნევს. იფიქრა, იფიქრა და ერთი ხერხი მოიგონა: წყლის პირას გაგულისებულმა აქეთ-იქით სიარული დაიწყო, თან სადგისით გულდას სჩხვლტდა და ირგვლივ ისეთი ბღღვირი ააყენა, რომ ამ ნაცრის ბულში თითონაც ძლივს სჩანდა.

გაოცდა მღვეი, შიშით ქვას ხელი დასტაცა, უნდოდა ესროლა, მაგრამ შეზერდა.

— ეი, შენ, აღმიანის სუნი რომ გდის და ბღღვირს აყენებ, თუ ეგეთი ვაკაკი ხარ, აბა ქვას წყალი ეგრე გაადინეო! — გასძახა მღვემა, ქვას ხელი მოუჭირა და წყალი განოსწორა.

ნაცარქექიამ ბევრი არ ახანა, გუდიდან სახელდახელოდ ახალი ყველი ამოიღო და წყალი სულ წურწურით გაადინა. მერე განრისხებულმა მიწას ფეხი დაჰკრა და მღვეს აგდებით გასძახა:

— შენ ეი, მურდალო, ხომ ხედავ, რომ წყალში ფეხი არ შინდა დავისველო! მანდ რას გაჩერებულხარ? მოდი აქ და გაღმა განიყვანეო!

მღვეს რა ძალა ჰქონდა, დამორჩილდა და, როცა ნაცარქექია ზურგზე შეიგდო, გაკვირვებული შეეკითხა:

— ე რა მსუბუქი რამა ყოფილხარო?

— ეგ იმიტომ რომ ცალი ხელი ცას წიკილია და, თუ უნდა შეუხვებ, მაშინ ნახევ რაც დღე დაგადგესო, მგონი, ადგილიდან ფეხიც ვერ მორკევალოვო.

— აბა ერთი ვნახოთ და ე მაგ ცას ხელი შეუშვიო. უთხრა მდევა.

ნაცარქექიამ ბევრი არ ახანა, გულიდან სადგისი ამოიღო და მდევს კისერში გაუდარა.

— ვაიზე, ვაიზე!—მართო ბლავილი მდევა, — გეყოფა, გეთაყვა, გეყოფა, მოდი ისევ ცას მოგიცილო!

როცა გაღმა გავიდენ, მდევა ნაცარქექია ძირს ჩამოსვა და ხედავს, ეს ვერანა კაცი ცერის ტოლაა, მაგრამ ღონე დიდი აქვს და გული კიდევ მუტი. რა იცის მდევა რომ ეს გული შიშით არის ამოდენა.

— შენ, ალბათ, ის ბუმბერაზი ხარ, აქამდე რა წიჯაქველი იყო, და ახლა აგინწვიო?

— ბევრს ნუ რიტინობ, ბევრს ნუ რიტინობ, ეგ შენი საქმე არ არის და არც არავინ გეკითხებაო!—ვეუტია კაცმა და მდევს შიშით ენა მუცელში ჩაუფარდა. დგას მდევი და ფიქრობს:

— ე რა ბედენა კაცი გადაწყვიდა, ვაი ჩვენ შავი დღესაო!—ბოლოს იფიქრა: მოდი მასპინძლობით მაინც მოუგებ გულსაო და, როგორც იქნა, შეჰკადრა:

— წამო ჩემთან, დამეპატიეო.

ნაცარქექიას შეეშინდა, წახდა კაცი, მაგრამ რას იზამს, შიშს ხომ ვერ დაიმწინებს? თანაც სიმშობა კუჭი გულის კოვხთან ასწვა-და უპასუხა:

— აი ეგ კაი საქმეა. საქმელი მარტო ხორცს კი არ ასუქებს, ხორცი რაა?—მძორია, ლეში ხევში გადასადეები, საქმელი აზრებს ამწითებს და აზრი დიდი რამეა. ჩვენ რომ კაცი ვართ, აი ამ აზრებითა ვართ განკაცებულიო.

მდევა ყური ჟგღო ნაცარქექიას, ის მდევი იყო, კაცის აზრს რას ნიხვდებოდა და თავს უქუოდ იქნევდა.

როცა მდევის სახლში მივიდა, დიდად მოეწონა მოსახლეობა. დადის იგი მდევის პალატში და მასპინძელი უკან დაჰყვება.

— აი ეს მესნის, ყოჩაღ, ყოჩაღ! აი ეს საქმეა!—ამბობს იგი და უწონებს მდევს ოჯახსა და თადარიგიანობას. მდევი თავს მდაბლად უკრავს და ბოლოს, როცა სახლკარი მოიარეს, მდევა შეჰბედა:

— მარტო კაცი პურისჭამაშიც საბრალოა, ორი სულის ღრეობა რის მაქნისია? მოდი ერთი შენ ამ ხშიადს მიმიხედუ, არ დაიწვას და მე მანამ ჩემ ძმებს ჩამოვიპატიეებო.

ნაცარქექია დაყაბულდა. როცა მარტო დარჩა, იფიქრა ამ ერთი პირ-მყრალი დღეის შიშით კაცი აღარა ვარ და ახლა მის ძმებს რაღა გაუძლებსო? მაგრამ ვხა არსით იყო და ბედს დამორჩილდა. როცა ბუხართან ნაცრის საქექად ჩაჯდა, ხედავს რომ ცეცხლთან კეკით მიყუდებულ ხშიადს ცალი გვერდი წითლად შეჰბრაწვია და, თუ არ შეაბრუნა, დაიწვის. კეცს მოეციდა, იფიქრა: ცოტას მაინც შევაბრუნებო, მაგრამ, აი უბედურება!—კეკი წამოექა და ნაცარქექია ქვეშ მოიყოლა.

ბევრი იწვალა ნაცარქექიამ, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, ამგერანამ უნდა ქვეშ ვერ გამოძვრა. ასე წვალებაში რომ იყო, მღვეიც მოვიდა, მან ჩანს მღვეიც მან შემოყვა და პალატში პირუტყვის მყრალი სუნი დიდვა. ეს ცხრა მღვეიც ცხრა მომაკვდინებელ ცოდვასებით აწვა ქვეყანას და სულს უხუთავდა. ახლა ცხრავე ნაცარქექიას ირგვლივ შენობიქრა და გაკვირვებული უცქერიან თუ როგორ არხეინად წამოწოლილა ეს უცხო სტუმარი კეც ქვეშ.

— ეი, შენ, სტუმარო, მაგ კეც ქვეშ რას აკეთებო? — შეეკითხნენ მღვეები.

— ე ვერანა მუცელი ამტყივდა, აუღეკი და ეს ცხელი კეცი ზედ წაეიფარეო. — უპასუხა ნაცარქექიამ, — ახლა გვრემამ განიარა და, თუ ხათრი გაქვთ, ამაცალეთო!

მღვეებმა კეცი ააცალეს და, როცა სუფრად დასხდნენ და შუა კამაში შევიდნენ, ღვინო შენაკლდათ. მასპინძელმა კოკას ხელი დასტაცა, მაგრამ ნაცარქექიამ არ დაანება:

— მოიტა, ღვინოს მე მოვიტანო.

ეგონა, მღვეი არ დაანებებდა, მაგრამ სულმყრალმა კოკა ხელში შეატოვა. ნაცარქექიას ბრაზი მოერია. მაგრამ რას იზამდა, კოკას მოეციდა და ძლიეს აითრია.

ჩავიდა მარანზე და ფიქრობს;

— ე სატალღე კოკა ცარიელი ძლიეს ჩამომიტანია და საესეს რა ამატანინებსო?

მღვეები სკამდნენ, როყინობდნენ და უცდიდნენ ნაცარქექიას. როცა კაცს დააგვიანდა, ეზოს გამოხედეს და რას ხედავენ? — ამ ვერანა კაცს ხელში ბარი დაუჭერია და ქვევრს მიწას გარშემო უთხრის.

— რას შერები, აღამიანოვო? — შეეკითხნენ მღვეები.

ნაცარქექიამ ზემოთ ირიბულად ამოხედა და ცალყბად ასძახა:

— რაღა ცოტცოტა ვზიდოთ ეს დალოცვილი, არა სჯობია, ბარემ ქვევრიანად სახლში ამოვიტანოვო?

გაპყვირდნენ მღვეები: ჩვენ, ცხრა მღვე მას, ეს ქვევრი ცარიელი ერთი ეივივგლახით მოგვიტანია, მიწაში ჩაგვიგდია და ეს კი მარტოხელა საესის ამოტანას ლამობსო! განოართვეს ბარი, კოკა ღვინით აავსეს, ქვევრს მიწა მიაყარეს, თავი აყალო მიწით მოუგლისეს და ისევ სუფრას მიუბრუნდნენ.

სადილობენ.

ერთმა მღვემა ქანის ღროს უზრდელად დაიხველა და სახლში ისეთი კორიანტელი ადგა, რომ ნაცარქექია კერში ბუმბულივით აისროლა და, თავებს რომ არ ჩასტანებოდა, მიწაზე სული არ დაჰყვებოდა.

— მანდ რაღა ჯანდაბამ აგიყვანაო? — შეეკითხნენ მღვეები ჭერში გადმოკიდებულ კაცს.

— ჰაიტ, თქვე მურდლებო, თქვენა, როგორ გაბედეთ და ჩემთან დაახველეთო? დამაცადეთ და ნახეთ როგორ აგიჭრულოთ ეგ ზურგი ამ წნელითაო! — გადმოსძახა ნაცარქექიამ და თან თავებს წევა დაუწყო.



შენიდან მდევები: ჩვენ, ცხრა მღვე ძმას, ეს თავზე ერთდრე კაიფავლობით ტერში გაგვიდგამს და ეს წნელს ეძახისო! გაიფანტენ შენ და ჩვენსაშენულელები, გადიკარგენ ცხრა შთას იქით, მიატოვეს სახლ-კარი და ქვეყანას ცხრა მორარულ სენივით მოედგენ.

ნაცარტქეია, როგორც იქნა ძირს ჩამოფორთხდა და დარჩა მდევის სახლში საცხოვრებლად. რატომაც არ დარჩებოდა? — ბელელში ხორაგი უხვად იყო და ბუხარში ნაცარი.

როგორღაც ერთ მდევთაგანს წინ ცბიერი მელა შემოედეთა.

— რა დაგმართნია, მდევო, ევრე ხარდაცემული რომ მორბიხარო? — შეგეითხა კუდა გრძელი მდევს.

— რალა რა დამმართვია, უბედურება თავს დამტყდომიო. ერთი სტუშარი მესტუმრა, კინაღამ ყველა ძმები ერთიანად არ ამოგვწყვიტაო! — და მდევმა თავიდან ბოლომდე წვლილად უნებო ყოველივე.

— ეს ხომ ჩვენი ნაცარტქეია! — გაიცინა მელიამ და კული ქიციინით გაიქნია. — ყოვლად უნაქნისი კაცი, სახლში რომ არაფერს აკეთებდა, ცოლმა კარში გააგდო. მე იმას კარგად ვიცი, იმათი ქათმები სულ მე გავაწყალე. ერთი მითხარი, იმ ხარმაცმა პეოცნებემ გული ევრე როგორ დაგხეთქათო?

შელუნდა მელი, გინდა თუ არა სახლში დაბრუნდი და იმის სეირს მე გიჩვენებო.

მდევი დიდხანს არ ყაბულდებოდა, ბოლოს გადასწყვიტა:

— კარგი, წაიდეტო, ოღონდ რომ არ მომატყუო და ფათერაკს არ ანკიდო, წელში თოკით გამოგებაო.

დასთანამდა მელი, თოკის ცალი ყური თითონ ჩაიბა კისერში და მეორე მდევს გამოაბა წელში. წავილენ სახლისკენ, წინ მელია მიცანცალობს, უკან მდევი მიჰყვება, როცა ნაცარტქეიამ მდევი და მელა ერთად დაინახა, შეეშინდა, მაგრამ რა ძალა ჰქონდა, ავი იყო თუ კარგი, გაჭირვებას ვაცაკურად უნდა დახედროდა, კარებში გაანზღლებული გამოიჭრა და მელიას დაუტატანა:

— ჰიიტ შე არამზადა ქათმის ქურდო, შენა! შე ურჯულო აბულ-ჰუსეინავ<sup>1)</sup>, შენა, ცხრის მაგიერ, ერთი რა პირით მოგყავსო?

მდევს შიშით გული გაუსკდა, გაიქცა მელია თან წაითრია და მოაშთო, — გადიკარგა ცხრა შთას იქით.

ნაცარტქეიამ მდევების მთელი ავლა-დიდება ჯორ-აქლემებზე აჭიდა და შინისკენ გაუღდა.


ცოლი სიხარულით გადაირია: ეს რა ბედნიერ დღეს მოვესწარიო, ქმარი ჭკუაში ჩამივარდაო! იცეამდა, იხურავდა, ქმარს აღარ საყვედურობდა. არაფერი ქვეყანაზე არ აკლდა და ბოლოს თავს ისე გაუღიდა რომ ხმა-მალა ამობოდა:

— თუ ქვეყანაზე ვინმეს დედოფალი ჰქვია, ეს მე ვარო, რომელ დედოფალს აცვია და ახურავს ჩემზე უკეთაო?

ნაცარტქეია იჯდა თავისთვის, დედაკაცის საქნებში არ ერეოდა, ნაცარს ჰქებდა და თან ქვეყნის საქნებზე ფიქრობდა, მაგრამ იმ წყეული ცხრა მდევის ცოდვა შინს რომ არ ასვენებდა!

<sup>1)</sup> სიტყვა-სიტყვიტ „შამა პატარა ციზისა“, არაბები ათაკურად იტყვიან „შამა“ სიტყვა „შამა“-ს ნიშნით.   
 ჟურ. „შინათობა“ № 10—11.

856645  
614





დიდხანს არ დასცალდა ნაცარქექიას ბედნიერი დღეებისა და სიხარულისა  
ქექიაში გატარება.

ქიანჭველას ფრთა რომ ამოღება, ღმერთი მაშინ გაუწყობებო, სწორედ ასე  
იყო ნაცარქექიას ცოლის საქმეც. შეუწინდა ქმარს:

— ტანთ არ მაკლია და ფეხთ, მაგრამ რას ვაქნევ, თუ სიბერე არ გამა-  
ხარებსო? წიდი და სიდიანაც ვინდა გაყმაწვილების წაწალი მიშოვეო!

ნაცარქექია უფრს არ უვდებდა დედაკაცს. მისი სული ისედაც ლოდევით  
იყო დამძიმებული ცხრა მდევის ცხრა ცოდვით, ახლა ეს წვეული დედაკაციც  
შეთე ცოდვისათვის აცქიდა და საშველს არ აძლევდა ერთი რჯულზე მოფიქ-  
რებინა გვეყნის საქმეები. როცა ის კერიათან იჯდა და ასე ფიქრად იყო წა-  
სული, მდევის სულემა ცხელ ლადარში შემწვარ წაბლებივით სკდებოდენ და  
ნედლი შეშის შიშინში ემუდარებოდენ:

— შეგვიბრალე, ნაცარქექიაე! ხომ ხედავ, ჩემი ღეში ცის ქვეშ დაუმარხავი  
გღია და სული უპატრონოდ დაძრწისო.

რა ჰქნას ნაცარქექიამ? მათ უმედურებაზე ააგო მან ოჯახის მყდროება და  
სულს მაინც როგორ უპატრონოს?

და აი ერთ დღეს, როცა ის გარეთ გავიდა, სოფელი მიიარ-მოიარა და  
სახლში მობრუნდა, ხედავს, ეს კახა ცოლი ისევ ჩაკეტილა და სახლში არ უშ-  
ვებს! ბერიც ემუდარა, ეხვეწა, მაგრამ გაკაბასებული ქალის გულს არაფერი  
გაეკარა.

— დაიკარვე, შე ხარბაკო ნაცარქექიაე, შენა, სანამ გაყმაწვილების წა-  
მაღს არ მიშოვი, ჩემი თვალებმა ამ ბარბაზე არ დავიხაროსო!

როცა ნაცარქექიამ ვერც ხვეწნითა და ვერც მუდარით ვერაფერი გაიარევა,  
ცოლს ერთი გულა ნაცარი და ჩონგური სთხოვა. გულა ზურგზე მოიკიდა, ჩონ-  
გური ნაღვლიან ხმაზე დაუჯრა და ასე ლილინით გაუდგა გზას.

იარა ნაცარქექიამ, იარა და ამ სატილზე გზას მოლო მაინც არ უწინდა!  
ერთ მთასთან, წყაროს რომ მიუახლოვდა, ნაცრით სახსე გულა ძირს და-  
აგლო, ნაცარი გადმოყარა და, როცა ქექვად ჩაჯდა, ინატრა:

— ეეს, ასე უქმად წაწაღს, სჯობია ღმერთი მაინც გამომეცხადებოდესო!

ნატერა და ცაში შხილილი ერთი იქნა. ნაცარქექიამ გამორტყვევაც ვერ მო-  
ასწრო, რომ ციდან მის წინ მოქნეული უხარმაზარი ცეცხლმოკიდებული ჯირკი  
დაეცა, ჯირკი ჩინჩხლები გასცვივდა და ჩინჩხლებში ვიღაც თეთრწვერა ბერიკაცი  
ამოიხარდა.

ბერიკაცს თვალები ბოროტად დაეკუსა, წვერები წელამდე ჰქონდა დაცე-  
ნული და ერთი გამხდარი, ახმახი რამ იყო შესახედდავად. მოხუცი წელში გაი-  
მართა, მთას იდაყვით ჩამოეყრდნო და შეეკითხა:

— ვინ ხარ შენ, ასე რომ გაკადნიერებულხარო?

ნაცარქექიამ ბერიკაცს მალლა ახედა და, პასუხის ნაკიერ, შეეკითხა:

— შენ თვითონ ვინა ხარ, ამოდენა რომ დაყუდებულხარო?

მოხუცი აენთო, პრაზით აქოშინდა, აგრუბუნდა, მერე მთას რისხვით წი-  
ხლი დაჰკრა, მთა ფქვილით გატენილ ტოპარივით გასკდა და მოშვავდა ზევი,  
ლორღი და ნიაღვარი.

ნაცარქექია, რის ნაცარქექია იქნებოდა, რომ ვიღაც ბერეკაცი წავიწყო? შეეხარა? ცხრა მღვსს ქუჩით აჯობა და ამ ბერეკაცის როგორ შეეშინდებოდა? წამოდგა, ფეხში ხელი დაჰკრა და შეუტია:

— შენ, ეი, ბერეკაცი, რას წადიხარ? თუ გაჩინე, ნუ აქცევ. დაქცევა და ქცევა ერთი როდია, ვის გაუგონია, წყალი ორთქლად ამდგარიყოს და დამი ხუფზე არ მოვროვილიყოს?

ნოხუცმა შეხედა ნაცარქექიას, უეცრად მოტყდა, თავი მოიმდაბლა, დაწყნარებული მის გვერდით დაჯდა და კაცს თუთუნით სთხოვა.

ნაცარქექიამ ქისიდან თუთუნით გამობერტყა, ყალიონი გატენა და მიაწოდა. ცოტა ხანს შემდეგ ნაცარქექია ნაცარს ჰქექდა, მოხუცი ყალიონს აბოლებდა და ტკბილად მუსაიფობდნენ ქვეყნის საქმეებზე.

ბოლოს ნაცარქექიამ მოხუცს მხარში ხელი დაჰკრა და უთხრა:

— შენ თუ მართლა ჩვენი ღმერთი და გამგენი ხარ, სამი კითხვის მოგცემ და მიპასუხე. თუ ვერ მიპასუხებ, იცოდე, სამი ნატვრა უნდა ამისრულდეს, თორემ ისე ნაცარქექიას ხანი მიეცა, როგორც მე შენ ეს ჩონგური თავზე დაგამტვრიოვო!

ნოხუცი დასთანხმდა.

ნაცარქექიამ დაიწყო:

— სიპართლეს რომ აჩენდი, სიკრუისათვის კაცს რაღას სჯიო? ჯობს რომ ორი ბოლო აქვს ეს როგორ არ იცია?

ბერეკაცმა თავი დახარა.

— ადამს რომ იმ წალკოტში ხე ცნობადისა და კეთილისა დაურგი, ჭამის რად უშლიდი? შენ გაჩენილ კაცს რომ უძირო მდა ექნებოდა, როგორ არ იცოდიაო? მოხუცმა კიდევ უფრო მდაბლად დახარა თავი.

— ეს აველა-აველა, მაგრამ ჯერ დღე და ღამე რომ გააჩინე მერე მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ეს როგორი წესიაო?

მოხუცს გულზე ცეცხლი შემოენთო. აიშართა, ხელები ცაში გაუყარა და, ასე ხელებს ასავსავებული, აბლაგდა და დასწყველა ადამის მოდგმა. მერე მოეშვა და მიყურებულმა ქვითინი დაიწყო. ტირილში დაპატარავდა, დაპატარავდა, თბილისს კაკლის ოდენად მოიქცა და იქვე მინდვრის თავის სოროში შეძვრა. თავზე ნეშო და ღორღი წაიყარა და ნაცემ ლეკვით აწუმუტუნებული მიწაში წყალივით გაიპარა.

ნაცარქექია სოროსთან დაჯდა და ჩონგური სევდიამ ხმაზე დაუკრა, საკრავის ტკბილ ხმასე მოხუცი სოროდან გამოფორთხდა, დაჯდა იქვე, თავი ხელეებზე ჩამოაყრდნო და ყური მიუგდო ადამიანს, თუ როგორ ტკბილად ღიღინებდა იგი.

როცა ნაცარქექიამ ღიღინით გული იჯერა, ჩონგურს იქით გადააგდო, მოხუცს მოუბრუნდა და შეეკითხა:

— აბა, ბერეკაცი, პირობაზე როგორა ხარო?

მოხუცმა მორჩილებს ნიშნად თავი დაბლა დახარა და ნაცარქექიამ დაიწყო:

— ლმერთო ძლიერო, იმოდენა გამხადე, რომ ჯოჯობუნებ ჩემსი კარდა არაინ დაეტოვოსო:

მობუცი დასთანხმდა.

— ლმერთო ძლიერო, ჩემს სულს ცხრა მდევის ცხრა ცოდვა აწუხებს და ისე ინებე რომ ეს ცხრა ცოდვა ამ გუდით ზურგზე შევიდოსო!

მობუცი ამაზედაც დასთანხმდა.

— ლმერთო ძლიერო, ისე ინებე, რომ ვინც ამ გუდაში შევიდეს ჩემს უნებურად ვეღარ განოვიდესო!

მობუცი ამაზედაც დაყაბულდა და გაპქრა.

ნაცარქექიამ ნაცარი ისევ გუდაში მოაგროვა და სახლში გახარებული დაბრუნდა. ცოლმა, შორიდანვე მოპკრა თუ არა თვალი, სახლში შეიქრა, კარები ურდულით ჩაქეტა და იქიდან შეეკითხა:

— რა ქენი, შე ზარმაცო, გაყმაწვილების წამალი თუ მომიტანეი?

ნაცარქექია დაჯდა ჩაქეტელ კარებთან და ყველაფერი წელილად უამბო.

— ჰაიტ, შე თავჭარიანო მეოცნებე, შენა—აკაბასდა ცოლი.—ამდენ სათხოვარში რატომ გაყმაწვილების წამალიც არ სთხოვეო? წადი აქედან და, სანამ ის წამალი არ გიშოვნია, ამ კარ-მიდამოზე ჩემმა თვალებმა არ დაგინახოსო!—და გაანჩხლებულმა ზემოდან თეების ნახარში მარილიან მდულარე თავზე გადმოასხა.

რას იხამდა ნაცარქექია? ბელს დამორჩილდა, წაეიდა დაღვრემილი.

— ცხრა მდევი დამიმარცხებია.—ფიქრობდა იგი, ლმერთისთვის ჭკუით მიჯობნია და ამ ერთმა აშარმა დედაკაცმა აეე როგორ დამიბრევაო?

იარა, იარა და ერთ ქალაქის კარებს შიადგა. გალავანს იქით ბიჭები თამაშობდნ და, ჩამოკონკილი ნაცარქექია რომ დაინახეს, ძალეები დაადვენეს და კინალამ ცოცხლად არ გაფატრეს. ციხის გალავანზე მთვრალი ციხის თავი აფთს იქნედა და თან სიცილით იჭაქებოდა. ნაცარქექიამ, თავი რომ სამშვიდობოს დაიგულა, ბრაზით გუდა ნოიქნია, ძირს დაავდო და ამოიხბრა:

— ეეხ, ასეთ გაძაღლებულ სიცოცხლეს რა უთბრა! სადა ხარ, შე ოხერო სიკვდილო, რომ არ გამომეცხადებო!—სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ სიკვდილი გამოეცხადა და შეეკითხა:

— რა გინდა, ნაცარქექიაე, რა გაგჭირვებია?

ნაცარქექიამ იფიქრა:

— ჯერ ძაღლებმა კინალამ ცოცხლად დამგლიჯეს, იმათ გადურჩი და ახლა ამის ეს ისედაც გაძაღლებული სული როგორ ამოვახდენინოეო?—და სიკვდილს შეუტია:

— რა მინდა და შენი გამოწაცვალიო! ეგრე უსაქმოდ რომ დაწანწალომ და კაცს პირში სულსა ხდი, სხვა საქმე ვერ იშოვეო? მოდი ერთი მადლი მაინც ქენი და ეს გუდა ზურგზე ამკიდეო!

სიკვდილმა ზურგზე გუდა აკიდა და გაპქრა.

ნაცარქექიამ დასწველა ქალაქი, გვერდი ბუტკია და გზა განაგრძო. კარგა ხნის სიარულს შემდეგ ერთ მდინარეს შიადგა. წყალს რომ გახედა, მიხვდ

ნაცარქექია

ის ცხრა მღვრიე ამ წყალში იყო დაღუპული და ეს ნიაფი, ახვ ხედავს მისთვის ასე მყარადად ჰქროდა, მათი ცოდვილი სულები დაძრწოდნენ.

წყლის ზედაპირზე თავმოსხნილი გულდა გააქიდა, თვითონ ნაპირზე დაჯდა და ჩონგური დაუჭრა. უკრავს ნაცარქექიას, თან დალილინებს და ხედავს როგორ იესება გულდა ცხრა მღვრის დაღუპული სულებით. როცა ცხრავე ცოდვას გულდაში თავი მოუყარა, პირი მოუჭრა, ზურგზე მოიკიდა და განაგრძო გზა\*. მრავალი წლები იარა ნაცარქექიამ. ბევრი იწანწალა ასე ცხრა ცოდვით დატვირთულმა, თუბნებზე ჯალამანი შემოაცვდა, კვერთხი დაეღია, მოხუცდა და ასე, მისრწნილი და სიკვდილის პირას მიმდგარი, ერთ ხის ძირას მიეგდო. ჯერ კარგა დაბინდებულნიც არ იყო, რომ სიკვდილი გამოეცხადა.

— აბა, ნაცარქექიავ, გვეო რაც იწანწალე ამ ქვეყანაზე და ნაცარი ქექქ მოიწია ეამი შენი და სული უნდა ამოგხადოვო.

ნაცარქექიას დაენანა სიკოცხლე. რაც არ უნდა იყოს, ტკბილია ეს ცხოვრება და სიკვდილს დაეღრიჯა:

— ვხედავ, სიკვდილო, ვხედავ, რომ მოიწია ეამი ჩემი და, ამ სიკვდილის პირას, მოდი ბადლი ჰქენ და ერთი სურვილი\* ამისრულე. მე ისე მივიბრწენ, რომ თავი არა მაქვს. აგერ იქ რომ ნაცრით გატენილი გულდა გღია, შივ ჩემი ცხრა ცოდვა არის, შედი, ცხრავე სათითაოდ გამომიწვლილე და მითხარ სამოთხეში თუ მამესვლებამ?

სიკვდილს შეეცოდა კაცი და, როცა გულდაში შევიდა, ნაცარქექიამ თავი მაგრა მოუჭრა და ჩასძახა:

— ნალაღმა ღმერთმა ასე ინება, ვინც მე გულდაში შევა, ჩემს უნებურად ველარ გამოვიაო.— და გულდას რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიწაზე დაუწყო ცემა.

ავჯირდა სიკვდილი გულდაში, აწიკინდა მასთან ერთად ცხრა მღვრის სულიც, მაგრამ ნაცარქექია მაინც არ ეშვებოდა და გულდას კიდევ უფრო ღონიერად დაუწყო ნარცხება მიწაზე.

სიკვდილი დაეღრიჯა:

ოლონდ აქედან გამიშვი და რაც გინდა იმას ავისრულეხო..

— კარგი, — უპასუხა ნაცარქექიამ, — იმ პირობით გაგიშვებ, თუ სამიათას წელიწადს მაკოცხლებო.

სიკვდილი დაყაბულდა და ნაცარქექიამ გაუშვა ნაცარში ამოქვარქნილი და ცხრა ცოდვით ამყარებული სიკვდილი.

სამი ათასი წლის შემდეგ ისევ გამოეცხადა სიკვდილი ნაცარქექიას, სული ამოხადა და ცხრა ცოდვით დატვირთული პირდაპირ ჯოჯობეთში გააქანა. კარგში მის სატანა გამოეგება ყვირილით:

— არ გვინდა, არ გვინდა! ჯერ მაგისი ადგილიც არ არის და მისი ცხრა ცოდვა კიდევ ზედმეტია, ჩვენ საღლა წავიდეთო?

\*) დასაყდრეთ საჭარბოდღოს ზოგიერთ ნაწილებში წყალში დაღუპულთა სულს ამგვარად იჭერენ და შემდეგ სამარხში ჩაუშვებენ, რის შემდეგაც მიცვალებული მოსვენებს და პირის სულაღს აღარ აწუხებს.

სიკვდილი შენობრუნდა, მაგრამ ნაცარქექიამ შეაჩერა და შეაჩერა — სატახას რომ გვერდით ქალი ახლდა, ნემცნაურა და ვინ იყო? სიკვდილმა უპასუხა:

— ვინა და შენი ცოლი, სული სატახას მიჰყიდაო.

ნაცარქექიამ ხელები სასოების აღაპყრო და აღმოხდა:

— გამადლომ შენ, ღმერთო, რომ ჯოჯობეთში ვერ მოვთავსდიო!

ნაცარქექია სამოთხეში შევიდა და თავისი ცხრა ცოდვით საესე გულდა თან შეიტანა. გაჩნდა სამოთხეში სიკრუე, მრუშობა, ცბიერება, სიბარბე და ათასი ბიწიერება. წაწყმდა წმინდა ადგილები. მაშინ ღმერთმა შესამედ დასწყევლა ადამის მოღვმა და ცხრა მთას იქით გადაიქარგა...

### ნაწილი პირველი

#### კ ე რ ი ა

##### 1

ამას წინად, როცა მე ჩემი შვილიშვილის წიგნებში ვიქექებოდი, ერთ ქართულ წიგნს მოვყარ თვალი, გადავშალე, — სათაურად ეწერა:

„თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“.

დავჯექი, კითხვა დაეიწყე და როცა წიგნს ბოლომდე მივეყე, მეც შემიჩნდა ჩემი ეშმაკი, მეც მომიჩნდა ჩემი თავგადასავლის აღწერა.

დამუდარა ეს გადაყრუებული ბერიკაცი იესე და უწერია თუ როგორ უკეთებია ათი შვილი (რასიც მე მას სრულიადაც არ ჩამოუყარდები და, დიდ პატივსაც ვცემ ამ კეთილი საქმისათვის, იმიტომ რომ ყოველი პატიოსანი კაცის მოვალეობაა ცოცხალი კაცი ქვეყანაზე გამოიყვანოს, ვზაზე დააყენოს და ამას გარდა, თესლი იმიტომ არის თესლი, რომ ის დათესილ უნდა იქმნას), მერე როგორ გაუძაღლებია თავისი ორი დღის სიცოცხლე, რომ როგორმე ორიოდ გალღეტილი სოფელი და ჩემსავით ზარმაკი ყმები შეეძინა, რათა ყოველივე ეს, სიკვდილს შემდეგ, შვილებისათვის დაეტოვებინა და მათ, მადლობის მაგიერ, სულაღლი ეკივინებინათ მისთვის.

ამის შემდეგ მე გული მომეცა და საბოლოოდ გადავწყვიტე ჩემი თავგასავალიც დამეწერა. თუ ამ სულელ კაცს ასე სულელურად გაუტარებია თავისი სიცოცხლე და მაინც აღწერის ღირსი გამხდარა და, რაც მთავარია, წაიკითხვისა, მაშინ მე გაცილებით უფრო ნიჭიერად მიცხოვრია ამ ქვეყანაზე, მე ვარილი ვიყავ ამა სოფლისა, ოსტატი ცხოვრებისა და ნუ თუ ეს ჩემი ცხოვრება არ არის ყურადღების ღირსი? მით უფრო, რომ მე იმედი მაქვს ჩემი თავისა, ბევრი მიკითხავს, მინახავს, მიაჩნია და, რასაც მე ვერ შევძლებ, ჩემი შვილიშვილი მომეხმარება, ის გამოცდილია ამ საქმეში.

გულაბდილად უნდა მოვახსენოთ, მე არც არავისი ჭკუაზე დარიცება მებაღისება და არც მოყვარს ეს მოსაწყენი საქმე, მე ჩემი შვილების დარიცებაც მზარებოდა. თუ იმ დალოცვილს, ღმერთია ის თუ ეშმაკი, იმ თავითვე არ მიუცია კაცისათვის ეს ჭკუა, სხვას საიდან შეუძლია მისი თავში ჩადება? მით უფ-

ერეკინული  
ქრისტეანული

რომ მე, რომელსაც ჩემი ცხოვრებული მეუღლე მთელი მისი მარჯვე და მოხერხებულ დროს, ყოველად გამოჩერებულსა და კეთილურ ყამასს მეძახდა. მეც, ღმერთთა მოწამე, არ ვედავებოდი, ყველას თავისი აზრი აქვს და მე რა ძალა მქონდა? მე მაინც ჩემს აზრზე ვიდექ და ვატყობ, შეილებო, ვატყობ, რომ ამ კეთილ არც თუ ისე წამიჯია.

მე ამას არც იმიტომ ვწერ, რომ თქვენ ვიგავთოთ. სრულიადაც არა! მე ამას ჩემთვის ვწერ და ჯავრიან გულს ისე ვიტარებ. რას იხამ, ყველა იმით ახარებს თავის ჭიას, რითაც შეუძლია. ეს ცხოვრება ასე ყოფილა მოწყობილი. ყველას თავისი ეშმაკი ჰყავს და დღემოდამ მის პატივისცემაშია. ზოგი ყომარბახოზს და კანათელს ამღერებს, ზოგი ლეინოს სეამს, ზოგი სულს საქმეებს დასდევს, ზოგი წიგნებსა სწერს, ზოგი მიწას მიწაზე აწებებს და ზოგი ქვეანის საქმეებს დასდევს და არიგებს. მეც ჩემი ეშმაკი მყავს, დასწყველა ღმერთთა, დიდი ეშმაკი და მეც, ჩემი შეძლებისდა მიხედვით, წას ვეშახტურები და აი მეც მინდა წვლილად დაეწერო ყოველივე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში მინახავს, რისთვისაც მიტირია და რასაც უხარებდითარ.

— რატეხა ზოტივარს იტყვი, არ ვნახავთ! — ფიქრობთ ახლა თქვენ და გფიციებით ჩემს მზეს, ასე ცოლივით ტკბილად რომ მათობდა მედამ დღე, ყველაფერს გეტყვიოთ და თუ ისე დაეწერე, როგორც ვლამარაკობ, მჯერა: მოგეწონებათ და არ გამლანძღავთ.

მაშ რა გქნა მე ახლა, როცა ასე ნარტოდმარტო ვარ ეს ბერიკაცი მიტოვებული ამ გულდაგულ ზამთარში კერიასთან? ზოგი კოლექტივის მიწას ბარაეს ფორთოხლისათვის, ზოგი ღობეს ღობავს, არავეს ჩემთვის არ სცალია, ყველას თავისი საქმე აქვს, გვერდით არავეინა მყავს, რომ ღამარაკით გული ვიჯერო, თორემ ღამარაკი კი ვიცი, მოგეცათ ღებნას! კოტა ენავრძელიც ვარ და თახ ეს მოკონებები ისე მომაწეა ჯელში რომ, თუ არ გადმოვავლავ, ხუთი თითივით ვიცი, ან დამახარჩობს, ან და კუქს უნამუსოდ დამიღობს.

ტკბილია, მეტად ტკბილი, ზამთარში კერიასთან ჯდომა, როცა ცეცხლი მზიარულად ღელუნებს, ეს დალოკილი ღვინოც ტვინს ხალისიანად ატყავუნებს, გარეთ ხალხს სცივა და რაღაცას საქმიანობს, აგერ ჩემი მეზობლის ეზოდან ისმის ნაჯახის ცემა, ეს ჩემი ყურის მეზობელია, ურემს სოლებს უცვლის, ვიღაცა გაწუწუებულ ღორს უღელს ადგამს, ღორი ქვეირის და შენ კი ზიხარ შენთვის ცეცხლთან თბილად მოკუთული, არ ქვეირი და ნიშნა უგებ ქვეანას:

— ვგაც თქვენ, თქვენ სიცივით იხოცებით, წვალობთ, წვლებზე ფებს იდგამთ და არ იცათ რომ მიწაში არაფერს ჩავატანენ. მე კი აი, კერიასთან ვხივარ და ღვინოს ნელნელა შევიქცევი. სულელები ხარო თქვენ, ჩემო ბიძიებო, სულელები! მე თუ არა, ჩემ ჭადარას მაინც დაუჯერეთ.

და თუ ასეთ დროს, ღვინოსგან მონიკებულ მადლივით, ვინმე სულელი ხელში ჩაგვივარდა, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ გაუშვა, საშველი არ მისცე, ჩიხის კალთა ჩამოახიე და მანამ არ მოეშვა, სანამ გვერდით არ მოისვა. ხელში კათბა მიეცი, გუდას თავი მოუხსენი და არაკრაკე ძველი ჩხავერი, ან ტკბილი ოჯალეში, ლეჩხუმურ ალადასტურსაც არა უშავს რა და წამოქცეულ დოქიდან

გადმოსხმულ ღვინოსთან ერთად მოიგონე ძველი, გარდასულს დაკარგული რაღაცეები და... ღერღე და ღერღე მოგვარდეს წისკილივით მრუდი და მართალი.

მე ამ ჩემ თავგადასავალში არაფერს არ შეგაწუხებთ ჩემი კვიანური ლაპარაკით. თქვენ იტყვიან, მე ვიცი, თქვენ უმეტესად იტყვიან და თან უღელაჭებში გაიღებოთ (თუ უკვე კიდევ არ გაგიპარსავთ), რომ ამისთვის კვლავ საჭიროა. გამოცანა გერგებათ. მე არც ისე სულელი ვარ ასეთი რამეები შემიძლოს. ჩემს ყურადღებას არ ის იბყრობს, თუ რათ არის ეს ცხოვრება ასე მრუდი და გაუტანელი. ეს ჩემი საქმე არ არის. მე ჩემი საქმე ნაბარია და მისი ავიციცი და კარგავ, სხვა მე არ შევითებებ. არც ის არის ჩემი საქმე თუ რაზე დგას ეს დედამიწა: ხარის რკაზე, გველეშაპის კლდზე, თუ სხვა რამეზე. მე ძლიერ კარგა ვიცი რაზედაც დგას იგი. მაგრამ ვერ გეტყვი, მე არც ისე უტიფარი ვარ, რომ ასეთი აზრები ქალაქებზე დაწერო. ლაპარაკში კი შეიძლება კაცმა სთქვას სადღე, ისიც მაშინ, თუ ქალები ყურს არ გივადებენ. ეს ამბები მე არასოდეს არ შევითებოდა. ჩემთვის დაბადებაც არაფერს უკითხავს და კვების გაჩენაში ვინ მოითხოვს პასუხს? ყველაფერი ეს უჩემოდ იქნა მოწყობილი, მე ამ საქმეში ხელი არ მირევი და ძლიერ კმაყოფილიც ვარ, ამიტომ არც პასუხი მინდა ვაგო არაფერზე.

მე იმთავითვე დაგაწყვეტილი მჭონდა ღვინის საქმეებში არ გავრულოყავ, მე ჩემი საქმე მაქვს და მას თავისი. ყველამ თავისი საქმე უნდა იცოდეს და ადვილი. ყველა უბედურებები, ჩვენ ცხოვრებაში რომ ხდება, ეს თავის ადვილი რომ არ იციან, იმის ბრალია. ეს საქმე არც თუ ისე ადვილი საქმეა. ხანდახან დაპერდები, კაცი და მაშინ მიხედები რომ მთელი შენი სიცოცხლე სხვა საქმე უნდა გეკეთებინა და სულ სხვა გიკეთებია. მე ჩემს საქმეს მივაგენ და ეს საკითხები ღმერთს შევატოვე ხელში. ჩვენ მუდამ გაყოფილი ძმებავით ვიცავით, მე მას საქმეებში არასოდეს არ ვერეოდი.

კაცმა ფიქრით თავი არ უნდა შეიწუხო. ფიქრი ბუნებრივია, ერთი თუ შეგიძრია, მეტი, შეიღობით, გახურებულ კეცებზე რომ დაჯდეს შარვალ-ჩაბდილი, ვერ გამოაგდებ, მაგრამ ერთი რამ მუდამ უნდა იცოდეს: ანგარიში, ბაბა, ანგარიში უმეტესად უნდა იცოდეს, თორემ ცხოვრებას უკუთვლად წაიგებ და უკუთვლად წაგებულ კაცი არაფერს არ ეცოდება. მე რომ მკითხობთ, არცაა შესაკოდებელი. კაცს ყველაფერი გებატემა, მაგრამ უკუთვლის პატემა არ იქნება. რაც ქვეყანაზე ავი და ბრალია ყველაფერი უკუთვლითაა. ამიტომ კუთვით, ბაბა! მართალია. ცხოვრება შწარა, მაგრამ ტკბილიცაა, ავი ნაფარი, ძალიან ტკბილია და რას იზამ კაცი, როცა ტკბილი მეტუტურ ბაღანასაც უყვარს.

ერთხელ მეც შევეცი ჩემს ცხოვრებაში, დაჯვკვი და ვიფიქრე ღვინის ბუნებაზე. იმ სულწაწყვედილ ხუცესმა საბალიამ შემაკდინა. ეს მაშინ იყო, როცა მე ჩემი ბებრეკი ცოლი ისე ტვინდაბნეულად ვითხოვე და, მართალი მოგახსენოთ, არც თუ ისეთ ღვინობრივ გუნებაზე ვიყავ, მაგრამ მე მაინც ჩავფიქრდი, თუ როგორ არის ეს ქვეყანა მოწყობილი და, როცა საკითხს ღვინამდე ჩავსდი, შემეშინდა, ტვინი კინაღამ ვადამიბრუნდა, თავი და ბოლო ვერაფრით მივაბი და ჩამოვყენი.

რასი შეცდომება მე, ერთი მითხარით, ეს განგებია თუ შევცდები? ეს ცხოვრება მე ხონით მომართვეს. მართალია, ეს ხონია ძალიან მოღებრებული რამ იყო მისართმევედ. ბევრჯერ პირი დამწვა, ბევრჯერ ხელები დამეთუთქა გულიც დამეღადრა, მაგრამ მე მაინც მადლობელი ვიყავ, მაინც საბუთიანად მოუგეპი და მადიანად შევექციე, შევექციე ისე რომ ნამკეციც არ დამეტოვებინა, გაეძეხი და, მეორედ კიდევ რომ მომარტმეგდენ, გულზე ხელდადებით გეტყვიო, მეორედაც ისეთივე მადით შევექცეოდი, ამისთვის კუჭიც საკმაოდ მაგარი მაქვს, სურვილიც, ნიჭიც და შნოც. მაგრამ ეს შეუძლებელი რამ არის და მე შეუძლებელ საქმეებზე ფიქრი და ზრუნვა არ მიყვარს, რადგან ვიცი რომ ეს ერთი საცოდავი ბერიკაცი რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ერთხელ ჩავისახე დედაჩემის საშოში, ერთხელ დავიბადე და მომეცით ნება ერთი რჯულზე გაეძლე თქვენი სიყვარულით და ტბილი ლაპარაკით.

მე მუდამ მიყვარდა ეს ქვეყანა: ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომით. წელიწადის ეს ოთხივე დრო ღვიძლი ძმებივით იყო ჩემთვის და ამ ოთხ ძმაში მე არ ვიცი რომელია უკეთესი და რომელი უარესი.

შევეხედავ ცას,—მიხარია, ვაფხედავ ამ გულვადიდული მიწას,— ისევ ვხარობ, გავცეპი ამ მწვანე მინდორ-ველებს, თოვლით ჩამოფენილ კავკასიონს, აბრეშუნივით აშრიალბულ სიმინდის ყანებს, ამ რიონს, ამ ტბას ნარიონალს, შვილებს, შვილიშვილებს,—ვინ მოსთელის მით?—ჩემის ოვლით ნონაგარ ფაცხას და, რა ვქნა, შვილებო, ბიძიებო, რომ მიხარია? მიხარია, რომ ცოცხალი ვარ და ვმადლობ ღმერთსა და ენმაქს (უპველად ორივეს, ვინ იცის რომელი უფრო ძლიერია), რომ ყველაფერი ეს ჩემთვის არის გაჩენილი, რომ ყველაფერი ეს მე მიკეთებია, მას მე უკეთებია და გარბობამოკარბებული ვეშობი მიწაზე ვებუტები მის მსუტანსა და ნოყიერ ტუტებს, მე რომ წყნითა და სიცოცხლით მავსებს, ებანაობ რიონში, ვთევზაობ, ზუთხებს და კობრებს, ანკესებს უფებ, ლორთქო კოლინდარში გულაღმა ეწვები და შევცეპი ამ ლურჯ ყანასავით ამბიინებულ და დაუსრულებელ ცას, თავზე რომ ახალი ჩითივით მაფენია და ვიცი,—ეს ცა მე ვარ, ეს მიწა ჩემი ბებრეკი ცოლი, მე მთესველი ვარ და ვანაყოფიერებ ამ მიწას, ის ვნებით იფშენება ჩემი სხეულის სასურველ სიმძიმის ქვეშ, მკეკრის ცხელი, გაუმადლარი და ჩვენ სულ მუდამ განუყრელი ვართ, ერთად მივდივართ, მივიწდებივართ.

მას მოდით და გადახადეთ ეს ცა ამ მიწას, ამაგლიკეთ მე ჩემს კერიას და,—მაჟუ!—რა ვქნა ნე მაშინ, რის მაქნისი ეიქნები? ეს ცა მე ქვედად მშურავს და დედამიწა ქალანხად მაცვია. გაიშვით, გაიშვით, მამაშვილობამ, ნუ დამაკავებთ, თორემ გადავირევი ყაძახი, იმიტომ რომ ეს ცა მე ვარ და დამაყენეთ, ხელს ნუ მიშლით, რთცა მე, ეს ერთი უმანკო ბატკანი, ვძოვ ამ ცას, როცა მე ეს ხარბი და ვნებით აკანკალებული მკვლავები დედამიწის ცხელ ლღიავებში, ამომიხვევია და ეწოვ მის ტუჩებს, ვსვამ მის წვენსა და ვქამ მის ხორცს, ბარაქასა და ღოვლათს.

გესმით? საღდაც სასიძოდ შეღერებული ბიჭი უკიკინებს ტბილ სინდერას ხალისიანად და გასათხოვარი გოგო გუნგრაობს ვნებით ატკარცალბული,



ახურებული ძროხა ბლავის გულგადაღებული ბავაში და ეძახებოდა-  
ბოროკლი ვაყა ქიხინოშს და გათქვირებული საქსაქობს საპონივით. აღშვით  
იგი, ბაბა, ნიუშვით იმ ფაშატთან, არ წახდება, აღშვით და ნახეთ მერე რო-  
გორ გადიქიხინოს გალაღებულმა ეს მთა, ეს ბარი და ეს მკერდმოღვლილი,  
ძუძუებითქვირული ღედამიწა.

ეგხ, რა მიყვარს, რა მიჭვარს მე ეს ცოლივით ბარაქინად გამხვართული  
მიწა, და არც თუ ისე ადვილია ჩემი აგლეჯა. ცალი ფეხი მე მიწაზე მიდგას,  
და მეორეც იქვე მიჭვს მავრა დაბჯენილი.

აბა ყური დამიგდეთ, მე ერთ არაკს გეტყვით:

ტყეში ხში ამოვიდა:

— დარბაზი დაინგრა და ხალხი დაიტანაო.

მუხამ გადმოხედა და იკითხა:

— ჩვენი ბიჭი ხომ არ ერიაო?

— არა, დარბაზი წიფლისა იყოო.

— კიდევ მაგიტომ დანგრეულაო. — მიუგო მუხამ.

ეს მუხა მე ვარ და, თუ მე ვიქნები, დარბაზი არ დაინგრევა. მე ბებერი  
ვარ, მე გამტანი ვარ, მე ცხრატოტიანი მუხა ვარ. ტოტები ცად გამიდგამს,  
ფესვები მიწაში განიყრია და ვნება ვენახივით მგებარება ტოტებში და ასე, მიწის  
წვენიით დანთვრალი, ვწრიალებ და რათ მინდა, ერთი მითხარით, რას ვაქნევ,  
რომ ერთ დროს ის ოქროს თხა, ბერძნებმა რომ მოგვპარეს, ჩემ ტოტებ-  
ზე ეკიდა, როცა ვენახი უფრო ტკბილია და ხარბოშინი, როცა ღვინო ისე  
ხალისიანად სდულს და ჭაფდება თხაქურობაზე? ბერძნებს უნდოდათ, მე კარგათ  
ვიყო, იმათ უნდოდათ რომ ჩვენ უფულოთ დავრჩენილიყავით, ღვინის კურკული  
არა გვექონოდა და ამიტომ მოგვპარეს იმ წუნკლებმა ის ოქროს თხა, რა უყოთ  
მერე, ჰყავდეთ იმათ ჩვენი ოქროს თხა. ღმერთმა შეარგოსთ. თუ მოგვპარეს, კი  
ბიჭებიც ყოფილან. რას იხამ, ოღონდ ღვინო იყოს და ჩვენ ქვევრებში ჩავას-  
ხამთ ამ ღვინოს. უბრალო ბეკეა თხის გუდითაც დავკმაყოფილდებით. ხარს  
გაეხდით ტყავს, კამეშს და ისე გავალო იოლად. ჩემ კარაქნიან ქურს ვენაც-  
ვალე, ის ხომ მიწაში მაჭეს გრილად ჩავდებულნი? რა უყოთ მერე? ჩვენ ყუბაქები  
ვართ და ჩვენ ოქროს თხას ვინ მოგვაშავებდა? რომ გვექონოდა კიდევ, ვინ დაგ-  
ვანებებდა? ბერძენი რომ არ ყოფილიყო, თათარი წაგვართყვდა. რუსხმწიფე  
საკუთარ ტყავს არ გვანებებდა და ოქროს თხის ტყავს რას შეგვარჩენდა? რა  
უყოთ მერე, გაეძღებთ, როგორც იქნება, ვაცხოვრებთ ასე და ღვინოსაც არ  
დავიკლებთ. მართალია, ეს ოხერი გული, მაინც ვეტყვი რამ ის საღვინე გულა  
არა ვეაჭეს, მავრამ არაფერია, თუ ეს დალოცვილი ღვინო ქვევრში არ ჩავტყვა,  
კოლოტში ჩავასხამთ, რუმებებს გაეაყვებთ, გულა, ტიკა, ტიკპორა ხომ ჩვენი მო-  
გონილია, და, თუ ყურძნის მოსაყალი ისეთი იქნა, რომ მართლა წარღვნა მოვიდა  
ღვინისა და არც საწნახელში, ქვევრებში, ჩაფებში, კოკებში და დოქებში არ  
ჩაეჭია, თქვენ ნუ გეწინიათ, თქვენ ნუ კედებით მაგის ჯავრით. კი მოფნახეყა,  
როგორც იქნება, ჩვენ იმას თავის ადგილს, კი დავაბინავებთ! ღმერთო მოწყა-  
ლი, და განა ჩვენ აქ არა ვართ? რაც ქურკულში არ ჩავტყვა, ჩვენ დავუღვთო,

ღვინოს შევირგებთ. წყალს გაუშვებთ და კიდევ დაეღვეთ. მოგვინახებენ ჩვენ ამით ოდნავაც არ შევწუბდეთ. დაგვარჩოს ჩვენ ჩვენსა ღვინოსა! თქვენ ნუ ჯავრობთ ამას. მაგრამ, ეპეი, ის ოხერა ოქროს თხა რომ გვეყოლოდა, აპიიტ, დედასა!.. მოდით, შეინლო, მოდით, ვნახათ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი? მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი. თხა რომ თხაა, ისიც, ის წყუელიც, ვენახს აკლავს თავს და ჩვენ როგორ არ უნდა დავლიოთ, ა? ვენახის ჩრდილში გვძინავს, ვენახის ძირში გვმარხავენ, ვენახის წვენით ჩვენ სულს იხსენიებენ და, ერთი მითხარით, როგორ არ დავითვრეთ, როცა ეს წვერებცანცარა თხა, ცოცხალია, — ვენახის ბარდს სჭამს, მკედარია და ღვინით იბერება? როცა ცოცხალს ავუნა ჰქვია და მკედარს ტიქკორა. წყუელია, წყუელი ეს წვერებცანცარა ბეკეკა, ბერიკაა, წყუელი, კვიმატი და თეთრი წვერების ცანცარითმღერის, ჩვენს თავზე ავი თვალის გამოსალოცავად შემოვლებული:

ბერი კაკი ვარ, ნუ მომკლავთ...

ეშმაკია, ცბიერია ეს თხამეტლა! ვერც ლომე, ვერც ყორე და ვერც მესერი მას ვერ დააკაუებს, ვენაცვალუ მისი ლღვივით რქებს! განა ის არ იცო, ქალის კეკა რომ ვენახის ბარდს შეატანა და შეჭამა? განა ეს ბეკეკა არ არის, რომ დათვრება და, ვნებით ვადარეული, რთველში ვენახს შესიულ ქალებს დასდევს და დედაკაცები გულვახეთქილ ქათმებივით ტკარცალობენ ეშხინანდ, წიკვინებენ ხეებზე ასულნი და ჰყრიან დაყურსული მტევნებს გიდელში? ბეკეკა მაინც არ უსვენებს მათ, არ ეშვება და ხის ძირას ატუზული და ვნება ატანილი უტკერის ღვინით გაბანდალებული მათ გაბის ქვეშ და ქალები მზიარული გრიბულთ, კივილით ქოქოლას აყრიან და წყევა-კრულვით ჩამოსძახიან:

— დაილუბე, შე წყუელო, ატედან, დაიკარგე საცხა, შე სულწაწყმედილო! — და ვულში ჩუმის ნატვრით ოცნებობენ მის მკლავებს, მის ვნებას.

საწყალი ქალები! ბეკეკა რომ არ კოფილიყო, რა უჭირდათ მაშინ იმათ? კეკით იქნებოდნენ. რა ჰქნან ახლა საწყლებმა? ჩემ მტერს შეუნდა ეს თხაფეხა. კეკას კი არა, სიცოცხლესაც სიამოვნებით დაუთმობ, თუ მოგთხოვა, და კეკა რა სათემელია! კარგათაც იტყვიან ის კალთაქურდებულნი! ისეთ კეკას, ისევ ასეთი უტკუობა ამჯობინებს მათ და, მარტალი მოვახსენოთ, არც თუ ისე უტკუონი არიან ისინი. განა ცოდვია, განა უტკუობაა, რომ კაკი გულის ცემას ატყვეს და სისხლის კანონს ვერ გადააბიჯოს?

ეებ, თხაო, თხაო!

გულახდილათ უნდა ვითხრათ, თქვენთან რა მაქვს დასაშალი, ის ოხერი ოქროს თხა რომ გამახსენდება, ხომ უხსოვარ დროებში მოხდა ეს? — მაინც გული მიკვდება, აგი ნავარი, და სულ დედამისის სულს ვაგინებ იმ წუშკებრძნებს.

მიკვირს, შვილებო, მიკვირს და განკვირვებია, როგორ მოხდა ეს? ვერაფრით ეს ამბავი ჩემს თავში ვერ შესულა. როგორ მოხდა რომ ჩემი, მათა ქექიას, მამები, ბაბუები, პაპები და წინაპრები ასე სულელურად მოტყუდნენ, წაწყდა მათი სული, და ასე უბრალოდ დასთმეს ის ოქროს თხა? როგორ ვაბარიყვეს იმ ყრულია ბერძნებმა ასე ის და ჩვენი წინაპრები, როცა ჩვენ, მათ შვი-

ლებმა, ისიც კი ვიციტ დედამიწაში რაა და ეშმაკს ისე ჩაეფეხა წარმართებზე და ამოეყვანათ, რომ წყალსაც არ დაეღვინებთ?

ალბათ, ის ბერძნები ჩვენზე უფრო ჭკვიანები და მაცდურნი ყოფილან, ასე რომ მოგვატყუეს? აახ, ერთი ნეტაფი რომელიმე მათგანი მაჩვენა და მეგრე, თუ მოგვცდები, არ ვჩივი: მე თქვენ გაჩვენებდით მაშინ თუ რა შეილია ბათა ქეჭი. მაგრამ ახლა რა? ლელოც იმათია და ის სულივით ტკბილი თხაც. ასლა რა შენიძლია? ახლა მე არც ისე ახალგაზდა ვარ, ნავში ჩავედღე და ამსიგრძე ვზას დავადგე მის ჩამოსატანად.

იქნებ ჩვენ არ ვართ ჩვენ წინაპართა ნაშვირი? იქნებ ჩვენ ნაბუშარი ვართ? არა, ბაბა, არა, ჩვენ მართლაც არ უნდა ვიყოთ მათი მოდგმის. ჩვენი მოტყუება არც ისე ადვილია, ჩვენ არც ისე ბრიყვები ვართ, რომ ოქროს თხა კი არა, მუნღიანი ძაღლი დავანებოთ ეინშეა, თუ ძაღლით არ მოგვერია და არ წაგვარძეა. მაგრამ ქალი ჩემს მტერს შეუწინა, ბაბა, ქალი ანგელოზს შეაქედნს და აკი შეტდენ საწყალი ჩვენი წინაპრებიც! ევბ, მაინც რომ არ შეგრა, მაინც რომ არ ნინდა დავიჯგრო ეს ამბავი! გაჩა ჩვენ არ ვიყავით, პირველად ანდრია მოციქულმა ქანეთიდან ჩვენ მოსაქრასტიანებლად რომ ჩამოიარა და სოფელ ბანძანი ქადაგად დაცემულის მქუხარე და სასობებით აღსაცხე წმინდა სიტყვებზე თვალთაგან ცერისოდენი ცრემლები ღაბა-ღუბით ჩამოგვდვიოდა?

მოციქული ხელებს ბაირაღებივით შლიდა ჰაერში და გრგვინავდა:

— არა კაც კლა!—და ჩვენ, პირველ დამხობილნი, ვკმინავდით გულზე სასობების ცეცხლ შემონთებულნი.

— არა იმრუშო!—და ჩვენ გველის წიწილივით თავს ეყენდით მიწას და ვფეციკობდით, აღთქმას ვდებდით, რომ სხვის ცოლზე თვალი არ შეგვრჩებოდა, იმიტომ რომ ჩვენ თვალნათლივ ვხედავდით, თუ როგორ აბჩენდა ხაბას ჯოჯობეთი ჩვენს ჩასანთქმელად.

— არა იპარო!—და ჩვენ ამ სიტყვებზე, მიწაზე გასნატულნი, მიფეორთხედით გოდებით, ვაგებით მოციქულის ფეხებში, კალთას უკოცნიდით და,—ფუი დასწყევლა ეშნაქმა!—როცა ჩვენ მის წმინდა კართას კალთას უკოცნიდით, ვხედავდით, რომ ფეხზე იმ დამლოცვილს ისეთი ახალთახალი ლაზური ქალამნები ეცვა და ხელში ვერცხლის ჯავარიანი ყავარჯენი ეჭირა, რომ თვალს მოსჭრიდა ადამიანიწვილს.

ქადაგების შემდეგ მოციქულმა ქალამნები გაიხადა და იქვე, ხეზე ჩამოკიდა, სადაც ის ოხერი ყავარჯენი იყო მიკიდებული, დალილ-დაქანცული მიწა და დაიძინა. ახლა თქვენ თვითონ მითხარით, გულზე ხელი დაიდეთ და ისე მიბრძანეთ, როცა კაცი რაიმე ნივთს გლახად სდებს, ვინ არის დამნაშავე, ის, ვინც ამ ნივთს ვერ მოუარა, თუ ის, ვინც ეს ნივთი წიღო და უფრო კარგად შეინახა? ჩვენც სხვისი წაწყნედას, ვარჩიეთ ისევე ჩვენი სული წაგვეწყმიდა. ჩვენც თავი ვადავდეთ, ეს ლაზური ქალამნები და ყავარჯენი შორს არ გავატანეთ, წავიღეთ და უკეთ შევიწინებთ. მერე რა უყოთ რომ მის დაუკითხავად ჩაიღინეთ ეს! მაშინ მოციქულმა დასწყევლა ბანძა, მთელი ოდიში და გაგულსებული აღბანეთს ვადავარდა.

საწყალი აფხაზები! ის ისე გაწინდელი ჩაეიდა, მათ ქვეყნში სულს წასაწყნელი გზები ყოვლის მხრით ჩაეკეტათ. ასე ვიხსენიებ ჩვენ: ყოველთვის გენიისაგან აფხაზები და მათ მაგიერ ჩვენ შეეყავით შიგ თავი, მაგრამ ჩვენ ამას არც თუ ისე ვჩივდით, არც ბედს ვედღუროდით, იმიტომ რომ ჩვენ ფეხები მოციკულის ქალაშნებში თბილად გვქონდა შეკრული, ეს ყავარჯენიც ცოდვებით გაღუნულ წელს საიმედოდ გვიმაგრებდა და წმინდა ნივთების დანახვაზე, ჭინკები და ეშმაკები შლივინით გარბოდნენ აქეთ-იქით და ახლოს ვერ გვეყარებოდნენ.

ასე ვიხსენით ჩვენ აფხაზები სულის დაღუპვისაგან, იმიტომ რომ ჩვენ მოყვასი ვეიყვარს, აბეგები ჩვენი შეზობლები არიან და ეს ოხერი გულიც მათთვის ძალიან შეგვტყვივა.

განა ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არ იყო ის ცოდვილი, რაღაც შეცდომის გამო სამოთხეში რომ მოხვდა, წმინდა გიორგის თითო ლაფშაზე გული შეჰვარდა, სულმა არ მოუთმინა, ზედ მოახტა და სამოთხიდან სღურთა?

ან და განა მე არ ვიყავ ის, ჩვენ ნაბატონარ ბაქარ მინდარიას შავი დღე რომ დაეათენე და ჩვენი მიწა-წყლიდან ფეხი სამუდამოთ ამოვადგმეინე?

ეს ჩვენი ნაბატონარი ერთი ღვთის გლახა იყო, ჩია და სულელი, ძირი მის არ გააჩნდა და მოდგმა. ჩვენ ყველაფერი ეს მხედველობაში მივიღეთ და ასე ვიანგარიშეთ: ყვეს რომ კაკალი გაიგდებინო, ისაც მადლია. ჩვენც, უნდა გამოგიტყდეთ, და ძლიერ ვეიყვარს ეს მადლი, ნით უფრო მაშინ, თუ ეს მადლი ჩვენს გამხმარ ძელებს გაათბობს და ხორცს დაატკობს. ამასთანავე ეს კაკალი (ჩვენი თაღარა, მერეები, საძოვრები, კაპანები, ტყეები და ეწრები) ისე მსუქანი იყო რომ ასეთი გემრიელ კაკლისთვის ღირდა დევნა და დავიდიარაბა. აუღეჭით და ჩვენც ვდიეთ ამ სულელ ყვეს, ვდიეთ იმდენი, სანამ ჩვენი არ ვავიტანეთ და კაკალი პირიდან არ გაეაგდებინეთ, იმიტომ რომ ჩვენ სხვანაირად არ შეგვეძლო, ჩვენ გული გვტკიოდა და სული გვიწუხდა რომ ეს მსუქანი კაკალი სხვის პირში იყო და არა ჩვენსაში, მართალია. პირი პირია, თვითონ კაკლისათვის ეს სულერთია, მაგრამ ჩვენთვის ეს არც თუ ისე სულერთი იყო. ყოველ შემოდგომაზე, ტეხა-კრეთის დროს, ჩვენ გულდათუთქული გავტკეროდით, როგორ მიტკონდა ჩვენი ნაწვავ-ნადაგი ჭირნასულის ნაბეგარი ბატონს მიწის ქირად და სიმწრით გულში მჯიდს ვიციმდით.

და როცა მე ჩვენი ხუცეს საბასტრატიატესაგან ვაეიგე, რომ ჩვენ ყრულა ნაბატონარს ამ ნამულების ბოძების სიგელი დაქარგვოდა, გადავწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა, მისი ფეხი და მურუჭი სამუდამოდ ამოშეკვეთა ჩვენი ყანებიდან. მე მაშინ ასე ვიანგარიშე: თუ ყანა ჩვენია, მიწაც ჩვენი უნდა იყოს. და აი მეც შეუჩნდი ჩვენს გლეხებს მაცდურივით, ავრთე ისინი, ამ მიწების წყურვილი გიუღვიძე და ასე აუტებეთ ნაბატონარს ჩხუბი და ყაილა.

სამი წელიწადი ვდიეთ ჩვენ ამ საქმეს და მაინც არ მოვეწვიეთ. მანდარიას საქმე სასამართლოდან-სასამართლოში გადაჰქონდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა რომ ჩვენ, გლეხებს, ყველას ფიცი უნდა მიგველო, რომ ეს მიწები მამა-

პაპათივან მოყოლებული, ჩვენს განუყვეთელ საკუთრებას წარმართავდა და არაეის, ჩვენს გარდა, მასთან ხელი არ ჰქონდა.

ზოგი სულელი გლეხი შეშინდა და ცრუ ფიცის მიღებაზე უარი განაცხადა. არ იცოდენ რომ ღმერთი ჩვენ შესაშინებლად იყო გამოგონილი. მათ სხვებიც იყოლიეს და ასე უპკუოდ ვკარგავდით ამ სულივით ტყილ ლუქმას.

როცა არც რჩევამ, არც დარიგებამ და არც შუქარამ არ გასჭრა, მაშინ ნუ შემდეგ ხერხს მიეპართე: ყოველ მათგანს ქალამანში საკუთარი ეზოს მიწა ჩაუყარე. ზედ შევაყენე და ისე ჩავაცვი, მერე ხუცეს საბასტარტილიატეს და მოსამართლის თანადანსწრებით. ხელგები სასოვებით ცად აღვაყარით, მთელი ეს მიწები ასე მოვირბინეთ და გულამოვიარდნილი შევლალადებდით მამა-ხეციერს.

— ვუიკავთ მამას, ძეს და სული წმინდას, სამასსამოცდასამ წმინდა გიორგის მადლსა და შვილდ-ბოძილს, ქიაჩისა, და ნოქალაქევის ორმოც ნოწამეს, რომ ჩვენ ჩვენ მიწაზე ედგავართ და არაეის, ჩვენს მეტს, მასთან ხელი არ აქვს... ვუიკავთ და ჩვენის პირით ელაღადებთ: ჩვენ მიწაზე ედგავართ, ჩვენ მიწაზე ედგავართ, ჩვენ მიწაზე ედგავართ...—და ჩვენ ცამდის მართალი ვიყავით. მთელი ქვეყანა ასე რომ მოგვერბინა, თუ ჩვენ ალალ ფიცს რაიმე დავეჯერებოდა, მთელ ქვეყანასაკუთრად დავიმტკიცებდით, მაგრამ ჩვენ ამას დავეჯერდით. ჩვენ ესეც კარგა გვეყოფნიდა და ქვეყანას, მართლაც რომ ჩვენი ყოფილიყო, ვინ დაგვანებებდა?

ბატარ მანდარია ლენჩი იყო, უცოლობაში მოხუცებული და გამოტყინებული. ამ ამბის შემდეგ მთლად გამოტყინდა, საქმეს ბოლომდე ვერ მისდია. სად ჰქონდა ამდენი შეძლება? და დარჩა კარიულზე.

ასეთი ვართ ჩვენ და ამიტომ მივირის, შვილებო, ძალიან მივირის იმ ოქროს თხის ამბავი. მაგრამ ახლა რას იზამ, დაკარგულზე მხოლოდ სულელები დარდობენ და ამიტომ ნუ ეიქნებით კიდევ ერთხელ სულელები, დროს თვალი გაუსწოროთ და პირდაპირ შევხედოთ.

ეებ! ეებ! რომ გამახსენდება, გული მაინც მენარება, ნავარი! ის დალოცვილი თხა რომ მყავდეს, ჩემ ბედს ძალი არ დაჰყუდდა ახლა. ქონი ქონად მექნებოდა, ხორცი ხორცად. გულა გულად და ამ ბაჯალლს ოქროებს ვაჩხრიალებდი, ვაჩხრიალებდი, სულ ვაჩხრიალებდი.

რა არის ეს? რას ვროტავ, კაცმა რომ იკითხოს? დავითვერი, შვილებო, ალბათ, დავითვერი! ვერავია ეს კრთხეული ჩხავერი, მუხანათია და თავში ისე შემეპარა, სისულელესავით, რომ არაფერი გამიჯია. აპატიეთ ჩემს მოხუცებულობას! რა უყოთ მერე რომ სულელი ვარ. ნუ დამძრახავთ. ასე რომ არ ვყოფილიყავ, რა მიცოცხლებდა მაშინ ამდენ ხანს? რა გამაძლებინებდა ამ ქვეყანაზე, როცა მე მსუქან ლუქმასავით ვიდე თემშარაზე და, რუსხენწიფით დაწყებული, მამასახლისათა და ხუცესით გათავებული, ყველა მე მერჩოდა, ყველას ჩემი შექნა უნდოდა.

ვიცი, შვილებო, კარგად ვიცი რომ სულელი ვარ. ისიც ვიცი რომ ახლა ცხოვრება სხეანარია. რომ მე სულ სხეა პირობებში ვიზრდებოდი და რა ექნა ახლა, ვიყო მე ჩემი სისულელით ბედნიერიცა და უბედოც. მე ასე მიჩვენია და დამაყენეთ ზემთვის, არ მინდა მე თქვენი ტყუა, და რომ მინდოდეს, მაშინ მე



მართლაც სულელი ვიქნებოდი. მე ასე ვანგარიშობ: ყოველ კაცს უნდა ჰქვია იყოს იგი, ერთი პატარა სისულელე მაინც აქვს და ამათგან ერთი სისულელე აკაცებს მას. თორემ ისე ჩვენ, ყველა, ღმერთებზე ვიქნებოდით და ისე მოგვეწყინებოდა სიკოცხლე რომ დავკამდით ერთი შეიჯრეს. ახლა დაჯექით და თქვენ თვითონ იანგარიშეთ: ამ ჩემ დიდ სისულელეს თქვენი პატარა სისულელეც რომ ზედ დაერთოს, ხომ სულ შთლად დავიღუპე მაშინ? ამიტომ მჭონდეს მე ეს ჩემი დიდი სისულელე, მაპატიეთ რამენაირად. მომიტყვეთ ასე სულელი რომ ვარ. თქვენ თქვენ ჰკუას უპატრონეთ და მე ჩემ სისულელეს მოეფელი. არ მინდა მე თქვენი ჰკუა! სხვის ჰკუას მე მაინც ჩემი სისულელე მირჩევნია. სადმედან მაინც მოუფელი. მე ყველა ასეველ-დასივალი ვიცი იმისი და სხვის ჰკუას რა უყო? მის სხვანაირი მოზარება უნდა და პატრონობა. ამიტომ დამაყენეთ მე ჩემთვის და მაპატიეთ, შეილებო, რომ გაწუხებთ. მე ერთი საწყალი ბერიკაცი ვარ, უმანკო, გულუბრყვილა. ოო, თქვენ არ იცით რა უმანკო მტრედი ვარ მე, რა მეამიტი, დისწყველა ეშმაკმა ჩემი განჩენი! ამიტომ ვიყო მე სულელი. თქვენ რა გინდათ, როცა მე ასე მირჩევნია? მე ბებერი ვარ, გამოჩერჩეტებული და ჩემმა სისულელემ მიყოს მე, რაც მომივა.

2

ახლა ზამთარია, გარეთ წვიმა იფინელება და ცივა.

უუჰ, როგორ გამიშწარა სიკოცხლე ამ წვიმამ! სულს ნილონებს ამ გადაყრტვებულ ბერიკაცს, საშველს არ მაძლევს, ერთი გარეთ გავიდე, შევხედო ამ სიზინდის ყანასავით ლურჯად აბიზინებულ ცას და გავძლე ამ სოფლის ცქერით.

რა ვიცი რამდენ ხანს ვიციოცხლებ კიდევ? მერიკიფე ისე ერთგულად აყუდებს ამ დოქს თავდაღმა რომ, თქვენი კარგა ყოფნით, მგონი, მალე დავილიაო. ჩემ შაკაცს, მოკლილი კაცები რომ ცელით ხატავენ, ჩემთან შეყრის წყურვილით სული ელგეა და ძედებს ძროხის კისერზე დაკიდებულ ხის სარაკუნასავით აედარუნებს,—ელის, როდის დადგება მისი აღდგონა, რომ ეს ტკბილი სული პირში ამომართვას.

ჩემი ბიჭი მახვა ახლა ბორანზეა. ერთ დროს ეს ბორანი ჩემი იყო, ახლა სოფლისაა. ასე ამჯობინეს ჩემმა შეილებმა და მე რა მეთქმის? მე ახლა არაფერა მეკითხება. მე ჩემი ცხოვრება, ავად თუ კარვად, მომიჭამია. ახლა მათ უკეთ იციან თავისი საქმე. ნეტავი მეც იქ დამსვა ბორანზე და ერთი რჯულზე გამაძლო გამვლელ-გამომვლელებთან ლაპარაკით. მაგრამ ეს რჯულძალდი წვიმა საშველს რომ არ მაძლევს! კაცმა ენა თუ არ ვაანძრით, არ ვარგა, ომი მოგვეკიდება, დაფორდები და ამ ცხოვრებაზე ჭწნოდ ამიხეზდები. ენა ქურის სარცხიეთია, პირს რომ ნალექისაგან ამოსწმენდს. როგორც ახლად დაბადებულს უხდება ტირილი, ისე კაცს ლაპარაკი.—ენა მახვილდება, ახრი იყრიბება.

მე მთელი ჩემი ცხოვრება ლაპარაკში გამიტარებია და აკი იმიტომაც ღდინს ვიცილი სიბერეს. არც კუჭი მტკივა, არც წენი, მხოლოდ ეს ოხერი ზურგი მეწვის ხანდახან,—ეს მამასახლისისა და პრისტავის მითრახები მახსენდება და იმიტომ. ისე რა მიჭირს? თუ ამტკივდა რამე, ეცდილობ არა-

ვინ შევაწუხო. ავადმყოფ ძალღივით სადმე კუთხეში მივეგდებოდა და მხოლოდ ღვიძლის მოვიდგამ და ეს არის ჩემი წამალი. მოკვდებოდა, მაგრამ არა, მაშინ კლას, დაერწები, — ღვინომ დამარწინოს, ვენაცვალე მის გამოსავალს, და ასე ჩუღივით მიგდებულნი ესვამ ნელნელა და უცქერით ერთი მეორეს მე და ჩემი სატყეიარი, ველით ვინ ვის მოიხელცებს უფრო ადრე.

იციან სახლში ჩემი ამბავი და სჩივიან:

— ეს გადაურუებული ბერიკაცი ისე მოკვდება, რომ კაცი ვერაფერს ვაიგებს და ხომ გამოეწყდით მერე ამ კუთხე-მეზობლებში?

მე ვაგდივარ ჩემთვის, ვიღივები და ვეიჭრობ:

— ჰაიკ, ბათა, შე სულ წაწყენილყო ბერიკაციო. ღმერთი მართლა არ გაიწყურეს და არ აიკრა გულა-ნაბადი.

— არა, ბაბა, არა, — ვანუგეშებ მევე ჩემს თავს და თან მკერძს ალერსიანად ვისრეს. — ჯერ შენ ისე არ დაბერებულხარ და არც გამოიჩინებულხარ, რომ ასე შეუღმწეველად გაიპარო ამ ქვეყნიდან. თუ ღმერთი გაწყრა და სიკვდილმა გიწია, თქვენ აბა მაშინ უყურეთ ბათას, რავე დისაკლავი ღორივით ნორთოს ღრიალი. თქვენ გგონიათ მაშინაც ისე ჩემად ვიქნები? სიკვდილი ახალგვარდაწერილი ცოლი ხომ არ არის, ლოგინში შემომიწვეს და გააუწუდე? დეიქცევე ქვეყანას ვფირილით, შეეძრავ ყველაფერს და იმდენს ვიხამ, იმდენს ვებრძოლებ, რომ ამ ტკბილ სულს მაინც არ დავანებებ.

ასეთი ვარ მე და, რა გქნა, რომ ასე მიყვარს ეს სიციცხლე? და ეს სიციცხლე მე შიტომ მიყვარს, რომ შინდა ერთხანს კიდევ უცქირო ამ ქვეყანას და, რასაც ვნახავ, რასაც ვაფიგონებ, ყველაფერი გამოვთქვა და ენით გამოვხატო. ამიტომ ნუ დაშრახავთ თუ ეს ძალღის შესაქმელი ენა ცოტა გრძელი მაქვს. ეს დალოცვილი, რატომ არის რომ ბირში არასოდეს არ მეტეოდა? ან რა მოაცდევინებდა დალოცვილს, როცა მე ჩემი ბორნით დუნის გზაჯვარადინზე ვიყავ ვაკიდებული ზარასავით და მიღეთის ხალხი ვადამყავდა ამ ყელამდე სავსე რიონზე, როცა ჩემი სოფლის გზა ისე იყო მოწმენდილი და ეს ჩვენი მარჩენალი დოყლათიანი რიონი და ცხენიწყალი მიღუღუნებდენ ტკბილად.

რა რჯულის ხალხი არ ვადამიყვანია მე ამ ჩემი ბორნით? მგვრელი, გურული, ჯავახელი, სვანი, ფრანკუცი, ურია, თათარი, ძალღი და მამაძალი. მე ქვეყნის ყელში ვეკიდე ამ ბორნით ენასავით და არაფერი არ გამოვებარებოდა ჩემ ყურებს, ჩემ თვალებს. ხუთივე გრძობა ჩემი, იყო და ხუთივე ღვიძლი მემბივით ერთგულად მემსახურებოდენ და ყველაფერი ვიცოდი, მზაკვარივით ვიცოდი ვინ რას აკეთებდა, ვის რა აწუხებდა, ვინ რას აბირებდა და ვის ვისი ჯავარი ჰქონდა და სისარული. და ახლა, მე რომ მამასახლისისასა და ჩაფრების გახსენებაზე ზურგი მეწვის. ეს ამ ცოდნისათვისაა, ახლაც რომ არ მივიწყებდა.

ღამით, როცა კალია და რწიმი ახმაურდებოდა და ნავახში მთვარე თხმელასა და კობიტის შტოებში შეციებულ კაცივით მუცელგაბიზინებული და დახამებული ნესივით ყვირელი აფორთხდებოდა. მაშინ იქ, დანისლულ სიღრმეებში, ბაყაუთა ყიყინით სავსე გობივით აწეული ტბა ნარიონა აზღუნებულ კლოებს მიწაზე დაჰკრიდა და მე, მათი შიშით თაბიაზე ასული, ვიწვექი მოსირ-

მულ ცის ქვეშ და მელანდებოდა როგორ წიოდა ტყეში ვეგეტაცია მკვრივად მოწყურებული ალი ვნებიაანად.

ანდა, როცა ახალი მთვარე ტირიფის შტოებს ოქროს ყანწივით ჩამოეკიდებოდა, მაშინ მე თავიაზე აიღვარი, სათათრეთისაკენ პირს შევიქცევი და ელოცულობდი.

თეო ახალი,  
ღორბოი, სი გაახარი  
ჩქმი ჩილი დო სქეა. 1)

მერე ვწებოდი და, ძილში წასული, სიზმრებს თაფლის კვერციით ტკბილად ვირგებდი.

ეს დალოცვალი ცა უზარმაზარ მუხის შტოებივით გადმოშლილიყო ამ ქვეყანაზე და ფოთლები შრიალებდნენ. გულგახუთქილი მთვალისა ცას თავის სიყვარულს შეჰყუფდა და რიონი (დაილოცა ამ წყლის გამწენი!) ძილის პირივით ტკბილად მიდუღუნებდა და წყალზე შემხტარი ზუთხები მთვარის სხივებს ხალისით ეტლაშვნებოდნენ.

ირგვლივ მყუდროება იყო და ჩაღურჯებულ საჯავახოს მთებში აქა-იქ შორეულ მოსახლეთა ნაგვიანევი ცეცხლები იბუტებოდნენ და ვინ იცის რა არ მესიზნრებოდა მე მაშინ!

მე ძილში ვიყავ წასული და ზეოღამით, როცა ქვეყანას ეძინა, საიდანღაც თავდავიწყებაში ჩამესმოდა:

— მეპარონე, აუ-უი, მეპარონე!..

ეს ლამის მგზავრი იყო, შეგვიანებული, ან გზადაბნეული, ან ცხენის ტურდი, ან მონადირე, ან მოვაპრე, ანდა, ვინ იცის ვინ? მას გზაზე დაჰღამებოდა-ეშინოდა კუპარი ლამის,—ღამეში ნოდოდა რიონი სულდგმულიყო და ეს სუფრასავით უზვად ვაქნეული წყალი გზას არ აძლევდა და შეშინებული, გულგადაღლეული მე შეძახდა. მე ვიყავ ჩისი ბიდი, მას ჩემ ზურვზე უნდა გადაეარა და მე კი ამ ზურვით თავიაზე არხეინად ვიწეკი, პირი ცად ამეპყრო და უნაუნსოდ ნეძინა.

— მეპარონე, აუუ, მეპარონე!..—ყვირის აბეზარი მგზავრი და მე ძილს თავს ვაჭირებვით ვართმევ, ვიზმორები, ვაგინებ მას მოსელის საათს, ღდინსა და ჯილაგს, ყარამანდულ შარვალში ფეხებს უყრი, ხვანჯრის თავებს ძლივს ეპოულობ, ვისკენი და თავიდან ძირს ვეშვები.

— მეპარონე, აუუ, მეპარონე!.. შეაწუხა გული ვილაცაა, და მე ხაბოზე ვადამღვარი, ნამძინარევი თვალუმბის ფშენეტით ზანტად ვაფძხი:

— ჰეე, ჰეი!..

— ერთი, თუ კაცი ხარ, პარონი აქით მოაყენე, თვარა გადაშვალამდა, ავი ნავარი!—მესმაურება იგი გაღმიდან და მე ვეწეები დაქანებულ სილიან ხა-

1) მთავრე ახალი,  
ღმერთო, შენ გაახარე  
ჩემი ცოლი და შვილი.



ბოზე, აედვიარ ბორანზე და ამ გულდავულ ღამეში, როცა მკრეჭარ მკრეჭარს რიონზე შევადგებ, ატლამუნდებიან ეს ტალღები, ასკდებიან ბორიონა ნავეებს, შეყვარებულლებივით რომ არიან ერთი მეორეზე მიკრულნი. ტალღები სცემენ ნავეებს, ბაგირი იზნიჭება მოწოლილ რიონზე, ღღღნობს ბეოლის ხისაგან ვათლილი სანთელივით ყვითელი ხარკალა და ასე მიდის ეს ბორანი გაღმა დღღღუნით, რომ იქ, ღამეში, ნარტოდ დარჩენილი მგზავრი ხელის გულივით შეიგდოს ზურგზე, ჯან გამოაქანოს, გადმოსვას ნაპირზე და გზა დაულოცოს, თუ წალმართ გზაზეა დამდგარი, და შეიდობა უსურვოს.

ოო, თქვენ არ იცით როგორ ახარებდა ჩემს გულს ეს წინდა სანთელივით გათლილი ბორანი! რა განუზომელ სიამაყეს ვგრძნობდი მით, რომ მე ხიდი ვიყავე ამა სოფლისა და რომ ეს განუსაზღვრელი რიონის ტბილი წყალი, რომელზედაც მე ჩემი შვილიშვილისაგან უამრავი ზღაპრული ამბები განიგონია და თვითონ მეც წამიკითხავს, ახლა ჩემ ლაგებ ქვეს ნიღღღუნებდა თავისი ზუთხებით, ტივებით, ძველი ამბებითა და ბნელი, საუკუნეებში დაკარგული წარსულით.

ახლა? ახლა მე დავბერდი და გულს ვასკდები რომ ეს სოფელი ისევ ისე მომზიბლავია, ისევ ისე გემრიელი და მე კი, ალბათ, უნდა წავიდე... ახლა მე ბერიკაცი ვარ, რიონის ნოტიო და შლამიან ნაპირებზე ძვლის ქარები გამიჩნდა, ტყაპუნში გახვეული კერძასთან ვზივარ და ძღვეს ვითბობ.

ეს წვიმაც ასე გამოუდარებლად რომ იეინღლება! წვიმა, წვიმს და მე მზად ვარ ჩაუჯდე ხალაში, თავზე სარქველი წავიფარო და მოერთო ყვირილი, რომ მე ადამიანი კი არა, ხიზილა ვარ და წყალში გადამაგდონ, იქნებ თევზად მაინც გამოქვიროთიდე, — მაშინ შესაძლებელი იქნება ამდენ წყალში და ჭონკეოში ცხოვრება.

გარეთ ზამთარია, სიცივი, რევოლუცია. ჩემი ბორანი ახლა სოფლისაა. ჩემი შვილები მუშაობენ, ახალ ცხოვრებას აშენებენ, იბრძვიან, წლებზე ფეხს იდგამენ და მერე... მერე ისინიც მოკვდებიან. სულელები! არ იციან, რომ მათი შვილები, სულერთია, ისევ დააქცევენ ამ საქმეს, ესენი ახლა თავს რომ ასე აკლავენ, ისევ თავიდან დაიწყებენ ახლის შენებას. ასე ყოფილა დასაბამიდან და ასე იქნება სულ მუდამ. არ იციან რომ იმათაც მიწა შესჭამს. ამიტომ დროს ნუ დაპყარგავთ, შვილებო! იმუშავეთ, იბრძოლეთ, მაგრამ მთავარი ნუ დაგავიწყდებათ, მართალია, მიწა შეგვჭამს, მაგრამ ჯერხნობით, სანამ არ შეუჭამივართ, ჩვენ გვაძმობთ ეს მიწა, ეს ხორცი, ეს ხილი და ეს ღვინო.

ტბილია ზამთარში კერძასთან ჯდომა, უსაქმობაში ცხელი ღიდრის ქექვა, კვიანურ საქმეებზე ფიქრი და მსჯელობა, გარდასულ ამბების მოგონება და ცეცხლში პურგვება. მე ჩემი საქმე, ავად იყო თუ კარგად, ვაკეთე და ახლა ვისკენებ, მე ახლა ბებერი ხარივითა ვარ, დასაკლავად მე არ ვარგვივარ და უღელში შესაბმელად. მე ახლა გვერდით მარათოში ჩხვერი მიდგას, ვიწრუბები, ყალიონს უპლაკუნებ, ნაცარს ვიჭექები და ვფიქრობ ათას კვიანურ საქმეებზე.

ყალიონი გაპირვებით ხროტინობს და შინაური თუთუნის ბოლი თეთრი ტილოს ხეწარივით იხვევა და ჰაერში, ხან შიშველი ქალის სხეულის სახეს



იღებს, ხან მატყლის ფოთლისავეთ იბურდება და ასე დაკრავს მისი ხეობა. ტლიან სხვენში და კერიის კვამლს ზეროდება.

რუჯით აბზალებულ ოჯინჯალაზე ჰკიდია შაშხები და გაზინქულ ფიცრებს შორის მოსანს ოქროსავეთ დაყრილი ფენჯგირეს ცოცხები.

ნაჭაზე ჩელჯით გასაშრობად გაკიდებული გაუცხვავი ღოში ხემა და კერიის ცეცხლზე მოყრილი თხმელის დამპალი ნაღობარი და ნაკორტალი იბრჩოლება.

მე ყურადღებას არ ვაქცევ არც ამ ბოლს, არც იმას, ჩემი რძალი რომ სადღაც ლაფაროში ყოინით იკრულება. არც ჩემი შვილიშვილის ტაგუიას ხინდიკს, დედამისს რომ საწნებელში ჩაუსვამს და თამაშობს, და არც ამ ნაადრევად გამოჩეკილ წიწილეს, ჩემი სიცოცხლის მოსანელებლად რომ გაჩნდენ ამ ქვეყანაზე და წიაჭით ყურები ამომჭამეს.

უაცხაში აცივდა და მე საციკით მოძუძგული კერიას ჩინჩეარს ვაყრი, ჩავერით საეხე დოქა გვერდით ახლოს ვიდგამ და წერად ვეშაბდები.

მე მინდა ჩემი უფროსი შვილიშვილის თხოვნა შევასრულო. ის ქალაქშია, ნასწავლი კაცია, დიდათ ნაკითხი, წიგნებსაც სწერს. ისიც ჩემსავეთ ენაგატლესილია და, როცა ის ჩამოდის, არ უჩანს ბოლო ჩვენს ქაქანსა და ოხუნჯობას. მე მისგან ბევრი ამბები ვიცი. მაგალითად, მე ვიცი რომ ძველად რიონს ფაზისი ერქვა, რომ მერე აქ ჩვენ ქალებში ის ოქროს თხა გკიდა მუხაზე და იმ გომბიო მედეას წყალობით წაგვართვეს იმ წუწყ ბერძენებში. რას იხამ, დედაკაცმა ერთი თუ გაიწია, მერე ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დაამაგრებს და აი ამ დედაკაცის ქუდა დაგვლუბა ჩვენ და ასე დაკრით უგუდოთ. მე ვიცი კიდევ რომ ჩვენ უწინ, უხსოვარ დროში, მიცვალებულ დედაკაცებს მიწას ვაბარებდით და მამაკაცებს, ხარის ტყავში გამოკრულებს, ხეებზე ვკიდებდით, იმიტომ რომ დედაკაცი მიწის იყო და მამაკაცი ცისა. ახლა ეს წესი გადავარდნილია და რომ შენახულიყო, მე მაშინ არაფერი ტყავში ჩაკერება არ დამპირდებოდა, იმიტომ რომ მე საკმაო საიმედოდ ვარ ღვთის განგებით ვიროს ტყავში გახვეული და, პატრონი რა შეავედეს, ცოცხლად ვარ ხეზე ჩამოსაკიდებელი.

და აი მე ამ ჩემი საყვარელი შვილიშვილის ხათრით ვზივარ ახლა ამ კერიასთან მტნლის თავზე დადებულ ქალაღლით და ვწერ ჩემ თავგადასავალს.

როცა მე ეს ყოვლად უჩვეულო საქმე განვიზრახე (ხომ გაგიგონიათ, ბერიკაცი რომ ჩონგურის სწავლას დაიწყებს, საიჭიოს დაუკრავსო?) და ჩემ განვიღვლდებეს მოვხედე, დამენანა, დასწყევლა ეშმაკმა, ისინი უკან იყენენ და არა წინ.

რა სიამოვნებით მოუბრუნდებოდი მე მათ და ხელახლა დავიწყებდი ცხოვრებას! რა მოხერხებით გამოეწოვი მე იმ სიტყბოს ნარჩენებს კიდევ ერთხელ, ჩემი ყმაწვილური გამოუცდლობით რომ ვერ მოვახერხებ! თუმცა, მართალი უნდა მოვახსენოთ, წარსული დღეების ცოხნას, მე ახალს ვამჯობინებდი.

რა ტკბილი იყო ეს დღეები! მე ვთვლი მათ და სათვალავი მეზნევა. ახლა მე (ვილას დაუშალო?) სამოცდაათი წლის ბერიკაცი ვარ და ამ სამოცდაათი წლის ყველა დღეები თავისი სიტყბოთი და სიმწრით, ცრენლითა და სიხარულით, ბატონ-ყმობითა და ცოლის თხოვით, მამასახლისითა და ვადასახადებით

დედის რძესავეთა შემრგებია და მადლობელი ვარ განგების ჩვენს ხელს და აღგებთ ლორთქო ბეჯის ფოთლებივით უხვად გაწარა ჩემ წინ წმინდასა მოთხოვით ვკამდი მათ, ვცოცხლობდი და კანს კანზე ვიცვლიდი და შიგ კი, კან ქვეშ, წინც ის ბათა ვიყავ, გაუშაღარი, სიცოცხლით სავსე ბათა ქექია, სოფლის წვიმისგარი გლტვის ძუძუებზედული დედაკაცები სიყვარულით ძალის ლეკვის სახელს ბათერიას რომ შეძახდნენ საალერსოდ, და მე ერთხელ რა არის, ერთხელ არ ვადანიხევივა, არ მილაღატ ა ცხოვრებისათვის. დროს მსუნაგ ლეკვივით უდარაჯებდი და ხელში ყველაფერს დაუწყუნებლად და ხარბად ვტაცებდი, რაც ჩემი უნდა ყოფილიყო. შეშინოდა ყოყმანში ისიც არ დამკარგოდა, რასაც მაძლევდენ, იმიტომ რომ დრო წყვეულია, ერთი თუ წავიდა, მერე ვერ დაეწვივით ვცოცხლობდი, ვმუშაობდი, ვკამდი, ვლავობდი, ვიციანოდი, მე სიცოცხლის ყურმოკრილი უმა და ქედნალალი ბატონი ვიყავ.

პირველი კანი მე ბატონყმობაში მოვიცეალე, მეორე, წარბი კანი, ნიკოლოზ რუსხემწითის ხელში გაიძერა, მესამე მენშვიციების დროს და ახლადიდეკანში ვარ შეწოლილი, ახლა ყველგან კოჰერატივებია, გლეხკომები და კოლმტკივები, ყველგან შესვენებული მუშაობაა, ახალი ქვეყანა წელს იმაგრებს და მე გული მწყდება რომ ეს ფესვები წარასულში მაქვს გადგმული და ჩემ შეილებს გვერდში არ უდგავარ და ისე, როგორც მაშინ, როცა მე ჯერ კიდევ ლონე მერჩოდა და ახალ მოზარდ შეილებთან ერთად ბალახმორულ ტყეებს ვმარგლდი და თოხს რომ შეუნელებდენ, შევძახებდი:

— ბაი, ტა-ტა-ტა, ერთი კილო, მიტებო, ერთიც, ეს ხერელიც მოსრულდება!

ეხლა მე, მართალია, სიბერეს ცალს არ უგდებ, მაგრამ მაინც ბერიკაცი მქვია, ეს ოსერი! ამიტომ დროა ცახზე ავიდე, პარკის ხვევას შეუდგე და შიგ ჩაყინარბო. მე ჩენი სიცოცხლის დღენი მომიკამია, ირგვლივ ცარა წელი და უთვალავი შვალიშვილები მახვევია. თავის დროს მეც მიბრძოლია, მიღზენია, როგორც შემეძლო და როგორც შესმოდა. მე მსუქან ლუქმასავით ვიყავი ჩემი თავის ანაბარად მიტოვებული. მე უტკუო ლუქმა ვიყავ და გენრიელი და ანიტომ ყველა მე მერჩოდა, ყველას ჩემი შეკმა უნდოდა, ვისაც მადი ჰქონდა და ჭამა არ ეზარებოდა, და მე, მართალია, ლუქმა ვიყავი, უტკუოც, მაგრამ არც ისე სულელი, რომ ვისიმე ჯამში ჩემი ნებით ჩავევარდილიყავ. მე ძლიერ კარგა ვიცოდი ჩემი ქონის გემო და ამიტომ ვემალბოდი ყველა მტერსა და დღშმანს, თუ დამალევას ვერ ვაძურხებდი, ვცალთახანდობდი, როგორც შემეძლო, ვობობდი და ხელეხ ასავსავებული ვევიროდი ვანწიროული ხმით:

— არიქა, მიშველეთ, თორემ შემიკამა ამ პირწყარლმა! მიშველეთ, მომხედეთ! რა ექნა, რა ჩემი ბრალია, რომ ასე გემრიელი ვარ? ღმერთო, რა საწყალი ვარ, რა უპატრონო!

და ასე ბღაველით, ოხვრით, წუხილით ერთი მგლისაგან მეორესთან მიერბოდი, ვემუდარებოდი, ვეფიცებოდი:

— ღმერთი, რჯული, მე იმიტომ კი არა ვარ ასე გეგმობი, არამედ იმიტომ, რომ შენთვის შეგეძლოს შენთვის გასული ასე, შენთვის დავიდე ეს ტონი ასე ბარათიანად. მე შენი ლუკმა ვარ და ნუ შეაქმევ, დიდო ხემაფიფე, იმ რჯულ-  
დადღს ჩემ თავს! — სხვა რა ძალა შექონდა?

და როცა ჩემი მუდარითა და გემოთი მადანე მოსული ეს მეორე მგელი ჩემ თავს პირველს პირში გამოგლეჯდა და ისინი ავად აღრენილი წაიქილებო-  
დენ და ერთი მეორეს ტყავს აფრუწდენ, მე, ეს ერთი უმანკო კრავი, ვიყავ ჩემ-  
თვის და სულს ვიბრუნებდი, ვიპოვი ამ მწვანედ აბიბინებულ ცხოვრებას, კიდევ  
უფრო ვსუტდებოდი და თან თავლებს შენინებული აქეთ-იქეთ ვაცეცებდი, რომ  
სადმედან მესამე მგელი, ან კიდევ მწვეში არ წამომპაროდა და ახლა იმათ  
არ შეეცქამე, თან გულში მიხაროდა, იმიტომ რომ, როცა მგლები მხუბობენ,  
ბატანი მაშინ სუტდება. ეს მე ცხოვრებამ ნასწავლა. ვინც ვერ ისწავლა, ის წა-  
ვიდა და წავიდა ისე, რომ არც არავინ იხსენიებს.

ასე ვიყავ მე მაშინ, იმიტომ რომ მე სუსტი ბგლალები მქონდა, კვლა  
მოკლე და გამკრიახობა კიდევ უფრო ნაკლები. მერე, როცა მე ბგლალები წა-  
მოვიხარდე და ცხოვრებამ გამომკადა. ეს მე ვიყავი, ახალთაობის დროს ისე  
თავგანწირული რომ ვიბრძოდი. მე მაშინ შეილები წამომესწრენ და მე იმე,  
როგორც ბებერი მგელი თავის ახალმოხარდ ლეკვებს, წაიყვანე ისინი სა-  
ნადიროდ. ჩვენ მაშინ დავმარცხდით, მაგრამ ერთი რამ მაინც ვისწავლეთ და  
მოვახერხეთ: ბგლალები ავიღესეთ და მტერს დარყეული ლოკები გაუსინჯეთ.

მერე, როცა დრო დადგა, ჩემმა შეილებმა ძირიანად ამოთხარეს ეს ლო-  
კები, მტერს თავი გაუროფეს და ეს ცხოვრება ძირ-ბუღიანად ამოაბრუნეს.  
ახლა ისინი არიან ამ ცხოვრების ბატონ-პატრონი. მართალია, მე არაფერი  
მესმის ამ ცხოვრებისა, მაგრამ მჯერა, მე არ ვიცი, მაგრამ ჩემ შეილებს ვენ-  
დობი, რომ კარგია და ჩემი სახეწარი ახლა მხოლოდ ეს არის:

— კი, ბაბა, კი, დევანგრიოთ ეს ძველი ქვეყანა, ნარა, ერთს გებევნებით:  
იყოს ეს ძმობა, ერთობა, ამხანაგობა, ყველა თანასწორი ვიყოთ, მაგრამ, თუ  
ღმერთი გვამო, ამ ღობეს ნუ ჩამიქცევთ და ღვინოში ნუ მომატყუებთ.

პირველში მათ არ დამიჯერეს და ყველა ღობეები, ყველა მიჯნები, ყორღუ-  
ბი და ხურგები მოშალეს, სამიგერიოდ მეორეში ისინი ჩემთან არიან. ღვინოში  
არაფრის დიდებით არ მოვატყუებენ. ჩემზე ნაკლებ მათ არც სმა ჟეერათ და  
არც ქაწა. სვანენ ხარბივით, სქამენ ისევ ხარბივით და მე რომ მათ ღრეობას  
უცქერ, მიხარია და ვფიქრობ ჩემთვის:

— კი, ბაბა, კი, დიდებულია, დიდებულია, მაგრამ რაღა ღვინოში ასრუ-  
ლებთ ამ ჩემი თხოვნას და ღობეებსა და ხურგებს მაინც ატყევეთ? მე კი, ღმერთო  
შეგვოდეთ, და პირიქით მერჩია...

ეხე, ალბათ, ასე სჯობია! მე მოგბუცდი, მე არაფერი მესმის ამ ახალი  
ცხოვრებისა და მე ეხლა ცეცხლს რომ ჩინჩხვარს ვყავი და ვთბები, ეს ჩვენი დარ-  
ღვეული ღობეებია, ჩვენს მიწებსა და საყანებს რომ ყუბაქებით სდარაჯობდენ.  
რას იხამ, გავთბები მაინც. ჟრისას სახლი ეწოდა და ხელები ზედ მიუფიცხო,  
ახე ჩემი საქმეც.

ახლა მე ჩუმად ვარ. ეს მათი საქმეა. მე ჩემი საქმეებზე ვფიქრობ და მათ თავისი იციან. მე მაშინ ვიცი რომ, თუ ძელქვის კორძხვით შევრა არ ვიქნებოდი მიწაზე დამკვდარი, წიწილივით ამიტაცებდენ და თათარში ან სადმე დასაყარგაშვი მონად გამყიდდენ. მე მაშინ სხვა გზა არ მჭონდა და ამიტომ მიყვარდა ასე ეს ჩემი მარჩენალი მიწა. ახლა, თქვენ რომ გიცქერით, თქვენი სიხარული, ჩემი სიხარულია და თქვენი მწუხარება ჩემი წუხილი.

შემდეგი იქნება.

მხარი მხარს, მხარი მხარს! კოლექტივო, მხარი მხარს!  
 აბა შე, აბა შე! აბა მივსცეთ მხარი მხარს!  
 წავიდეთ, მოვედოთ თავისუფალ მთა ღაბარს.  
 მივიდეთ, მივუდგეთ გაერთიანებულ ჯარს.  
 პარიკა, პარიკა! ჩავეკიდოთ გუთნის ტარს,  
 პარიკა, ბოზოლა ძველ ღობეებს უვლის გარს,  
 პარიკა, ქალაქო, ველით ტრაქტორების ღვარს,

მ ხ ა რ ი მ ხ ა რ ს, მ ხ ა რ ი მ ხ ა რ ს  
 კ ო ლ ე კ ტ ი ო ნ, მ ხ ა რ ი მ ხ ა რ ს

დროშებით მივუდგეთ გაერთიანებულ ჯარს.  
 მეზი მეხს, ქარი ქარს, ჩვენ კი მივსცეთ მხარი მხარს!

პირველჯერ  
 მრავალ საუკუნის შემდეგ  
 პირველჯერ!  
 გზაზე, კაკლებით შემოვლებულ  
 საეენახეთი  
 ჩიკაგოიდან დაქადებით  
 წამოსულ ტრაქტორს  
 ამდენ გზა-ნახულს  
 სიხარულით ხედება  
 კახეთი.  
 გაჯადოქრებულ მაჯისცემით  
 მგრგვინვარე ინტერს—  
 პირველჯერ,  
 ახალ ყამირებზე  
 ფოლადის შინით

მდეგ, მეომარი ინდუსტრიის  
 ურყევ ფალანგს  
 დინჯსა და მძიშეს  
 დინჯი მხარე  
 ჰხედება ყივინით.  
 პირველჯერ,  
 აი აგორგორდა  
 კოდეც მანქანა,  
 პირველჯერ  
 მისი ლურჯ-მოთეთრო  
 ავარდა ბოლი,  
 გლედინიები შორეული  
 წყდება მილიდან,  
 ბაშბის კვამლებად  
 იფანტება  
 რგოლებზე რგოლი.  
 თუჯის ფილტვებში

ფერდვადანსილ  
მანქანის შიგნით  
ამოწმებს მოტორს  
თუ არწყულებს  
ფოლადს ძაბრებით,  
კორბიურატორთან  
დაფუსფუსებს  
მარჯვე შოფერი,  
კახელი კაცი  
მღელვარ ძარღვებს  
სწევს განძაფრებით.  
გაზის ველური ენერგია,  
გაათრებული,  
მაღე გაიცნო  
როგორც თავის  
ძველი ნიკორა.  
კახეთი ახლად გადაკეთდა  
თავის ველებზე  
ეს უცხოელი,  
ბუმბერაზიც  
წინ გაიგორა.  
ეხლა ცოტაა,  
შემდეგ კიდევ  
ნოვა ასობით.  
შეიცვლებიან  
ბრიგადებათ,  
დივიზიებათ  
დივიზიები არმიებად,  
მოტორით—ძრავით  
ახალ მანქანით,  
სიამტკბილად  
და შეთვისებით.

## 14

აქ ჯერ  
არაა პროლეტარი,  
ნხოლოდ გლეხია,  
მაგრამ სახლურები  
წაიშლება,  
არის წერტილი  
სადაც შეხედება

მძლე ქარხანა,  
მშვიდი მინდორი  
და რომელიღაც  
ჯეპრედინზე  
გახდება—ერთი.  
ფოლადის ხარი  
მიაბიჯებს.  
საღლაც ლობეზე  
ძველის ძველიდან  
ჩამოცმული  
ცხენისთავია.  
ოი, წარსულო!  
აი, დღეის  
ახალი კვალი,  
რისთვის გეგონა  
ჩვენი მიწა  
რომ უძრავია?  
კვარის მაგივრად  
მოგლვარე სანალით  
„ლაშურა“,—  
ქარისაგან შემკრთალ  
სინათლეში  
გათავდა დღე-რა,  
ღამითაც შრომობს  
საქართველო,  
გათენებამდეც.  
მახლობლად  
მედგარ კოლექტივის  
სცემს გულის ძგერა.  
ნასხმული,  
შავი,  
მზით დამწვარი  
თითქო რჩეული  
ერთი მეორის  
უკეთესი  
თუალებ-ბრდღვიალა,  
გადახალისდნენ,  
განოცოცხლდნენ  
ჩვენი ბიჭები.  
მიაბიჯებენ—  
სიმღერამაც



დაიგრიალა:  
 მხარი მხარს,  
 მხარი მხარს  
 კოლექტივო,  
 მხარი მხარს,  
 აბა ჰე, აბა ჰე,  
 აბა მივსცეთ  
 მხარი მხარს,  
 წაეიდეთ, მოვედოთ  
 ბორკილ-აყრილ  
 მთადამხარს;  
 მივიდეთ, მივედგეთ,  
 გაერთიანებულ ჯარს.  
 ჰარიქა, ჰარიქა,  
 ჩაეკვიდოთ  
 გუთნის ტარს,  
 ჰარიქა, ხობოლა,  
 ძველ ღობეებს  
 უვლის გარს,  
 აბა ჰე, აბა ჰე,  
 მივდგეთ გემტარსა  
 და გაა.  
 მუხი-მუხს, ქარი-ქარს,  
 ჩვენ კი მივსცეთ  
 მხარი მხარს.

15

ქალაქებიდან ჩამოსულა  
 სოფელში მუშა.  
 სამეურნეო იარაღებს  
 სინჯავს, აკეთებს.  
 სოფელი იბრძვის.  
 ის აღიღებს  
 სათეს ფართობებს,  
 გამალებით ხნავს  
 ნიტოვებულს უქმად  
 ნაკეთებს.  
 უვლის საქონელს, ათასობით  
 იზრდება ჯოჯი.  
 იყენებს სასუქს,  
 ხარისხიანს

ამრავლებს ნათესს.  
 მცენარეები,  
 ბალახები  
 ელიან სილოსს.  
 და ქვეყანაზე  
 ზეიმი აქვს  
 დღეს უღიადესს.  
 მე მიწდგრებიდან,  
 კარგო მხარეე,  
 მოგკარი თვალი,  
 გულში აფეთქდა  
 ჩვიდმეტოა წელთ  
 მღელვარე გუზდი.  
 გადამიფიწყდა  
 გადუღები  
 საქმე და ეალი,  
 შენკენ მომართულ  
 ძველად ნაცნობ  
 გზებით დაებრუნდი.  
 ამ გზებზე ისევ  
 აღტაცება  
 აურზაურობს,  
 ამ გზებს არა აქვს  
 არავითარ  
 მონობის შიში.  
 როცა ასეთი  
 გულდაგული  
 შრომა ხმაურობს,  
 აითქო ხმაურობს  
 პოეზია,  
 ვეფხვი  
 და  
 გოეი.

16

როცა ხნულები  
 ეფინება  
 ველებს სვეტებად  
 და თვალწვედენი  
 ნიაფების  
 ზღვა იბადება,



ერეკლესი  
ხელმოწერა

ცეცხლი რამ მზისგან  
კაცს თვალეზში  
ჩაგეწვეთება,  
და თვალს სინათლე  
უცარი  
მოგმატება!  
სისულლეა ხომ, მინდვრებო,  
დღეს თვითმკვლელობა  
ეს ნიშნავს რომ შენ  
ბედისწერას  
ვერ გაუმკლავდი —  
რომ არ მყეროდეს  
სიქვა ბაღდადის,  
ვეფხვებრ მსკლელობა  
მეც, რა თქმა უნდა,  
რა თქმა უნდა  
თავს მოვიკლავდი.  
...გარშემო ისევ  
აღტაცება აურზაურობს,  
ქართლი, კახეთი,  
იმერეთი,  
რაჭა, ოდიში,  
მსოფლიოს ერთი  
მდექესდის  
გულთან ხმაურობს...  
ასე ხმაურობს  
პოეზია, ვეფხვი და გიგი!

17

ჩვენ მოვიარეთ  
მიწა და წყალი  
ჩვენ სიხალისით  
ესუნთქავდით დროთი,  
სად ათასობით  
კაცი და ქალი  
გვხედებოდა როგორც  
შავიზღვის შფოთი.  
ყველგან ისმენდენ  
მძლავრი ლექსების  
რევოლიუციონურ  
აღფრთოვანებას,

მედროშეები  
ახალი გზების  
ჩვენ ვასრულებდით  
მასის ბრძანებას.  
თუმცა მგზავრობა  
ჩვენ გვჭონდა ჩქარი,  
გენი, ჰაერო,  
ავტომობილი,  
და თან მოგვდევდა  
წვიმა და ქარი  
უუძველესი  
გზით მონდობილი.  
ვიყავით ცისქვეშ  
თუ ახალ სახლში,  
ჩვენ ბედნიერი  
ვიყავით ნითიც  
რომ მიეცურავდით  
განცდათ წიალში  
თუ საქართველო  
საითყენ მიდის.  
თოვლიან და თეთრ  
ქედების იქით  
თოვლიან ფერთა  
ხმანება თეთრი,  
ვერცხლისფერი და  
ლურჯი ბილიკით  
ჰაერობლანიც  
მისცურავს ერთი.

18

აი ქარბანაც,  
მკვიდრდება სახლი  
აგური აგურს,  
კვლავ ემატება  
თვალი სიხალეს  
შხედება სიხალით,  
უცებ სხვა რწმენა  
დაიბადება.  
ეს რწმენა ეველას  
სახეს სწერია  
ეს ახალგაზრდა

ინჯენერია.  
ქსოვის სპეციალობა  
იციხ, დიდი ხანია!  
კენიგსბერგის წყალობა  
ჩვენში მოლტანია.  
მაგრამ რაგინდ  
ატესტატი გჳონდეს კარგი  
იგი მხოლოდ  
ნაფლეთია ჳადალდის,  
ვისაც არ სურს  
იყოს შრომის მეტი ბარგი  
გაიწიოს,  
გამოიწრთოს,  
დალაღდეს!  
ამიტომაც ჩვენ გვახარებს  
ნამეტანი  
შეოთიანი დასაწყისი  
ახალ ხანის.  
როგორც იქნა  
ჩვენ თავს ვაღწევთ შიშვილს,  
კლევრეტოვით  
რომ დაგვდედა კვალში,  
მოსაზღვრეთა  
ბლოკადების სიშში  
უმუშეგარ  
კომმარების იღში.  
დევნილი ქართო  
საზღვარგარეთიდან  
იმ იმედებს  
კი ვიცნობდი კარგად  
დილილობით  
ბურუსში რომ ჩნდებიან,  
სადილობის დროს  
არაფრად ვარგან,  
საღამოათი—  
მხოლოდ ქიმერებია.  
ქარი გვდედა  
ეხო-ეხო.  
თავს გვაწყენდა  
უმიზეზოდ.

თავს აკლავდა  
ტყვიის წვიმას,  
ჰკითხულობდა  
ამას, იმას;  
ითხოვდა მას  
რაიც არვის  
არ აქვს, არ გააჩნია.  
სახე ჩვენი  
გახდა ქარვის—  
დალი  
ესლაც გვაჩნია.  
მძიმე შრომა  
მძიმე ჯაფა  
ჩვენს სახეზე სწერია,  
და მაინც გვა  
გაეცაფეთ:  
შრომამ, ინჯენერიაჲ.

19

ეს სურათი  
საზღვარგარეთიდან  
მოიტანა  
ინჯენერმა მხატვარმა.  
შეხედეთ!  
დახატულია  
ქობი პატარა,  
მოკლებული  
სიმაგრეს და შალაშინს  
ძონძები და  
ნამტერეები რა და რა,  
საწოლზე კი  
ძონძებში და ჩალაში  
რადაც გაღურჯებული,  
გასისხლიანებული,  
საზიზღარი, მიწამდე  
გადმოქიანებული,  
ნაფლეთებში, ნახევრად  
გადაღრღნილი ძაღლებით,  
ძაღლები ხომ ხარბია,  
სტოვებენ და გარბიან.  
ვინ ნახავს

სურათს უარესა?  
 ან სურათს ეწოდება:  
 „სიკვდილი  
 უმუშევარისა“.  
 არ დათვრები,  
 სანახაფიცი თალხია,  
 ეს მხატვრები  
 საოცარი ხალხია.  
 ეს მხატვარიც  
 კვიატკოვსკი,  
 როცა სურათს  
 წყდებოდა.  
 ასე წელბნებოდა:  
 იმხანაგო, იცი რა,  
 ნახე,  
 რა უფსკრულია.  
 როგორ სხეანაირია  
 ეს ყრავმენტი სრულიად.  
 აი, რა განსხვავებას  
 აქვს ქვეყნად ევროპა!  
 კაპიტალისტურია  
 მისი თანამდევრობა.  
 განსხვავების მდევარი  
 და სხვა არავითარი  
 აქეთ— უმუშევარი  
 იქით კიდევ მდიდარი.  
 თუ მე ეხლა  
 სხვას დაეხატავ კარბას,  
 უხარამხარს  
 და დიდებულ დარბაზს  
 რომლის შუაგულში  
 გვირგვინთ მდელოებით,  
 შოქრულ,  
 ბრწყინვალე სარეცელზე  
 გარემოხვეული  
 შემოსილი სამღვდლოებით;  
 ღრმად დაფიქრებული  
 ეტიმებით;  
 გულმოდგინეობის და

ერთგულების  
 განომზატველი  
 მოსამსახურებით;  
 კართან მოწყენილი  
 რაშებით;  
 მოქებითინე ბაეშებით,  
 სასოწარკვეთილი ცოლით;  
 თუ ამ სასოწარკვეთაში  
 ამ კრემლში,  
 ამ წყვეტაში  
 მე დაეხატავ აღამიანს,  
 რომელიც  
 არასოდეს არ ყოფილა  
 მშრომელი.  
 რომელიც  
 აბრეშუმში, ხავერდებში  
 სულსა ლეცს—  
 თავის ზღვრივ,  
 უკანასკნელს,  
 ბინძურ სულს—  
 აჰა,  
 ის უკვე მკედარია...  
 შენ იტყვი  
 ეს მდიდარია.  
 არ უნდა  
 მას დიდი მიგნება  
 კონტრასტი  
 ნათელი იქნება.  
 ორთავ ხელი  
 ნუშია—  
 ყვითლად დაკორძებია.  
 აქეთ—  
 აბრეშუმია—  
 იქით კი  
 ძონძებია.  
 ჩვენი საქმე  
 არის სულ სხვა გვიარადა  
 მისთვის ჰქრიან  
 ეს ბოროტლები ჯარადა!



20

კაცისთვის მალალ ქედზე  
 მიდიოდენ სვანები,  
 იხვეოდენ ბილიკებად  
 გზები დანაქანები.  
 შეალამე რომ გადვიდა  
 ერთი რასში, ვეება,  
 დაეწია დალილ მგზავრებს  
 და სასტიკად შეება:  
 რა დრო იყო და რა მტრობა  
 დადვა სისხლის ფეშვში,  
 გადიკიდნენ, აქ სვანეთი  
 იქით—რაკა.-ლენბუში.  
 ჰოი, სარგის ჯაფარიძე,  
 უღმობელო ჯაფარა,  
 შენმა ჯარმა ყველა გზები  
 ჩაქცია და დაჰფარა.  
 შეიდ წელიწადს შეიდი კლთხე  
 რატომ უნდა ჩაქვირო  
 ვეღარ მიდის საწუშაოდ,  
 ვეღარც საჯამავიროდ.  
 შეიდ წელიწადს არ უნახავს  
 სვანეთს გემო მარილის,  
 მერე მთლად რომ გაუჭირდაო  
 მუდამ ასე არ ივლის...  
 ეს დიდი ხნის ამბავია  
 ივრძნეს რა ერთმანეთი,  
 დამშვიდებულ შრომით მოდის,  
 იმ მოებიდან სვანეთი.  
 გზები გაჰყავთ. ერთამული  
 (იცხლად შემოსდები  
 ყველგან სადაც ნიუვალი  
 და უღრანი მთებიც.  
 შეერთებულ შრომას მღერის  
 ნისლეები რომ ეხურა,  
 ხანისწყალი, გუბისწყალი,  
 ცხენისწყალი, ტეხურა.  
 შეერთებულ ძალას, შრომას  
 მღერის ვით მაკრიონი  
 ლიახვი და ალაზანი,

ქორობი და რიონი. ეკრინული  
 შეერთებულ შრომას მღერის  
 დანქარების მარაგი  
 ნატანები, იმერხევი,  
 ენგური და არაგვი.  
 მაწვევრი, მტკვარი, ტსანი,  
 ალაზანი, ძირფლა,  
 აქ მრავალი ათასი ხმა •  
 ერთად გადაკირულა.  
 მთებო! დასწვით ძველი შავი  
 ახალ დროის სიალეთ,  
 თავისუფალ მწვერვალებს  
 დროში ააფრიალეთ!

21

გამიგონე,  
 არა ერთი ასეთი  
 მშენებელი  
 ფიქვითაა ფარული—  
 ისევ ის გზა  
 რსევ ის აფხაზეთი  
 საბოლოოდ,  
 ისევ ის სიხარული.  
 გამოჩნდება  
 ქარვით გადაფარული  
 ოქროსფერი,  
 ოქროსფერი თუთუნის,  
 მხიარული  
 ვესმის ხმა დაღარული,  
 მხიარული  
 ჩალიბაშის დუღუნის.  
 მიყვითადით  
 გულით მოკისკისეთი  
 ვის მოსწყინდეს  
 ამ გზებზე სიარული?  
 არის ეს ზღვა  
 დიდი ლურჯი გახეთი,  
 კიდევ არის  
 გრძნობა გენიალური:  
 მთებში, აფხაზ  
 კოლმეურნეს გოგონა

დაინახა  
 მოგზაურმა პოეტმა,  
 მის სახეზე  
 შრომის ჭიაკოკონი  
 ახალგაზრდა  
 სიხარულად მოედო.  
 ო, იშრომე  
 ამ ველებში, ამ მთაში,  
 სადაც უჩველად  
 ქარვისფერი თეთუნი  
 სად მიმოზის  
 და პალმების კალთაში  
 ჩალიბაშის  
 მიდუღუნებს დუღუნი.  
 იგრილოს  
 ძველმა მიეთ-მოეთმა  
 კოლექტივი  
 ძველი ხავსი ევანოს,  
 მოგვტაცაო,  
 დროის უდაბნოეთმა  
 მშვენიერზე  
 მშვენიერი გოგონა,  
 მაგრამ გულთან  
 რას გააწყობს გარისხვა,  
 ალტაცებამ  
 ერთხელ დაიმღერა-რა  
 დაე, აღსდგეს  
 ხმელეთი და შავი ზღვა  
 ვერ დასძალავს  
 ვერაინ და ვერარა.  
 ამოხეტქოს ხმებმა ვით ოქროეთმა  
 გამარჯვებულ ახალ ყოფად მოკონის,  
 საჩუდამოდ  
 კოლექტივზე მღეროდეს,  
 შეწისქვილის  
 მშვენიერი გოგონა.

## 22

მალიარია!  
 ხან სიმიინდი უტყვია,  
 ვით ეს ყანა,

ფარსი, ფაცა მერაქნი  
 გული კაცის  
 მოკლულია უტყვიოდ,  
 ხელები აქვს  
 უბოროლოდ შეკრული.  
 სასიმიინდე,  
 ნახე, როგორ მოხრილა,  
 ძლივს იკავეს  
 ჩამომპალი შორები.  
 ტარობიკ  
 როგორ მიყრილ-შოყრილა,  
 რა სიშავით  
 ღრიალებენ ღორები.  
 არა შორი  
 და ველური სპილოა,  
 არამედ სხვა,  
 სიციხიანი დინება,  
 რომ გიშლილა—  
 ეს სოველი ტილოა,  
 მალიარია  
 ყვითლად აბიბინება.  
 ო, სირცხვილო!  
 ეს ზღვა და ეს ჯილოა,  
 ზვეთვის დღემდე  
 უცხო ქართ მერქენი,  
 პოლიუსი  
 სამბრეთის ან ჩრდილოის,  
 ან კამატკა  
 ან სხვა, ან შპიცბერგენი?  
 ცოტას ვიცნობთ?  
 სიმიინდი და სიმიინდი  
 აქ აყვავდეს  
 უნდა მთელი ფლორიდა,  
 ბალზე ბალი  
 გესალმება გორიდან  
 საღადაც მუდმივ სიციხლებს და ბინდი.  
 აქ ასეა.  
 ლ) აშოი აღდება  
 ფორთოხლის  
 და ლინონის ბალები  
 დაიჭროლებს



სიო კალიფორნიის  
და პალმების  
მოღვედილი თალები,  
ბურუსში სჩანს  
სუბტროპიკის მცენარე  
ამ ჰაობზე  
ხვალ რომ გადაიშლება,  
გაუნარჯოს  
იღვავებულს ამ არეს,  
პირველ ჟოფილს  
რომ სპობს გადაიშელება.

23

თვითეული პოეტი  
ესლა ინენერია,  
ახალ დღეთა აგება  
მის დროშაზე სწერია.  
სწორზე უსწორესი დრო  
დანათებული ვადითა  
არ ჰგავს იმ მდინარებას  
სიმშვიდე რომ ადიდა.  
შექმნა, განოგონება  
თუმცა ძნელზე ძნელია  
ესლანდელი პოეტიც  
გამომგონებელია.  
თვითეული პოეტი  
ნამდვილ საქმეს აკეთებს,  
ის შლის ლექსთა ფართობებს.  
მიტოვებულ ნაკვეთებს.  
იგი რეკოლიუციონურ  
დროის ბარამეტრია,  
თვითეული პოეტი  
ყურადღების ცენტრია.  
თუმცა ეს ყურადღება  
მუნჯი არის, ფარული  
მასში თანაგრძობაა  
ჩვენი, პრარეტარული.  
თვითეული პოეტი  
მებრძოლია მშრომელი,  
მუდამ შეგნებული და  
მუდამ დაუცხრომელი.

ის შრომობს და არ უყრის  
გარემოს უენობას,  
მშვენიერს და უმაღლესს  
როცა აგებს შენობას,  
ეს შენობა ძლიერი  
მისი აგებულია  
მაგრამ იქ ბინადარი  
ნხოლოდ მასის გულია.  
თვითეული პოეტი  
გრძნობს რომ ეს ენერგია  
მილიარდ გატაცების  
ერთი პირმწო ნერგია,  
იგი ელექტრონების  
ლანფების ციმციმია,  
მისი მეგობარია  
ტეხნიკა და ქიმია.  
ლექჯი შემოკლებული  
სიერცე არის დროისა  
მკვეთი გამოძახილი  
ახალ სამყაროისა.  
როცა კლასი თავისად  
ჩასთვლის გამოგონებას  
ზოგიერთი უწოდებს  
დანაგვრას და მონებას,  
შეეკმენითო შეენება  
დიდი, ბელუწდომელი  
და ჩემს შემოქმედებას  
თვისად სთვლისო რომელი?  
თვითეული პოეტი  
გრძნობს — ეს არის დარება  
უმაღლესი, ნამდვილი  
მისი აღიარება.  
ზოგს სხვაგვარად ჰგონია  
და მხოლოდ ეს ახელებს,  
მასა მის ხმას იყენებს  
მის კი არ ასახელებს.  
რა დროს ვისზეს ძებნაა,  
ძებნაში ვინ გაერთო,  
შენიც, ჩემიც, იმისიც,  
ყველასია, საერთო!  
გონიერობი პოეტი

გრძნობს—ეს არის დარება  
უმაღლესი, ნანდელი  
მისი აღიარება.

თვითეული პოეტი  
პირწმუა გარემოისა,  
არის ახალთახალი  
კაცი ახალ დროისა  
ახალ ადამიანში  
უდიდესი ისაა  
რომ ის არა თავისი  
არამედ მასისაა.

და ეს არის ახალი  
დარის გამოდარება,  
უდიდესი, ნამდელი  
მისი აღიარება.

თვითეული პოეტი  
ძველით მით განერჩევა,  
რომ ის მასიურობას  
თანდათანად უჩვევა.  
მასაა არ ენატრება  
ნისლი ძველ სამბოლოსი,  
ძველი არც იბადება  
დიდება და კოლოსი.  
იგი არც საჭიროა,  
ცივი, მიეთ-მოეთი  
სანიზლარი რუტინა,  
შტრიანი პოეტი;  
შტრი, გაუტანლობა  
ძველი დროის სხვა არის.  
მაგრამ დამკვრელობა და  
შეჯიბრება სხვა არის  
აქ ზოლივით იშლება  
მიკნებათა მორვეი  
აქ არ გამოიხარებს  
გრძნობა ნამეორვეი.  
ეს კარგია როდესაც  
ჭკვდება ძველი ციფრები.  
მაშ ძირს შტრი: საქმისთვის  
საქმეს შეეჯიბრები.  
თვითეული პოეტი  
ეხლა ინტინერია.

ახალ დღეთა იგება  
მის დროწმუა სწერია.

## 24

რაც გაკეთდა და კეთდება  
უფრო ენა-მჭევრია.  
მაგრამ საქმის კეთებასთან  
ხელის შეშლაც ბევრია.  
ჩვენშიც არის  
შოვინისტი,  
ის მწამლავი შხამია;  
იგი უველგან  
ცნობილია  
როგორც კაციკაია.  
მისი ბრძოლის  
მეთოდები  
პროგრესი, წინმსვლელობა,  
ძველის ძველი,  
მუტინული  
ნისი მსოფლმხედველობა,  
ეროვნული  
საკითხები  
დღიდან-დასაბამიდან  
დულს და  
გადმომდინარეობს  
მხოლოდ კაცის ჭამიდან.  
მაგრამ ყრძი  
ამ თამადას  
თვით გაუხდეს შხამადა,  
კაცის ჭამამ  
ვერ იეარგოს,  
ვერ გამოდგეს ჭამადა!  
უთხრეს: ამას  
ნუ მივიღებთ  
წესადა და ადათად:  
მეზობელი  
მეზობლად ეცნოთ  
არა სუტის მწეადათა.  
თუ ყვითელი  
ჭადაგება,  
მარტოოდენ მუღლია—

მასთან შებმა  
უნდობარი  
ბრძოლის ერთი მუხლია.  
ასე ანბობს:  
სულ ერთია  
ჩვენი მთა და სერები  
ერთად,  
ძმურად შევკავშირდეთ  
კავკასიის ერები.  
არ ვართ ბრმები,  
მოქალაქე,  
შენში ნუ თუ ექვია,  
რომ კულტურა  
კაცის ქამას  
უკვე გადაეჭვია.  
დამშეულხარ,  
მაგრამ მშიერს  
შეშველიც რომ აყვება,  
ორივემ თუ  
გაიცინა—  
ავ თვალს არ ენახვება.  
თვით სატანა  
ახარხარდეს

ასეთ გაცინებაზე:  
თუ ასეთი  
არის ბრიყვი  
უშვი კაცი ნებაზე.  
ნუ უტურებ  
მოქალაქე  
სხვების ცას მოკამარეს.  
შოვინისტი  
თავის კბილით  
იოხრის თავის სამარესს  
სიტყვის საწყისს  
შეიცნობენ  
მისი დასასრულითა.  
იოქვა: სიტყვა  
სიტყვას გახსნის  
აზრით გასასრულითა.  
რა კი ასე  
ნაწყენი ხარ  
კუსტი, გულდასერილი—  
მე არ ვშიშობ  
წავიკითხო  
აი ეს მთელი წერილი:

გეორგიანული  
ხელნაწილები

## XVI შრილობის ერთ-ერთი შედეგი

თავის პოლიტიკურ ანგარიშში მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინმა ხაზგას-  
მით აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ნაციონალურ გადახრებთან  
ჩვენი პარტიის რიგებში. ეს მითითება სრულგზებითაც არ ატარებდა შემთხვევით  
ხასიათს. ჩვენი პარტიისათვის, რომელიც ისეთ მრავალერიან სახელმწიფოში მუ-  
შაობს, როგორც არის საბჭოთა კავშირი, ნაციონალურ საკითხს ჰქონდა და  
აქვს უდიდესი მნიშვნელობა, როგორც საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშე-  
ნებლობის ინტერესების თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო რევოლუციის,  
განსაკუთრებით კოლონიალური ქვეყნების რევოლუციის, ინტერესების თვალ-  
საზრისით, ტყუილად როდი სვამდა ჩვენი პარტია ამ საკითხს თავის რამდენსა-  
მე ყრილობასა და კონფერენციაზე (1917 წლის აპრილის კონფერენცია, მე-13  
ყრილობა პროგრამის განხილვის დროს, მე-X და მე-XII ყრილობები).  
რა შეიტანა ახალი საბჭოთა კავშირის ნაციონალური საკითხის დასმაში  
რეკონსტრუქციის პერიოდმა, გაშლილმა სოციალისტურმა შეტევამ მთელ ფრონტ-



ზე, მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც ელემენტარული კლასობრივი პოლიტიკის გატარებამ?

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ჩვენი და კულაკებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის თავგამოდებული წინააღმდეგობის გაწევას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ანტისაბჭოთა შოვინიზმის გაძლიერება უწინარეს ყოვლისა ექსპლოატატორულ ელემენტებსა და მათ იდეოლოგებს შორის.

განსაზღვრულ მომენტამდე რუსეთის ინტელიგენციის თვალსაზრისით ნაწილი იზიარებდა „სმენავეზ“-ურ იდეოლოგიას და იმედს ამყარებდა საბჭოთა კავშირის გადაგვარებაზე და მთლიანი განუყოფელი რუსეთის აღდგენაზე.

ჩვენი უკანასკნელი წლების პოლიტიკამ გააქამტერა „სმენავეზ“-ელთა იდეოლოგია და მის წარმომადგენელთა თვალსაზრისით ნაწილი ანტისაბჭოთა ბანაკში გადაისრია, ვინაიდან ისინი აშკარად დარწმუნდნენ, რომ ძველ მთლიან რუსეთს—ხალხთა საპყრობილეს—არ აღადგენენ ბოლშევიკები, ხოლო რევოლუციის პერიოდი მისი აღდგენის ყოველგვარ იმედს ასამარებს.

სწორედ ეს ელემენტები უდგანან სათავეში აქტივიზაციის გზაზე დამდგარ დიდმპყრობელურ შოვინიზმს.

განსაზღვრულ მომენტამდე უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის დი სხვ. ინტელიგენციის სოციალისტურად განწყობილ ნაწილს შეეძლო თავი ენუგუნებია იმ იმედით, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა დამოუკიდებელ რესპუბლიკებად, რომელნიც ბურჟუაზიული დემოკრატიის გზას დაადგებოდნენ, ზოგიერთს ეჩვენებოდა, რომ ბოლშევიკების ნაციონალურ პოლიტიკას აქეთკენ მივყვართ, ვხლა სრული სიცხადით გამოიჩინა, რომ რევოლუციის პერიოდი კი არ ასუსტებს—არამედ ამაგრებს კავშირს საბჭ. რესპუბლიკებს შორის და საბოლოოდ აცლის ნიადაგს კაპიტალისტურ რესტავრაციას არა თუ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ ცალკე ნაციონალური რესპუბლიკების მასშტაბითაც, არაფერია საკვირველი, რომ ადგილობრივი ნაციონალიზმი აქტივდება და თავგამოდებული ეძებს დახმარებას საბჭოთა სახლვრებს გარედ.

დიდმპყრობელური და ადგილობრივი ნაციონალიზმის აქტივიზაცია საბჭოთა ქვეყანაში ბუნებრივად იწვევს ნაციონალური გადაზრების აქტივიზაციის პარტიის შიგნით. ეს გადაზრები აფერხებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების იმ სწორი პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიმართულია ნაციონალური უთანასწორობის ელემენტების დაძლევისაკენ, საბჭოთა კავშირის ხალხების ერთსულოვანი თანამშრომლობის უზრუნველყოფისაკენ, მათი ნაციონალური კულტურების ფართოდ განვითარებისაკენ, ყველა ეროვნების კაპიტალისტური ელემენტების აღმოფხვრისაკენ და მთელ საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისაკენ. პარტია მუშათა ახალ კადრებს იძენს ადგილობრივი მოსახლეობიდან. თუ დავაკვირდებით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ნაციონალური შემადგენლობის ევოლუციას, უნდა აღვნიშნათ, რომ რუსების ბედობითი წონა ამ შემადგენლობაში კლებულობს. ამავდროს კი, ჩვენი პროფკავშირების, ხოლო ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციების მუშაობაც საკმაოდ არ უწევს ანგარიშს



ნაციონალურ განსხვავებას პროლეტარიატში. საჭიროა გადამჭრული მარქსისტული პოლიტიკა ამ სფეროში.

ჩვენ შევედით მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პერიოდში. ეს ამოცანა სდგას ნაციონალური რაიონებისა და ოლქების წინაშე, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებას აქ მთელი რიგი უაღრესად სერიოზული სიძნელენი აბრკოლებენ (რაც აღნიშნული იყო ცენტრალური კომიტეტის 5 იანვრის დადგენილებაში). და არა მარტო იმიტომ, რომ ნაციონალური რესპუბლიკების უმრავლესობა ეკონომიურად ჩამორჩენილია, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა აპარატი ამ რესპუბლიკების თვალსაზრისით ნაწილში საკმაოდ არ არის დაკავშირებული ადგილობრივ მუშებთან და გლეხებთან, იქ დღემდე ჯერ კიდევ ბევრია რუსი მოხელე-კოლონიზატორი, რომელნიც აფერხებენ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მშრომელი მასების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში. კოლონიზატორულ ელემენტებთან ერთად იქ არიან შოვინისტებიც ადგილობრივი ინტელიგენციიდან, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მოლებთან, ბაებთან და ნეჰმანებთან, და არა მუშებთან და გლეხებთან. იმისათვის, რომ ავამოძრაოთ ნაციონალური რესპუბლიკების ღარიბ და საშუალო გლეხთა ნაწილი თავიანთი კულაკის, თავიანთი ბურჟუაზიის და თავიანთი ნაციონალისტური ინტელიგენციის წინააღმდეგ, დაუღალავედ უნდა განვივითაროთ წით შორის ფართო კულტურული და პოლიტიკური მუშაობა მშობლიურ ენაზე, უნდა მოვუკუბუთოდე ისეთი საბჭოთა და პროფესიონალური აპარატი, რომელსაც უნდა შეეძლოს ამ მუშაობის წარმოება, უნდა მოვაშადაოთ და აღვზარდოთ ადგილობრივ მოსახლეობასთან მკიდრით დაკავშირებული კომუნისტებისა და საბჭოთა მუშაკების მტკიცე და სიმბეჭო კადრები. ამის შესახებ საკმაოდ იყო ნათქვამი ჩვენი პარტიის მე-X და მე-XII ყრილობების დადგენილებებში.

მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური ეს საკითხი გახდა ებლა, როდესაც ნაციონალურ რესპუბლიკებში, მათ შორის ყველაზე ჩამორჩენილებშიაც, ფართოდ გაიშალა ძველ ეკონომიურ ურთიერთობათა ძირიანი რღვევა, რაც თავისი წარმატებისათვის მოითხოვს ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მაქსიმალურ აქტივობას.

ზოგიერთ ჩვენ ნაციონალურ რესპუბლიკაში კი ამ ბოლო დროს თავი იჩინეს თვალსაზრისით დეფექტებმა ნაციონალურ პოლიტიკის გატარებაში. დიდ-მპყრობელური შოვინიზმის გავლენის ქვეშ მოქცეულ მუშაკთა ლიკვიდატორულ განწყობილებებს საკმაო პასუხი არ ეძლეოდა. ბევრი ამხანაგი „თვითდენაზე“ ამყარებდა იმედს და ფიქრობდა, რომ აპარატში თავისთავად მოექცეოდნენ მკვიდრი ეროვნებანი და კადრები თავისთავად აღიზრდებოდნენ. გასულ წელს აზერბაიჯანის და უზბეკისტანის ცენტრალურ კომიტეტებისა და კარგელის და თათართა ოლქების საოლქო კომიტეტების მოხსენებათა მოსმენის შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა სახელმწიფო აპარატის მკვიდრი ეროვნებებით განმტკიცების საქმეში. ამ აპარატის ზოგიერთ სიფეხურზე ადგილობრივ ეროვნებათა პროცენტით

არა თუ არ გადიდდა, არამედ შემცირდა კიდევ. კერძოდ, აზერბეიჯანული პარტიული ხელმძღვანელობა, რომელიც გამოცვლილ იქნა მსაჯულთა და არასაკმაო მუშაობას ეწეოდა თურქი პროლეტარიატისა და გლეხობის შორის და მეტისმეტად მცირე ყურადღებას აქცევდა თურქთა კადრების აღზრდას.

1923 წელს შეთანხმდა ნაციონალურ თათბირზე ამხ. სტალინმა აღნიშნა, რომ ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის უკრაინას ერთ-ერთი უქანასწავლი ადგილი ეკუთვნის. მას შემდეგ უკრაინის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდ შედეგებს მიაღწია ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში. კოლექტივიზაციის, პურის დამზადებისა და თესვის უქანასწავლი კამპანიის წარმატებით ჩატარება ცხადყოფენ, თუ რამდენად მჭიდროდ დაუკავშირდა უკრაინის საბჭოთა ხელისუფლება ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას.

რომ ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარება აქ უდიდეს როლს თამაშობდა, ყოველ ეჭვს ვარდნა უნდა მივატოვოთ. მაგრამ ჩვენს საბჭოთა აპარატში მოიპოვებინათ ისეთი მუშაკები, ზოგჯერ კომუნისტებიც კი, რომელნიც იჩენენ განწყობილებას, რომ უკრაინის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს უკრაინიზაციის მტკიცედ გატარებისათვის ბრალი დასდონ ნაციონალიზმში მხოლოდ იმიტომ, რომ რუსული ენა ეხლა უკრაინაში ჰკარგავს იმ პრივილეგიურ მდგომარეობას, რომლითაც იგი ცარიზმის დროს სარგებლობდა. საკვებით ცხადია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს რუსული ნაციონალიზმის პირდაპირ გამოხატულებასთან.

მაგრამ უკრაინაშიაც, სადაც ნაკლები დეფექტები გვაქვს ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში, ანტი საბჭოთა ელემენტები გადახვევების დროს ცალკე შემთხვევებში იყენებდნენ ჩამორჩენილი ფენების ნაციონალისტურ განწყობილებას, რასაც ჰყვებავს კულაკობის და, საერთოდ, კაპიტალისტური ელემენტების გაფლანკება. მაგრამ თვალსაჩინო წარმატება ასეთ აგიტაციას ჰქონდა აზერბეიჯანში, უზბეკისტანში, კახაკსტანში და სხვაგან, სადაც ჩვენ საკმაოდ ღრმად ვერ გაავრცელეთ ჩვენი მუშაობა მკვიდრი მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის, მასებში.

მარტო ეს ფაქტი ცხადყოფს, თუ რამდენად დროულად მოსცხო ამხ. სტალინმა თავის პოლიტიკურ ანგარიშში იმ ელემენტებს, რომელნიც ლიკვიდატორულ განწყობილებას იჩენენ ნაციონალური პოლიტიკის და თვით ნაციონალური რესპუბლიკების არსებობის მიწარით, განწყობილებას, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ნაციონალიზმში შეშავალ რესპუბლიკებს შორის კავშირის განსტკიცება ახსნან, როგორც ამ რესპუბლიკების ლიკვიდაციის შესავალი, განწყობილებას, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნების კულტურათა განვითარება (პროლეტარულ და სოციალისტურ საფუძველზე) შესცვალონ ერთი „ინტერნაციონალური“ რუსული კულტურის განვითარებით.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო იმასთან, რომ ჰქვდეს იბრიათ კონტრ-რევოლუციონური რუსული ნაციონალიზმის წინაშე, რომელსაც სურს უსათუოდ შეინარჩუნოს რუსული ენის პრივილეგიური მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, შეინარჩუნოს ყოფილი განამარჯობა ოლქების აპარატში ძველი მეფის ჩინოვნიკების კადრები და ამით გააადვილოს მთლიანი განუყოფელი რუსეთის აღდგენა. აქ

ჩვენ სიტყვით გვაქვს იმისთანაც, რომ ხელს უწყობენ ადგილობრივი კლასიციზმის, სკდლოზენ ბრალი დასდონ საბჭოთა ხელისუფლებას ცარიზმის იმ პოლიტიკის განგრძობაში, რომლის მიზანიც იყო ნაციონალური შეღლის გაღვივება საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის, და საგარეო ინტერვენცია.

საბჭოთა კავშირის წარმატებითი სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება და გარდაქმნა სოციალისტურს საფუძვლებზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება, — ყოველივე ეს მოითხოვს ნაციონალური პოლიტიკის გადამჭრელად ვატარებას და საბჭოთა კავშირის ხალხების ნაციონალურ კულტურათა უღარესად ფართოდ განვითარებას, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, რომ ამ ხალხების მშრომელი მასები ნამდვილად და მთლიანად ჩაებან სოციალისტურ მშენებლობაში.

შოვა დრო, როდესაც მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, სახელმწიფოს მოსპობის შემდეგ და მთლიანი კომუნისტური საზოგადოების მსოფლიო მასშტაბით შექმნის შემდეგ, გაქრებიან ნაციონალური განსხვავებანი, სხვადასხვა ხალხების კულტურები გაერთიანდებიან და მსოფლიოს მთელი მოსახლეობა ერთ ენაზე აღაპარაკდება. ერთ-ერთი ეხლანდელი ყველაზე გავრცელებული ენა იქნება ეს, თუ კაცობრიობა რაიმე ახალ ენას გამოიმუშავებს — ამის თქმა ეხლა ძალიან ძნელია. ყოველ შემთხვევაში ეხლანდელი მომენტისათვის ეს აბტუალური საკითხი არ არის.

ეხლანდელი მომენტი გეოკარნახებს ბოლშევიკურ ტემპებს ნაციონალურ პოლიტიკაში, ეს ტემპები უნდა შეეფერებონ ჩვენ მიერ სოციალისტურ მშენებლობაში აღებულ ტემპებს, ვინაიდან უანისოდ შეუძლებელია ნაციონალური რესპუბლიკების მშრომელი მასების მოკლე ხანში და მთლიანად ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში.

ნაციონალური პოლიტიკის ვატარების ერთერთ ძირითად შემადგენელ გარემოებას წარმოადგენს შოვინიზმი, — დიდმპრობელური და ადგილობრივი. დიდმპრობელური შოვინიზმი ცერდნობა რუს კულაკობას და ბურჟუაზიული ინტელიგენციის, სპეკილისტებისა და ყოფილი მოხელეების თვალსაჩინო ფენებს. იგი ერთგვარ გამოძახილს პოულობს საშუალო გლეხობის ზოგიერთ ფენაში და ჩამორჩენილ მუშებშიც კი. მასთან ბრძოლა პირველ რიგში უნდა იდგეს. იგი წარმოადგენს მთავარ საფრთხეს. პარტიის ბრძოლაში ნაციონალური გადაბრების წინააღმდეგ. ამ საკითხში მე-XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რევიზიის ყოველგვარ ცდას პარტია ვატარებთ უკუვადებს.

ადგილობრივი შოვინიზმი თავის მხრივ ცერდნობა კულაკურ-კაპიტალისტურ ფენებს ნაციონალურ რესპუბლიკებში; იგი სკდლოზს ვატყენა მოახდინოს მშრომელ მასებზედაც. მას თვალსაჩინოდ ჰყვებას და ხელს უწყობს დიდმპრობელური ნაციონალიზმი. მასთანაც საჭიროა ვადამჭრელი ბრძოლა. ნაციონალური პოლიტიკის ვატარების ტემპის ვაძლიერება, დიდმპრობელური და ადგილობრივი შოვინიზმთან ბრძოლის ვაძლიერება და მთავარი ყურადღების პირველ საკითხზე მიმარ თვა, — ასეთია მე-XVI ყრილობის დირექტივა, რომელიც ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ვანუბრებლად უნდა შეასრულონ.

25

ორთქლმავალს  
 სოციალისტურს  
 მტერი ჰყავს არა მოწყალე,  
 თუ არ დაეუხვდით—  
 როგორც გვსურს—  
 თავი რად გვინდა ცოცხალი?!  
 საყვირშიც  
 დაჰკრა დილისამ  
 აჰარა გარე-უბნები.  
 ცისკარო,  
 თვალეზ-თილისმა,  
 რატომ ბანს არ ეუბნები?  
 შენი ცა  
 სხვაფერ ოცნებობს,  
 ლამეც ბევრი გაქვს ნათევი,  
 აქ კი სხვა  
 სახელოსნოა  
 და სულ სხვა ნაძალადევი.  
 ამჟარი  
 ხიდს გადასცილდა,  
 ხიდს გადასცილდენ ლანდები,  
 დაჰკარით,  
 რკინისგზელებო!  
 რრომ, ასე გაფოლადდები!  
 აქ თვითიული  
 მკრებელი  
 მებრძოლი არის შედგარი,  
 რომ დასძრას  
 მატარებელი  
 ახალ რელსებზე შემდგარი.  
 სტვენს ორთქლმავალი  
 ჭარ--და-ჭარ,  
 კვამლი ფრიალებს ნაჭარი.  
 საყვირმა დაჰკრა,

შენც დაჰკარ!  
 დაჰკარი, ცეხო, დაჰკარი!  
 საშშობლოს  
 სოციალისტურს,  
 მტერი ჰყავს არა მოწყალე,  
 თუ არ დაეუხვდით  
 როგორც გვსურს  
 თავი რად გვინდა ცოცხალი!  
 ევროპამ,  
 თვის სანაქებო  
 ლინილიც კი არ გვადირსა,  
 ვიცოდეთ,  
 ანხანავებო,  
 ხმარება იარაღისა!  
 ძველი გზა  
 არ გვენატრება,  
 ჩვენი, ახალი ეწყობა.  
 მხარეს სჭირდება  
 კადრები—  
 ჩვენც გვმართებს ხელისშეწყობა.  
 მტერს, რომ იძახის:  
 ასეთი  
 შრომა ცეცხლია, დრო—წყალი,  
 თუ ცეცხლი არ ვაგრძნობინეთ  
 რად გვინდა თავი ცოცხალი!  
 მენებელი ნაირ-ნაირი  
 ცეცხლის სასხლავით  
 ნოსხალი!  
 მათთან საერთო ჰაერ .თ  
 რად გვინდა თავი ცოცხალი?  
 კულტურა  
 თუ არ დადგინდა  
 და დაერჩით დასაცოცხავი—  
 თავი ცოცხალი  
 რად გვინდა?  
 რად გვინდა თავი ცოცხალი?!

(შემდეგი იქნება)

## წამთიანის წიგნი

გაგრძელება <sup>1)</sup>

VII

პლატონ ცრუაფა რომაქია, ტრამბახა და უსაფუძვლოდ გაბერილი გმირის ნიღაბს ატარებდა და ეხლაც ატარებს, ეს ყველამ იცის. ის შეგვეძლოთ გენანათ ყველგან და არა მარტო პლატონი. პლატონი ერთ-ერთი ძმია. სულ ცხრა ძმანი ცრუაფები ყოფილან, მათ უავდათ ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მეორე, მესამე, მეოთხე მუხლის ნათესავეები და ვინაიდან საქართველო პატარა ჭკეცანაა, მოსახლეობა შეირერიცხოვანი, ამიტომ ცრუაფები მცხოვრებთა ერთ ნეათედს წაინც შეადგენდა. პლატონ ცრუაფა იმიტომ ავიღე, რომ ყველაზედ უფრო აბლოს და კარგად ვიცნობ; აბა ისე პლატონ ცრუაფას რას წავაცვიდებოდი? მით უმეტეს ის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ცოდნას უფრო იჭებდა, ხოლო ცხოვრება მაშინ პოლიტიკური ხაზით მიმდინარეობდა...

პოლიტიკური მოღვაწენი სოკოსავეით იზრდებოდნენ და ამ დარგში განაკლბა ცრუაფები იქნებოდნენ?

უამრავი პარტიები, სოციალისტები და მამულიშვილები ერთმანეთს ექიშებოდნენ, ეომებოდნენ და ხშირად თავპირს ამტყრევდნენ იმისათვის თუ როგორი წესწყობილება უნდა დამკვიდრებულყო საქართველოში, მაშინ როდესაც ყველაზედ უფრო გონიერნი სწორედ ამ წვრილფეხა პოლიტიკოსების საშუალებით გადიოდნენ ფონს და დასახულ მიზნისაკენ—ძალაუფლებისაკენ ურყევის შეგნებით მიისწრაფოდნენ. ისინი არწმუნებდნენ თავის დიდკაცობაში წვრილფეხა პოლიტიკოსებს, რომლებიც შემდეგ სწამლავდნენ ხალხს და თავის უფროსების სასარგებლოდ ყაყანებდნენ და ჰქადაგობდნენ. ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც რომელიმე პირის დიდათ განზრახულ საქმეს სარჩულად პატივმოცვარობა არ ედოს. განსაკუთრებით თუ საქმე გვაქვს ისეთ პირთან, რომელმაც ხალხი საშუალებათ მიიჩნია, ვინც დაარწმუნა მოქალაქენი იმაში, რომ მხოლოდ ის არის

<sup>1)</sup> იხ. „მნათობი“ № 8-9.

მოწოდებული იზრუნოს ხალხის კეთილდღეობისათვის და დამცვეს მისი ინტერესები... არიან ასეთი დიდი ყალიბის ფულიკებიც, რომლებიც შექმნილად ძალიან შორს უმიზნებენ... მაგრამ საქართველოში რჩეული მესვეურებიც კი მოტყუებული დარჩენ საბოლოო ანგარიშში, ვინაიდან გოლიათ სახელმწიფოთა კიდილის დროს განაგრძობდენ კაცობრიობისათვის საბოლოო და საუკეთესო საზოგადოებრივ წყობილების შესახებ ოცნებას. ზოგი (?) კაპიტალიზმს იცავდა, ზოგიც — დემოკრატიულ რესპუბლიკას ამყარებდა და ფეხებზედ ეკიდა თუ რას ჰფიქრობდა და რას აკეთებდა იმდროინდელი დიდი რუსეთი, ევროპა და ამერიკა, ანგარიშს არ უწევდა თუ რა მოქონდა ოქტომბრის რევოლუციას, ბრესტ-ლიტოვსკს, უდიდეს ისტორიულ ამბებს, ევრსალის ზავს და ახალ ეპოქას.

ჩვენი ქვეყნის მესვეურნი შევიცარიის მსგავს დემოკრატიულ სამოთხის დამყარებაზე ოცნებობდენ და პროვინციაში მოკალათებულთა კრიაშულს მოხუცი დირიჟორი ლოტბარობდა, მაგრამ უბუცესი ლოტბარის გუნდის გალობა რუსეთისა და ევროპის უდიდეს კონცერტის გვერდით ისმოდა როგორც კაკაფონია — ლანშუთისა და ონხამურის ტურების კივილი... ეს იგრძნო ლოტბარმა, ვინაიდან ის გამოცდილი ხელმძღვანელი, პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი იყო (თავის დროისათვის), რომელმაც უცხოეთიდან ჩამოსვლისთანავე დაამარცხა ჯერ მცხოვანი მწერალი ილია და შემდეგ არილ ჯორჯაძე (რასაც ფედერალისტები უარყოფენ); რაც უნდა იყოს, ის თავის ბანაკში მყოფ ყველა ამხანაგებზედ უფრო გონიერი, ევროპიულად განსწავლული, ენაწარე მოკამითე და კალწოსანი აღმოჩნდა, ისე კი ნიკო ნიკოლაძის ოდენა ჭკუა, განჭრიახობა და საქმიანობა ქართველს ანაგებ არ დასრემებია...

ლოტბარმა დაიწყო გუნდის გადახალისება (ევროპასთან შეზმატკბილება) და შიგ ევროპიულად განსწავლული და ტკბილად — მეტყველი მომღერალი ი. შერეთელი ჩარიცხა, მას მიემატა ხემო-იმერული ჰუმორით სავსე სიმღერებისა და წამოკრული ღიღინის საუკეთესოდ მოქმელი კ. ჩხეიძე; ამრიგათ გუნდმა შეიძინა თებერლის რევოლუციის უდიდესი „გასტრალიოარები“, მაგრამ კორნელიმ გუნდში ისეთი მომღერლებიც იხილა, რომელთა სიმღერა არავის მოუსმენია... ჭკუა ამ ხალხისათვის არასდროს არავის არ მოუციხხავს (გარდა პირდაპირი შეკითხვისა მისი არსებობის შესახებ)... მიუხედავად იმისა, რომ ლოტბარის გავლენა და ავტორიტეტი დღითი-დღე იზრდებოდა, მისთვის მინც ძნელი იყო ასეთი გუნდის ხელმძღვანელობა.

კორნელიმ პირველად დაინახა მოხუცი ხელმძღვანელი აღმასკომის შენობის წინ. გენადიმ ანიშნა:

— აი, ეს კაცია ნოე ჟორდანი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე...

კორნელიმ დაინახა უკვე მოხუცი, ფართო სახიანი კაცა, მას ეცვა გახუნებული პალტო, შლიაპა და ხონის შალიდან შეყვრილი უბრალო ვეღალი შალვაკარი. გვერდით მოხუცებოდა დაბალი და ოდნავ ჩასუქებული სამხედრო საქმეთა კომისარი გობეჩია. მათ დაეწია აღმასკომის ჯარისკაცთა სექციის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ელენინი და ქარელიძე.

— ნოე ნიკოლოზისძე—დაიწყო აღელვებულის ხმით, სახეზე მისი უკანსაც-  
მელში გამოწყობილმა ელენინმა—არაფერი ნესნის რას აპირებენ?

— რა არ გესმით?—შეკითხა ჟორდანი და გამხდარი მხრები აიჩეჩა.

— ვინ განიარაღებს ეშელონებს?

— სათახადო რაზმი...

— არ ვიცი როგორ იქნება ეგ საქმე?

— მეც ვაფრთხილებთ!—დაუკრა ელენინს კვერი მაღალი ტანის წითურმა და პირგაპარსულ კაცმა, ქარელიძემ... სანხედრო საქმეთა კომისარმა ჟორდანიას აღელვება შეატყუ და ელენინსა და ქარელიძეს მიმართა:

— კარგია ერთი კაცი, პანიკას ნუ ჰქმნით! თქვენ რას დაეძებთ? განიარა-  
ღება მოხდება აღმასკომის გარეშე...

— როგორ თუ აღმასკომის გარეშე?—იწყინა ელენინმა.

— რა გნებავთ თქვენ, ამხანაგო?—შეკითხა მას მკაცრად ჟორდანი და ქუჩაზე წეჩერდა.

— მე როგორც აღმასკომის სამხედრო სექციის თავმჯდომარის მოადგი-  
ლემ ნუთუ არაფერი არ უნდა ვიცოდე?

— თქვენ კარგად უნდა იცოდეთ ერთი რამ, სახელდობრ ის რომ ჩვენ-  
თვის საჭიროა ბოლშევიკურად განწყობილ ღებერტირებიდან თავდაცვა!—უპა-  
სუხა ელენინს ჟორდანიამ წვენით.

— თავდაცვა კი არა თქვენ განიარაღება დაგიდგენიათ!

— ვიცი, თქვენ წინააღმდეგი ხართ განიარაღების!

— ნოე ნიკოლოზისძე, ასეთი ნაბიჯის გადადგმა, როგორც მობილიზაცია და ჯარისკაცთა განიარაღების საკითხი დიდ წინდახედულებას მოითხოვს...

— შესაძლოა ამან უფრო მეტი ანარქია გამოიწვიოს!—დაამატა ისევ ქა-  
რელიძემ. ჟორდანი, რომელიც საწინააღმდეგო აზრს მაინცადამაინც ვერ ით-  
მენდა გაბრაზდა და დაიძახა:

— თქვენ მტერი ხართ მობილიზაციის და განიარაღების... ჯარისკაცთა  
სექციას არაფრის ვაკეთება არ სურს; საჭიროა რაც შეიძლება მალე გავნთავი-  
სუფლდეთ მისგან... თქვენი აყოლა ჩვენ არ გვარგია; ნებით თუ უნებლიეთ  
თქვენ ძირს უთხრით ზენ შიერ აგებულ შენობას... ასე არ შეიძლება მუშაობა,  
ამხანაგებო!—სთქვა მან, ელენინს და ქარელიძეს ზურგი შეაქცია და ჩქარის ნა-  
ბიჯით წამოვიდა; ლაბფის შუქმა მიანათა და კორნელიმ კარგად დინახა მისი  
სახე; მოგრო და თეთრი წვერ-ულვაში, მაღალ შუბლზედ გაწოლილი მუჭი და  
ხშირი წარბები, ფართოდ აღებული არყის ხის ტყავისფერი უცნაური თეთრი  
თყალები ჯერ კიდევ საუხე სიმზნით... ჟორდანი მიდიოდა ჩქარის ნაბიჯით და  
მას ვერ ეწეოდა პატარა კაცი, სამხედრო კომისარი გობეჩია.

საუბედუროთ კორნელიმ ვერაფერი ვერ გამოიტანა მაშინ ამ ნეტად მნი-  
შენილოვან და საპასუხისმგებლო დიალოგიდან, სამაგიეროდ გენადიმ მუისვეე მი-  
ხედა ნობუკის გაბრაზების მიზეზს და ელენინის აღელვების საგანს. ეს ვასაგე-  
ბიკ არის: კორნელი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული იმრიგათ რომ პოლი-  
ტიკური მნიშვნელობის მქონე ამშავისათვის დამოუკიდებელი შეფასება მიეცა.





ის იღებდა ფაქტს ისე, როგორც მის აზრს ანაგებს და სხვებს უყვარს; იგი ამ უამად მოქცეული იყო საერთო განწყობილების დენაში და ვერ კიდევ იმ ახალგაზრდათა რიგს, რომლის შესახებაც არის თქმული „საითაც ქარი უბერავს“. გენადიმ აუხსნა მას ამ დიალოგის შინაარსი, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს კავკასიის ფრონტიდან შინ მიწვევად ეშელონების განიარაღება, რომ ამ მიზნით უკვე გაემგზავრა ბაქოს რეინისგზის ხაზზე შტაბ-როტმისტრი აფხაზეას რაზმი და ჯავაზიანი მატარებელი.

აფხაზეას შესახებ ამ ხნობით ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ.

პირველად კორნელიმ ნაბა ის სიხარულიდის სასტუმრო „ნოეს“ რესტორანში პლატონ ცრუავესთან ერთად.

• პლატონ ცრუავე, როგორც ეს თქვეით, იყო მაყრუებულ სოფლის არგეთის მონასტრის მოძღვარის შვილი, შლიაპით, სტეკით და ხელთათმინით, როგორც ევროპიელი არისტოკრატი, ხოლო გეგენი აფხაზეა წვრილფეხა ვაჭარის შვილი, გურული საიმპერატორო არმიის მუნდირის მთელი ბრწყინვალეებით... შესაძლოა მკითხველს გაუკვირდეს: რა ჰქონდა საერთო დიდათ მოშაღებულ, დიდ მამული-შვილს და დიდებულ მოლაპარაკე პლატონ ცრუავეს ვილაც ნაძირალ ჯარისკაც გეგენი აფხაზეასთანო, მაგრამ კორნელის ეს არ უეკირდა, ვინაიდან სასტუმრო „ნოეს“ რესტორანში მან მოისინია პლატონის მიერ დიდის რიხით წარმოთქმული სიტყვა აფხაზეას მისამართით: „არის რალაც თქვენში ისეთი—ამბობდა პლატონი ხელში თასით და თებზედ წამომდგარი, რომელსაც მთელი რესტორანი უსმენდა—რაიც უთუოდ ყოველ ქართველს აწვავდეს; ინდივიდუალური პათოსი, გმირობა, უცხოეთში გაჭრა, იქ სახელის მოხვევა და რაინდობა... ცოველ ქართველ მხედარს თან ახლავს გიორგი სააკაძის ხატი, მისი მკლავი, მაჯა და ხმალი“...

## VIII

ამიერ-კავკასიის მთავრობა დიდ შიშთანობას ნიეცა. კომისარიატის თავმჯდომარე გეგენი გეგემქორი მეტად კატასტროფულ მდგომარეობას ხატავდა: ფრონტიდან დაბრუნებული ეშელონების მუქარა, შიგნით ბოლშევიკური გადატრიალების საშიშროება და საზღვარზე ოსმალთა ჯარები ამიერ-კავკასიის დაღუპვას უქადდნენ.

სასახლის ერთ-ერთ ოთახში, სადაც გეგემქორი და რამიშვილი ბჭობდნენ შევიდა პატარა ტანის გენერალი, საწერ მაგიდასთან მჯდარი გეგემქორი აღგადა მონოლოგივით გარუჯულ გენერალს თავახიანათ ჩამოართვა ხელი:

- გამარჯობათ, გენერალო! სწორედ თქვენ გელოდებოდით.
- აი, მეც გეახელით—გაიღიმა გენერალმა—რით შემძლია გემსახუროთ?
- თქვენ ებლა მეტად საჭირო ხართ ჩვენი ქვეყნისათვის... დაბრძანდით.
- გმადლობთ.

— ქვეყანა კატასტროფიულ მდგომარეობას განიცდის. ~~ქვეყნის მთელი მო-~~  
გეხსენებათ თუ რა განსაცდელი მოელის ეშელონებისგან ~~ტყუარის~~

— დიახ!

— შეგძლიათ თუ არა ამ ჯამად თქვენს განკარგულებაში არსებულ ძალებით ააშროთ განსაცდელი ქალაქი?—პირდაპირ დაუყენა საკითხი გეგეჰკორმა. გენერალი ოდნავ დაიბნა.

— მთავრობის თავმჯდომარეს მოეხსენება თუ რამდენად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ქართული კორპუსის შედგენის საქმე... მაგრამ... იმ ძალებითაც, რომელიც ეხლა ჩვენ ხელთა გვეყავს, შე შევიღებ ყოველგვარ ზომებს...—არ დაუსრულებია სიტყვა გენერალს, რამიშვილი ფეხზედ წამოდგა და ჯიბეში ხელები ჩაიწყო; გენერალმა იგრძნო, რომ მის მიერ გასროლილი ისარი მიზანს მოხვდა, ვინაიდან მენშევიკ ხელისუფალთათვის ჯარი იყო გერი, ხოლო გვარდია ლეიძლი შეილი.

— შე-303 ვერსზე ფრონტიდან მომავალი 16 ეშელონია, ის ყოველად მიულეებულ მოთხოვნებებს გვიყენებს!—დაიწყო გეგეჰკორმა სასოწარკვეთილის ხმით.

— იმათ აქვთ ზარბაზნები და ტყვიაფრქვევლები!—დაამატა რამიშვილმა.

— რა თქმა უნდა ექნებათ!—ჩუმით და გაკვირვებით ჩაილაპარაკა გენერალმა.

— შინ მიმავალი ჯარისკაცები ისე გათავებდნენ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის გადადგომასაც კი მოითხოვენ!—განაცხადა ბრაზით გეგეჰკორმა და ანთებული თვალები მეფის გვირგვინით მოჭედულ გენერალის დილებზე უიმედოთ შეაჩერა. მართლაც გენერალი ამ დროს ჭეჭრობდა: „ამიერ-კავკასიის მთავრობის გარეკა ცუდი როდია, მაგრამ არა იმ ჯარისკაცთა საშუალებითი!“ შემდეგ თვალი შემოავლო ოთახს, მთავრობის წევრებს, ბაგეთა კიდე ღიმილით შეტება, განკიცების ნიშნად თავი გაიქნია და ასე განაცხადა:

— შეხედეთ, სანამდის ნისულან?

— და რა მოაქვთ მათ?—იკითხა გეგეჰკორმა და პასუხი თითონვე გასცა—სამოქალაქო ომი და ანარქია!

— დაყოვნება არ შეიძლება!—სთქვა რამიშვილმა და გენერალს მიაჩერდა. გენერალმა იგრძნო, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, მთავრობის თითოეულ წევრს იმედი გადაუწყვეტია, იმედი მანე აქვს დამყარებული, რომ წყალწაღებულნი ხავს გვიღებიან და ხავსმა თავი დაათასა, თავი ფესვმაგარ მუხად დასახა, თუმცა სხვაგვარ პირობებში და ომის დროს ამ პატარა ტანის გენერალს შეეძლო მართლაც ფესვმაგარ მუხასავით დადგომა.

— შე როგორც ძველ მხედარს ჯარისა და ხალხის ფსიქოლოგია კარგად მაქვს შესწავლილი და ვფიქრობ ამ საფრთხეს თავიდან ავიშორებთ!—მთავრობის თავმჯდომარეს გულზედ ოდნავ მოეშვა და მეფის ნაცვალის სავარძელზე გასწორდა; მხრები გაშალა:

— როგორ მიგაჩნიათ თქვენ შექმნილი მდგომარეობა?—უფრო დამშვიდებულის ხმით შეეკითხა გენერალს გეგეჰკორი.

— ეშელონები მიეჩქარებიან საშობლოში, მშობლებს ეშელონებისა-  
კენ. ყოველ ჯარისკაცს თან მიაქვს ფრონტზე ნაშოვნი ბარგი-ბარხანა და გზაში  
დიდის სწით შეჩერება მისთვის სასურველი არ არის.— დაიმედებული რამიშვილი  
საქარძელზე დაჯდა, წელი გაიმაგრა და ფეხი-ფეხზე გადიდო, მაგრამ გენერალმა  
მაშინვე დაუშატა:

— მეორეს მხრივ პროპაგანდისა და ნადავლის დამირებით ქალაქთან ახ-  
ლოს მდგომ ეშელონების შეცდენა ადვილი საქმეა!

— მაშ, მდგომარეობა შეტად სერიოზული ყოფილა! — სთქვა გეგეკორმა.  
წარბები შექარა და ქვედა ტურჩი დაიშალა და ცემული ქვიქვირით წამოუკიდა.  
რამიშვილმა იწყინა და სიჩუმე დაარღვია:

— თქვენ ბუნდოვანათ ლაპარაკობთ, გენერალო; ერთის მხრივ საურთხის  
თავიდან აშორება შესაძლებლად მიგაჩნიათ, ხოლო მეორეს მხრივ...

— წინასწარ გარანტიებს ვერ მოგცემთ, საქირია ყველაფერი გათვალის-  
წინებული იქნას... საქირია დარწმუნება იმაში, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ.— გა-  
აწყვეტინა რამიშვილს სიტყვა გენერალმა. გამოცდილმა მხედარმა იგრძნო პანი-  
კაში მყოფ შესვეურთა სუსტი პოზიცია და კომისრებს, როგორც კატა დაპერილ  
თავს, ასე ეთამაშებოდა. „ისევე ბუნდოვანათ ლაპარაკობს!“ ბრახობდა რამი-  
შვილი და მისი და გენერალის თვალები უნდობლობითა და იქვეით შეხედენ  
ერთიმეორეს.

— მაინც გვიპასუხეთ გენერალო, გაქვთ თუ არა თქვენ იმედი, რომ ჩვენ  
გავიმარჯვებთ?

— იმედის გარეშე არც ერთი სამხედრო ოპერაცია არ მიწარმოება.

— ამ შემთხვევაში რა იმედით ხელმძღვანელობთ? — აკიედებოდა რამი-  
შვილი.

— ჩემს განკარგულებაში არსებულ ყველა სამხედრო ძალების იმედით და  
პირადი გამოცდილებით?

— კეთილი. ამ საომარ ოპერაციის ბედილბალს ნთავრობა თქვენ განდობთ! —  
განუცხადა გეგეკორმა.

— მხად ვარ სამსახურისათვის!

— მოქმედების გეგმა დაუყონებლივ გვაცნობეთ.

— მესმის.

როდესაც გენერალი გავიდა სასახლის ოთახიდან, გეგეკორმა განაცხადა:

— ვფიქრობ, ბოლშევიკურად განწყობილ ეშელონების წინააღმდეგ გენე-  
რალი თავგამოდებით და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს.

\* \*

ქართული კორპუსისა და მისი შტაბის უფროსების მიერ განართულ თათ-  
ბირზე მიღებულ იქნა გენერალის წინადადება, რის შემდეგ უკანასკნელმა გაცხა  
სათანადო განკარგულება, შემდეგ ზოგიერთი სამხედრო ნაწილების: არტილე-  
რიისა, ფეხოსანი ჯარის ბინაზე გაენგზავრა და აქედან აეტრონობილით ისევ სა-  
სახლესთან შეჩერდა.

ავტომობილიდან გადმოვიდა პატარა ტანის სამხედრო თავისი შავად გარუჯული სახით და ბაგეთა ნაპირებზე ოდნავ დაბლა დაშვებულის უღვაწებით ძალიან წააგავდა იაპონელ ოფიცერს, ნონოლუს ან რომელიმე აღმოსავლურ ქვეყნის სატრავს.

ყოველი მისი კუნთი სავსე იყო სიმბნით. გენერალმა, რომელმაც 30 წელიწადი გაატარა სამხედრო სამსახურში, ევროპის უდიდეს ომში და ნატყვიარი მკლავი მიზნმარი და უმოძრაოთ ეკიდა, — კულავ ომის სუნი იგრძნო და აენათო.

— რას იტყვით კარგს, გენერალო? რა ვადასწავით? — დაიწყო ტკბილად, დინჯის, შენაპარაის ხმით, არისტოკრატის მოღიწარ სახით და სათანადო ქცევით გეგმეკორმა და გენერალის გული მოინადირა. „ეს კაცი არა ჰგავს თავის პარტიულ იმბანაგებს, კარგად აღზრდილი, ნასწავლი და სერიოზული კაცი ჩანს, ნამდვილი შინისტრის შთაბეჭდილებას სტოვებს“. — გაიფიქრა გენერალმა და დაიწყო:

— ბატონო, მთავრობის თამეჯდომარეც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გავგზავნეთ თითო ბატარეია მახათას მთაზე და სოღანლულის ქედზე, საიდანაც როგორც ხელის გულზე ისე მოსმანს ეშელონები.

— ეს კარგია, თუ კი ზარბაზნებთან დაცდილი, საიმედო და კარგი არტილერიისტებია?

— დარდი ნუ გაქვთ! — დაამედა გენერალმა გეგმეკორი, მომენტი შეარჩია და მეთვეერ გაუმეორა — როგორც ხედავთ ჯარის რაოდენობაზე და ხარისხზე ფიქრი მთავრობისათვის უმთავრეს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ თავს არ დაეშოვავთ და თქვენის საშუალებით ალბათ მალე შეეჭმნით ჩინებულ ქართულ ლაშქარს.

— ჩვენი სურვილიც ეგ არის! — სთქვა გენერალმა და გვერდის კარებიდან ოთახში შემოვიდა შავ ტანსაცმელში გამოწყობილი, ნაღალი ტანის გამმდარი კაცი. გენერალმა ცივად მიესალმა რამიშვილს და გაიფიქრა: „საქართველოს ბოროტი გენია!“ გენერალი ვერ შერიგებოდა იმ გარემოებას, რომ ეს კაცი ხელს უშლიდა ქართული რევოლუციური ჯარის შედგენას.

— არტილერიამი გამოჩენილი ოფიცრები მუშაობენ! — განუცხადა გენერალმა გეგმეკორს.

— ქვეითი ჯარი?

— არტილერიის დასაცავად გვეყვს სადარაჯო რაზმები, ფრონტზე გავგზავნე ხეესურების გუნდებიდან და კაპიტან ჯაფარიძის ცალკე ათასეულიდან გამოყოფილი ჯარისკაცები...

— მთიდან ხეესურთა ჩამოყვანით დიდი სამსახური გავიწვია შალვა ქარუმიძემ და ქაქუცა ჩოლოყაშვილმა. — სთქვა გეგმეკორმა.

— უთუოდ დიდი... ჯარი სრულიად არა გვეყვს...

— ათასეული მგონი სტუდენტებისგან შესდგება?

— დიახ! — უპასუხა გენერალმა.

— გასაგებიც არის... ეხლა ჩვენს ქვეყანას და მის მიწა-წყალს უნდა იცავდეს ყველა განურჩევლად წოდებისა და პარტიისა! — სთქვა გეგმეკორმა. რამი-

შვილმა წარცხენა თვალი ოდნავ დახუჭა, შემდეგ ქინძისთავიდან დააწვრილა, გვეგვიკორს ეშმაკურად გადაბედა და ნემსის წვერივით ესროლა: „ასე ქენი, დოღში, დაუყარე საყენაკავი გენერალს!“—გაიფიქრა მან და დაიწყო უღუაშის გრეხა...

- ჩემი გვეგვა ამით არ ამოიწურება!—აკანდა ტკბილად გენერალი.
- ბრძანეთ!
- მთავრობის თავმჯდომარემ უნდა შეასრულოს ჩვენი თხოვნა.
- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!—შაქარივით დაუტკბა გენერალს დიპლომატი გვეგვიკორი.
- ეშელონებთან უნდა გაიგზავნოს დელეგატები...
- რისთვის?
- იმით გაფრთხილება უნდა მისცენ ჯარისკაცებს, რომ თუ ეშელონები დააპირებენ ვადმობარგვას, მათ აუტეხენ ზარბაზნებიდან სროლას და არაფრის გზით არ მისცემენ ვადმობარგვის საშუალებას.
- ჩინებულია!—დაიძახა ალტაცებით გვეგვიკორმა—დელეგატების გაგზავნას ჩვენ ვკისრულობთ.
- კეთილი... მაშ ასე: მე ყველაფერი ვსთქვი... კიდევ რა? ესლა გვეგვიგზავრები ნახათას მთაზე არტილერიასთან... ნახემდის...
- ნახემდის გენერალო, თქვენი სამსახური დაფასებული იქნება ყოველნაირად.

— წინდაწინვე ვადლობას გიხდით!—სთქვა გენერალმა და სასახლიდან ჩქარა, ბეჯითი და მხნე ნაბიჯით გამოვიდა.

გვეგვიკორი მიუბრუნდა ღიმილით რამიშვილს და უთხრა:

— მგონი ხიფათს გადავრჩეთ!

მთავრობამ დააკმაყოფილა ეშელონების ზოგიერთი მოთხოვლინება და რუს ჯარისკაცებმა მშვიდობიანად გასწიეს ბაქოსაკენ, მაგრამ ეშელონები კვლავ განაგრძობდნენ სელას და მთავრობას მაინც ეშინოდა ფრონტიდან დაბრუნებულთ არ გამოეღაშქრათ ტფილისზე მე-303 ვერსიდან ან ფოილოს ხიდიდან და სავალალო გადაწყვეტილება მიიღო რაიკ დასრულდა შამქორის უბედურებით...

## IX

1918 ოთხ იანვარს სასახლეში შესდგა საერთაშორისო სამხედრო საბჭოების პრეზიდენტის სხდომა, რომელსაც დაესწოვნ: ქართული კორპუსის უფროსი პოლკოვნიკი ახმეტელაშვილი, რუსული კორპუსისა—პოლკოვნიკი დრაცენკო, მთავარსარდლის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი—გოტოცკევი, სომხურა ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი პაპადეანოვი, აზერბეიჯანურის—სულთანოვი, ოფიცერი კაკაბაძე და სხვა...

სხდომა გახსნა ქართული ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა, რომელმაც ასე მიმართა დამსწრეთ:

— მოქალაქენო, საერთაშორისო სამხედრო საბჭოს წევრო, ამიერ-კავკასიის „რევოლუციონურ დემოკრატიას“ (?) მოვლის საფრთხე ბოლშევიკურად გან-

წყობილ ეშელონებისაგან. მიუხედავით იმისა, რომ ამ რაზოდენშიც კი წინაღ მე-303 ვერსიდან 16 ეშელონი ბაქოს რკინისგზის ხაზით ჩრდილო-კავკასიისკენ გაეშურა, ჩვენ მაინც გვაქვს უტყუარი ცნობა, რომ ისინი ფოილოს ხიდიდან და აღსტაფიდან აპირებენ ტფილისზე გამოლაშქრებას, რათა დაარბიონ ამიერ-კავკასიის ცენტრი და ფეხქვეშ გასთელონ „რევოლიუციის ყველა მონაპოვარი“ (?) ისე როგორც ეს მათ რუსეთში ჩაიდინეს. ჩვენ ნებას არ მივცემთ არაფის დაარღვიოს ამიერ-კავკასიის „რევოლიუციონური წესრიგი“, (?) ვინაიდან ჩვენი ქვეყანა მოწადინებულია გავლენა მოახდინოს ცენტრალურ რუსეთზე და სამოქალაქო ომის აღმოფხვრის საშუალებით შექმნას ერთი ყველას მიერ ილიარე-ბული და მისაღები წესწყობილება (?)

— მოქალაქენო, საერთაშორისო სამხედრო საბჭოს წევრო, ამიერ-კავკასიის „რევოლიუციონური დემოკრატიის“ ნორმალური განვითარების მიზნით ჩვენ საჭიროთ მივიჩნით რეალური ძალის, ეროვნული კორპუსების შექმნა. ჯარის შექმნას კი სჭირია თოფი, წაწალი, იარაღი და მოკავშლობა. ამიტომ შექმნილ არაჩვეულებრივ მდგომარეობის გამო ჩვენ მოვიწვიეთ ეს სხდომა და დღის წესრიგში დაავაყენეთ ფონტიდან მიმავალ ეშელონების განიარაღების ტექნიკურად მოგვარების საკითხი.

განცხადებისათვის სიტყვა ეძლევა რკინისგზელთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელს.

აღნიშნული კომიტეტის ქერა და დაბალი ტანის კაცმა განაცხადა, რომ ეშელონების სელის გამო ტფილის-ბაქოს ხაზზე ანარქია გაიფუდა, რომ აუცილებელია ეშელონების განიარაღება თუ გვინდა დამყარდეს სიმშვიდე და რკინისგზის დამკველ ნაწილებმა განახორციელონ მათზე დაკისრებული ამოცანებიო. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამართველოს გადაწყვეტილი იქვს დაუთმოს საერთაშორისო სამხედრო საბჭოს ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც წარმატებით შეასრულებს ეშელონების განიარაღებასო და სხვა.

რამიშვილი ხელში ფანქარს ატრიალებდა, თვალით ითანხმებდა საბჭოს წევრებს მიეღოთ განიარაღების გადაწყვეტილება და მომხსენებელის ყოველ სიტყვის დასადასტურებლად ვერტიკალურად ხელში დაჭერილ ფანქარს მაგიდაზე კვირვით სცემდა და განიარაღების საქმეს აადვილებდა:

„რასაკვირებელია—განაცხადა მან—განიარაღებისათვის არ არის საჭირო დიდი სომარი ძალები“.

მეგრამ სამხედრო საქმის მცოდნე პირმა გოტოვეცემა და დრაცენკომ იგრძნო, რომ აჩქარებით და წინდაუხედავად წყდებოდა ეს შეტად საპასუხისმგებლო საკითხი და გაფრთხილება დაიწყო.

პოლკოვნიკ დრაცენკოს აზრით განიარაღება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ნრაველრიცხოვანი რაზმის საშუალებით და იმ შემთხვევაში „თუ დაკავებული იქნებოდა სათანადო პოზიცია: ვიწრო ხეობა, სადაც შეუძლებელია ეშელონების მიერ დიდი ძალების გაშლა“ და სხვა. დრაცენკო კატეგორიულ უარს აცხადებდა მარტოკა ჯავშნიანი მატარებელის გავზავანაზე...

რამიშვილმა დატუქსა ისინი:

— ძალიან მიყვირს—განაცხადა მან—ასეთი გაზვიადებული მწიფე რომელსაც იჩენს მთავარი შტაბის წარმომადგენელი მოქალაქე გოტოვეცი და პოლკოვნიკი დრაცენკო! ჩვენ სისხლის ღვრასა და სამოქალაქო ომის განაღდებას არ ვაპირებთ. ჩვენ გვინდა განვითარდეთ ეშელონები, ხოლო ამ საქმისათვის არ არის საჭირო დიდი რაზმების შედგენა, სრულიად საქმარისი იქნება 100, სულ დიდი 200 კაცი, რომელსაც ჩვენ გავაყოლებთ ჯავშნიან მატარებელს.

რამიშვილის შემდეგ გამოვიდა შავად მოჭერილი და გაჯავარებული პაპადეანოვი:

— მოქალაქენო, ეხლა მერკეობისათვის დრო არ არის. ჩვენ ვერ დაუცდით დიდი რაზმების შედგენას, ვინაიდან მტერი კარზე მომდგარი, მტერი საშინელი და დაუნდობელი. სომხეთი იცნობს ოსმალეთს! დაუყონებლივ უნდა ვიშოვოთ იარაღი, ტყვია-წამალი ეროვნული კორპუსებისათვის, რომლებმაც უნდა დაიკვან ჩვენი მიწაწყალი, ცოლშვილი, სახლი და კერა.—ჩვენს განკარგულებაში არის მხოლოდ 16 ათასი თოფი და მათ შორის ნახევარზე მეტი უფარვისი...—ამბობდა პანიკით შეპყრობილი და სხვისი ქონების დატაცებით წაქტებული პაპადეანოვი.

სულთანოვიც მომბრე იყო იარაღის და ტყვია-წამლის შეძენისა, მაგრამ არა ერთმორწმუნე და მოამე ოსმალეთის საწინააღმდეგოთ, არამედ რუსეთისა.

გოტოვეცი დააკერდა სახეზე რამიშვილს, პაპადეანოვს, სულთანოვს, ახმეტელაშვილს და გაიფიქრა: «ზიელები, როგორ იოლად სწყვეტენ ფრონტზე 4 წლის განმავლობაში მებრძოლ რუს ჯარისკაცების სისხლის ღვრის საკიოხს?» ისარივით დაერქო გულზე ეგ მოსაზრება კავკასიის ფრონტის მთავარი შტაბის ოფიცერს, ვინაიდან მან იცოდა, რომ ფრონტიდან მიმავალი ჯარისკაცები ნებით იარაღს არ დასთნობენ და დრაცენკოს რაღაც წასწურჩულა. «მათთვის ცოტაა რუსეთის არმიის მიერ მიტოვებული მდიდარი სამხედრო საწყობები და ქონება»—უპასუხა ზემად პოლკოვნიკმა დრაცენკომ გოტოვეცს.

სამხედრო საბჭოს წევრთა შორის წამოჭრილი ინტერესთა სხვაობა შესაძინევი გახდა, თუმცა ყველა ცდილობდა არ გამოემეტა ეს უხეზად და თვალსაჩინოთ. ერთ მხარეზე ისტდენ: შავგერმანი და კუშტი ქართველი ნ. რამიშვილი, პოლკოვნიკი ახმეტელაშვილი, სომხური ეროვნულ საბჭოს ხელმძღვანელი პაპადეანოვი, თათრული—სულთანოვი და სხვა, ხოლო მეორეს მხრივ—ჭერა კაცი გოტოვეცი, რომელიც ძალიან წააგავდა გერმანელ ოფიცერს და ცხვირაწეული, აქოჩრილი თმით თეთრ-თავა პოლკოვნიკი დრაცენკო.

— გოტოვეცმა იგრძნო, რომ განიარაღების საკითხი ამიერ-კავკასიის კომისარიატს, და საერთაშორისო საბჭოს აღბათ წინასწარვე გადაწყვეტილი აქვს, აქ სამხედრო საბჭოზე საკითხი მხოლოდ ტექნიკური მოგვარებისათვის ისმება და შეკითხვი შეიტანა:

— საინტერესოა ვიცოდეთ, საკითხი განიარაღების შესახებ პრინციპიალურად მიღებულია თუ არა?

— რა საჭიროა ეს?

— თუ პრინციპიალურად მიღებული არ არის, მაშინ შეგე შეეძლება განიარაღებინო მხარს არ დაუჭერდი.

— რა მოსაზრებით? — შეეკითხა მას თავმჯდომარე.

— ჩვენ არ გავგანძობთ ამისათვის სათანადო რეალური ძალა და განიარაღების ოპერაცია ჩვენი კატასტროფით დასრულდება. — უპასუხა დიპლომატიურად გოტოვცევმა, თითქმის მას ნამდვილად განიარაღებისათვის გაგზავნილი რაზმის დამარცხება აწუხებდა! მაგრამ სომხეთის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა პაპადენანოვმა მიუხედა და მოუჭრა:

— განიარაღების საკითხი დადებითად არის გადაჭრილი საერთაშორისო საბჭოს, ამიერ-კავკასიის კომისარიატის და რევოლუციონური ორგანიზაციების მიერ.

ამის შემდეგ პრინციპული საკითხი მოიხსნა. დარჩა მხოლოდ ტექნიკური და რამიშვილმა, პაპადენანოვმა, სულთანოვმა და სხვამ ისევ თავისი გაიტანეს და სხდომამ გადასწყვიტა ეშელონების განიარაღებლად მცირერიცხოვანი რაზმისა და მარტოკა ჯაენიანი მატარებლის გაგზავნა. ამის შემდეგ რამიშვილმა უბრძანა ახმეტელაშვილს საჩქაროდ მოეყვანა სისრულეში სხდომის დადგენილება.

— მე როგორც ტფილისის გარნიზონის უფროსს არ შეცლება მაგ საქმისათვის. — უპასუხა ახმეტელაშვილმა და მას მხარი დაუჭირა გოტოვცევმაც, რომელიც არ ზოგავდა არაერთარ ხერხს, ოღონდაც ეშელონების განიარაღების საქმე როგორმე გადაედო და გაგვიანებოდა:

— სამიარ ძალთა გიმონახვისა და ამ ძალაზე განკარგულების საკითხში უნდა მონაწილეობას იღებდეს მთავარსარდალი და ოლქის უფროსი. საერთაშორისო საბჭოს სხდომამ დაეთანხმა გოტოვცევს და სანაპირო ჯარის პოლკოვნიკმა კაკაბაძემ აქვე დასწერა ბრძანება ოლქის უფროსის გენერალ მდივანის სახელზე:

„საერთაშორისო საბჭომ ა.წ. 4 იანვარს მოისმინა რკინიგზის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარის განცხადება ჯაენიანი მატარებლის საშუალებით ეშელონების განიარაღების შესახებ, დაადგინა: დაუყოვნებლივ შესდგეს შემდეგი შემადგენლობის დროებითი რაზმი: 1) 150 კაცი აფხაზეთის რაზმიდან, 2) 60 რუსული კორპუსის, 3) 50 მობალიხე მუსულმანთა, 4) 50 სომხური კორპუსის. ამ რაზმის განკარგულებაში გადავიდეს ზემოაღნიშნული ჯაენიანი მატარებელი. პოლკოვნიკ ახმეტელაშვილს წინადადება მიეცა აღმოჩენილ ექმნას რაზმს დახმარება, ზოლო თქვენ ვთხოვთ გასცეთ საჩქაროთ სათანადო განკარგულება რაზმის ყოველკვარი კმაყოფით მომარაგებისა და მისი გაგზავნის შესახებ ხვალ საღამოს ა. წ. 5 იანვარს ან ნ-ს დილით“.

ბრძანებაზე ხელი მოაწერა ნ. რიმიშვილმა და სხდომა ამით დასრულდა. პოლკოვნიკ ახმეტელაშვილთან მივიდა რამიშვილი, მეფური გამომეტყველებით, თავის დაქვრივ და კილოთი უბრძანა:

— წინადადებას გაძლევთ საჩქაროთ განახორციელოთ რაზმის შედგენისათვის საჭირო ყველა წინასწარი ზომები.

— მესმის! — უპასუხა პოლკოვნიკმა.



— რაზმი უნდა გაიგზავნოს ეშელონების განიარაღების მიზნით იანვარს დილით.

— ბატონო, თავმჯდომარე, ეს ტენიკურად შეუძლებელია!— შენიშნა გოტოვცემა.

— მაშ ხელ საღანოს ან ზეგ დილით უსიკვდილოთ!— განაცხადა რამიშვილმა ისე, რომ სიტყვის შებრუნება ვერაინ ველარ გაბედა.

რამიშვილის მიერ ხელმოწერილ ბრძანებას წინ უსწრებდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების საოლქო ცენტრის დადგენილება, რომელშიაც ნათქვამი იყო: „წინადადება მიეცეს ყველა საბჭოებს მიიღოს ზომები ფრონტიდან მიმავალ ნაწილებისათვის იარაღის ჩამორთმევაში“. რაზედაც ხელს აწერდა ნოე გორდანია.

ეს დეპეშა და რამიშვილის მიერ ხელმოწერილი ბრძანება სასახლის ტელეგრაფის აპარატმა გადასცა მეთულუბს და საუთხოზელასავეთ ხელგაწედილი სვეტები ბოროტი კივილით გასძახოდნ ერთმანეთს გამკიდველ სიტყვებს: ლაღატი, ტყვია, სიკვდილი, სისხლი...

## X

პარტიზანული რაზმის უფროსი შტაბ-როტმისტრი ევგენი აფხაზავა იყო ცხენოსანი ჯარის ყოფილი ოფიცერი, ულანი. გულისფერი საესე ჰქონდა რუსეთის იმპერატორის მიერ მიძღვნილი ორდენებით და ატარებდა ევროპული ომის გამოჩენილი გმირისა და წმ. გიორგის ჯვარის სახელობის კაილერის სახელწოდებას.

იმპერიალისტური ომის დროს საჩქაროდ გამოიხეცვარ ოფიცრებს ჩვეულებად გადაეცათ ფრონტზე რამოდენიმე თვით დარჩენის შემდეგ სამშობლოში უამრავი ორდენებით დაბრუნება „სტანისლავის“, „ანას“, „ელადიმირის“, „გიორგის“, და ათასი კიდევ სხვა წმინდანების სახელობისა. განსაკუთრებით ახასიათებდა ეს გარემოება მოკვითე, უსაქმო, თავზეხელაღებულ ახალგაზრდობას, რომელიც ქუჩიდან სახედრო სკოლაში მოხვდა და ომის დროს „პრაპორშიკის“ სახელწოდებით გვევლინებოდა.

აფხაზავა არ შეიძლება მივაკუთნოთ ამ ახალგაზრდობას; იგი ჯარში გაწვეულ იქნა იმპერიალისტურ ომამდე; ომის დროს უბრალო ჯარისკაცი, ვახმისტრი იყო და ვინაიდან ომში თავი ისახელა და ცოტაოდენი ნასწავლიც აღმოჩნდა, ამიტომ სამხედრო სკოლაში გაგზავნეს. 1915 წელს მან დაასრულა სამხედრო სკოლა და იქედან კორნეტის წინით გამოუშვეს; მის ეპოლეტებზე ორი ვარსკვლავი აენათა და ფრონტზე კი „სისხლის ჯვრები“ მიიღო; შემდეგ, 16 წელს ეპოლეტზე კიდევ ერთი ვარსკვლავი მიუმატეს, პორუჩიკად გახადეს, ბოლო სამშობლოში დაბრუნდა უკვე ოთხი ვარსკვლავით, ე. ი. შტაბ-როტმისტრის წინით.

თავის ჩინსა და ჯილდოს აფხაზავა დილით აფასებდა და არა მარტო აფხაზავა. თავი გმირად მიაჩნდა, რასაც ხელს უწყობდა ომში მიღებული ორდენების სიმრავლე. ყველა რიდიოთა და პატივით ეკიდებოდა მას. ზურგს უკან არა ერთხელ მოუსმენია შეგუთუებული ხალხის ძახლი: „ევროპული ომის გმირი!“

ბავშები და გოგონები თვბდაფებ დაზღვედენ. გურული გლეხთაგან უმეტესად განოსულ ახალგაზრდას, რომლის ოდნე კებიან ცხვირსა და ტუჩ-ტილს ამშვენებდა ვადგარებილი კაკობი უღვაშები თავბრუ ეხვეოდა; „სეთნაირად დაჯილდოებულს, დაწინაურებულს, ცნობილსა და სახელგანთქმულ გმირს ყველაფერი ეპატიება“ — ჰქვიტობდა ის. მას ჰქონდა ფოლადივით ცაზე დაეცემოდა, დაჰყვეს და თვალები ნაპერწკლებს აფრქვევდა. ამ კაცის სიფიცზე და გაბრაზება სიგეფმდე მიდიოდა, რომლის დროსაც მის ხმალსა და ტყვის არა ერთი და ორი მსხვერპლი შეუწირავს.

აფხაზავს გულმკერდზე და კისერზე ეკიდა ცხრა ორდენი და ერთი ჯვრის შზგავსი სამხედრო სკოლის ნიშანი. ჩამოეთელი ამ ორდენებს: 1) ორი ვერცხლის მინეთიანი (მედალი), რომელზედაც განოჭრილი იყო რუს ხელმწიფის კისარის უტეინო თავი; 2) ჯარისკაცთათვის მიწნეული წმ. გიორგის ოთხი ჯვარი — ორი ვერცხლისა და ორიც ოქროსი; ეს ეჭესი ორდენი მას მიღებული ჰქონდა ჯარისკაცობის დროს. 3) ოქროთი მოჭედლილი წითელი მინანქრის ორდენი, (სისხლის ჯვარი) წმ. ანას სახელობისა, ხმლითა და ბანტით. ყველა ეს წიდი ორდენი და სამხ. სკოლის ნიშანი ჩამოკიდებული ჰქონდა გულმკერდის მარცხენა მხარეს, 4) მარჯვენაზე ეკიდა წმ. ელადიმერის სახელობის ორდენი, ოქროთი მოჭედლილი და წითელი მინანქრის, ესეც ხმლებითა და ბანტით იყო შემოპილი. 5) კისერზე — „სტანისლაეა“, სისხლის ჯვარი.

ამრიგათ აფხაზავს კისერზე და მკერდზე ეკიდა წითელ მარყუჯით მიმაგრებული და დაწრიალებული ათი ჯვარი და ორდენი.

ვერცხლისფერ თეთრ ეპოლეტებზე, მკდარი ოთხი ვარსკვლავი და რიცხი „12“ გვიჩვენებდა, რომ აფხაზავა არის ცხენოსანი ჯარის ოფიცერი, შტაბ-როტმისტრი მეთორმეტე ულანთა პოლკის. ფრენშზე თეთრი, ვასვასა სირმის ჭამარი წამოერთყა; თავზე ცისფერი ყალამიანი თეთრი მაუდის რუსული ქუდი ეხურა; დიგანალის შალვარის გვერდის ნაკერში ჩატანებული იყო თეთრივე ზოლი; ფეხზედ ეცვა ლაიკის ყელიანი ჩექმა დეზებით... ყოველივე ამის ამშვენებდა ოქროშვედლის მიერ კობტად ნაოსტატები კავკასიური ოქროს ხმალი; ტარზე ეკიდა შავი და ყვითელზოლიანი წმ. გიორგის ლენტო, რომელზედაც მიმაგრებული იყო თეთრი სირმის ჯინჯილი.

ეს იყო საყოველღიურო, სადა და უბრალო მისი ტანსაცმელი — ფორმა, ხოლო ულანთა ოფიცერის საზეიმო ფერადოვან ნუნდირში, სამკერდე, ლამპასებით, თავზე ვერცხლისფერი გაკრიალებული ბუზარადით და შიგ ჩაჩერილი უცხო ფრინველთა ფრთებით მორთული ევენი აფხაზავა რომ ენახა — აღბათ, ვერც მისი პატრონი იცნობდა.

კორნელიმ ნახა აფხაზავა პირველად გამზირზე. საშინლად გაოცდა ამ ოფიცერის გულმკერდის დეკორაციით და პირი დაალო. აფხაზავა ხატვიით გამოეცხადა. უკან მისდევდა ბრბო. კორნელიმ კაფე „დარბაზთან“ დაინახა ჯიბო და ოფიცრები, მივიდა და გაკვირებული შეეკითხა: „რა ანბავია ჯიბო ეს? ვინ არის ეს კაცი?“ ჯიბომ აუხსნა. აქვე იდგნენ ნიკეგოროდის და ტვერის პოლკის

## ეპიკური

ახალგაზრდა ოფიცრებიც, თავადი ვანნაძე, ანდრონიკაშვილი და მოურავი... ამათნა დასცილნეს აუხაზავსა: „სადაური კავალერია“ მას ხომ ოფიცრთა წმ. გიორგის ჯვარი არა აქვს? — ამზობდა ახალგაზრდა როტმისტრი ვანნაძე, რომელსაც ოფიცრთა წმ. გიორგის ჯვარი უმშვენებდა მცერდს. „ამჟამად სჩანს რომ მდებარეა და გლეხი! არა აქვს ულანის თავის დაკერა, მიხვრა-მოხვრა. ულანის ოფიცერი კი არა სალდათია. ისე უხდება მას მუნდირი როგორც ძროხას უნაგირი!“ — დაიწყო ქირღვა პოლკოვნიკ ანდრონიკაშვილი. კორნელის საშინლად გაუკვირდა ასეთი უენიშენები, ვინაიდან მისთვის აუხაზავა ცითგან მოფრენილ წმინდანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მაგრამ ტვერისა და ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცრები არ სცხრებოდენ: „ხელი და ფეხი მოკლე აქვს და უჯიშო, კისერი არ ჩანს.. თავი თითქოს პირდაპირ მზრებზეა დადგმული.. როდესაც საზოგადოებაშია ხელები არ იციან სად წაიღოს.. ღვას და ფეხებს აბაჯუნებს. მართლაც სალდათია!“ — დაიწყო ისევ ვანნაძემ. „ფეხები ჩახავსაც მოკლე აქვს!“ შეაპარა ინგლისურ ცხენივით მალალ ფეხებზე მდგარ ახალგაზრდა ოფიცრმა თარხან-მოურავმა. კორნელიმ ეხლა მას უკვე აღარ დაუჯერა, ვინაიდან როტმისტრი ჩახავა უნახავს, ის მალალი, ახოვანი და ლამაზი ვაკეცია, „ძალდი ახსენე და ჯობი ხელში დაიკავეო“ რომ იტყვიან სწორედ ისე მოხდა: ხსენებზე როტმისტრი ჩახავაც გამოჩნდა; კორნელი დააკვირდა და გაიფიქრა: „ეშაქმა წაიღოს ამ ოფიცრების თავი, როგორ ცხენივით აღწერენ ადამიანს და ყველაფერს შენიშნავენ?! მართლაც ჩახავს ტანი და წელი უფრო გრძელი ჰქონია ვიდრე ფეხები.. თვალსაჩინოა, ფეხები მრუდიც ჰქონია, ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს“. თარხან-მოურავმა გაღიხარხარა: „ბუფეტის გამგის შვილია, ამა რა გინდათ?“

აუხაზავა ხალხში დაიშალა. ის ცხოვრობდა სასტუმრო „ნოეს“ ერთ-ერთს ოთახში. სასტუმროს პატრონი იყო გურული, ნოე სიხარულიძე; ნოე ამაცობდა იმ გარემოებით, რომ გურიამ წარმოშვა ისეთი გმირები როგორიც აუხაზავა და ბინა უფასოდ დაუთმო, მაგრამ ბინის გარდა აუხაზავამ სხვა მზრიაც დაიბარა სიხარულიძე. საქმე ის არის რომ სასტუმროს ჩინებული რესტორანი აქვს, კარგი ორკესტრია: როიალზე უკრავს ლამაზი რუსი გოგონა კეტი — თერაპეტი წლის თუ იქნება, აუხაზავას ღიმილით წყალობს და იმედებსაც იძლევა... შტაბ-როტმისტრისგან სიამოვნებით იღებს თაიგულს და ოსტატურად დაგრებილ ქალღმინს ფულებს, რაიც ძალზე სწყენს და სულსა და გულს უშფოთებს ახალგაზრდა მეჭიანურეს, პატარა კუხიან ებრაელს ხავერდის ქურთლუკში, მსუქან ბაგეზე იკბენს, ცისფერი ღვრია თვალებით უიმედოთ შორს იქტირება და ქალივით ნაზი ხელით ნერვიულად ისწორებს შუბლზე დაცეცილ ოქროსფერ გრძელ თმას. სამაგიეროთ ყოველი ასეთი საჩუქრის შემდეგ კეტის მოხუცი მამა ვირტუოზივით იწყებს ვიოლინოზე თითებით ჯიროთს, სახეზე მუდამ ნეტარი ღიმილი აქვს გაკრული და ბედს არ ემდურის, რომ ოდესღაც ცნობილი პროფესორი, საოპერო თეატრის ორკესტრის შეყვება ეხლა ლოთობის გამო რესტორანში გდია, ათასგვარ დამცირებას განიცდის და ლეინო-არყინაგან ხენდროსავით გაწითლებულს ცხვირსა და ღინვში ესვრიან დაკუქულ ასიგნაციებს ვიგინდარები,

ბარბაროსები და მუსიკის მტრები. არც გერმანელი გარზონისტი ვეგერინი ბუღბუღოვით სტვენს და ჟკრავს აფხაზეასათვის საყვარელ ცხენოსან ჯარის მარსს.

აფხაზეასთან ზის როტმისტრი ჩახავა, კაპხიძე და სხვა. სასტუმრო „ნოს“ რესტორანის ოფიციანტები კარვად იცნობენ მათ. ჩახავის მამა სადგურის ბუფეტის გამგეა. აფხაზეას დანაბეაზე გურული მობუცი ოფიციანტები გაცირებებით ამბობენ: „საიდან გამოუვიდა ამ კაცს (აფხაზეას მამას) ამისთანა ნასტავლი, გმირი და დაწინაურებული შვილი“ ახალგაზრდა ოფიციანტები კი ხელსახოცს პაერში შეატრიალებდნენ, მხარზე გადაიღებდნენ, გრძელ უღვაშს გადაიგრებდნენ და შემდეგ დიდის რიხით იტყოდნენ: „ვაწაკცია, ბიჭია, ტყვის-ტყვიანი აჯენს, დედის ღმერთს აგაცლის. ახლა რანაირი მსმელი და მხარჯველია აღარ იქითავე?“ მხარჯველის რა მოგახსენოთ, ვინაიდან ქეიფის შემდეგ ანგარიში მუდამ გადაუხდელი რჩებოდა, მაგრამ არა უშავს რა—ტყვილა ხომ არ ანაყოზდა სასტუმროს პატრონი ნოე სიხარულიძე აფხაზეას პიროვნებით?... ასე გადიოდა დღეები: დაუსრულებელი ქეიფი, ქალები, ჩხუბი, აყალ-მყალი...

\* \*

ნაშუადღევს, 5 იანვარს ჯავშნაიანი მატარებელის უფროსი პორუჩიკი ანდლულაძე ტფილისში ჩამოვიდა. მატარებელი ჩიხში დააყენა, სათანადო განკარგულება გასცა და აფხაზეას გაუარა.

ანდლულაძე წყნარი და წესიერი მეთაური იყო, ამიტომ მას არ ესიაძოვნა აფხაზეასთან ერთად ჯარისკაცთა განიარაღების ჩატარება. იცოდა აფხაზეას სიამაყე, ავანტურისტული ბუნება და ისიც, რომ ძალადობას მიმართავდა... ის კი მშვიდობიანის გზით, მოლაპარაკებით და თანხმობით აწარმოებდა განიარაღებას... როდესაც რომელიმე ჯარის ნაწილი და ეშელონი კატეგორიულ უარს განაცხადებდა განიარაღებაზე, ანდლულაძე თავს ანებებდა და სისხლის ღერას ერიდებოდა... აფხაზეა კი პირიქით, იქ სადაც სიტყვა იმ გასჭრიდა ტყვიას ან ხმალს გააჭრევინებდა.

ორივე—ანდლულაძე და აფხაზეაც—გურული იყო, მაგრამ ყველა გურული ერთნაირი როდია: ერთი რომ მუდამ წუმწუმსაყვით ენთება, ფიცხია და „ქუქიანი“, მეორე ეგზომ მწვილი, დარბაისელი და აულელვებელი... ერთი რომ ფირალივით მუდამ „უკანონო“ გზას ადგია და ფიშტო და მაჭახელით სწყვეტს საკითხს, მეორე ძალზე სამართლიანია და გონებით ხელმძღვანელობს... ასეთი განსხვავება იყო ამ ორ მეთაურთ შორისაც, თუმცა ამ ორი ხასიათის უკიდურესი და ბედნიერი გამოვლენა იძლევა პირველ შემთხვევაში რევოლუციონერს, ხოლო მეორეში—მკონარე ინტელიგენტს, „მეშინისს“...

პორუჩიკი ანდლულაძე შევიდა სასტუმრო „ნოეში“. მეორე სართულის ერთ-ერთი ოთახის კარებზე დაარახუნა. ოთახში სტვენისა და დეზების ჩხარუნის ხმა შესწყდა.

— ეი... ვინ არის? შემოდი! — გაისმა კაპასი და უხიავი ხმა...

ანდლულაძე შევიდა. სავარძელზე გამოტილი გაწოლილიყო კავალერიის ოფიცერი როტმისტრი ჩახავა; მეორეს უშვეენებდა წმ. გიორგის ჯვარი. არა

ერთი და ორი მტრის ჯარისკაცი და მეთაური გაუჩეხია თვეყმურული ხმალით... კოყარდიანი ქლდი თავზედ უკან მოქცევია და ვაკბმამტყუანსკეებით შემოსილი ფეხები იავარად წინ გაუსვრია. ანდლულადის შემოსვლაზე ჩაბავა არც კი შერხეულა, მარჯვენა ხელის მოსხლეთით სალამი მისცა და ასე დაჩა.

ჩაბავასთან ერთად ლამენათევი და ნანთერალეები აფხაზავა ეხლახან ანდგაროყო, პირი დაებანა, თმა დაეეარცხნა და სარკესთან ფრენს იცემედა, მან იცნო სარკეში ანდლულაძე, შემოტრიალდა და დაინახა:

— აა, ვაღმარგოს! — ისინი ნიესალმენ ერთმანეთს.

აფხაზავის თვალების უკე დასივებული ჰქონდა და სახე ფოროჯისურად აღანძლი. ამღვრეული თვალეები მოწმობდენ, რომ ლეინის აღმტრი თავიდან ჯერ კიდევ სავსებით არ ვანოსულა...

— დაჯექი აგერ! როდის ჩამოდი? სხვა რა ამბავია? დააყარა აფხაზავამ პარაბელუმის ტყვიეებით ანდლულაძეს...

— ბიჭო, მე შენთან საქმეზე მოვედი! — უთხრა ანდლულაძემ და გულჯიბიდან ქალაღდი ამოიღო.

— რაშია საქმე? — შეეკითხა აფხაზავა, დოინჯი შემოიყარა და მხარბეკი გაშალა.

— წაიკითხე აგერ აღმასრულებელი კონიტეტის მოწერილობა...

აფხაზავამ გამოართვა ქალაღდი, სადაც ჯავწნიანი მატარებელის ღუროსს წინადადება ეძლეოდა აფხაზავას პარტიზანულ რაზმთან ერთად და მისი დახმარებით ეწარმოებია ყარსიდან ზაქოსკენ მიმავალი ეშულონტობსათვის იარაღის ჩანორთმევა. როდესაც აფხაზავამ მოწერილობის კითხვა დაიწყო, ანდლულაძემ ოთახში მიიხედ-მოიხედა: მაგიდაზე პარაბელუმში, ხმალი, ქლდი, ტყავის ჩანთა, მოკოლადის კოლოფი, შამპანიური და მალაყელიანი კიტეები ეწყო; ლოგინი იყო მინგრეული, დაულაგებელი; ოთახში ანარქია სუფევდა; პაერში ქალის, ფერუშმარტლის და სტრნელოვანი წყალის სუნი იდგა...

აფხაზავამ გაათავა კითხვა:

— ამ მოწერილობას დააფურთხე!

— როგორ? ვაუკვირდა ანდლულაძეს.

— ჩვენ სხვა მოწერილობა გვაქვს! — უპასუხა აფხაზავამ, ჩაბავას თვალი ჩაუჭრა. ქალაღდი დაკეცა და ანდლულაძეს ორი თითით გულჯიბეში ჩაუტეკა.

\* \*

6 იანვარს დილით ადრე აფხაზავა თავისი რაზმით ჩაჯდა არსენალთან გაჩერებულს ჯავწნიან მატარებელში... მატარებელში იყო პატარა, ჩია ტანის პორტრიკი ანდლულაძე და ოცდაათსამეტო რაზმელი, შტაბ-როტმისტრი აფხაზავა, მისი თანაშემწე ნაყაშვილი და მაკარაშვილი. კიდევ ორი მეთაური და სამოცი პარტიზანი.

დილა იყო ცივი და ცა ნოღრტბლული, მახათას მთები და არსენალი ოდნავ ნისლში გახვეული. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა და ირგვლივ სიჩუმე და მუედროება სუფევდა, მაგრამ ამ ღამით არ ეძინათ ამიურ-ვაკვასიის მესვეურთ. მათ

არ ასვენებდა სამინველი ფიქრი: „ვთუ, თუ ეშელონები ფოილურე ქუფუფანქად-  
მოსხუნ და ფუხდაფუა წამოვიდენ ტვილისზე, როგორც დამწვეჭქსმტხტები  
და განადგურონ ამიერ-კავკასიის მთავარი ქალაქი—ტფილისი, მთავრობა, დოვ-  
ლათი და საწყობები?“.

სასახლიდან გამოვიდა ნოე რამიშვილი. მას ჰქონდა გამხდარი სახე, ღამის  
გატების განო სანთელივით ყვითელი და დაღლილი; წაყად ამოღურჯებული  
თვალის უბეები; ფიქრებით შეჩერებული და შთაფერტილი თვალბი; უწყსრი-  
გოთ ნიმობნეული მუქი და წაბლისფერი წვერ-ფლავაში; მკლე აქლემივით გამ-  
ხდარი და ღანტე კისერი; უკან კისერზე—თოკივით დაგრესილს ორ ძარღვთა  
შორის ღარი გასჩენოდა...

გამზირი ვადსერა და სირაქლემასავით მალალი და კარქიანი ფეხებით  
მიიბიჯებდა.

შეცვიებული და გაძვალრყავებული ხელები საზანთრო პალტოს ჯიბეში  
ჩაიწყო, საყელო აიწია, შლიაპასავით შუაზედ ჩაყეცილი კრაველის ქუდი უფრო  
ღრმათ დაიხურა და როდესაც ქაშვეთის ტაძარს ვაუსწორდა, მახათას მთიდან  
მატარებელის მძღაერი და უჩვეულო კივილი შემოესმა.

კივილმა დაარღვია ქალაქის მყუდროება.

თოფხანის წინ ღიანდაგზე გველეშაბივით გაწოლილა ჯავშნიანი მატარე-  
ბელი.

რამიშვილის ბრძანების თანახმად დანიშნული რახში მიერგზავრებოდა გა-  
ნიარალებსათვის.

ჯავშნიან მატარებელმა გააბა კივის ხმით გულშეშარავი კივილი და მი-  
ლიდან შავი ბოლი ქშენით ამოუშვა.

აესულთა თმასავით გაწეწილი ბოლი ვარეკა ქარმა და სახედისწერო კი-  
ვილი ვაუგზავნა ჩრდილო-კავკავისაკენ მიშავალ ეშელონებს.

რამიშვილმა შეჭრა ნებისყოფით სახის კუნთები, ჯიბეში ჩაწყობილი ხე-  
ლები მძღაერად დამუჭა: „გათავდა... ამიერიდან იწყება ბრძოლა“—სთქვა მან  
თავის ვულში და ჯავშნიანი მატარებელი ნავთლულისაკენ წაყიდა...

კოტა ხნის შემდეგ რამიშვილი ასცილდა დამუნჯებულ ქაშვეთის ტაძარს  
და ქართული კობუსის შტაბში შევიდა.

## XI

ჯავშნიანი მატარებლის ორთქლნავალზე მიბნული იყო წინა-მებრძოლი  
რონოდი; მეორეში ისხდენ მეთაურები და პარტიზანები, მესამე რონოდი იყო  
საწყობი, ხოლო მეოთხე—უკანა-მებრძოლ რონოდს წარმოადგენდა.

ჯავშნიანი მატარებელი შეჩერდა ნავთლულში, ჯარისკაცებს ჯერ კიდემ  
ეძინათ. რუსებმა კარ-ფანჯარაში გამოძყვეს თავი, ზოგმა საჩქაროთ ტანთ ჩი-  
ცვა და „ჩაინიკით“ საღფურს მიამურა. ჯარისკაცები მივიდენ ჯავშნიან მატა-  
რებელთან: ფოლადის ფარით დაბურულ ბორბლებში, საათოფურში იჭვრიტე-  
ბოდენ და ბავშივით იღიმებოდენ:

— ტყვია ვერ გაიტანს ამ წყეულს!

- შაშხანის ტყვია ვერ ხერიტავს! — დაუდასტურა ვიქტორმა.
- სამ ღუმიანი ზარბაზანი გაიტანს!
- კი მაგრამ გარბის და ასე ისერი, მიზანზე არ გინდა აილო?
- აილებენ დარდი ნუ ვაქვს!

ფრანტიდან მომავალ ჯარისკაცებმა არ იცოდენ, რომ ჯაფნიანი მატარებელი მიემგზავრებოდა ბოროტი განზრახვით. ტვალისში ეშელონების განიარაღება მშანწეწონილი არ იყო: და აფხაზეა გაეშურა მე-303 ვერსისაკენ.

„როგორ კივის წყეული!“ — მოძახეს ჯაფნიან მატარებელს რუსებმა.

ეშელონები იდგენ მე-303 ვერსზე, მაგრამ აფხაზეამ არც აქ მოისურვა მათი განიარაღება და ჯაფნიანი მატარებელი წაივდა ხათქანითა და გრილით. გაიარა სადგურები — აღ-თაქოლა, ყარა-თაფა და ყარაიაში შეჩერდა.

აფხაზეა წარდათ გადმოსტა მატარებელიდან. პარაბელუმითა და ქამარ-ხანჯალით შემოკრული ჩოხა შევნიოდა. (ხშირად ის ჩოხას ატარებდა). რკინის გზის მილიციელებმა ვხა მისცეს და მიესალმენ, აფხაზეა ათას კაცში საკითხავი მეთაური იყო და აქაც ჭურჭული გამართეს: „ვინ არის ეს კაცი?“ მალე ყველამ გაიგო ევროპიულ ომში დაწინაურებული და გამოჩენილი მეთაურის შტაბ-ბოტ-ნისტრი ეყვენი აფხაზეას ვინაობა, მით უნეტეს რომ ის აზერბეიჯანში ნამსახური იყო, განჯაში ნაცნობა და კარგი ნეგობრები ჰყავდა: მუსულმანთა ცხენოსანი ლეგიონის უფროსი, თავადი მალალაშვილა (ამ ეამად მალალაოვი), როტ-მისტრი კაჭახიძე, მუსულმანური ეროვნული საბჭოს და შეიარაღებულ რაზმელთა ხელმძღვანელი გეიში რაფიბეგოვი და სხვა.

ჯაფნიანი მატარებელის უფროსს ჩია ტანის მეთაურს პორტოკ ანდლულაძეს არაეინ აქცევდა ყურადღებას, ვინაიდან ის დაზრდილა აფხაზეამ.

ყარაიას სადგურის უფროსი ჭქარის ნაბიჯით მიუახლოვდა ჯაფნიანი მატარებელის მეთაურთ, მიესალმა მათ და აფხაზეამ სთხოვა ოთახში შესულიყვენ, ფრიად საჭირო საქმისათვის მოსალაპარაკებლად.

მაგიდასთან ისხდენ სადგურის უფროსი ჩასუქებული და ღორთოვალა პაელოვი, პორტოკი ანდლულაძე, აფხაზეა და მისი თანამშემწენი, შავკრემანი ყნაწილები შაყაშვილი და ნაკარაშვილი. ანდლულაძემ აცნობა სადგურის უფროსს ჯაფნიანი მატარებელის მოსვლის მიზანი და დაამატა რომ რკინისგზის ხაზზე ჩვენ უნდა დავიანუროთ წესრიგო, რაიც სადგურის უფროსს ძალზე გაეხარდა:

— მუსულმანთა ბრბოები თავს ესხმიან უიარალო ეშელონებს, სკარცევენ და შოკივენ რუს ჯარისკაცებს, ამ ყაჩაღთა ბრბოების თავდასხმის გამო ფრონტიდან მომავალი ეშელონები უკვე უიარალოთ აღარ მიდიან შინ! სთქვა აღმფოსებულის ხმათ პაელოვმა.

ფანჯრებსა და კარებში იქცირებოდენ მუსულმანები, თავზე ეხურათ დიდ-ბეწვიანი ბუზრის ქუდება, ისინი იყენენ შეიარაღებული ბერდანკით, ასყერთა კარაბინებით და გველივით გაწოლილს წარბებიდან თვალები ბოროტად ელავდენ; წართლაც ამ ყაჩაღების ერთად-ერთ სურვილს შეადგენდა ეშელონებზე დაკემა, იარაღის და ნადაელის შოვნა. ოთახში მოლაპარაკებას დაესწრო ამ შეიარაღებულ რაზმის უფროსი მანედ ვიხიროვი ახოვანი და ლამახი, შავგვრ-

მანი თათარი. მას ძალზედ ეწონა სადგურის უფროსის სიტყვები და აფხაზებს  
 ზავას განცხადების შემდეგ ისევე კარგ გუნებაზე დადგა. განცხადება

— ჩვენ ნაბრძანები გვაქვს კახეთიდან მომავალი ეშელონის განიარაღება  
 და ამიერიდან ყოველი ჩვენი წინადადება უსიტყვოთ უნდა შეასრულოთ! — სიტყვა  
 აფხაზებამ.

— ბილმირამ... შეასრულებ... — უბასუხა ღიმილით მამედმა.

სადგურის უფროსმა ნაცრისფერი თვალები დააქყოცა და გაბზნებული წი-  
 თელი მუდის ქუდი მოიხადა:

— რომ არ დასთანხმდენ?

— ძალით დაეითანხმებთ!

— ხომ ააოხრეს აქაურობა?

— დარდი ნუ გაქვთ... განიარაღება თანხმობით მოხდება! — დაიძვინკა სად-  
 გურის უფროსი ანდლულაძემ.

— ენახოთ! — მოუჭრა აფხაზებამ.

სადგურის უფროსი ბავლოვი შეშინდა და შუბლზედ მჯდარი კოპის ფხანა  
 აუვარდა. აფხაზება მივიდა ტელეგრაფის აპარატთან, განჯიდან მუსულმანთა  
 ცენოსანი ლეგიონის უფროსი თავადი მალალოვი, ექიმი რაფიბეგოვი გამოი-  
 ძახა და საქმის ვითარებას გააცნო. იმით დახმარება შეჰპირდნენ, ამის შემდეგ  
 აფხაზება, ანდლულაძე, ნაყაშვილი და მაკარაშვილი შევიდნენ ბუფეტში, საუბრე  
 მოითხოვეს და თითო ჭიქა არაყი გადაჰკრეს. არ გასულა ათი წუთი და ბაქანზე  
 ზარი ზალ-მალე დარეკეს. ზამთრით ყარაიას ველზედ გაყინულ ტბა-ჭაობიდან  
 იხვი და ბატი ყივილით წამოიშალა თითქოს ალესილ ყინულით ყელი გამოს-  
 კრესო...

— კახეთის ეშელონი გაწოვიდა ყარა-თაფიდან! — აცნობა ანდლულაძეს სად-  
 გურის უფროსმა.

ანდლულაძემ გასცა ბრძანება... რაზმელები მისცინდნენ მატარებელს, ჩო-  
 ხის კალთები დაიკაპიწყეს, არწივებივით ჩაფრინდნენ ჯავშნოსანი ბუდის ხერე-  
 ლებში და დაიშალნენ. შემანქანემ ჯავშნიანი მატარებელი ცოტა წინ წასწია და  
 ეშელონს გზა გადაუჭრა... მილიციელებმა ბაქანიდან ხალხი გარკვეს; ცარიელს  
 ბაქანზე იდგა აფხაზება და ლიანდაგს გასცქეროდა; მისი შავი ჩოხის კალთებს  
 ქორის ფრთასავით აფრიალებდა ზამთრის სუსხიანი ქარი და თოვლით დაფა-  
 რულ ყარაიას ველზედ ჰკიოდა...

სრულ 11 საათზე გაისმა საყვირი და შვედ გარუჯულ ორთქლმავალმა  
 სადგურს ქაქანიტ მიამშურა. სადგურის უფროსმა შემანქანეს აკანკალებულ ხე-  
 ლით ჩამოართვა კვერთხი; აფხაზავას წინ მიბრძოდნენ ჯარისკაცებით დახუნწული  
 საბარგო რომოლები, საიდანაც ისმოდა სიმღერა, სტეენა და გარინონი. ჯარის-  
 კაცები აყვირებოდნენ სადგურზე წარწერას და იმხდენ:

— Карага: აბა, ენახოთ რა სადგურია ეს ყარაია?

შემანქანემ შეანელა სვლა, ბუფერის თყუშები ერთმანეთს დაეტაკა და ეშე-  
 ლონი გაჩერდა.



ჯარისკაცები წესცივინდენ სადგურის დარბაზში და მაგვრე, კაცო, დაეძა-  
ლენ. ტევა აღარ იყო. ერთიანეთს ნუჯღუფუნს სცემდენ და ბეჭადეცხენსკა

— ნიკიტა.. ერემეი.. ივანოვ...

— აქა ვარ!

— „ბრატისკა“, მოიტა ფული!

— როგორი არაყია?

— წყალნარევი..

— მოღბ ერთი გადავკრა... ახ.. ეს არის წყალნარევი? მაგარი ყოფილა!

— Ишь ты! როგორ მაიმუნეით დიპყანა, თვალზე ცრემლი ზოადგა!

— იკბინება.. მაგარიია..

— ჩემთვის არ არის მაგარი..

— შენ, ძამია, ხახა და კუჭი გამოკალული ვაქვს!

— მივეიწვი ჩენც, ამხანაგო, გეყოფათ!

— ნუ ჯიკაობ, თორემ მე შენ..

— Осани назад, чего лезешь? (დაიწია უკან, სად მოძვრები?)

— დაასხი არაყი!— მიმართოდენ ჯარისკაცები დახლში მდგომ კაცს, ყა-  
რაიას სადგურის ბუფეტის გამგეს, ქალარა და მსუქან მეგრულს, რომელსაც თავ-  
ზე ბუხრის ქუდი ეხურა.

— რა ღირს ეს ბოთლი?

— მილიონი..

— შეხედე რამდენს გვახდევინებს!

— ტყავს გვაძრობს..

— სპეკულიანტია!

— Сволочь, Сукинсын.. Жид проклятый!!! (ურუმსალი.. ძაღლის შვილი..

წყურული ურია) უტეოდენ ზოგიერთები.. მაგრამ მათ არაეინ აქცუყდა უურად-  
ლებას.. მყიდველი უზომო იყო.. ისმოდა:

— დაასხი.. ეო, შენ „კაკო“

— ეს „კაკო“ არ არის!

— მა ეინ არის?

— ურუმუნო თათარი!

— წავიდეს მე მაგის დედა... სულერთია: „კაკო“, „კარდაშ“, „ახერ“—  
все один черт! აჰა, აიღე ფული, დაასხი!— ჯარისკაცებს ჯიბე გატენილი ჭკონ-  
დათ ფულით გხადავხა გაყიდულ სამხედრო ჭონებისა და ნადავლის გამო. შე-  
მოდგომისას ხადან ჩამოყრილ ფოთოლივით სცვიოდა დახვამზე ქალაღის ფუ-  
ლი „კერენსკები“ და „საშოვარში“ ჩაეარდნილი ბუფეტის გამგე ონისიმე პაჭ-  
კორია მისი იმერელი ბიჭები ეღვისებურ სისწრაფით ჰავეტაოდენ და „საუფთა-  
ეებდენ“ რუს ჯარისკაცებს..

ემელონიდან გადმოსული ათასი ჯარისკაცი კალიასავით ესეოდა ყარაიას  
სადგურს; ბუფეტში, დარბაზში, ბაქანზე და ირველივ იდგა ყაყანი, ყიჟინა, და-  
ლურსმუნ ჩექნების ბრაბუნე და მახორკის სუნია.. კინკველივით შემოეხვიენ ჯაე-  
შნიან ნატარებელს; აწეულ ფარის ქვეშ ხვრელებიდან მოსჩანდა ბუხრის ქუდით  
დაჩრდილული რახმელთა ელვარე თვალი.



სადგურის ერთ-ერთს ოთახში კი პორუჩიკი ანდლულაძე ვეკუჩუბუბუბის-ტრი აფხაზეა წინადადებას აძლევდნენ დელეგატებს განიარაღებულად შელო-ნი. შეიქნა ვაჭრობა, მაგრამ აფხაზეა ვეღარ ითმინდა:

— ჩვენ ტყვილა კვარგაეთ დროს.. უკანასკნელად გეკითხებით — ჩაგვაპარებთ თუ არა უბრძოლველად იარაღს? — დელეგატებმა უარი განაცხადეს. მაშინ აფხა-ზეამ დაიძახა და ბატანზე გამოვიდა:

— მაშ კარგი.. პასუხისმგებელი თქვენა ხართ.. პორუჩიკო მასაშვილო, მო-ემზადეთ!

მასაშვილი ავიდა ჯავშნიან მატარებელზე. მატარებელმა კივილი მორთო, ცოტა კიდევ უკან დაიხია და სათოფურიდან გამოყოფილი ლულემა ეშე-ლონისკენ მოიპართენ. დელეგატები შეშინდნენ. მათ დაარწმუნეს ჯარისკაცები, რომ ჯავშნიანი მატარებელი უზრუნველყოფს რკინის გზის ხაზს ბაქომდე და ცოტაოდენი ბუობისა და ყოუნანის შემდეგ იარაღის ჩაბარებაზე თანშობა გა-ნაცხადეს. თისამდე უიარაღო ჯარისკაცმა დასტოვა რონოდი, რომელშიაც ია-რალი ეწყო და შორი-ახლოს დადგნ. აფხაზეამ თავისი რაზმელებით ჩაიბარა იარაღი და ჯავშნიანი მატარებელის რონოდ-საწყობში გადახიდა.

ომითა და სისხლის ღვრით დაღლილი ჯარისკაცები ცხვარივით მორჩილი აღმოჩნდნენ და მტაცებლებმა ეშელონს იარაღის გარდა საკვებიც წაიგლიჯეს: ფქვი-ლი, ერბო, თევზა და სხვა, რაზედაც ჯარისკაცის წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს და პორუჩიკ ანდლულაძეს შეშინელეს:

— შტაბ-როტმისტრი პირდაპირ მტაცებლობას დაადგა. ჩვენ შევასრულეთ თქვენი წინადადება, იარაღი დაგიომეთ... ეხლა კი ლუკმა პურიც გინდათ წაი-ლოთ? კარგად მოგეხსენებათ ეხლანდელი მინოსვლა, შინ ჩასვლამდე ჯერ კიდევ ბევრი დავგავვიანდებმა, ვხაზე არადერი აღარ იშოვება და შინშილით უნდა და-ფიხოკოთ? მატარებლის უფროსი ხომ თქვენ ხართ — გაეციეთ განკარგულება და ეხლავ დაგვიბრუნეთ საკვები..

ანდლულაძე შეანამუსეს. მას შერცხვა და აფხაზეას მიმართა:

— რათ გინდა, კაცო, აი ტომრები?

— გამოგვიადგება.

— საკვების ჩამორთმევა ჩვენ აკრძალული გვაქვს!

— ვინ მოგახსენა?

— ნოემ რომ აი გაიგოს ნამეტანი გაკუქდება!

— კახეთიდან გამოტანილი დათქვილი რომ რუსებს ჩამოვიართვა იი ეწყი-ნება, ბიჭო, ნოეს?

— ეწყინება.. არ შეიძლება.. ხომ ხედავ რამდონი თოფი და ტყვია ვიშო-ნეთ მაგიერში? — სთქვა ანდლულაძემ და რაზმელებს უბრძანა: „დააბრუნეთ ახ-ლადე უკან ტომრები!“

აფხაზეა გაბრაზდა. თვალები კაჟივით დაკვესა.

— რა აფიციერი ხარ შენ ამის შემდეგ, შე ღვთის გლახა.. ნე განკარგულე-ბა უკვე გაეცი და შენ გინდა თავი მოშპრა და ამ ჯარისკაცებში ნომჯაყო? — სთქვა აფხაზეამ და რაზმელებს შესძახა: „ეი თქვენ, ხომ გვიგონეთ ჩემი ბრძანება, — წაი-

ღვთი ტომრები:— რაზემელებმა დაიწყეს ისევ ტომრებისა და თუ ვინაა ვინაა...  
ანდლულაძემ შეუარაცოდა იგრძნო: ხელოვნება

— ბოლოსდაბოლოს მატარებელის უფროსიქმე ვარ და ჩემი ბრძანება უნდა  
სრულდებოდეს! რას გაეს აი, ავია ბიკობა?

— ვინ მოგახსენა მატარებელის უფროსი ბრძანდებო?— მიახალა აფხაზავამ.

— ვინ და მე გახლავარ!

— როგორ თუ შენ ხარ?

— როგორ და ისე.

რამდენადაც ვიცი შტაბ-როტმისტრი აფხაზავა მისი რაზმით იმყოფება  
ჩემს განკარგულებაში.

— აფხაზავა შენისთანა უფროსებს არ ცნობს... წყევითხე აგერ აი მანდატი  
და მაშინ გაიგებ მე ვარ თუ შენ უფროსი?— ანდლულაძემ წაიკითხა მანდატი,  
რომლის მიხედვითაც ჯავშნიანი მატარებლის უფროსად ინიშნებოდა აფხაზავა,  
ხოლო ანდლულაძე და მისი ჯარისკაცები შედიოდნენ მის განკარგულებაში..

— ხომ წაიკითხე? მასასადაწე ბრძანებას ამიერიდან მე ვიძლევი და „ბო-  
ვალუსტა“ ხელს ნუ მიშლი, თორემ უწენოდაც გაეძლებთ.

ანდლულაძე სახტად დარჩა. მანდატი ხელმოწერილი იყო ისეთი პასუხის-  
მგებელი და ღიღი პ.რის მიერ, რომ კამათი შესახებ იმისა აუ ვინ იყო ჯავ-  
შნიანი მატარებლის უფროსი, ანდლულაძემ ზედმეტად მიიჩნია და პუქრობდა:  
„საქმე მოლკვარაბჭინებით ჩემს ზურგს უკან... რა ფასი აქვს ახლა აქ ჩემს  
დარჩენას? აფხაზავას უფროსობის რა მკოდნია?! წადი და ზდიე ახლა ამ თავზე  
ხელილებულ აბდალს?“

მა მალლა განუცხადა:

— მაშ თუ ასე, ლმერთმა მწვიდობა მოქცეს, მე ჩემის რაზმით მიუღივარ...

— მიბრძანდი!— ღარ დაუპატივინა აფხაზავას.

ანდლულაძემ, თავისი რაზმითურთ, მიატოვა ჯავშნიანი მატარებელი, რომ-  
ლის ბატონ-პატრონი ამიერიდან გახდა აფხაზავა.

რაზემელებმა გადაზიდეს რამოდენიმე ტომარი პურის ფჭელი, ერბო, თივა  
და ოთხი ცხენიც წაიყვანეს.

ამ დროს ყარაიას სადგურზე მოვიდნენ აზერბეიჯანის ეროვნულ საბჭოს და  
პოლკოვნიკ თივად მადლოვის რაზემელები, რომელთაც უფარვისი თოფები ახ-  
ლად შექმნილ წაშანებზე გადაუცვილეს. ჯავშნიანი მატარებელის რომოდ-  
საწყობის უფროსმა შალვა ლევაიან და იმ რაზემელებმა, რომლებიც აფხაზავას-  
თან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყვნენ, სადგურზე ახლო-მახლო სოფლები-  
დან მოსულ მუშუღან გლეხებს თოფები, ტყვია და ფალასკები მიჰყიდეს.

ყარაიას სადგურზე იარაღის გაყიდვის ამბავი ელვისებურ სისწრაფით  
მოედო ახლო-მახლო სოფლებს და მუსულმან გლეხებმა ჯგუფ-ჯგუფად იწყეს  
სვლა სადგურზე... შალე სადგურთან „საღდათის ბაზარი“ გაიშართა. ირხეოდა  
თათრების თავებზე დიდებუნიანი ბუხრის ქუდი და იღვა აზიური ყაყანი.

ახოვანი და ზორბა ტანის მეგობრები ჩოხის უბიდან აძრობდნენ გაქონილ  
ქაღალდის ფულს და დასტობით აბარებდნენ გამყიდველთ. ჯარისკაცებს ჯერ კი-

დევ არ დაურულდებათ გაქონილ ასიგნაციების თვლა, რომ ვინაღაც მისა და თათართა უბისგან ოფლის სუნი სდიოდა, როდესაც ბაქანსე ხარი კვლავ ჩქარ-ჩქარა დარცქეს და აფხაზეას მახლობელ სიდეურდიან: ყარა-თიფაიდან ახალი ეშელონის გამოსვლა ამცნეს.

ყარაიას სადგურზე ნოვიდა ხუთი ეშელონი არტილერიით და ფენოსანი ჯარით დატვირთული. პირველი ეშელონის განიარაღებამ და აქვე მითი იარაღის გაყიდვამ აღწვოთება გამოიწვია ახლად-მოსულ რუს ჯარისკაცთმორის და მათ ჩამორთმეულ იარაღის დაბრუნება და ჯავშნიანი მატარებელის განიარაღება მოითხოვეს. სულ ტყვილა უნმარტავდა აფხაზეა სადგურის პაწია ოთახში აღწვოთებული ჯარისკაცების დელუგატებს, რომ იარაღი საჭირო იყო ამიერკავკასიის მთავრობისათვის.

ტყვიის ქურთუქში გამოწყობილი ბელაგორსკი, პაპოვი და კრუგლოვი ურჯუი და წეგნებული ბოლშევიკები აღმოჩნდნენ.

— არაკითარ ამიერ-კავკასიის კომისარიატს ჩვენ არ ფცნობთ!—უპასუხეს მათ აფხაზეას.

— თქვენ შევიძლიათ არ იცნოთ ამიერ-კავკასიის მთავრობა, მაგრამ ის რეალური ფაქტია და არსებობს—განუმარტა აფხაზეამ, თითქოს დიდი პოლიტიკოსი ყოფილიყოს.

— მთელ რუსეთში ეხლა გამოუხადებულა საბჭოების ძალაუფლება და ამიერკავკასიაშიც ჩვენ მხოლოდ ბაქოს რეე-კომის და ბაქოს საბჭოების ძალაუფლებას ფცნობთ.—სიტყვა ბელაგორსკიმ, ჯარისკაცის ძველი ქუდი მოიხადა, ხელში დაიკავა და ნაცრისფერი თვალებით აფხაზეას ბრაზით გადახედა.

— ანარქია, რომელიც ეხლა რუსეთში სუფევს ჩვენთვის საჭირო არ არის და თავზეც ვერ მოგვაყვეთ—მიახალა აფხაზეამ და თვალები გადმუკავა.

— აშანაგო, ნუ ჰლუღათ, ამას ჩვენ დავინახავთ!—უპასუხა დაციწვით ბელაგორსკიმ.

— შე თქვენი აშანაგი არა ვარ, თქვენ ჯარისკაცის სახე არა გაქეთ, თქვენ გააწიწვლეთ ფრობტი და არხეინად შინ მიბრძანდებით, მაშინ, როდესაც ეს იარაღი, მოკაზმულობა და საყვები, რომელიც თქვენ თან მიგაქეთ, საჭიროა ეროვნული კორპუსებისათვის.

— რა უნდა გააკეთოს ამ ეროვნულ კორპუსებმა?— იკითხა დაციწვით ბელაგორსკიმ.

— ის რაც თქვენ წაახდინეთ!

— მაინც?

— ჩვენ უნდა დავიცვათ ამიერ-კავკასია ოსმალთა შემოტევისგან.

— ეს კერძესკის კონტრრევოლიუციონური მთავრობის ბოღვაა... რევოლიუციონური არმია ვერ აწარმოებს იმპერიალისტურ ომს. იარაღი ჩვენ სულ სხვა ომისათვის გვესაჭიროება... დააბრუნეთ ეხლავ წართმეული იარაღი.— აღელვებული ჯარისკაცები სულ ახლოს მიიჭრენ აფხაზეასთან. აფხაზეა გაბრაზებით წამობტა, თითქოს კრანამ უტბინაო:

— დაიხიეთ უკან, ახლოს არ მომეკაროთ... შტაბ-როტმისტრის ვერა იხილავთ. არ არის ჩვეული ჯარისკაცებთან ასეთ ლაპარაკს... იარაღს თქვენ ვერ იხილავთ. მე ვარ ჯარისკაცი და შევესარულე ჩემი მთავრობის ბრძანება... რა საჭიროა აქ ლაქბობა. — შეშინებული კრუგლოვი უკან იხედა, ხმა გამოაცვალა და დათმობაზე წავიდა...

— ბაქომდე, რკინის გზის მოელ ხაზზე თარეშობენ ნუსულმან მემამულეთა ბრბოლები, რომლებიც სკარცევიც და ჰელიფენ უიარაღო ეშელონებს.

— რკინისგზის ხაზის დაცვას ჩვენ ვცისრულობთ. დარდი ნუ გაქვთ, სრულიად უვნებლად მიგაცილებთ ბაქომდე. — ჩაერთა ლაპარაკში მაცაშვილი... კრუგლოვის შემთანხმებელი პოლიტიკა არ მოეწონა ბელაგორსკის და ისევ შეტყევაზე გადავიდა:

— გნადლობო... თქვენი ინიციატივით ჩვენ შორს ვერ წავალთ: თქვენ თითონ ცარცევაში ეშელონს ჩვენ დაუყოვნებლივ ნოვითხოვო იარაღის დაბრუნებას და თუ ნებით არაფერი გამოვიდა, მაშინ ჩვენც იძულებული ვიქნებით მივმართოდ ძალას...

— ჯერ ძალა არ მიხმარია, მაგრამ თუ თქვენ ასეთ გზას დაადგით დარწმუნებული ბრძანდებოდეთ... წავიგებო.

— რას გვერეკებთ? ბოლოს და ბოლოს ჩვენ დავანახებრეთ ზარბაზნებით თქვენ კირიან ჯაყშოსთან. — ანთო ბელაგორსკი, აფხაზეამ პარაბელუმზე ხელი წაივლო და იღრიალა:

— გაეთრიე აქედან, ძაღლის ვაგდებულო. — დელეგატები ბაქანზე გამორეკა და განრისხებული იძახდა:

— სანამ თქვენ რომლებიდან ზარბაზნებს ჩამოიღებდეთ, ათას ჯარისკაცს მივაწვნიებთ. — სვირილზე შევროედენ ჯარისკაცებიც.

— რამდენი ათასი უნდა ვასწვიტო? მაშინ ჩვენ წამოვალთ ფეხდაფეხ და ქეას-ქეაზედ არ დავტოვებთ! — აფხაზეამ გაარღვია ჯარისკაცთა წრე, ბელაგორსკისთან ვეფხვივით მიიჭრა, კაცი იფიჭრებდა ესეცა უნდა გაათავოსო და სწყეპა:

ვის აშინებ, შე ცხვირმოუხოცელო? იცო თუ არა ვინ დგას შენს წინაშე.

— ვინ და შტაბ-როტმისტრა! დარდი ნუ გაქვთ, ჩინებს ვცნობ!

— დიახ, შენ წინ დგას შტაბ-როტმისტრი ევგენი აფხაზეამ, ვიორგის ჯერის კავალერი. „მერზავეც!“

— ნუ ივინებთ... ერთი ბროლის ველზედ მებრძოლი არ არის! უკანასკნელად გიცხადებთ: დააბრუნებთ თუ არა წართმეულ იარაღს? ჩვენ ძალით აგებულებთ...

აფხაზეამ გიცივით შეატრიალა თვალი. თავში საშინელმა აზრმა გაუღვდა და ბელაგორსკი სასიკვდილოდ გასწირა, მაგრამ მოაგონდა მანდატი, ანდლულადე, ტფილისი, მთავრობა, პასუხისმგებლობა, ნოე და თავი შეიკავა.

— იარაღს ვერ მიიღებთ... სცადეთ ძალით დაბრუნება! — სთქვა აფხაზეამ და თითი ლიანდაგისაკენ გაიშვირა: — ჯავშნიანი მატარებელის გარდა მთელ ამ

რკინისგზის სახზე თავშეყრილია ეროვნული საბჭოს ჯარები, ენდოვნიკები, ხიდებს, აჭრიან ლიანდაგს და ბაჭომღე ვერც ერთი ეშელონი ვერ მიახწევს, მშვიდობით:

აფხაზეა ჩქარის ნაბიჯით და დაქადნებით მივიდა ჯავშნიან მატარებელთან... რუსი ჯარისკაცები პლეღადენ. მიტინგი მოაწყვეს. ისმოდა ყაყანი: .

— მოდიო, ჩამოვილოო! ხარბაზნები და დაეცხოო... „Душем прямо по трубе... в котел... в сердце... край его, бога-мать!“

— Грузо проклятый, контрреволюционер! — შეუკურთხეს აფხაზეას... ორატორები გაპქიოდენ:

— აშხანაგებო, ამიერკავკასიის მთავრობას გადაუწყვეტია ჩენი განიარაღება... არც ერთი თოფი რევოლუციის მტრებს! გაუმარჯოს საბჭოებს... ვინ ბედაეს ეშელონების მოძრაობის შენერებას? გზა უნდა იქნას განთავისუფლებული... „Путь должен быть свободным!“ — იძახდენ ჯარისკაცები მუქარით... „Дашь брошюрасад! Едем на Баку! на Баку! на Баку!“ — ბლოდა ჯარი.

ასეთი გამწვევებუღი მდგომარეობა დიდი ხნით დამკვიდრდა. აღლევებული ეშელონების დლეეგატებმა შექნიღი მდგომარეობა შეატყობინეს ტფიღისს. დაიწყო მოლაპარაკება მათ და ეორდანიას შორის, უშედეგოთ... აფხაზეა ქედს არ იხრიდა და ის ვერავენ ვერ გატება.

\*\*\*

6 იანვარს სასახღის ტელეგრაფის აპარატმა მიიღო აფხაზეას და მუსულმანთა ცხენოსან ლეგიონის უფროსის თავადი მალაღოფის დეებმა, რომელშიაც ისინი იტყობინებოდენ, რომ ყარაიაში თავი მოყარა 5 ათას ჯარისკაციდან შემდგარ ეშელონებმა 9 ზარბაზნიით და რომ ისინი ითხოვენ ჯავშნიანი მატარებღის განიარაღებასო.

განიარაღების ინიციატორები ზიშინობას მიეცნენ. ეშინოდათ ტფიღისზე შემოტევის... ტფიღისი პლეღადეა...

ნოე ეორდანია შევიდა აღმასკომის სამხედრო სექციის თავმჯღომარის მოადღიღესთან და უკვე სხეანიირათ ანეტყვეღდა.

— კუღი ამბავი მივიღეთ... დაღყონებღეე უნდა წახეიღეთ აღთაქთღაში. ეშელონები უარს აცხადებენ იარაღის ჩაბარებაზე... როგორმე მოაწესრიგეთ ეგ საქმე... გაღშვიო მშვიდობიანის გზით ბაქოსკენ მიმავალი ეშელონები და ხელი აღლებინეთ რუს ჯარისკაცებს ჯავშნიანი მატარებღის განიარაღებაზე...

— ნოე ნიკოღოზის ძეე, ხომ ხედაეთ რა დომხალი გამოვიღა? საშინღი ევანბი განასკეთ და ებღა მისი გახსნა მე მიხღება! — უსაყვეღურა ეღენინმა ეორდანიას.

— მართალია, ნაგრამ ახღა გვიანღა არის ვინ იღოღა? ახღა მდგომარეობა უნდა გამოასწოროთ როგორმე...

— კეთიღი, მე ვიკისრებ ამ კონფღიქტის მოგვარებას, ნაგრამ ერთის პირობით... — დაეხათრა ეღენინს.

— რა პირობით?

— ჯარისკაცებს არ უნდა მისცეთ განიარაღების წინადადება...  
— კარგი...

— მაშინ თანახმა ვარ... — უპასუხა ელენინმა და მისი რბევით თანახმად ყორღანიამ რუს ჯარისკაცების წარმომადგენლებს გაუგზავნა დებეშა ყარაიაში. არწმუნებდა ჯარისკაცებს, რომ ჯავშნიანი მატარებელი გაგზავნილია ტფილისიდან რკინის გზის ხაზის დასაცავად ყაბლთა ბრძოებისგან, რომ ჯარისკაცებმა ხელი უნდა აიღონ ჯავშნიანი მატარებელის განიარაღებაზე და გაეშურონ შინსკენ მშვიდობიანის გზით.

ასეთი დებეშის მალეზის შემდეგ ეშელონების წარმომადგენლებმა წინადადება მისცნ აფხაზებს დაებრუნებია კახეთის ეშელონისათვის წართმეული იარაღი და გაბრუნებულიყო ტფილისში, მაგრამ აფხაზებამ ტფილისში წასვლაზე უარი განაცხადა და ნება დართო ეშელონებს ჩაეარა სათითაოდ ჯავშნიანი მატარებლის წინ. ეშელონებს შეეშინდათ პროვოკაციის.. ურთიერთისადმი ზიზღი და უნდობლობა კოველ წუთით იზრდებოდა და აღშფოთებული რუსები მოუთმენლად ელოდნ ბაქოსკენ მიწავალი რკინის გზის ხაზის განთავისუფლებას.

აფხაზებამ სათანადო განკარგულება მისცა ყარაიაში დატოვებულ მუსულმანურ რაზმს და დიდის მუქარით ავიდა სადგ. აღსტაფაში. მან გადასწყვიტა დაღამდე აქ ლარჩენა იმ იმედით რომ, ეშელონები დანით წამოსვლას ჯავშნიანი მატარებლის შიშით ვერ გაბედადენ, ხოლო დღიდანვე პოლკოვნიკ, თავად შალალოვისა და ექიმი რაკიბბეგოვის მიერ გამოგზავნილი მუსულმანური ეშელონები მოვიდოდნ და აფხაზვა მათთან ერთად დაიწყებდა განიარაღებას. ყარაიდან აღსტაფამდე არსებული ყველა სადგურის უფროსი ვალდებული იყო შეეტყობინებია აფხაზებსათვის რა წამს ეშელონები აღსტაფისაკენ წამოვიდოდნ. აღსტაფის სადგურის უფროსი ზორბა ტლუ ყახახი კოსტა ჩხეტია, ბუფეტის გამგე კოლია ასათიანი და ყველა მოსამახურონა დიდ შიშინობას მიეცენ, ისე როგორც ტფილისში მეოჯო მთავრობა, რომელიც აფხაზებამ აღსტაფაში მოსვლისთანავე დაიძედა. ტფილისზე გადაცემულ დებეშაში აფხაზები იტყობინებოდა, რომ ის შეუთანხმდა მუსულმანებს და სომხებს განჯაში; ეშელონებს დახედებიან შამქორში და სითითაოდ განიარაღებენ, რომ ძალები ამისათვის საკმარისი არისო და თუ ვინცობა ეშელონებმა ტფილისისაკენ წასვლა დააპირეს, ყარაიას ხიდე აფეთქებული იქნებაო.

აღსტაფის სადგურის უფროსი იყო კოსტა ჩხეტია, ახმახი და შავად გარუჯული კაცი. ნიკაპი გაპარული ჰქონდა და გრძელი უღვაშები ხარბუხისავით სურის ბიბილომდე წვდებოდა. ხშირად დაიარებოდა ბევვებთან ერთად სანადიროდ და ვარედან დიდი ვაჟაკი და გულადი სწანდა, მაგრამ ნამდვილად ნეტად მხოალი და მშინშარა იყო: ტყეილა აფუტებდა ამოდენა სხეულს, ლეშს და შეხედულებას. იგი დიდი ხანია მსახურებს აღსტაფაში. მუსულმანთა შორის ტრიალებდა და ასომილიაკიაც მომზდარა, ვინაიდან ჰგაედა თათარს.. აფხაზებამ გააფრთხილა ჩხეტია და სათანადო დარეგებები მისცა.. ჩხეტიას შეეშინდა, სახეზე ვაფიორდა და ჰქვირობდა: „რა ამიტყდა ააღა ეს აფხაზება? ომი და ტყია მჭიროდა ახლა მე უპატრონოს? დნერთმა დასწყველოს მაკვიტი კაცის სახსენებელი მარტოცა ერთი ჯავშნიანი მატარებელით აყრის იარაღს ათითას

საღდათს? და მერე ჩვენ ვაჯობებთ რუსს? კე ვიყავი ჩემთვის მისი უფროსი და ახლა ალსტაფაში მიმართავს ეს ცეცხლმოკიდებული ფრონტს! არა, უფროსი სიკვდილი მიკავია ხელში! — წუწუნებდა დედაკაცივით სადგურის უფროსი კოსტა ჩხეტია.

დილის აქეთ მშვიერი აფხაზავა, მაყაშვილი, მაკრაშვილი, მემანქანე დათუნაიშვილი და ბარგსაწყობ-რონოდის გამგე შალვა ბუფეტში შევიდნენ საეაზმ-მოდ. ბუფეტის გამგემ კოლია ასათიანმა გალიაში ნასუქი ქათმები დაბოცა და ბოთლებით მოიტანა კახური ღვინო „საერო“, სტუმრებს გაასინჯია, თითონაც გადაჰკრა და უკბილო მოხუცი მოჰყვა ჩიფ-ჩიფს; „ამის ძირი არ გახმა! ნამეტანი კაი ღვინოა, ჩემო ბატონო!“ სტუმრები შექეიფდნენ და ბუფეტის გამგის, კოლია ასათიანის დახმარებით ჩინებული ქართული სიმღერა — „ჩაირამა“ და „პატარა საყვარელო“ შემოსახეს. მხოლოდ სადგურის უფროსი კოსტა ჩხეტია იჯდა სუფრაზე მოწყენილი, შეშინებული, ზეზეულად გათავებული და თავაქინდრული ქვევიდან უცქერდა დასავლეთ ფრონტიდან ჩამოსულს, ომებში გამობრძმედილ და თავზედ ხელაღებულ ვაეკას — ეგგენი აფხაზავას. აფხაზავა უკვე შეეჭვია იმ აზრს, რომ იგი გმირია და ყოველ ახალ ომს და ბრძოლას ხალისით ეგებებოდა. ეშელონების მუქარა საფუძელიანად შეეხო მის პატივმოყვარეობას და გადაჭრით გადასწყვიტა რუს ჯარისკაცთათვის ზურგი არ ეჩვენებია, ქედი არ მოეხარა და წინააღმდეგობა გაეწია. პანიკაში მყოფი ტფილისის მთავრობა და ამიერ-კავკასიის რკინისგზის მილიციის უფროსი კანდელაკი აწ ამაოდ იფრთხილებდა მას, რომ ფრონტიდან ასი ათასი რუსი ჯარისკაცი დაიძრაო და შესაძლოა აღსწოთებულმა ეშელონებმა მთელი ამიერკავკასია გაანადგუროსო. კანდელაკმა კარგად იცოდა ფირალივით გაბედული, ამაყი და ფიცხი გურული ვაეკაის, შტაბროტმისტრი აფხაზავას ხასიათი, რომ ყარაიბ-ალსტაფას ველებსა და ტრამალზე გაჭრილი ჯაგწნიანი მატარებლის უფროსის განზრახვას ველარაფერი გადაეღობებოდა და უშედეგო დიდი ხეყწნისა, დაშინების და გაფრთხილების შემდეგ უკანასკნელ ღონისძიებას — ნოე ჟორდანიას ავტორიტეტს მიმართა: „ნოე ჟორდანია კატეგორიულად გთხოვთ თქვენ — ატყობინებდა კანდელაკი დებეშით აფხაზავას — რომ შექმნილ მდგომარეობის გამო თავი გაანებოთ აშელონების განიარაღებას, მათთან შეტაკებას და გაემგზავროთ ბაქოში“... ეს გარემოება კიდევ უფრო აქეზებდა პატივმოყვარე შტაბ-როტმისტრის სისრულეში მოყევანა თავისი განზრახვა. „შე დოუმტყიკებ ნოეს, თუ რანაირი ვიყავი ეგგენი აფხაზავა“ — ამბობდა ის და ალსტაფას სადგურში ღვინით შეზურებული იკვებნიდა:

— ვის აწინებს ის ყაზილარი ბელაგორსკი? ნაკლებათ დაუწინებია ეგგენი აფხაზავა! მობრძანდნენ იმ ზნიფხოებმა და გაგვიარალონ თუ ბიჭია?!

— ახლა ჯაგწნიანი მატარებელის განიარაღებას არ აპირებენ. ოლონდ ტფილისში წადით და ხელს არ გახლებთო... — ამბობდა მისი თანაშემწე მაყაშვილი. მათმა მხემ, აქედ არ ზამოგვედაევენ?! შეგვეწინდა და გავიჭყცი ერბაშად.. თითონ ჩაგვიარონ წინ.. საითთაოდ განვიარალებ ათივე ეშელონს და პანდურის-ცემით გვეისტუმრებ ბაქოში.



— იმე? ათივე შელონას?—წამოიძახა გაკვირვებით ბუფეტის წევრებმა კოლია ასათიანმა. ის იყო ჭარბალივით აღამძული, ჭაღარა და წაწვეტილი სისხლივით წითელი.. საფეთქელთან შავად დაბორცვილი ძარღვები სინჯარით ბეგრდენ, ლოთობისა და მომატებული სისხლის წნევის გამო...

— ათივესა.—უპასუხა აფხაზავამ.

— რუსი, ბატონო, ნამეტანი გლახაია.. ერთ ქართველზე ასი ვერ მოვა..

— ასი რაჟა ვერ მოვა შე კაცო?—არ მოუწონა სადგურის უფროსმა ბუფეტის გამგეს.

— ნამდვილათ ვერ მოვა. რუსეთში ოცდაათი წელიწადი მიცხოვრია და ვიცი.. რუსი, თუ მოასწარი და გალაზე, მერე შენია, ყმათ ვაგებდება.. ძან ქვეყანა იყო, ცხვრის დუმასავით მსუქანი—თაღე და თაღე...

— კი თაღე, შენ ნუ მომიკვდები, მარა თუ ერთმანეთს პირი მისცენ და იზულიეს, მტრისას მერე—წამოვა ასიათასი და მილიონი... სად დედიშენის..... მიძვრები მერე? აბა, თუ ვაეკაცი ხარ დოუბეთი წინ!—უთხრა ჩხეტამ ბუფეტის გამგეს.

საქმეც სწორედ ამაშია, რომ პირს ვერს მიცემენ ერთმანეთს.. რუსი უტყინოა და ლენგური.—შენიშნა ჩხეტას შალვა ლეგავამ, მელიასავით ეშმაკი და მოჭწვანო თვალები აათამაშა, აფხაზავას გაუცინა და მისი სადღერაძელო დალია. მაკარაშვილმა ბუზრის ჭუდი მარცხენა ხელით უკან გადახრილ თავზე დაიმავრა და „საერო“ გადაჰკრა.

ამ დროს შემოვარდა აქელებული მეტელეფონე:

— არიქა, ბატონო, ეშელონები გამოსულა ყარაიაზიდან.

— ვინ გადმოქცა დებეშა?—იკითხა აფხაზავამ და ყველანი ფეხზე დადგნენ. როგორც სჩანს ბოლშევიკურად განწყობილ რუს ეშელონებს ერთმენეთისათვის პირი მიუცია!

— სალოღლის.—უპასუხა მეტელეფონენი.

— როგორ? ბეიუქ-ქიასიქი, სოუხ-ბულახი გამოუვლიათ და ჩვენ არც ერთმა სადღურის უფროსმა არ შეგვატყობინა? ძაღლის შეილები.. ყველას დაეხუცავ!—ცხარობდა აფხაზავა.

— ბეიუქ-ქიასიქის და სოუხ-ბულახის უფროსები რუსებია და იმიტომ.—ჩაერია ლაპარაკში ბუფეტის გამგე.

— სალოღლის?

— ქართველი. წუღისკირი.

— არა უშავს. ფოილის შემდეგ ლიანდაგი ავყარეთ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა. აბა, ბიჭებო, მატარებელზე... მე განჯას დაველაპარაკები.

მემანქანე დათუნიაშვილი დათვივით მიძუნძულდა ორთქლმავალთან და ამოდენა ვაეკაცი კიბეზე ბურთივით ავარდა...

განჯასთან დალაპარაკება არას გზით არ მოხერხდა.. აღშფოთებული ეშელონები აღსტაფას უახლოვდებოდნენ. გაუტყებელი ვაეკაცის და გმირი შტაბ-როტმისტრი აფხაზავას აღელვება, შიში და ცუბ-ცხელება აღიბეჭდა ტელეგრაფის ბაბთაზე.

— ... „ განჯა.. განჯა.. ეძახის აღსტაფა .

ერეკინეული

მე ვარ აფხ... ძლიერ საჭიროა.. თათრის პოლკის უფროსის (აწვევტიინებენ) გესმით. მე შემუქრებიან აქ ეხლავე მიიღეთ.. (ისევ აწვევტიინებენ). მორიგე გაწოდებთ თავის დებეშებს... ვიცი. მაგრამ მე დავხარალდები ძლიერ... (აწვევტიინებენ) დაუყოვნებლივ მიიღეთ ერთი დებეშა თათრის პოლკის კომანდირისათვის (აწვევტიინებენ) აი მიიღეთ (აწვევტიინებენ) პო ჯავშნიანი მატარებელი სამი... (აწვევტიინებენ) ნახევარი წუთი დრო... (აწვევტიინებენ) ღმერთო... განჯა... განჯ... გან... ეხლავე მიიღეთ... (აწვევტიინებენ) მესმის მაგრამ რა მოხდა ისეთი, მიიღეთ ჩემგან 14 სიტყვა... (აწვევტიინებენ) მე ხომ საფრთხეში ვარ თუ თქვენ არაფრად გიღირთ რომ თქვენი ამხანაგი დაიღუპება თქვენივე მიზეზით აბა მალე (აწვევტიინებენ) გახსოვდეთ რომ თქვენ გავისწორდებით როგორც ძაღლს, დაუყოვნებლივ მიიღეთ თორემ დაიღუპებით ყველა... (აწვევტიინებენ) ღმერთო ღორი ხარ ამის შემდეგ... (აწვევტიინებენ)“.

ეტყობა ამ ღამით მორიგე ტელეგრაფისტი აფხაზავას ამხანაგი არ ყოფილა და მისი დაღუპვაც არაფრად უღირდა. ის თანატურძნობდა ბოლშევიკურად განწყობილ ეშელონებს და აფხაზავამ შოლოდ გარიგრაიასას მოახერხა გადაეცა მუსულმანური ლეგიონის უფროსის თავადი მალალოვისათვის საჭირო დებეშა განჯაში: „მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით უკან ჯარისკაცთა ხუთი ეშელონი მოითხოვს ჩემ განიარაღებას, ვთხოვთ ჩამოხვიდეთ სადგურზე დაწვრილებით აქ“.

სადგურ განჯაში მოხდა მალალოვისა და აფხაზავას შეხვედრა. მალალოვი და მისი ამაღა მოვიდა სადგურზე განჯიდან ლეგიონის ეტლით. პოლკოვნიკი თავადი მალალოვი იყო კავალერიის ცნობილი ოფიცერი, საშუალო ტანის, მაგრათ აშენებული კაცი. წაბლისფერი უღვაში ინგლისურად ჰქონდა გაპარსული და თავის ქალაზე შერჩენილი თნის ორიოდე ღერი დიდის მუკაითობით შუაზე გაყოფილი. მისი სახე იყო წითლური, სახეე სიმშნით და ომის ცეცხლით და ქარიშხალით გამოქარული. თვალები—მუქი, მწვიდი და აუღელეებელი.. მას ეცვა ნაცრისფერი დიავანალის პალტო და თავზე ეხურა კრაველის დაბალი ელალი ბუხრის ქუდი. მალალოვს ახლდა მალაღი, ცხვირ-კეხიანი შტაბის უფროსი და ახალგაზრდა, პატარა და ღამაში ოფიცერი, როტმისტრი. იგი იყო დამბაჩის ჩახმახივით მომარუთლი, სარმასავით წვრილ და კობტა ფეხებზე მდგარი, მზარბეჭიანი, ბუღასავით მოცლე და სტელეკისრიანი, რომელსაც ძალზე შვენოდა მწყობრ და შავვგრემან სახეზე ელვარე დიდრონი შავი თვალები, ხშირი წარბები, სწორი პაწია ცხვირი და ინგლისურად გაპარსული პატარა უღვაშები. პოლკოვნიკი თავადი მალალოვი და ოფიცრები მიეძალმენ ჯავშნიანი მატარებლის უფროსს აფხაზავას და მის თანაშემწეთ—მაყაშვილს და ნაკარაშვილს. შეიქნა ქართველ ოფიცერთა თათობრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თათრის პოლკის კომანდირი, თავადი მალალოვი. იგი იყო მონარქისტი, რევოლიუციის მტერი, ეშელონების განიარაღების დიდი მომხრე, მუსულმან ბეგების ერთგული მეგობარი და მოკავშირე.

— პრინციპიალურად ჩვენ მიღებული გვაქვს განიარაღება—განაცხადა მან—ჯავშნიანი მატარებლის გარდა მე შემიძლია გამოვიყვანო 600 ჯარისკაცი;



პირველ საჭიროების თანავე, ექიმი რაფიბეგოვი მოგვანუდისა და მისი შვილი-  
 ლეზულ მუსულმანს. განიარაღება უთუოდ ჩვენი გამარჯვებით დასრულდება და  
 ეხლა ჩვენ არ უნდა დავკარგოთ არც ერთი წუთი. ეხლავე გაუგზავნეთ დეპეშა—  
 უთხრა მან აფხაზავას—აღსტაფის უფროსს და უბრძანეთ, რომ არც ერთი ეშე-  
 ლონი თქვენი განკარგულების გარეშე აღსტაფიაში მან არ გამოუშვას; გააფრთხილე,  
 რომ ლიანდაგს ჩვენ დაუდევით ნაღმი. ერთი საათის შემდეგ შამქორში გაგზავ-  
 ნილი იქნება ჩვენი ეშელონები. განიარაღება უნდა მოხდეს შამქორში..

აფხაზავამ შეასრულა მაღალოვის ბრძანება: აღსტაფის სადგურის უფროსს  
 გაუგზავნა დეპეშა განჯიდან და ჯავშნიანი მატარებლით შამქორში ჩავიდა.

\* \* \*

ყარაიაში მდგომ რუს ეშელონებს აღსტაფისაკენ წასული ჯავშნიანი მატარებელი არ აძლევდა მოსვენებას. როდესაც დაღამდა ეშელონები ყოველ წუთს ელოდენ თავდასხმას. ჯარისკაცებმა ვერ აიტანეს თავდასხმის საშიშროება, მოლოდინი, გაურკვეველი მდგომარეობა, მოიხსნენ და აღსტაფისაკენ ჯავშნიანი მატარებლის განსაიარაღებლად მტკარით გაეშურენ.

ასეთი დაქვიშული მდგომარეობის დროს ჩამოვიდა ტფილისიდან აღმასკომის სამხედრო სექციის თავმჯდომარის მოადგილის ელენინის მიერ შემდგარი კომიტეტი: სივენკო, კრუპკო და მიტიუხინი, რომელთაც სადგურ ალთაქოლში ეშელონები აღარ დაუხვდათ, ვინაიდან ეშელონები ბოლშევიკი შემანქანის ლეჟავას ზეგავლენით გაეშურენ თავის ამხანაგების საშეუღლად და ჯავშნიანი მატარებლის განსაიარაღებლად.

შამქორში ჩამოვიდა განჯიდან გამოგზავნილი მუსულმანების ორი ეშელონი. მაღალოვმა და აფხაზავამ შეატყობინა ტფილისს იმ ძალთა ზღაპრული რაოდენობა, რომლითაც ისინი აპირებდნენ განიარაღების დაწყებას შამქორში..

ამ გარემოებით დაინედებულმა მთავრობამ ეშელონების მიმართ კილო გამოიკვალა.

მ იანვარს ტფილისის სასახლიდან აფხაზავამ მიიღო შემდეგი ბრძანება: „წინადადება მიეცით ეშელონებს დატოვონ არტილერია და ტყვიადრკვეველები და თოფების ნახევარი რაოდენობა მაინც და არ აიღოთ თქვენ თავზედ მძიმე შედეგების პასუხისმგებლობა“...

ამრიგად აფხაზავას და მაღალოვს ნება დაერთოთ ჩაეტარებიათ განიარაღების ოპერაცია და უკანასკნელ ფრაზას ისინი არავითარ წინშეწელობას აღარ აწერდნენ. აღლუცებულმა რუს ჯარისკაცებმა ტფილისიდან გაგზავნილი დელეგაცია დაატყვევეს და მძევლად დაიტოვეს..

ამ ეჟამად სადგურ დალიარზე იყო შვიდი ეშელონი ხოლო აღსტაფიაში სამი და შამქორში ჩამოსულ პოლკოვნიკმა თავადმა მაღალოვმა, რაფიბეგოვი და აფხაზავამ გადასწყვიტეს ათივე ამ ეშელონის განიარაღება.

## XIII

 ზეპირსიტყვიანი  
 ზეპირსიტყვიანი

რკინისგზის ხაზისაკენ დაიძრა აზერბეიჯანის ბეგების მიერ გამოყვანილი ხუთი ათასი შვიარალბული მუსულმანი. შამქორის სადგური დალიარ-განჯამდე სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. აქა-იქ სწარმოებდა სანგრების თხრაც, სადგურ შამქორის ბალთან იდგა ფურგონები და ორთვალეები. განჯიდან შამქორში მოდიოდა სამხედრო მატარებლები, ახალ-ახალი ეშელონებით. სადგური სავსე იყო ოფიცრებით.

დღეს ჩამოვიდა ექიმი რაფიბეგოვი, ბეგები—რასულზადე, მამედოვი, ვიზიროვი და რიზა-ხანი,—მაღალი, ახოვანი და გრუნა თათრები. მათ ახლდა ოსმალ ოფიცერი. ბეგების ეს ფუსფუსი და ომისათვის მზადება გამოწვეული იყო ამიერკავკასიის საზღვრებზე ერთმორწმუნე ოსმალთა ჯარების მოახლოვებით და რუსეთის არმიის დემობილიზაციით.

ბეგებმა გადასწყვიტეს თავისი ხალხის შვიარალბეა, ხოლო კავკასიის არმიისათვის ზურგში მახელის უფრო მონარჯებულად ჩაცემას ხელმძღვანელობდა ოსმალეთიდან ჩამოსული მაიორი, ინსტრუქტორი. მას ჩანთაში ჰქონდა კავკასიის რუკა, გულზე დურბინი და გერმანულ ოფიცრის იტიმეზოდა. ამ გაქცეულობის მოწინავე დრომად გამოვიდა პოლკოვნიკი, თავადი მაღალი, შტაბ-როტმისტრი აფხაზეა და ქართველი ოფიცრები, რომელთაც გადაიტანეს იმპერიალისტური ომის საშინელება ოთხი წლის განმავლობაში რუს ჯარისკაცებთან ერთად და ეხლა ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ მოვლინებულნი აწარმოებდნენ ამავე რუს ჯარისკაცების განიარაღებას.

აფხაზეა და მისი ჯავშნიანი მატარებელი უკვე უბრალო იარაღი იყო ამ საერთო გეგმის განხორციელებაში, თუმცა გარეგნულად მთელი ამ ოპერაციის მეთაური თითქმის ის იყო. განიარაღება ფართო ხასიათს ღებულობდა. ეშელონებს გზა გადაუჭრეს შამქორში და შეტაკება აუცილებელი შეიქნა. ამ შეტაკებისათვის სანქცია მოსული იყო ამიერკავკასიის მესვეურებისგანაც. მაღალი და აფხაზეას მოლაპარაკებას ამიერკავკასიის მთავრობის სახელით ეშელონების წარმოადგენელებთან აწ არავითარი ფასი აღარ ჰქონდა: მოხდებოდა ის რაც აზერბეიჯანის ბეგებს სურდათ. ბეგები ეწეოდნენ აგიტაციას გლეხობაში, ათრობდნენ მათ რელიგიური ფანატიზმით და სწამლავდნენ ეროვნული ზედლით. მუსულმანთა საომარ განწყობილებას ამხელიებდა ოსმალთა ჯარების მოახლოვება და ბეგები რუსეთიდან გამოყოფილ საქართველოს სთვლიდნენ თავის მოკავშირეთ.

— იახში კომანდირ! იაშასუნ გურჯისტანი! — იძახდნენ თათრები თავის მოკავშირე ქართველ ოფიცრების დანახვისას..

ამოდ ცდილობდნენ ასეთ პირობებში ფრონტიდან მომავალი ეშელონები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. ეშელონები მიდიოდნენ დათმობაზე: უარს აცხადებდნენ ჯავშნიანი მატარებლის განიარაღებაზე და მოითხოვდნენ მის გაბრუნებას ტფილისში. თუ აფხაზეას ეშინია ეშელონების მხრიდან თავდასხმის, მაშინ—ამობდნენ ისინი—როდესაც ჯავშნოსანი ეშელონებს ჩაუღლის ზედ ჩვენი წარმომადგენლები დადგებიან და თუ ჩვენი მხრიდან იწარმოებს თავ-

დასბმა ყველაზე უწინ ისინი დაიბოცებინათ. საინტერესოა შემოღობვის დანიას მოლაპარაკება ეშვლონების წარმომადგენლებთან, რომელიც არ წავიდა დამობახე, ვინაიდან აფხაზავა არაერთარ შემთხვევაში არ დაბრუნდებოდა ტფილისში და ეშვლონებს ურჩედა თითონ ჩაეარათ ჯავშნიანი მატარებლის წინ. ეშვლონები ვერ ბედავდენ ჯავშნოსანის წინაშე ჩავლას.

ეშვლონებმა გაიგეს შამქორში ქართველებისა და თათრების საომარი მზადება და საშინლად გაბრაზდენ.. აღსტაფაში დიდი შიტინგი მოეწყო. ორატორები აღწვითებას გამოსთქვამდენ:

— ამხანაგებო, — ამბობდა პაპოვი — გზა გადაქრილია.. აღსტაფიდან ვერ გავა ვერც ერთი ეშვლონი. სანამ არ მივიღებთ საანისო განკარგულებას ჯავშნიანი მატარებლის უფროსიდან..

— წავიდეთ ბაქოსკენ.. — ჰყვიროდენ ჯარისკაცები..

— როგორ უნდა წავიდეთ? ლიანდაგი შამქორთან აყრილია და ნალმებით აგვაფუთქებენ.. — უნშარტაუდა ჯარისკაცებს პაპოვი — ჩვენ წინადადებას გვაძლევენ ჩაუაროთ ჯავშნიან მატარებელს ნაწილ-ნაწილ..

— პრავეაკცია... გვატყუებენ... მივდივართ ყველანი ერთად.. — ეძახდენ ჯარისკაცები რევოლიუციონური კომიტეტის წევრს პაპოვს..

— ჩვენ წინადადება მივეციით თითონ ჩავვიაროს ჯავშნიანმა მატარებელმა.. ეშვლონები იქნება გაჩერებული აღსტაფა-შამქორს შორის.. ჩვენი წინადადება უარყოფილი იქნა: სჩანს არ გვენდობიან..

— არც ჩვენ ვენდობით.. — დაუძახეს პაპოვს.. — ამხანაგებო, წავიდეთ ყველანი ერთად ბაქოსკენ.. გზა უნდა იქნას თავისუფალი.. ელისავეტობოლი უნდა იქნას თავისუფალი.. ცხენები უჭმელობის გამო იბოცებინან.. სურსათი აღარ არის.. ჩვენ გველის სიკვდილი... როდის მოეღება ბოლო ამ უმსგავსოებას? რა სურთ ჩვენგან? ჩვენ ფრანტიდან მივდივართ შინ, მივდივართ მშვიდობიანის გზით და არაეის ვებრძვით, მაგრამ თუ გზა გადაგვიკრეს და წინ გადაგველობენ, მაშინ ჩვენ ძალით გავარღვევთ ამ წრეს.. ძირს კონტრევოლიუციონური ბანდები.. გაუმარჯოს საბჭოებს.. წავიდეთ ბაქოსკენ... — იძახდენ ჯარისკაცები..

ეს იყო ეშვლონების პასუხი და გადაწყვეტილება.. რევოლიუციონურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გაეგზავნა დელეგაცია შამქორში, რომ თავისი თვალთ ენახათ მოწინააღმდეგეს ძალები და მშვიდობიანის გზით მოეგვარებინათ კონფლიქტი.

დღის პირველ საათზე შამქორში ჩაწვიდენ ყველა ეშვლონების დელეგატები. მათ აქ ნახეს უამრავი შეიარაღებული ხალხი, ჯარის ნაწილები და საომარი განწყობილება.. დიდი ხნის ბჭობის შემდეგ დელეგატებმა ინახულეს მალალოგი, აფხაზავა და ასეთი პასუხი გასცენ:

— პრინციპიალურად ჩვენ თანახმა ვართ ჩაგაბაროთ იარაღი.. დავარწმუნებთ ჯარისკაცებს.. ჩვენ გვიანტერესებს — რა პირობებში უნდა მოხდეს იარაღის ჩაბარება?

— სადგურს ჩაივლის ორ-ორი ეშვლონი.. განიარაღება მოხდება შამქორში.. — უპასუხა მალალოვმა

რევოლუციონური კომიტეტის დელეგატები გრძნობდნენ ცალკეად მდ  
 პასუხისმგებლობას:

— შთლიანად და ყველა ეშელოხები იარალს არ ჩაგაბარებენ.. თქვენ  
 უნდა დაქმავოფილდეთ ორი ეშელონის განიარალებით.

— რამდენსაც საჭიროდ დაეინახავთ! უპასუხა ცივად შალალოვმა.

— ამ რკინის გზის ხაზს გაიფლის ასი ათასი ჯარისკაცი. რა უფლების  
 ძალით ანიარალებს ამიერკავკასიის მთავრობა კავკასიის მთელ არმიას? ეს მთე-  
 ლი რუსეთის საკითხია..

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე რუსეთს წართმეული  
 აქვს ეს უფლება და ამჟამად ამ საკითხს ვერ გადასწყვეტს..— უპასუხა შალა-  
 ლოვმა.

— შით უშეტეს ვერ გადასწყვეტს ამ საკითხს ამიერკავკასიის მთავრობა.

— ეს მთავრობა გამოდის მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიის სახელით.  
 იარალს რომელიც თქვენ გინდათ წაიღოთ, ხელთ იგდებს რუსეთის ხალხისა და  
 დემოკრატიის მტრები..

— ჩვენ ვფიქრობთ პირიქით, მაგრამ ეს შეტად მნიშვნელოვანი პოლიტი-  
 კური საკითხი აქ ვერ გადაწყდება. ჩვენი პასუხი ნათელია: განიარალებულ უნდა  
 იქნას მხოლოდ ორი ეშელონი..

რევოლუციონური კომიტეტის დელეგატები და შალალოვი ამ საკითხში ვერ  
 შეთანხმდნენ. საღამოს ექვს საათზე დელეგატებმა განუცხადეს შალალოვს და აფ-  
 ხაზაევას, რომ პასუხს შეგატყობინებთ ხვალ დილითო. ამ პასუხის მოლოდინში  
 აფხაზაევას ჯაგწნიანი მატარებელი და თავადი შალალოვი ღამით შამქორში  
 დარჩა.

## ქ ი ა კ ო კ ო ნ ა \*)

### XVI

— ამხანაგო ოქროპირ, ერთი სახვეწარი მაქ, იმედია არ გამამგუნებ და ამ ჩემ ჭალარას პატიეს დადებ!

— რას ბოდიშობ, მიკვირს სწორედ, თქვი!

— საბოდიშოზე მეტია, უბრალო რამიზა არ გაწუხებ, ასე რო არ იყო, ცალფეხა კაცს იმ სიშორიდან რა მომიყვანდა!

ოქროპირი წამიერ ჩაფიქრდა და კვლავ სათამამოთ მიმართა:

— მაინც რაა ასეთი, ამიხსენი, ნუ გერიდება!

— აი, ზოტაშვილის ბიჭის თაობაზე გეახელი, — დუნეთ დაიწყო თეოფილემ, — მისი დედისა და დის საცოდაობამ პირდაპირ დაგვანელა ყველა... საწყალი ლევანტი იყო და ციხეში ამოხდა სული, ეხლა ი ბიჭსაც თუ რამე დევმართა, ნამდვილ ჭკუაზე შეიშლებიან. ჰო და, ჩემი მუდარაა, რამეფრათ ისე გაუწიო მფარველობა, რო მარტო ციხე აკბარონ, სიციოცხლეს ნუ მოუსპობენ... ბავშია ჯერ, გამოსწორდება.

თეოფილემ ჩაბალახის ტოტით შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა და დაუმატა:

— თქვენ ხელში გაზრდილია, გემახსოვრებათ! ჭკვიანი ბაღლი იყო, მარა...

ოქროპირი თავდახრილი უსმენდა თეოფილეს. მის უკანასკნელ სიტყვებზე რალაცამ ტალკვესივით გაპკრა გულში და მიჭინებული გრძნობები კლავატრებივით აენთენ. მათ შუქზე გამოჩნდა სოფელი, სკოლა, მოყვიენე ბავშვები, ბავშვებს შორის ცქრილა, მსხვილ ნაწნავეებიანი მარო და ოქროპირი უნებურათ შეტოკდა.

უხერხულობის დასამალათ, მან ერთბაშით უპასუხა:

— ძნელი საქმეა, მაგრამ ვეცდები, როგორმე შევეუმსუბუქებთ სასჯელს.

— მამაშვილობას გაფიცებ, ნუ დაიზარებ გარჯის, კი ვიცე თქვენ სიტყვას რაფარი გასაგალი აქ!

— ვნახოთ, ვნახოთ!

— აბა, დავაიმედებ ი ჭალებს, ა?

\*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 9—8.

მოუთმენლად შეეკითხა თეოფილე და ყავარჯნები მოიმაჯნა.

— კარგი, კარგი?

ლიმილით მისცა დასტური ოქროპირმა და წამოიღვა.

— რატომ ასე გულდაგულ სწადია მისი გადარჩენა? იქნებ სიძეა, ან სასიძო?!.

უეცრათ გაუღელვა ოქროპირს და შურთან ერთათ მაროს ამბის გაგების სურვილმა აიტაცა, მაგრამ თეოფილე უკვე ქუჩაში იყო და ჯოხებზე ღლიავებით დაკიდებული კალიასავით მიზტოდა.

მართალია, ღეხის მოკვეთის შემდეგ თეოფილეს კიდევ უფრო გაძნელებული ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მისი სიმზნევე ვერც ამ უბედურებას გაეცხება. არც თუ ხანდაზმულობას იმჩნევდა და ყავარჯნებს ისე შეეჩვია, რომ ბევრს შეწურდა მისი სიმაგრე.

გული სიკეთის საკურკლეთ ჰქონდა, თუმცა მისი სახე იშვიათად ამჟღავნებდა ამ თვისებას და მრავალთათვის გამოუცნობი ზღებოდა ცალფეხა კაცის ზრუნვისა და წყენის საგანი.

მოყვასთან სიტყვაეც ტბილი იცოდა და მისმა ნუგეშმა თადეოზის დედასა და დას წყლული დაუბა, ბოლო მწუხარებით დაოსებულ მაროს, მამისგან გაგონილი, უკვდავების წყალივით ეპკურა.

მთვარეულს დამსგავსებული ქალი გამოფხიზლდა, მაგრამ მაინც ვრცელი იყო მისი სევდა, თეთრათ ნათუნ ღამეთა ფიქრები და დაისრულ გულის ტკივილი.

მაროს ამგვარი უნერობა ვეღას უყვირდა.

მხოლოდ ანუსიმ იცოდა მისი ვაების მიზეზი და საიდუმლოს უნახავდა, თან მომეტებულ ელოლიავებოდა, რომ ჰირისათვის გაეძლო.

არც თუ ღამით სტოვებდა მარტოს და რულ დაკარგული მარო შეშინებულ ბავშვივით ეკვროდა მის მკერდს, რომელზედაც დაჩუტული ძუძუები მკვდარ ჩიტებივით ეკიდენ, მაგრამ ამ ძუძუებს და ყავარივით ხმელ მკერდს ჯერ კიდევ იმდენი სითბო შერჩენოდათ, რომ დარდით გათოშილ მაროს სასაციოცხლო ძალას მატებდა.

— გოგო ნუ ასკდები გულს, თვარა დაქლეტდები შეილო, წახდები ქალი, იმას რაში წაადგება შენ რა თავი მიეკლა, ა? აწი რა უქირს, ცინეში იმისანები არიან!.. მო, მართლა, ამ კვირას ბიძაშენთან არ წახვალ? მამაშენი მიდის, რაღაი შერიგდენ მისვლა-მოსვლაც ქე უნდა ეწნეთ. მადლობა ღმერთს, ბოლო მოელო მათ შორის შულსა და მდურებას. უთუოთ წადი, თვალი გაახილე, ცოტა გულზე მოგეშვება...

— რას ამბობ ბებია, წვეულებაში რა მინდა, მაგის გუნებაზე ვარ!

შეშფოთებით უპასუხა მარომ.

— არ ვარგა ასე, ოქროპირის ხათრი მაინც უნდა იქონიო, სახრჩობელას გადაარჩინა კაცი... მამაშენი მთლად მისი გულისათვის შეურიგდა მოსიას, თვარა რო ოქროპირი არა, მგონია ისე მოვკვდებოდი, ერთხელ დალაპარაკებულსაც ვეღარ ვნახავდი შეილებს. კი, უნდა წახვიდე აბა!



ოქროპირის ხსენებაზე მაროს რაღაც უსიამო გრძობებზე ვეფხველეთ გულით ის ოქროპირს უმაღლოდა სიკვდილისაგან თავდოვის გადაჩვენას, მაგრამ იმავ დროს უყვირდა მისი ლმობიერება, რადგან მათ შეურთებულ მტრებათ თვლიდა და ეს მტრობა მაროსაც ეხებოდა. ამიტომ მაროს ვერ წარმოედგინა ოქროპირთან პირისპირ შეყრა და იმ ხალხში გარევა, რომელთა წინააღმდეგაც იბრძოდა თავდოვი.

წიუეულების დღეს მარომ ავადობა მოიმიწვნა, ბევრიც იტირა, მაგრამ უარი არ გაუვიდა და ნაძალადევიდ მოიკაზმა.

როცა ანუსი და დარცხენილი მარო აივანზე ავიდნენ, წინ გამოგებებულმა კესომ ყასიდათ გადაკოცნა მაზლიშვილი და ჩვეულ კისკისით მიგვარა ნოწამეთის ახალ არქიმანდიტთან განკრძობებით მუსაიფში გართულ ოქროპირს.

მისი უუცარი გამოცხადებით გაოცებული ოქროპირი მაშინვე ზეზე წამოჭრა და ვიდრე ისინი ერთმანეთს მიესალმებოდნენ, ანუსი მოწინააღმდეგე ხელზე არქიმანდრიტ ესტატეს და კურთხევა გამოსთხოვა.

ოქროპირი უხმოთ უუცქეროდა თავაქანდრულ მაროს და აღრე, დიდხნის წინათ განცდილი, ეხლა თანდათან უცხოველდებოდა. ამ უჩვეულო შინაგან დღეღვას უკვე ვნაბრგვილით გაეხადა მუდამ თამაშათ მოლაპარაკე და სასურველ ქალის ხილვით დატყვევებულს თავი სიზმარში ეგონა.

ოქროპირის ასეთმა უცნაურმა შეხვედრამ მაროს წაართვა ფიქრის უნარიც, ის განიცდიდა ყოველ სახრის საშინელ მოდუნებას, მაგრამ მისივე გასაოცათ, კვლავ ვანაგრძობდა ქანდაკებასავე დგომას.

მარო უაზრო ფინით დასცქეროდა იატაკს და დახრილ წამწამებისაგან ბეზელას ფრთების ტოლა ჩრდილები [ეფინა ისედაც ამოლილაკებულ უბებთან, რის გამო სიფთარე შორეულ მის ლაწევებს მეტი მიმზიდველობა მისცემოდა.

დასრულებულ ტანის ნაკეთები მკაფიოდ უჩანდა სიდა, მარამაშა სამოსში. მკერდის კორდები ტალღებით უტოკავდა და ზედ გადმოვდებულ ცალ ნაწნავის ბოლოს სიშინდის ტაროს ფოჩივით ჩენდა.

— აღარ შეგფერის კეთილო მამო დედათა ტრფილი, გეყოფა! კილვით ჩასჩურჩულა კესომ, მაროს კდემამოსილებით მზერა გამახვილებულ ესტატეს და შემდეგ სიცილით ოქროპირს მიმართა:

— ხო ვაგიკირდა ცნობა, ხედავ შენი ნამოწაფარი როგორი ქალი დადგა? ნამდვილი კრასავეცაა, ასეთ უბიწო ქალს ქალაქში წამლათ ვერ ნახავ!

— მართალია, მართალი, ქალაქელი ქალები მარტო ტიკინები არიან!

გამოეხმაურა კესოს გვარდიის ახალგაზრდა ოფიცერი ერისტო უგრებელიძე, მაგრამ ოქროპირმა რატომღაც ისე მკაცრად გადახედა მას, რომ ქათინაურების ხალისი ერთბაშით დაეკარგა.

მარო სირცხვილმა დასწვა. მან დამფრთხალ შევლივით მიმოიხედა ირგვლივ და გაქცევა განიზრახა, მაგრამ ამ დროს კესომ ხელი წააგლო მკლავში და მეორე ოთახში გაყვანა დაუპირა, თან ოქროპირს ეშმაკური ღიმილით ესროლა:

— თქვენ მუსაიფი ვანაგრძეთ, ჩვენ კი სუფრას ვავაწყობთ, ისედაც დავვიკვიანდა სადილი!

სტუმრები კვლავ ახმაურდნენ.  
ერისტომ გრამაფონი მომართა და ოქროპირს ყურში თაღლივით ჩაე-  
წვეთა:

„რათ არ მწყალობ ცოდვა არ ვარ“!

— მობრძანდი ოქროპირ, ლამაზი ქალები მღვდლებისა და პოლიტიკოსე-  
ბისათვის არ არიან გაჩენილნი!

ხმადაბლა მიიწვია ესტატემ სახტათ დარჩენილი ოქროპირი და შავი კოთ-  
ხო გაისწორა.

— მღვდლების რა მოგახსენო, მაგრამ პოლიტიკას ქალები არაფერს  
უწავენბენ!

მოგვიანებით, ოზუნჯობითვე უპასუხა მან და დაჯდა.

— არაა მართალი, ლამაზი ქალები პოლიტიკას თვითონ ქმნიან და მაშა-  
სადამე, თქვენ პოლიტიკოსები მათ გაუღენას ბევრიც რომ ეცადოთ, ვერ აიცი-  
ლენთ.

— ქალების საკუთარ პოლიტიკაზე ლაპარაკი სხვა არა იყოს—რა, უცნაუ-  
რია. ის რასაც თქვენ პოლიტიკას ეძახით, წარმოადგენდა მხოლოდ კეთილშო-  
ბილ ქალთა კაპრიზს, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ ვიწრო არისტოკრატიულ  
წრეებში და რომელიც ოდნავათაც არ ყოფილა დაკვივრებული ქალთა უფლე-  
ბრივ ბრძოლის იდეებთან.

— ყველა ქალი უპირველესად ბიბლიურ ქალის განმეორებას წარმოად-  
გენს და თუ ეს ასეა, არ შეიძლება მას არ ქონდეს კაპრიზი, ანუ საკუთარი პო-  
ლიტიკა, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ხშირად დიდ როლს თამაშობს და თვალ-  
საჩინოთაც ცვლის მოვლინებებს. აი, ავიღოთ თუ ვინდ თეოფილეს პირწმო. მის  
კაპრიზს ბევრი პოლიტიკოსი შესწირავდა თავის პოლიტიკის ურყევობას. კაპ-  
რიზი კი მასაც უთუოთ აქვს, რადგან ისიც ქალია.

ოქროპირს უეცრათ მოეჩვენა, რომ მან მართლა მაროს გულისათვის შეუ-  
შუბუქა სასჯელი ყაჩაღს და უნებურათ შეიშმუშნა. ცოტა ხნის სიჩუმის შემ-  
დეგ, ოქროპირმა წყნით მიმართა არქიმანდრიტს:

— რა კაპრიზზე ლაპარაკობ ვერ გამიგია! ქალი იგივე ადამიანია და  
ითვლება ცხოვრების თანაბარ მონაწილეთ. მართალია, სოციალურ და ეკონო-  
მიურ უკუღმართ პირობების გამო ქალი მოკლებულია ბევრ ადამიანურ უფლე-  
ბებს, მაგრამ ეს არის უკანონობა მხოლოდ და არა „ღვთით დადგინებული  
ხვედრი“. ამიტომ ბუნებრივია ჩვენი ბრძოლა ამ უსამართლობის წინააღმდეგაც.

— ტყუილად ირჯებით!

— თქვენ გგონიათ ასე!

— მე გგონია, რომ ქალის მდგომარეობის ასე საშინაო დასახვა, გაზვი-  
დებულია. თქვენი რაინდული სურვილების განხორციელება ქალს დაუკარგავდა  
დედის და ცოლის გრძობებს, რაც თავისთავად გამოიწვევდა ოჯახის დანგრე-  
ვას. ეს კი უფრო დიდი უბედურება იქნებოდა ქალისათვის, რადგან მისი  
ნებიერი ბუნება მოითხოვს მასზე ძლიერთან მუდმივ კავშირს. ამ კავშირის გა-

რეშე შეუძლებელია ოჯახის შექმნაც. ოჯახია ნამდვილი ცხოველი, რომელიც კი ქალს უპირებთ ოჯახიდან შარაზე გამოყვანას და ამით აღბედლებით კაცსაც.

დინჯათ წარმოსთქვა არქიმანდრიტმა და თავისი აზრის დასაბუთება თვითონვე მოეწონა, რაც სახეზედაც დაეტყო. მან კმაყოფილებით დარბაზს თვალი მოავლო და ყურადღება გადაიტანა კუთხეში მჯდომ მირიან მხეიძეზე, რომელსაც გარს შემოხვეული მონამცეცე აზნაურები რაღაცას ეხვეწებოდნენ, მაგრამ მირიანი ჯიუტობდა.

— ლაპარაკის თავი მაქ თქვე მამაცხონებულებო! ისე გამომეწლა მუცელი, რომ ფერდი-ფერდზე მეკვრის, ამ სუფრის გაშლას კი არაფერი ეშველა, ნეტაი ჩემ სიძე ბატონს რამდი უნდა გვაყურუტოს ასე, ა!

— უკეთესია, ლაპარაკში კიდევ უფრო მოგეშვევა და სადილს მეტ გემოს ჩაატან.

— ჰო, ჰო. ბატონო მირიან, მოგვიყვი, მოგვიყვი.

— კაცო, კაი სათქმელს კაი მოქმელი უნდა, ნათქვამს კილო კაი გამგონე. ჩვენ კი, ვიდრე არ დაუნაყრდებით, არც ერთი არ ვარგევართ ამისათვის, დამიჯერეთ!

— ნუ გადაგვაყოლე თან, ამდენხანს ქე იტყოდი!

— ჯანდაბას თქვენი თავი, გაიმზობთ, მარა ვინც ყურადღებით არ მომისმენს, ვაი მის ტყავს!

გაფრთხილა მირიანმა მსმენელები და თან ერთ მათგანს— მოსიმლერე აზნაურებს დაუცაცხანა:

— რამ წაგახდინა აზნაური კაცი ასე, მარტო ერთი ღერი რო ანოაძვრინე ვითომ რაიო! ჰაი ღედასა, მამაშენიზა მთელი ფირალთვის ფაბრიკა რო ეთხოვა კაცს, უარს არ ეტყოდა, შენ კი საცოდავი სამკაპეიკიანი პაპიროსი ვერ გაგიმეტებია! მოიტა ჰო, თუთუნის ხვევაზე ნუ გამაცლენ!

ყველას ხმამალა გაეცინა.

ვიდრე მირიანი პაპიროს მოუკიდებდა, მსმენელები უფრო მოხერხებულად დალაგდნ და გაისუსენ.

— დათა ნიერაძეს ხო იცნობთ, — შეეკითხა მირიანი მათ და პასუხს აღარ დაუტადა, განაგრძო— იი, ჩენი მარშალი რო იყო. მოგეცათ ღეთის წყალობა კაი წარმოსადგვი ვაყკაცი იგი არი, მარა თუ ისეთ საარაკო გმირობას ჩაიდენდა, მაინც არავის ეგონა!

— რა ქნა ამისანა შე კაცო!

მოუთმენლად შეეკითხა ვილაცა.

— იმან რო ქნა, იმას მის მეტი ვერავენ იზამდა, პატიოსნებას გეფიცებით, აბა! რო გამოვა კაცი ყოველ მხრივ შემკობილი, გამოვა!

— თუ ამზობ, ქე თქვი ბარელამ, თვარა მეტი აღარ შემიძლია, გევიქცივი, საცხა!

უთხრა მოსიმლერე აზნაურმა.

— გეიქცივი შენ გენაცვალე, ერთბაშით სალხში შემწვარი გოჭები არ დაგხედეს. სხვისას რო არ დახვიდოდე, შენი ბულბულის პირიდან ტირილის

მეტს ვერაფერს გეიგონებდა კაცი... ნოითმინე, ნუ ცმუკავ, სამუშაოში წაგაგაგს კი არ ვუვები.

შენიშნა მირიანმა და კვლავ თავისებურათ დაიწყო:

— ჰო, ინას ვამბობდე, ეს ჩვენი დავითი დიდი გამბედავი ყოფილა სწორედ. თავი ისაბელა, მარა ჩვენც გვისაბელა სამუდამოთ. ეს საწველიშვილო გმირობა მან ჩაიდინა ამ რამდენიმე წლის წინათ. ზო გახსოვთ იმპერატორის ჩამობრძახება, მართალია ქუთაისში არ ყოფილა, მარა ისე გეგვეგონებათ!

— რაეა არა. მაშინ თბილისში გახლდით!

წამოიძახა მოსიმილერემ.

— კი ვიცი, შენი ხმა ძაან მეეწონა თურმე ცხოვებულს!—დაცინვით ჩაუკრა მირიანმა, ისე რომ თბრობა არ შეუწყვეტია.— ძეფის შესახვედრათ ქუთაისიდან გავაგზავნეთ დავითი. თბილისის ქუჩები სულ ხალიჩებით მოვვით. მთელი ქალაქი ზღაპრულ ყვავილების ბაღს წარმოადგენდა. ყველა მოუთმენლად ელოდა მეფის მობრძახებას. სადგურზე მარტო დიდჩინიანები და წარჩინებული თავადაზნაურები იყვნენ გამწკრივებულნი.—მირიანმა ოდნავ შეიკვნა და უცრათ იკითხა: თქვენი აზრით ვინ უნდა შეხვედროდა პურმარილით რუსეთის იმპერატორს, ა?

მსმენელები დაიბნენ.

— ალბათ მეფის ნაცვალი!

გაუბედავით წარმოსთქვა ვილაკამ.

— პირდაპირ ჭკუის კოლოფი ხარ.—უკმეხათ ესროლა მან გამოცანის ცუდით ამხსნელს და განაგრძო: მოაკივლა პოეზდმა თუ არა, ვილაკა ხატისოვი, ინას გოუწყრა ჩემი გამწენი ხატი, უტიფრათ გაიჭიმა ყველაზე წინ და ვერცხლის ლანგარი მოიშარჯვა. ეს რო დათამ დაინახა, რალმე გაგიჟდა კაცი: ამ კრუა სომებს ვინ კითხავს ჩვენს სატატო ქალაქში მსაპინძლობასო, გაიფიქრა მან, მაგრამ ძალით რალას ვააწყობდა. მაშინ მოიახრა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და ამაყათ გასწია მისკენ. ისე დოუდგა გვერდით, არც კი შეუხედავს მისთვის. ამა-სობაში მიეკროლა პოეზდმა და როგორც კი გადმობრძანდა მეფე ვაგონიდან, დათამ სწრაფათ ხელიდან გამოსტაცა ლანგარი ხატისოვს და სანამ ის გონზე მოვიდოდა, ძვირფას სტუმარს პურმარილი მიართვა...

— ბიკოს!

ერთხმად გაიოცა ყველამ.

— მეფემ თურმე ხატისოვი ლაქიით ჩასთვალა და ყურადღებაც არ მიაქცია. ასე ვადაგვარჩინა სირცხვილს ჩვენმა დავითომ, მაშ!

კმაყოფილებით წარმოსთქვა მირიანმა.

— ნეტაი რა უჭირდა, ხატისოვის ხელით რო მიელო პურმარილი, ა?

კრძალვით იკითხა ყავარჯნებზე დაყრდნობილმა თეოფილემ.

მისმა სიტყვებმა მოულოდნელი აღშფოთება გამოიწვია როგორც მირიანში, ისე მის მსმენელებში.

— შენთვის რა უჭირდა და არაფერი, მარა ჩვენთვის დიდი აბიდა იქნებოდა. როცა არ გესმის, ენას კბილები მაგრათ უნდა დააჭირო.

მეცრათ შესძახა მირიანმა და საითუთუნე ისე ამოიღო, <sup>მარტო მხოლოდ</sup> მერის ნაპრებშით გამთვლებული ახალუხის კალთა არავის დაენახა. <sup>ხანაშობისთვის</sup>  
ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა გამოვიდა მერე, როგორც ვადმომკეს ნიქარაძის პატივისცემა მალე წაამწარა თურმე საწყალ ნიკოლოზს შენმა სახლიკაცმა!

დაბალი ხმით უთხრა ერთმა დარბაისელმა ახნაურმა მირიანს, რომელმაც გაოცებით შესძახა მას:

— ხო არ ვადიროე შენ, ჩემ სახლიკაცს რა ესაქმებოდა მეფესთან!

— შენი სახლის კაცია ამა ვინაა, კარლოს რო ეძახიან!

— უკაცრავით, ასეთი მახინჯი ჩვენს გვარში არ ურევია. ის ჩხეიძეა, მე კი შეიძუ ვახლავარ, რამ დავიკარგა ცნობა ასე, მივერის!

— თქვენ ძაან თამაშით ლაპარაკობთ, ოქროპირი შორს კი არაა, თუ გეიგონა!

შენიშნა მით მოსიზღერემ.

— გეიგონოს მერე. მაგის კი არა ანტეჭრისტესი არ მეშინია!

ტრამბხით მაგრამ და ძლიე ვასაგონათ წარმოსთქვა მირიანმა.

— ანტეჭრისტეც არ ყოფილა შორს, რუსეთში ვილაც ლეინი გამოჩენილა, ამბობენ ანტეჭრისტეზე უარესიაო!

ჩაურთო კესოს ნათლიამ ქელბაქიანმა და თეთრი წვერი გრძელი უწნარა თითებით ჩამოივარცხნა.

— ნეტაი რას მუსაიფობენ ასე გულდაგულ? ესტატე ისე იშვენებს არქიმანდიტრობას, რომ დარწმუნებულა ოქროპირს მართლა ეკრძალება მისი!

გამონახა ახალი სალაპარაკო მოსიზღერემ.

— ცოტა ზრდილობა კიღო გააჩნია და იმიტომ, თეარა თუ შეინდომა, როგორც დააყენა, ისე გადაყენებს!

წაილაპარაკა მირიანმა.

— რას ამბობ შე კაცო, რომელი კათალიკოსი შია, არქიმანდიტრის არ-ჩევა-კურთხევის ვინ კითხავს ოქროპირს!

გაიკვირა ქელბაქიანმა.

— ვინ კითხავს ჩემო ნათლია და არავინ, მარა თვითონ კითხულობს. სასულიერო წოდებაშიაც უნდა თავისი კაცები ყავდეს.

დინჯათ უპასუბა მირიანმა.

— არ გამივირდა, ესტატეს სხეა დროს დისტურ ვინ მიიშავებდა არქიმანდიტრობას. წინეთ არქიმანდიტრობისათვის ქერივობის გარდა, საჭირო იყო ღირსებაც, მარა ეხლა ყველაფერი გაპუსტიაკებულია. ეჰ!

ჩაიქნია ხელი დარბაისელმა ახნაურმა.

— იკურთხა დემეტო შენი სახელი, გარშემო რაფა ყველა კონტრევილი-ციონერი შიზის. ისე სანაწყროთ არიან ატებილი, რომ თუ არ გავიპარე, რაცხა ზღაფორთში გამხევევენ!

იხუმრა მოსიზღერემ.

— ძაან ცდები, — შესძახა მას გაბრაზებულმა მირიანმა, — შენზე ნაკლებ სოციალისტს დავასხი თავსხლადი. შე ძაანაც შამწონს ახალი მთავრობის კანო-

ნები. ამ კანონებით დაწესებული მიწის ნორმა რა მომცა, კლდე ქვეშეა დაყოფილი ვიქნებოდნენ. მენშევიკებს სწორედ არაფერი დოუკლია ჩემთვის. უკრძარო-ლიც იციან. მათი ნაკლი ისაა, რა ცოტა თავადიხნაურობას იხსენებენ ხანდა-ხან უხიავით, მარა საქმით არაფერს გვიშავენ და ისე ილაპარაკონ, რას უხამ! ჩვენ, ესტატეზე ვვჭონდა ბაასი, თვარა მთავრობასთან რა გვესაქმება!

ტკბილად დაუმატა ბოლოს, დარბაისელ აზნაურის ნათქვამის გამოსასწორებლად შირიანმა და მუტში მუტუტი მოიმწყვდია, შემდეგ ზევიდან მეორე ხელის გული დაარტყა და პაპიროსის ნამწვავი მოსიძღვრეს ფეხებთან დაეცა. მოსიძღვრე აზნაურმა მაშინვე წინ დაიხედა და მოიღუწა, რადგან გაახსენდა თავის უღროთ დახეული ცალი „აზიაკი“, რის გამო კალოში მარტო ერთ ფეხზე ეცვა და რისთვისაც იძულებული იყო განზრახ, ცოტა კოკლობით ევლო.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა სახე ალანძული მარო და სუფრაზე საინები მწყრივით დააღაგა.

— რა გვადავენს თუ ღმერთი გწამს, ამ ქალის ერთი დანახვა საკმია იმისთვის, რომ კაცმა იგრძნოს სხვათ ყოფნა და თვითონ იქცე მის ყმათ. ქალის უფულებობაზე ლაპარაკი იმათი საქმეა, რომელთაც ღამაში ქალები არ წყალობთ.

ერის კაცის კილოთი წარმოსთქვა არქიმანდიტრმა და ოქროპირს ორკოფულ ღიმილით შეხედა.

ოქროპირს არაფერი ესმოდა მისი. ის დატყვევებული იყო ქალის კლემამოსილებით და ცდის მიუხედავით, ველარ მოეხერხებია მოჭარბებულ განცდების დამალვა.

— რალაც ფარცაკათაა შენი საქმე, გეტყობა ტარიელის სენი წეგყრია. მიხარია სწორედ. ასეთი გრძნობებია, ცხოვრებას რომ მიხანს აძლევენ. მიგულე ავთანდილათ.

იხუმრა არქიმანდიტრმა.

ოქროპირი ისე აირია, თითქო საქურდალზე შესწრებოდა ვინმე, მაგრამ მალე დასძლია უხერხულობას და იკვების გასათანტად მოულოდნელათ შეგკითხა ახარებულ მოსაუბრეს:

— რევოლიუციამ რა აზრისა ხარ!

ამ კითხვით გაკვირებულმა არქიმანდიტრმა, მოგვიანებით უპასუხა:

— პირადათ კეთილი აზრის, მაგრამ რადგან ყოველი რევოლიუცია ეკლესიის მტერია, მისი მომხრე მინც არა ვარ. მე ამ რევოლიუციას ეწმადლი მარტო იმას, რომ მისი მეოხებით შესაძლებელი გახდა საქართველოს სუვერენობის აღდგენა.

— ოჰო, პატრიოტიც ყოფილხარ!

— ყოველი ქართველი პატრიოტი უნდა იყოს, ამ შემთხვევაში, სამწუხაროთ, ისე როგორც ჩემი მდგომარეობით, ჩვენს შორის დიდი განსხვავებია!

— ეკლესია და საქართველო, ეს მეტად ძველი სინონიმებია!

უგულოთ წარმოსთქვა ოქროპირმა და დაუმატა:

— საქართველოს დამოუკიდებლობა შემთხვევითი მოვლენაა. ჩვენს პირველ გეგმებს რუსეთის და არც სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან უნდა ვიხმობოდეთ. საქართველოს დამოუკიდებლობის განოცხადება წარმოადგენს მხოლოდ იმ ავანტიურისტებისაგან თავის დაცევის საშუალებას, რომელთა წყალობით რუსეთის მეშათა კლასი აცდა სოციალიზმის ნამდვილ გზას.

ამ აღსარებით გაოცებული არქიმანდიტრი თავის ყურებს არ უჯეროდა. იმის შემდეგ, რაც მენშევიკური ხელისუფლება ეროვნულ მთავრობათ იქცა, ასეთი სიტყვების გაგონება მას თავებდობით მიიჩნდა. მაგრამ მან იცოდა ვისთანაც კონდა საქმე და მკაცრი პასუხის გაცემის ნაგიერ, მხოლოდ ყრუთ ჭკობთა:

— რა თქვი ოქროპირ? მამ ყველაფერი ეს ამბავი ნაძალადევია?

— დიახ, ჩვენ იძულებული ვავხდით, ნაწილობრივ ვაცეთოთ ის, რაც ქართველ ნაციონალისტებს უნდათ!

— ჰმ!

მობრძანდით ბატონებო, მობრძანდით!

მოესმათ მოსაუბრეთ დიასახლისის მხიარული ხმა და წამოდგენ. მათ სხვა სტუმრებმაც მიბაძეს და მალე ყველა სუფრას გარს შემოესარა.

არქიმანდიტრმა სუფრა აკურთხა, რის დროსაც ოქროპირმა დანარჩენებთან ერთად პირველი განგებ უმადურათ გამოისახა და დაჯდა.

კესომ თითქმის ძალით მოუსვა მას გვერდით მარო, რომელსაც ქალური წინათგრძნობა რალაც უხილავ თასმებით ბოქავდა და ჩვეულ სითამამეს უკვეცავდა.

ქალი დამნაშავეთ თელიდა თავს, რომ იმ დროს, როცა თადეოზი ვინ იცის რა ყოფაშია, თვითონ გაშლილ სუფრას უზის და ვივინდარების ქათინაურებს იფერებს.

მაროს რატომღაც თვალეზი ეტკინა, როცა ამაყათ წამომდგარ ბიძას შეხედა და უნებურათ თავი დახარა.

მოსიამ, როგორც მასპინძელმა, თამადობა თვით იცისრა და სხვებზე უწინ ადღეგრძელა მთავრობის წარმომადგენელი ოქროპირი.

პირველ ხანათ ყველას მორიდებით ეჭირათ თავი, მაგრამ რამდენიმე სადღეგრძელის შემდეგ, სტუმრები თანდათან გათამამდენ და წვეულება ქეითათ იქცა.

არქიმანდიტრმა დიდხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს ველარ გაუძლო საერთო მხიარულებაში მონაწილეობის სურვილს და როცა მოზრდილი 'ყანწი მესამეთ შიირთუა, „მადალ მრავალყამიერს“ თავის ღიღინიყ ააყოლა.

ისი წახედვით ძნუისის ახალი ღვდელიყ წელში გასწორდა და ქიქებს ჯერზე ადრე დაუწყო დაცლა.

მარტო ოქროპირი ეთიშებოდა ზეინს და მაროს სიახლოვით გრძნობებ აფორიაქებულს ველარ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა დიდებისაკენ მიმავალი მისი გზა ქალისათვის დაუმხარი გამომდგარიყო.

— როგორ ცხოვრობთ მარო, რატომ აღარ გაავრძელეთ სწავლა, ა!

უცერაო, მაგრამ ღბილათ ჭკობთა მან ქალს და ეაშლის ნაქერი შესთავაზა.

— რა ვიცი, ხელმოკლეობამ დამაბრკოლა!

მორიდებით უბასუბა ქალმა.

— ეხლაც შეგიძლია ისწავლო, თქვენ ისეთი ნიჭიერი ხართ, რომ თუ სურვილს გაჰმოიჩენთ, გზა ადვილად გამოინახება.

— რას ბრძანებთ, რაღა დროისაა, რაც მისწავლია, ისიც აღარ მახსოვს!

— ასე გეჩვენებათ, მაგრამ როცა სწავლას მოკიდებთ ხელს, მაშინ ყველაფერი გაგახსენდებათ. ჯერ გვიანი არაა. ცოდვეც იქნება, თქვენისანამავე.

ოქროპირს სიტყვა შეაწყვეტინა მირიანის გაანახლებამ.

— ასეთ ღვინოს კაცი გაძალღებდეს და არ სვამდე!

უფვიროდა ის ანუსის ნათლულს, რკინისგზის მუშას, რომელიც ქუთაისიდან ნათლის სანახავათ იყო ჩამოსული და შემთხვევით შემოესწრო წვეულებას.

— არ შემიძლია ბატონო მირიან და რა ვქნა!

— მოსე, ან ამ ტუტუტუს შეასვი იმდენი, რომ გაგვიტოლდეს, ან და აქედან მომავორე, თორემ წიწილივით შემომაცვდება... მაგისანა ბიჭებს თუ თავიდანვე არ მოტეხე კისერი, მერე მოინდომებენ ვაჟაკობის გამოჩენას... არქიმანდიტრი სვამს და შაი ვინ ოხერია...

მოსია შუა ცეცხლში ჩაეარდა, არც სინამრისთვის უნდოდა ეწყენინებინა და არც ღედის ნათლულისთვის, უფრო კი ოქროპირის რიდი ჰქონდა და ცდილობდა აყალ-მაყალს მიფუჭებდას, მაგრამ მირიანი ტინჯულობას არ იშლიდა, ხოლო შემოსწრებული ჯიუტობას.

— აბა არ სვამ?

— შაი ყანწის დამღვევი სწორედ არ ვარ!

— დალიე თეარა, იცოდე პანდურის კვრით გავაგდებ კარში!

— რაი, რაი! ნეტაი მართლა გაბედავდე რამეს, მაშინ გაჩვენებ რავარცხა უნდა პანდურის ამოკვრა!

უქმეხათ ესროლა შემოსწრებულმა და იღვა.

შეიქნა მიწვე-მოწვეა და ხმაური.

— პატივცემულო მირიან. დაწყნარდით, ასე ღვინის დაძალება როგორ შეიძლება!

შევიდათ მიმართა ოქროპირმა გაცოფებულ მირიანს.

— სუფრაზე სოციალისტობა არ გამოგონია მე. შენ რომ პატარძალივით გვიხიზარ, ისიც გვეყოფა, სხვას მაინც ნულა ესარჩლები. ქეიფის დროს, ქეიფი უნდა... ცალკუბათ ვადასძახა მირიანმა და თავხედისაკენ გაიწვია.

ანუსი ყელზე მოეხევა ნათლულს და როგორც იქნა გაიყვანა ვარეთ, ხოლო მოთმინებიდან გამოსულმა მოსიამ, მირიანს ისე მაგრად მოჰკიდა ხელი, რომ სკამზე ბავშვივით დასვა, თან გააფრთხილა კინკლაობა აღარავისთვის გაებედა. შემდეგ მივიდა ოქროპირთან და სიმამრის მაგიერ ბოდიში მოიხადა.

სუფრის კვლავ გასამზიარულელად კესომ გრამაფონზე საცეკვაო დაუკრა და გრამაფონს ალზე გაფიცებული დაირა ააყოლა. უცნაურათ შეწყობილ მათ ხმაზე გვარდიის ოფიცერი ეროსტო მარდათ წამოხტა და წრეში გაჭრისთანავე მარო გაიწვია.



## არქიმანდიტი

ქალს ფერმა აურ-დაუარა და როგორც იქნა შესძლო შეხვედარი მაგრამ სტუმრებში არქიმანდიტრის მეთაურობით ისეთი განგაში ასტეხეს, რომ მაროს ეგონა ჭერი ენგრეოდა თავზე.

კესომ დაირის დაკვრა შესწყვიტა და მარო ძალით წამოაგდო ზეზე, შემდეგ გრამაფონს კვლავ შეუწყო თითები და მოცეკვავეთა წასახალისებლად ტაში გაცხოველდა.

უეცრათ არქიმანდიტრი წამოვარდა, სკამი შორს ისროლა და ქალ-ვაგის შუა ყორანივით შეფრინდა.

ამ ამბავმა არა ჩვეულებრივი მზიარულება და თან ვაოცება გამოიწვია ყველაში. განსაკუთრებით ანუსი არ უჯგოიდა თავის თვალებს და სასოება შელახულს შუბლი ორივე ხელით შემოეყავრა, რომ უფრო ცხადათ დაენახა არქიმანდიტრის ცუტურაკი შტევა.

ანაფორა აკაპიწებულნი არქიმანდიტრი კი ისე იყო გატაცებული ცეკვით, რომ მალე სულ დაივიწყდა ქალი და თავისთვის დაიწყო „ფიგურების“ კეთება, შემდეგ რამდენჯერმე კიდევ ჩაბუქნი, მაგრამ უკანასკნელად, ანაფორას ცალი კალთა ფეხებში აებლანდა და პირუკულმა მოწყვეტით წაიქცა.

განზე გამდგარ მაროს ერთბაშათ თავაწყვეტილი სიცილი წასკდა, მას სხეებიც აყვა და მთელი დარბაზი უქანურ სანახაობათ იქცა, სადაც დიდი და პატარა მუცელზე ხელებ მოჭერილი ხარხარებდა, ხოლო ღვინითა და ცეკვით გაბრუებული არქიმანდიტრი იოს კვლავ უშწევით გორავდა. იქვე ცარიელ ბათმანივით ეგდო მისი კოთახი და კრიალოსანი.

სიცილით გასაგათებულმა რამოდენიმე წვეულმა როგორც იყო არქიმანდიტრი წამოაყენეს და თავის ოლაგას დასვეს.

მარო ისევე გულდაგულ კისკისებდა და მისი წკრიალა ხმა ოქროპირს შიგ გულში წედებოდა.

რიდის გულისთვის მარო მეორე ოთახში გაეარდა, სხეები სიცილს ძალით იკაეებდენ, ზოგი კი არქიმანდიტრის ყოველ დანახეზე კვლავ საშინლათ იგულებოდა.

მალე სახე გაღიმებული ოქროპირი გავიდა იმ ოთახში, საიდანაც შეუწყვეტილვე ისმოდა მაროს კისკისი. როგორც ოქროპირმა ოთახში შესდგა ფეხი კესომ აივანზე გაიხმო თოფი და ანუსი, რომელთაც თან მოსია გაყვა.

ოქროპირის შესვლისას, მარომ სიცილი შესწყვიტა და თვალებზე სიამით მომდგარი ცრემლები ბავშვივით ანოიმშრალა, მაგრამ მალე ისევე აუტყდა მძლავრი სიცილი და ღონის დაღვევის გამო გვერდით დამდგარ ოქროპირს უნებლიეთ შეკრძზე მიეყრდნო.

ოქროპირს ერთნეტელმა ელვასავით დაუარა და ქალს წელზე ხელები მაგრათ შემოაქდო, თან თვითონაც ახითხითდა, მაგრამ ქალმა როგორც კი იგრანო ვაგის უჩვეულო შეხება, ერთბაშათ გაცილდა მას და იქვე ტაბტზე უხმოთ ჩამოჯდა.

ვილაცამ კარები გაიხურა და გათიამამებულმა ოქროპირმა ვადსწყვიტა თავის გული სარკესავით დაენახებინა ქალისათვის.

— მარო, მე უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენს ცხოვრებაში ჩემი-  
ვლით და... ჰო, ჩვენს ცხოვრებას ისე მოვაწყობ, როგორც გესურვება. თუ სწავ-  
ლას მოინდომებ, ყოველმხრივ შეგიწყობ ხელს. ჩვენ უფრო მეგობრები ვიქნებით,  
ვიდრე უმბრალო... ცოლქმარი...

აკანკალებული ხმით უთხრა ოქროპირმა ქალს და გვერდით მოუხდა. მარო  
დაშეხილივით დარჩა. ოქროპირის ნათქვამი ყურებში უწიოდა და მოულოდნელ  
ამბის გაგებით გონება დაშობილს პირი შეეკრა. განოლენჩდა.

ქალის სიჩუმე ნან თანხმობის ნიშნათ მიიღო და უეცრათ დაწვდა მის ხელს,  
ჯერ ქალის ხელი თავის ხელებში მოიწყვდია და შემდეგ სუნთქვა შეგუბებული  
ზედ ხარბათ დაეკონა.

ოქროპირი გრძნობდა, რომ ეს ხელი სრულებით არ ჰგავდა კულტურულ  
ქალების ფაფუკ ხელებს, მაგრამ ამხელს ჰქონდა ისეთი ძალა, რომელსაც ოქრო-  
პირი ვეღარსათ გაეცეკვოდა.

როცა ის მეორეთ უფრო ხანგრძლივით დაეკონა მზისაგან დამწვარ ქალის ხელს,  
მოსიამ ფრთხილათ შემოიღო კარი და შემოსვლისთანავე ხმა-მალა წამოიძახა:

— ოო, ნეფედედოფალს გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

მან სწრაფად გადაკოცნა ქალ-ვაჟი და ზეოფილეს მიუბრუნდა:

— ბედნიერი ხარ, ბედნიერი ჩემო ძეაო, მიდი დალოცე სიძე-ქალიშვილი!  
მოსიას საცქიელმა აფით ოქროპირიც გააკვირა, სწყუნდა კიდევ, მაგრამ თან  
უხაროდა, რომ ასე იოლათ უსრულდებოდა დიდხნის წადილი.

— ბედნიერი გამყოფოთ შევიღებო ღმერთმა!

წაიღუღლულა თეოფილემ და შეიღს შუბლზე აკოცა, ხოლო ოქროპირს ხე-  
ლი ჩამოართვა.

მაროს უნდოდა დაეყვირა, რომ ის სრულებით არაა ბედნიერი, რომ არ  
სურს გახდეს ოქროპირის ცოლი, რომ ამაზე მას არც კი უფიქრია, მაგრამ ყე-  
ლიდან ხმა არ ამოდიოდა და ენას გამოთქმის უნარი დაკარგოდა.

ძალის მოკრების საშუალებას კი არ აძლევდა კესო, რომელიც კისერზე უნა-  
სავით მოხვეოდა და სუნთქვისაც უშლიდა.

მოსია ქაქანით შეიჭრა დარბაზში:

— სამახარობლო, სამახარობლო... ფეხი არსად გაადგათ, ამ კვირაში ჩემი  
წვეული ხარო, ქორწილია, ქორწილი!

მთვრალმა სტუმრებმა ყურები ცქციტეს, მაგრამ მოსიას ნათქვამი კარგათ  
ვერ გაიგეს.

მოსია კი კვლავ ყვიროდა:

— გამხიარულდით, გამხიარულდით, ქორწილია მეთქი, არ გესმით!

— რის ქორწილი, რა ქორწილი, ხომ არ გადარეულხარ ურმაწვილი!

ბორძიკით შეეკითხა მირიანი და კისერი მოეღრიცა.

— როგორ თუ რის ქორწილი, ოქროპირი და ჩემი ძმის ქალიშვილი შე-  
ულდენ, მიდით მიულოცეთ!

ეხლა კი ბევრს ეკაშნიკა მისი სიტყვები და სტუმრები ფეხზე წამოიშალენ.

სულ ბოლოს მაროსთან ანუსიმ დააპირა მისვლა, მაგრამ <sup>პარკინსონის</sup> <sup>განმარტობის</sup> <sup>კუ</sup> მი-  
უახლოვდა, მარო შესულივით წაშოვარდა და დალოცვის სათქმელად განმზა-  
დილ დამკვნარ მიგეთავან მოხუცს მხოლოდ კენესა ამოხდა.

ხმამალა აქეთიინებული მარო ბებიას გულში ჩაეხვია და ცნობა დაკარგა.

## XVII.

ქორწილი არ ყოფილა.

მარტო მოსიამ და კესომ წაიყვანეს მარო მოწანეთას.

ბებიამ, საყვარელმა ანუსიმაც მხოლოდ სერამდე მიაცილა ის. ამ სერს აქეთ დარჩა ბავშობა, ჭიაკოყონა, გული და ყავარჯნებზე უსასოთ დაკიდებუ-  
ლი შანა, რომელსაც მსხვილი ცრემლები მძივებივით ეკიდა ქუთუთოებზე და  
რომელიც ჭიშკრამდეც კი არ მიყოლია მისი თვალების ერთადერთ დამხუშველ  
შვილს.

— ტირი ნაპიკო? ნუ, ნუც გამყვები, ცალფეხა ხარ და ყავარჯნები დააბე-  
დებულ ღლიაფებს კიდევ უფრო გატკენენ. ჩენი გათხოვება რატომ უნდა გწყინ-  
დეს, ყველა ქალი ქმარს მიყავს და ამა შე რა გაპონაკლისი ვარ, მაგრამ ეს რო  
ქორწილს არ ვაგეს? არც ფატა, არც მაყრები!

ფიქრობდა მარო და თავდახრილი, თვინიერ საზვარაკო უშობელივით  
მაყვებოდა მიძა-ბიციოლას.

რა კეთილნი არიან ბიძია მოსე და ბიცილა კესარია, როგორ შრუნვე-  
ლობას იჩენენ მისდამი, ობოლ მაროსამდი. მართალია აქამდე ერთხელაც არ  
უგვრძენია მათთან ამგვარი ყურადღება, მაგრამ ეს იმიტომ ალბათ რომ მომ-  
დურავათ იყვენ.

ანუსიმ გაოგნებული მარო სერზე სამჯერ წალმა მოატრიალა და რომ ცრემ-  
ლები შეემავრებია, თვალების ხუტკით გადაკოცნა.

— რა უგებური და ფაფასავით ტუჩები აქვს ამ ბებერს!

გაიფიქრა მარომ და გატრიალდა.

— გოგო უკანასკნელად მაინც გამეცი ხმა, რას მერჩი შეილო!

საწყლათ წარმოსთქვა ანუსიმ და თვალებზე შავი თავსაფრის ბოლოები  
მიითარა.

მარომ მხოლოდ დავაკების შემდეგ მოიხედა უკან და სერზე ფოფხვით გა-  
დამავალი ანუსი შავ დიდ წერტილად მოეჩვენა, რომელიც თანდათან პატარა-  
დებოდა და მალე სულ გაქრა.

ნოწამეთია გალაქანთან ოქროპირი შემოგება უალოოთ მისულებს და ის და  
მოსია ქალებს უკან ჩამორჩენ. შემდეგ საყდრის ბეჭსთან არქიმანდიტრი შეხვდა  
რძალ-მაზლისშვილს და ორთავე ღიმილით შეიწვია შიგნით. როცა საყდარში  
ორი კაციც შევიდა, ვილაცა ბერმა კარები გადაარაზა და არქიმანდიტრს საყურ-  
თხვეულში შეყვა.

მარო და კესო დავით-კონსტანტინეს ნეშტების სასთუმალის ახლო გაჩერ-  
დენ. ნეშტები ერთად ესვენა ძვირფას საცხედრეში საგანგებო ყვარცხლებზე.  
საცხედრეს პირისპირ კვარცხლებზე განკვეთილი იყო და ამ წმინდა სოროში  
მორწმუნენი სასოებით ძვრებოდენ.

მაროსაც ბევრჯერ ვაუვლია ფორთხვით ამ პატარა გვირამში  
 ბებიას სულ აფრთხილებდა: მშენებლის  
 ხიზლიჩოხიქა

— ისე გაძვერი გენაცვალე, წმინდანებს ზურგი არ აკრა, თუარა ცუდი  
 ბედი გექნებაო!

ბებიას დარბილება ხშირად ვერ შეუსრულებია მაროს და უნებლიეთ გვი-  
 რამის თაღისათვის სწორედ გარეთ განოსვლისას აუკრავს წელი, მაგრამ რითაა  
 უბედური, ისეთი კაცი თხოულობს რომელსაც მეფის საქმეები ეკითხება. დედი-  
 ნაცვალის მართალს ეუბნებოდა:

— დედოფალივით გაცხოვრებს, სულ კატლეტები გექნება, თადეოზი ლო-  
 ბიოსაც ვერ გიშოვის სამყოფათო!

მაროს დედინაცვალის კვიანი ქალია, თუმცა კატლეტის გემო ერთხელაც  
 არ გაუსინჯავს. აჰა, თადეოზი რას შეედრება ოქროპირს, ერთი უბირი კაცის  
 შვილია. ციხიდან ვინ იცის, როდის გამოვა. ნაყაჩადარი ოჯახის კაცათაც არ  
 ივარგებს.

— მარა რა მიყვარს!

შუუშფოთებლად გაიფიქრა მარომ და კვლავ ნოაგონდა ბავშობა. მის თვალ-  
 წინ დაეხატა ყოველმოწამეთობას თათვოზთან ერთად ნათევი ღამეები, როცა  
 მოუთმენლად ელოდენ წყალწითელაში ჩაძირულ წმინდა ქვის ბორბალზე ნათელ  
 სვეტის დადგომის წუთს და გათენებას.

ტაძარი აკუბულია სახნისის მსგავს გორაზე, რომლის წამწვეტებული წინა  
 ნაწილი შეჭრილია მაღალ მთების მოღუნულ გრებილის შუა, ამიტომ წყალწი-  
 თელას კალაპოტიც, რომელიც წმინდათა სავანეს ანცალკეებს მთებისაგან,  
 მშვილდვით მოხრილია და მდინარის წელი დუღღნი ძლივ აღწევს მლოცველე-  
 ბამდე. გორის მარცხენა ფერდობზე, მდინარის ნაპირების გაყოლებით ვაწვებუ-  
 ლია მონასტრის ბაღები და საზედაშე ზეარი.

მარომ მთელი ეს ნიღამო ზეპირათ იცის. იცის მდინარის ის ადგილიც,  
 სადაც დაიხრბვენ დანი ჯორჯატენი: უცრათ წყალში ჩავარდნილ ერთ დას,  
 მეორე ნიღმველა, მაგრამ მორევმა ისიც ჩაითრია და მცურავებმა დიდხანს ვერ  
 შესძლეს მათი ცუდრების პოვნა.

— რატომ გაინეტა სალოცავით მოსული დები ღმერთმა? მერე როგორ  
 ყვარებით ერთმანეთი, შე კი...

ფიქრებით მოღვენთალს კესომ მზრუნველობით მოჰკიდა ხელი და შუა  
 საყდარში დააყენა. მალე გვერდით ოქროპირი ამოუდგა და ბრჭყვილა სამოსით  
 მორთულ არქიმანდიტრის ხმა თაღებში ვიღაცამ უკეშურათ გაიმეორა.

მარო ესლა არაფერზე ფიქრობდა, არცა გრძობდა რაღეს.

ის ერთავად დაკჭეროდა ხელში ნაძალადევით დაჭერილ სანთელს, რო-  
 მელსაც ვალდობისაგან დადენილი ყვითელი წყეთები ზედვე უცნაურ გრებილათ  
 ახორცდებოდა.

არქიმანდიტრმა ისე შესარულა ჯვარისწერის ყველა წესი რომ მას ერთ-  
 ხელაც არ აუწყვია თავი, მაშინაც კი არ შერხეულა, როცა მოსიამ უცაბედათ  
 გვირგვინი ყურებამდე ჩამოაცო. ალბათ მკლავები დაეღალა, რადგან ორივე



გვირგვინი მარტო მას ეჭირა, თორემ ზემორობის ხასიათზე შამქრებმა არც მოსია იყო.)

მარომ მხოლოდ ერთხელ ასწია თავი—საზიარო საიდუმლო ხიარების დროს და მეორეთ—როცა ოქროპირმა მკლავში მკლავ გაყრილი გაიყვანა გარეთ.

ასე ტყუპათ ქვეულებმა უზნოთ გაიარეს შონასტრის ეზო, სადაც წინეთ ზღვა ხალხი უნახავს მაროს. მას ეხლაც ცხადათ ახსოვს ერთი მონაზონი, რომელიც სწორეთ ამ ალაგას, ჭიშკართან, ჰყიდდა აფგაროზებს, შანას, ყელზე შესაბამ თითბრის ხატებს. ეს ხატები გამოსახაუდენ დავით-კონსტანტინეს. ერთი ასეთი ხატი დღემდეც გულზე ჰყიდია მაროს, მაგრამ ეხლა გული სრულებით არ უტოკავს იმ სიხარულით, რომელიც განიცადა მაშინ, როცა ბებიამ პირველად ჩამოჰკიდა მას წმინდანთა სახე. დიდხანს ვერ შეეგუა მარო ამ სამკაულს, რომლის ძეწვეი რუს პატარა ფშანივით ჩაუდიოდა მკერდის ღბილ ბუსუსოვან ღარში, ხან კი ჭამანდასავით ზედებოდა აქეთ-იქით ახლად ამოხეთქილ ძუძუებს.

ბოლოს ისე შეეჩვია, რომ აი, ამკამათაც ის არ გრძნობს, თუ უღზე იგივე ხატი აბია.

— იქნებ სახლში დამრბა?

გაუღღვა მაროს, თან მარჯვენა ხელი უბისაკენ წაიღო, მაგრამ ამ დროს წაიფორხილა და ცალი ძუძუ ოქროპირის მკლავს შეასრისა.

ქალს უეცრივ სახეზე წამოაწათა და სცადა თანამზავართან შორი-შორ ევლო, მაგრამ ვაჟმა უფრო მაგრათ ჩასჭიდა ხელი, რის გამო მისი ნიდაყვი თედოსაც სტყენდა.

მხოლოდ პლატფორმაზე მოსვლისას განითავისუფლა მარომ თავი და მთელი მკერდით ამოისუნთქა.

კარგათ დაბინდებული იყო, როცა გაისმა მატარებლის კივილი და მარო გაურკვეველად შიშმა შეიპყრო.

მან მატარებლის მოპრიადე თვალეზი შორიდან დაინახა და მოეჩვენა, რომ მისკენ მოქროდა ის ვეშაპი, რომელიც ზღაპრათ ჰქონდა გაგონილი და რომელსაც ხალხი ხარკათ სწირავდა რჩეულ ასულებს. ამ ზღაპრის განხენებაზე მაროს ცივმა ტრანტელმა ტერფებამდე დაუარა და ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა. ეს ვერ შეამჩნიეს ლაპარაკში გართულმა მისმა მზღებლებმა და ძალის მოსაყრებათ მარომ იმ ასულათ წარმოიდგინა თავი, რომლის გულისთვისაც უცხო კაბეტი შეებრძოლა ვეშაპს, დაღაზერა ის და ქალთან ერთად მთელი ქვეყანა იხსნა უწმინდურ ცხოველისაგან.

— წმინდა გიორგი შენ დამიფარე!

წაიდუღუნა მარომ და ქშენით მოვარდნილ მატარებელს თვალი ააბრიადა.

ბიძა-ბიცილამ სწრაფად გადაკოცნეს მარო და ვაგონის კიბეზე თითქონის ძალით შეაყენეს, შემდეგ ოქროპირის მიუბრუნდენ გამოსამშვიდობებლად.

ვიდრე ოქროპირი თავს დააღწევდა კესოს, მოსაყვებული მარო რალიცამ ბუმბლოვით აიტაცა ზევით და მატარებელიც ატორტმანდა.

ოქროპირმა საჩქაროდ წააგლო ხელი ვაგონის სახელურს, მაგრამ მაროს მაგერ, კარებში გადაარაჯებულმა უცნობმა მაშინვე მთელი ძალღონით ჰკრა ფეხი გულში და ოქროპირი პლატფორმის სვეტებთან ქვასავით დაეცა.

## XVIII

ერეკნული  
ზიხლიჩოთა

მარო და უცნობი ბაქანზე გაჩერდნ.

მატარებელი თითქო გრძობდა ამ ორი მგზავრის წიდილს და ვატყორცნილ ისარივით მიჰქროდა.

ნაბდიანი კაცი თავის ძლიერ მკლავს ქალს წელზე სალტესავით უჭერდა და მოგიზგრზე თვალთავან ნაპერწყლები სციოდა. მის არწივისებურ მზერას ანდამატივით იზიდავდა შორს, ნისლოვან ცაზე კენტად მანათობელი ვარსკვლავი და უცნობს შეუმჩნეელი რჩებოდა, თუ როგორი ბრუ დამხვევა სისწრაფით რჩებოდა უკან კლდეები, ნაკაფი ტყეები, რკინისგზის სადარაჯო პატარა თეთრი სახლები და ტელეგრაფის ბოძები, რომელნიც ვინ იცის ვისთვის რა ამბავს გადასცემდნ ერთნაწივს.

მრავალ საიდუმლოთა მცოდნე ბოძები ხანდახან ისე ახლოვდებოდნ და მზის ჩასვლისას ამოვარდნილ ქარის სივილს ისე უცნაურათ იმეორებდნ, რომ თითქოს წავთულების მაგიერ მათზე გამზული ყოფილიყვენ უგრძესი გველები. ნაბადში გაუჩინარებულ მაროს, ეს სისინი გამახვილებულ სმენას უწვალავდა და კიდევ უფრო ძალუმიო ეყროდა უცნობის ბოძოქარ მკერდს.

მატარებელი მიუხალოვდა ქახათის აღმართს და ერთბაშო, ღონივრათ სადავე მოწეულ მერანივით შესდგა. მალე სულ დაეცხრა და შოზინით განაგრძო გზა.

— მოწყევი მარო!

დაძაბრული ხმით წარმოსთქვა უცნობმა და ქალს ნაბადი მოხადა.

მან ჯერ ნაბადი ისროლა ძირს და კიბის უკანასკნელ საფეხურზე შემდგარმა მარო ბავშვივით აიტატა, შემდეგ სიბნელეს შეჩვეული თვალი კიდევ ერთხელ ნოაყლო იჭაურობას და გადახტა. ორი ტანის სიმაძიეს ვერ გაუძლო მუხლებმა და უცნობი ჩაიკეცა, რის დროსაც ერთი მუხლი კორძიან ქვას დაჰკრა და ტკივილისაგან კბილები საშინლათ გააღრქიალა.

— იტკინე რამე?

ძლივს ჰკითხა შიშით და სიბარულით აკანკალებულმა მარიომ უცნობს, რომელსაც წამოდგონა უძნელდებოდა.

— არაფერია, ცოტა თუბი ვიღრძე!

— ვაი თუ სიარული ვეღარ შესძლო!

— გამოვლის, ნუ გეშინია!

ნუგეშით წარმოსთქვა ძალდატანებით წელში გმართულმა და თან ცალი ხელით ქალის ბეჭს დაეყრდნო.

მატარებელმა უკვე ავლო აღმართი და უკანასკნელი შეკიელების შემდეგ, ადრინდელი სიმაგრე გამოიჩინა. როცა ბოლო ვაკონის მომტრო საარკლებიდან გამოცემული შეჭიკ გაჭრა, უცნობმა ძლივ-ძლივობით მონახა ნაბადი, რომელიც ორთავემ მოიხურა და ნანაბრებისაგან შიშავალ ბილიქს დაადგენ.

მგზავრებს ბეჭებში მოძალაბული ქარი სცემდათ და მაროს თავსაბურით მუხლშეხვეულს სვლას უადვილებდა.

ისინი დიდხანს მიდიოდნენ უბნით და ერთსა და იმავეს ამბობდნენ:  
— საღ მივიღივართ!

ბოლოს მარომ ეს ფიქრი გაუბედავ ენით გამოთქვა და უცნობი შეკრთა.

— კარგაო იცო, რომ ჩემი ბინა ციხეა. მეც არ ვიცი საღ წვეფაროთ თავი. თუ გიძნელდება, დაბრუნდი. ამაღამვე მიგვარი შენს... კმარს!

ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მწარეთ უთხრა მან მაროს, რომელსაც ვაგონიღმა გული ჩასწყვიტა და თვალის ქუთათოები საცრემლეთ აეწეა.

— რა სასტიკი ხარ!

ესღა მოახერხა მარომ და ენა დაება. მაგრამ ის გრძობდა, რომ ეხლა ცრემლის ყოველ მარცვალს შეეძლო ორთავისათვის წაერთმია თავის გადაარჩენის უნარი და მოწოლილ ბოლმას სარტყელი დააფარა.

როგორც იქნა ჩავეს ნანაბრების ფერდობი და წყალწითელას ნაპირზე შეჩერდნენ. ციატ ღამეში მოსჩანდა აგურისფერი მდინარე, რომლის მდორე ზვირთებს მღელვარება ეტყობოდათ და მარო მიხვდა, რომ ეხლა მის სოფელში უთუთო წვიმს.

— მართლა, აქ საღდაც გვირაბია, დავისვენოთ ცოტა!

გულუბრყვილოთ გაიხსენა გვირაბი უცნობმა და მდინარის მარჯვენა ნაპირს აჩქარებით გავეენ. მაროს სახეზე წვეთი დაეცა. მან თვალი მიამყრო საწვიმრათ პირშეკრული ცას და ძიგძიგმა აიტანა.

— გცოვა?

მზრუნველობით ჩაჰკითხა უცნობმა და ნაბადი შემოაფუთნა.

გვირაბში ფეხის შეღვმისას მაროს მძიმე, ნესტიანი ჰაერი ეცა და სუნთქვა შეუგუბა.

გვირაბის სიღრმეში რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, უცნობმა ნაბადი ძირს ისე გააფინა, რომ მოსახურავათაც ყოფნოდათ. ქალ-ვაგი გვერდი-გვერდ დასხდნენ. მაროს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა ნათლათ რაც მას მარტო ამ ერთ დღეს თავზე გადახდა. უცნობის სიახლოვე კიდევ უფრო აფორიაქებდა მის გონებას და სრულ უმწიობას განიცდიდა, მაგრამ იმავ დროს რაღაც უჩვეულ სისასესს და გამოუთქმელ ბედნიერებას გრძობდა.

გვირაბში ისმოდა წისქვილის სათავედან გადმოვადებულ წყლის მზული და იმავ წისქვილის ოთხი თვალის მონოტონური ხმაური, რომელსაც დაქანცული მარო ჯერ განუცდელ მოოქროვილ სიზმრების საყანეში შეყავდა იქვე ქვის ხილზე ურემიმი კრიალეზდა და დაღლილ ხარებს მეურვე ხალისიანი შეძახილით ამხნევებდა.

— თათუოზ, თქვი რამე!

ღბილათ სთხოვა მან თადეოზს, რომელიც ერთი მეორის საწინააღმდეგო ფიქრებით იყო შეპყრობილი და გვირაბიდან უშიშრად გასელისათვის გზა ვერ ენახა.

მენშვეიკურ მთავრობის ხელში მეტების კარგბმაც დაკარგეს სიზტიკე და თადეოზმა ამ რამდენიმე დღის წინათ სულ იოლათ მოახერხა იქიდან გამოქცევა, მაგრამ ეხლა? ეხლა რა ქნას ნაციხარმა?

— შენ გინდა ვითხრა, რატომ ჩავაგდე ამ დღეში?

გვიან და გესლიანათ წარმოსთქვა თადეოზმა.

მარო არ მოელოდა ასეთ პასუხს და წელან შეკავებული ბოლმა თვალთაგან წასკდა.

თადეოზი დაიბნა. საყვარელ არსების ქვითინმა სწრაფად მოუღობო იჭვებით გათონილი გული და მის უნებურათ ხელებმა ღამეში კრძალვით მონახეს ცრემლებით დასველებული ქალის სახე.

თეთონაც ტირილის ხასიათზე დამდგარმა ხელის გულებით მოსწმინდა ქალს ცრემლები და როგორც ბაჟს ისე დაუწყო აღერსი. ფერების დროს თადეოზი ანახდათ ქალის ათქვირებულ მკერდს შეეხო და მის ტუჩებს მყისვე დაეწაფა. როცა თადეოზს ქალის ბავთვებთან შესაძლებლობა ბარგმა და ნაგებარმა ენებამ თვალეებში ნისლი ჩაუცენა, მან მარო ნაბადზე დააწვინა. მაგრამ ვაჟის მკლავებში მომწყვდეული ქალი კალმახივით აფართხალდა და ვაჟს შეეცდრა:

— ნუ, თადეოზ, ნუ... მე, ქმ...რიანი ვარ, ქმრიანი...

თადეოზს ამ სიტყვებმა ცოფიანი სიფხიზლე მოგვარეს, თანაც გაურკვევი შურისძიებითაც განიშქვალა და გაშმაგებულმა ქალი ნაბადზე დააკრა. მალე ორი სხეული ერთ არსებათ ექცა და უჩვეულო გრძნობით აყვრნილი მათი გულები ერთმანეთს დააცხრა.

— მხოლოდ შენ ხარ ჩემი ქმარი, შენ...

აიღობდა მიბნედილ მაროს და ნათქვამს მის ბაგიდან, თადეოზი ბავთვე სწყვეტდა.

როცა ენება დაიოკეს, თადეოზმა ქალი ნაბადში ვახვია და გარეთ გაეიდა. ქაცვიანმა ქარმა და ახლად წამოსულმა მსუბუქმა წვიმამ მას თანდათან დაუბრუნა ცნობიერება. თადეოზს მოსალოდნელი საფრთხე მთელი თავის საშინელებით გამოეხატა ეხლა თვალწინ და ბადავისაგან დაკლილ ძარღვებში სამსალა ჩაუდგა. მას ამჟამათ უფრო შეუძლებლათ მოეჩვენა მაროს დათმობა, მაგრამ თან მწყვავთ იგრძნო, რომ თავის თავთან ერთად ქალსაც უფსკრულის შოლიპულ ნაპირზე აყენებდა.

— რა გქნა, რა?

ამოიგმინა მან და სიმწარით თითზე იკბინა.

კარგა ხანს იყო გაქვავებული. ბოლოს თვალეები მოიფშენიტა, გვირაბში ფეხაკრფით შევიდა და დაოკილმა ფრთხილად ხელი გადაუსვა თავზე მთვლემა-რე მაროს, რომელმაც თვალების გაუხელოთ ხელები კისერზე მოხვია და მიიზიდა.

ერთმანეთის ტრფობით თავდავიწყებულნი, ერთბაშით შეაკრთო გვირაბში შემოსავალთან ატეხილმა ხმაურმა. თადეოზმა მაშინვე მოიმარჯვა რევოლვერი და გაიანაბა. მალე მან შეამჩნია, რომ გვირაბში დასადგურებელ მკუდროების დამრღვევი იყო ძალღი, რომელიც ხარის ბექს ღრღნის დროს ქვებზე ახათქუნებდა.

— ნუ გეწინია, ძალღი ყოფილა...



გამხნევა მან ნაბადში შიშისაგან ზღარბივით მოკვებულ მარტო და ძაღლს ქვა ესროლა. ძაღლმა წაეწყავეით ძვალს კბილი წააგლე და მუნხელით გაიქცა.

ამ შემთხვევამ ორივეს დაუბრუნა საღათ აზროვნების უნარი. ორივე კი მარტო იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოყვებოდა დილას, როგორ აცდნოდნენ ყოველ მხარეს დაგებულ მახეს, მაგრამ ნათელი არსაიდან ჩანდა.

თავისთავითან დიდი ბრძოლის შემდეგ, თადეოზმა უღონოთ წაიდუღუნა:

— ტყეც აღარაა სანდო!

— ღწერთო, რა გვეწველება?

ამოიოხრა მარომ.

თადეოზს სიკვდილი ერჩია მაროს დაცილებას, მაგრამ გვირაბივით ბნელ გონებაში უეცრათ პაწია ბრწყინვალე წერტილი ჩაესახა და წერტილს წითელ ძაფებით ჩამოეკიდა ტუსად ბოლშევიკებისაგაი გულში ჩანერგილი სიტყვები. ამ სიტყვების გახსენებამ მასში გამოიწვია ქალის სიყვარულზე ძვირფასი სურვილი და ეს სურვილი იყო ბრძოლა არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ, ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, როცა საჭირო არ იქნება კაცმა თავშესაფარი გვირაბში ეძიოს და გულში ჩაიკლას სიყვარული, უარი სთქვას ცხოვრებაზე, იმიტომ რომ ვიღაცამ იცხოვროს.

— ეიღრე ოქროპირები განაგებენ ჩვენს ბედს, შეუძლებელია თავისუფლათ ისლტოქის ადამიანი. ჯერ საჭიროა მათი მოსპობა!

დაასკვნა თადეოზმა, მაგრამ იმავე დროს მეორე გულმა დასწია:

— შერე, მანამდე ოქროპირს უტოვებ საჯიჯგნად მაროს?

თადეოზი გველნაკებნივით აწმარწურდა და ციემა ოფლმა დაასხა.

— წაიყუენ ტყეში, ან ერთად სიკოცხლე, ან ერთად სიკვდილი... მაგრამ იქნებ მაროს არ უნდა ტყეში კოტივით დაიდოს ბინა? იქნებ ჩემთან ყოფნას და ყოველ დღე სიკვდილის ლოდინს, სხვა გზა არჩიოს?

თადეოზმა ნააზრევის გასამხელათ ენის მობრუნება ვერ მოახერხა. ბოლოს როგორც იქნა გაბედა და მაროს მოხალული ხმით უთხრა:

— მარო, ჩენი გზა უფსკრულეზე გადის. ყოველ წამს მომელის დაღუბა.

მე არ მინდა ძალათ დავაყენო შენც ამ გზაზე. იფიქრე, იქნება შერთვის უკეთესი იყოს... მმ... იქნება დროებით შეურიგდე ხვედრს...

გაოცებულ მაროს თადეოზის თვითეული სიტყვა ლურსმანივით ხედებოდა. გული ეყინებოდა, სუნთქვა უჭირდა და ვეღარც სამაგიეროს თქმა შესძლო, ვეღარც განძრევა. რალაც ყელში აწვეებოდა და ახრობდა...

რა მოხდა? ეხლა როცა სამუდამოთ დაუჯავშირდა თადეოზს, როცა გულთან ერთად სხეულიც მარტო მას ერთს ეყუთენის, ეხლა იფიქროს დაუბრუნდეს თუ არა იმ კაცს, რომელსაც ამ საღამოს მანვე გამოსტაცა მისი თავი? „დროებით შეურიგდე ხვედრს“, რა იოლათ თქვა! მაროსათვის ათასჯერ უფრო კარგი იყო გარეწარივით ველო ღრეებში, ეტანჯა და მომკვდარიყო, ოღონდ ასეთი რამე არ ვაგვონა თადეოზის პირისაგან... რა მოხდა, რა!? რატომ მოუვიდა აზრათ, რომ მასთან გაკირვებაში ყოფნას, შეიძლება მაროს ერჩიოს საძულველ კაცთან უფუფნებით ცხოვრება? რით მისცა ამის საბაბი?



— შენ ეხლა დაკლილი სურა ხარ, თადეოზს მხოლოდ უნდა დაეხმოს...  
 აისრულა კიდევ წადილი და აწი...

ჩასძახა ვიღაცამ ყურში მაროს და მან მიწასთან გააწორებულათ იგრძნო თავი. სხვას რომ ვაგეტელა, თუ გინდ იმზე ოქროპირს, მარო უფრო იოლათ აიტანდა დამკირებას, მაგრამ თადეოზისაგან ასე აბუჩად ავდებდა როგორ მოინდელოს, როგორღა იცხოვროს მისგან შებღალული გულით? მოიკლა ეინი და აწი აღარ უნდა აიკიდოს ბარგათ! მარო საშინელი ზიზლით აივსო თადეოზისადმი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ უსახლვრო სიყვარულით გაეგო ქვეშ.

— კარგი, მე დავუბრუნდები... ჩემ ქმარს...

დაეციელი ხმით, მაგრამ გადაჭრით წარმოსთქვა მარომ და ადგა.

თადეოზი გააკვირვა ქალისაგან თანხმობის ერთბაშით განცხადებამ და სცადა რამე ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ მოიძია.

მარო გვირაბიდან სწრაფად გავიდა. გარეთ გასვლისთანავე დამკირებულმა უჩვეულო საიმავე იგრძნო. ის მზად იყო ეხლა საკუთარი ძალით დაეცვა თავი, თუ კიდევ ვინმე მოისურვებდა მისი სხეულის სათამაშოთ გადაქცევას.

ნორ წამხდარი თადეოზი ხილთან მოეწია მაროს და შეაჩერა:

— სად მიხვალ?

— რა ვაკითხებს!

— ვისთან მიხვალ შეთქი?

— ქმართან!

თადეოზს ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ წელან მაროსათვის საკუთარი პირით ნათქვამი რჩევა მოაგონდა და შედრკა. ის გალაბულ ძაღლივით გაყვა უკან ჩქარა მიმავალ ქალს. თადეოზს ათასგვარი მკორტნელი ფიქრები დაეხვა. იქვემ აშლილი უკვე დარწმუნდა, რომ მარო ნებათ გაყვა ცოლათ ოქროპირს, რომ მისთვის ძალა არავის დაუტანებია!

— მაშ, ასე! ღმერთმა ტყბილი ცხოვრება მოგცეთ!

გაუელვა თადეოზს გონებაში და გული დაეძმეკა.

ისინი საკუთარ ფიქრებით შებურვილნი უხმოთ მიდიოდნ ატალახებულ შარაზე. ფიქრებში გზა მალე დაილია. საფიჩხის საყდართან მიახლოვებისას მარომ ცივათ მიმართა:

— წადი. აწი გზას თვითონ გაეიგნებ... ჩემზე ნულა იწუხებ. საკუთარ თავს გაუფრთხილდი კარგათ!

— მარო!

გამწარებით შესძახა თადეოზმა და მისკენ წაიწია, მაგრამ ქალმა ზიზლით მოიგერია და მოპებრებით ესროლა:

— მშვიდობით!

თადეოზი გახვედა, დაბატარავდა. მზერა დაუჩლუნვდა.

აღბათ კარგა ხანი იდგა ასე, რადგან როცა გონს მოეგო, მარო აღარსად ჩანდა.

(გაგრძელება იქნება)

## გვირის დაბადება

განგრძელება \*)

18

სტეპან გრიგორიჩი ოთახში შევიდა. ბორისი სავარძელზე იჯდა ფანჯარასთან, — თავდაპირველი, მშვიდი და ნალღლიანი ბავშვი. მაგრამ სტეპან გრიგორიჩმა ისეთი შთაბეჭდილება მიიღო, რომ ბორისი იმ წუთს, როცა კარის კრიალი ესმა, მთლად გამოიცივალა, პირი იბრუნა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ყურადღებასაც კი არ აქცევდა იმას, რაც ფანჯარას იქით, მოედანზე ხდებოდა.

— მოხვედრი?

უშინაარსოდ ჰკითხა სტეპან გრიგორიჩმა, ფანჯარასთან წივიდა და ბორისს თავს ზემოდ გააბნედა მოედანს: ქალაქის თავზე ყოპრალი ღრუბლები იძვროდა; ნეპაპიროსე ბიჭს მტერის კორიანტელი აფუენებია და ხელების ფლატუნით ვარბის ამ კორიანტელში.

„ნეტავ, რას უცქერდა ასე იგი?“

გაკვირვებული შეშფოთდა სტეპან გრიგორიჩი.

იმ დამეს აქეთ, რაც ბორისსა და ლიუბას შეტაკება მოუხდათ, სტეპან გრიგორიჩი, დაინახავდა თუ არა ბორისს, მუდამ აიპრიზებოდა ხოლმე: თითქოს ბორისი რაღაც ახალსა და თავისას წილადა.

ჩვეულებრივად უგუნებომ, რაც ხანგრძლივად გამოუძინებლობით იყო გამოწვეული და რაც ამ ბოლო დროს მტკივნეული შეიქნა, სტეპან გრიგორიჩმა გაზეთი გაშალა, მაგრამ წამსვე იგრძნო, რომ ბოლომდე ვერ წაიკითხავდა. ბორისმა ძრახვითა და სიბრაღელოთ შეამჩნია ტუნის გარშემო დაყრილი წერილი ნაოქებიც, დაწილული ლოცების ქალარა ჯაგარიცა და ცხვირის სიწითლეც. ამ სახეს თითქოს სრულიად დაჰკარგოდა ყველითერი ის, რაც ამ ნაკლს ჰუარავდა ხოლმე. ბორისმა თავი შეიკავა, რაკი შამის ურთიერთობაში იგრძნო ის მიჯნა, რომლის გადაცილებაც გადაწყვეტილი არ ჰქონდა.

— შენთან საქმე მაქვს...

მშვიდად და გულწაბველად უთხრა ბავშვი.

— ან... — შეეკითხა შორობოვი და გაზეთი იქით გასწია. — რაი?

— სერიოზული საქმე მაქვს შენთან.

— სერიოზული?

\*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 8-9.

შორხოვემა ჩაიციან.

«ეი, თუ ყველა იმ... ლიუბას შესახებ?»

დარცხვენით გაიფიქრა მან და წამსვე იგრძნო, რომ ბორისისაკენ მიმართული დაცინვა ამ დარცხვენამ თვით მისკენ მიმართა.

— გთხოვ ჩემს კაბინეტში!..

როცა კაბინეტში შევიდა, ალერსიანი ხუმრობით შეიღწა სკამი წესთაგან, თვითონ კი საეარქლეზე დაჯდა.

— ბრძანე, ანხანავო!

მაგრამ დივანზე ჯერ კიდევ აულაგებელი იყო ორბალიშიანი საწოლი.

— გთხოვ!..

დაუმატა შორხოვემა და კვლავ დარცხვენით ჩაიციან.

ამ წითელიღია ლოგინმა, იატაკამდე ჩამოფენილის ხეწრით, მაშინ უცერად გამოიწვია ნაღვლიანი მადრობისა და ლიუბასადმიც უცერი ნაწყენობის გრძნობა.

«ვერ ააღვა...»

ამ სიტყვებით გამოიხატა ეს მისი გრძნობა.

ბორისი, ალბად, ჰღელავდა. ასანთის კოლოფი აიღო და ხელში ატრიალებდა.

«რა ამბავია, რომ ყველა ჩემსაში ერევა?.. დილით—ვიდნუნენი, ახლა—ბორისი... შეშუოთებითა და ბრაზით გაიფიქრა სტეპან გრიგორიძე და სრულიად კი დაავიწყდა, რომ ვიდნუნენი არაფერში ჩარეულა. ჩემთან არავითარი საქმე არ აქვს! ბაღლიც კი! აი, ერთი დავუკვილო...»

— რალაც პროტექციონიზმით გამოდის, მაშალო...—ოხვრითა და ჩახველებით დაიწყო ბორისმა. მინდოდა თვითონ გაიკეთებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. იცი რა: ერთი ქალია, შეშლილი. იგი ბიბლიოთეკის გამგეა და უპარტიაო. მასთან კი მისივე ქალი სცხოვრობს, რომელიც ჩვენს რაზმშია. გოგონას ცუდად ეტყევა: სცემა. პო და აბა, რა ცხოვრებაა. შეშლილთან ცხოვრება! და გოგონას ბანაკებში წასვლაც კი არ შეუძლია: დედა ვერავისთვის დაუნარჩუნებია, და აი, გთხოვ,—საქვამ ბორისმა და გაწითლდა,—როგორმე მოაწვე იგი საავადმყოფოში.

— მერე?

გაკვირვებით ჰკითხა სტეპან გრიგორიძე და ელოდა, რომ ლაპარაკი ლიუბაზე გადავიდოდა.

— აბა რა კაოგია?! ბავში შეშლილთან სცხოვრობს...

ჩაილულულა ბორისმა და უფროც დაირცხვინა.

«აი ახლავე იტყვის: ეს რა პროტექციაა?...—ჰფიქრობდა იგი. — აბიცაა ჩემს თავს».

— დიხ, ბორის სტეპანოვი! — შესტუტებით ამოიხორა შორხოვემა და ერთბაშად გამზიარულდა. — ჩვენ ამას ერაბაშად. რა ჰქვიათ ი გოგონას?

საქმიანის კილოთი ჰკითხა და ბლოკნოტი მოიმარჯვა.

— გოგონას კი არა, დედის შესახებ... აი: «ესთერ აბრამის ასული ფაინერმან», — ქალღღებ წაიკითხა ბორისმა.

ბავშს უხაროდა, მაგრამ ამ სიხარულიდან ის ასალი თვისა მსგავსი სტიქირე-ბოდა, რომელიც მამაში ცუდს პოულობდა.

„ეს ხომ პროტექციონიზმია, — და რა ადვილად დასთანხმდა“.

ძრახვით ამზობდა ბორისი.

„სამაგიეროდ ბერტა სადმე ბანაკში წაეა...“

— რაში ყოფილა იქ საქმე?

იკითხა სტეპან გრიგორიძმა.

— იცი, რა: ამ გოგონას მამამ მოჰკლა მისი დედის მეორე ქმარი, დედა კი შეიშალა და მერე გაათავისუფლეს. პო და, ბერტა, როგორღა იქნებოდა იგი? ყველაფერი ხომ მის თვალწინ... ბავშვთან ასე როგორ შეიძლება...

მეურველედ, თითქმის გიჟივით წაწოიძება ბორისმა, და სტეპან გრიგორიძმა ერთბაშად იგრძნო, რომ ამ წამოძახილშია დამალული სწორედ ის კვანძი, რომლითაც ეს, თითქოს სრულებით გარეშე ამბავი, გადაბმულია იმასთან, რაც მათს ოჯახში მოხდა.

— აჰა, — უთბრა შორხოვედა და დარცხვენილ — დაღლილმა გადახედა ბორისს, — სამკურნალო კონისიაში წაიღე. იქ ყველაფერს გაგიკეთებენ.

— გმადლობ!

ბორისი ადგა, გულჯიბზე გაიხსნა. წერილი შიგ ჩასდო და ისევ შეიბნია. შემდეგ მცის თავი ჩაითვალა, სხარტად შებრუნდა და კარისკენ გაემართა — გამხდარი, ტანადი, მწვანე — ბალახისფერი ტანისამოსით, მის ღონიერსა და შავ-გვრემან ფეხებს, რომ შიშველს აჩენდა.

ბორისმა როდი იცოდა, რომ მის მოზრდილობასა და დამოუკიდებლობას მამის ურთიერთობაში მუდამ ხახს უსევანდა ხოლმე ის შეუგნებლად მტკიცე და ცივი იერი, რასაც დედა მისი იღებდა ხოლმე მტრულ ძალასთან — პოლიციისა თუ პოლიტიკური მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს. ეს იერი ძვირფასი იყო სტეპან გრიგორიძისთვის, მაგრამ წინედ იგი არაოდეს მის წინააღმდეგ არ მიიმართებოდა, ახლა კი, როცა სწორედ მის წინააღმდეგ ამხედრდა, მას ერთბაშად მოენატრა ნატაშას სხვა იერიც, ფარული და მხოლოდ მისთვის საცნაური. აი იგი, დაღლილი და ალერსიანი, პირველი წმინდა და მტკიცე ნაოკებით დაღარული სახით წყნარად შემოდის ოთახში, ტანს ფაქიზათ აცვია ყელსაბამიანი ბლუზა, ყელსაბამს იხსნის და იღიმება, თან თავს იჭნევეს, როცა პგრძნობს, როგორ თავისუფლდება ნახი და თეთრი კისერი, ერთობ წვერილი მის დიდ თავთან შეფარდებით.

„ღიახ, ყველაფერი ეს დიადი იყო... ლიუბასთან კი როგორღაც სხვაა...“

გაითეიქრა მან და დარცხვენითა და შიშით მიმოიხედა, თითქოს ნატაშა იქვე სდგას და მის აზრს ისმენს ლიუბას შესახებო. მაგრამ ქალი იქ როდი იყო, — მხოლოდ მისი პორტრეტი ეკიდა. ამოიოხრა და თვალი მოარიდა: პორტრეტი გაფითრებული იყო იმ ნატაშასთან შედარებით, რომელიც თვალ წინ ედგა. კვლავ დააპირა ვაზეთს ჩაჰკვირვებოდა, მაგრამ დაღლილი ტვინი მისი გაყინულ მაწონივით ედო თავში, და ცრემლის დენით ამოქნარებდა და სტრიქონებიც პრელა-ქრულად უკრიალებდა თვალეში.

„ზორის რაღაც გაუგებარი და მნიშვნელოვანი მოსდის...“  
 ფიქრი“...

მაგრამ ეს წუხილი შესავალი იყო სოლოვიოვის საქმის გამო წუხილისა, ამას იქით კი იდგა უფრო ფართო და ყოვლის შემცველი ტკივილი იმ უწყსოების გამო, რაც თურქისტანში ხდებოდა, ყოველივე ეს კი ლიუბას ებრჯინებოდა და როგორღაც ეიდუნენთან იყო დაკავშირებული. ცხოვრება ხელსა და ხელს შუა მიელაღებოდა, ასრები უძლური იყო ამ ცხოვრების დასაქერად, ის კი ვალდებული იყო სწორედ ეს მოეზდინა.

„ცოტა მძინავს, ცოტა, — სხვანაირად, სრულიად სხვა მხრით მიადგა იგი თავის უხვირო მდგომარეობას, — ყოველივე ეს იქით იყოს, ჯერ კი — უნდა გამოვიძინო. აი, დაეწევი და მადიანად გამოვიძინებ“.

მთლად ამ უბრალო სურვილს დაეყრდნო, სწრაფად გაიხადა და საბანში შეძვრა. მაგრამ მშვიდი ძილისთვის კიდევ რაღაც აკლდა. მიმოიხედა, ნახა ოდნავ ღია კარი და შიგ გარბილი კლიტე, და კვლავ მაძლრული დაღლილი წყენით გაახსენდა ლიუბა, მისი ლამური და ალერსიანი გადაკიდება და წანსვე ეს გრძნობა ასეთის ფიქრით შესცვალა: „თვალს ოდნავ მოვატყუებ, ისიც მოვა და გამალვიძებ“.

კარი მიიარაბუნა, კლიტე გადაატრიალა, და ოთახშიც თითქოს სიწყნარე ჩამოვარდა: გარშემო ყველაფერი მღუმარედ უწყობდა ხელს ძილის განზრახვაში. და ერთბაშად ჩაიძინა ძილის თბილ სიბნელეში.

## 19

ლიუბამ კარის სახელური გადასწია, მაგრამ კარი არ გაიღო. მან კიდევ რამდენიმეჯერ უაზროდ გადასწია სახელური — და უეცრად იგრძნო, რომ ყოველივე, — ისიც, რომ სტეპან გრიგორიჩის კაბინეთის კართან სდგას და ისიც, რომ კარი იღება, — დამამიკრებელია და თავმოკეარეობით ნიშნობდა. ზორისი თავის ლოგინზე იწევა. გალს მოეჩვენა, რომ ბავში დაცინეით უცქერდა. ლიუბა წამოწითლდა და უხერხულის აჩქარებით მოშორდა კარს.

„მას, ალბად, დაეძინა... გულმავიწყობით გადაატრიალა ვასალები და დაიძინა... საჭირო არაა მისი გაღვიძება. ღე, ეძინოს, მეც დაეწევი და დავიძინებ“; — ამ სიტყვებით ჩაქკლა მან წყენით ბუნდოვანი შეგრძნება და ფარდას იქით გავიდა. მაგრამ მისი ბალიში სტეპან გრიგორიჩის ოთახში იყო, და ამ გარემოებამ კვლავ წყენა აღუძრა ვაფისადმი.

„არა, დაკაუნება არ შეიძლება, თორემ თავს ვაეა“... — კვლავ თავმოკეარეობით გაიფიქრა მან. ბალიშის სუფთა პირი ამოიღო, შიგ თავისი პალტო ჩასდო, გაიხადა და თავის ლოგინზე დაწევა, რასაც თვეზე მეტი იყო, არ მიჰკარებოდა. მაგრამ აკლდა თბილი, დამამშვიდებელი სიახლოე ტანისა, ხანდახანათი სუნთქვა გვერდით შწოლარისა; მოუსვენრად ტრიალებდა და ძილიც არ ეკარებოდა.

„იმიტომ, რომ ბალიში არა მაქვს“... — თავისთვის ჩაილაპარაკა. ტირილი სტრდა. „მას იქ მძინავს, მე კი აქა ვარ, ეს არც კარგია, არც წესიერი... ყოვე-



ლივე კი იმიტომაცა, რომ მე უკანონო ცოლი ვარ... — შენც კი იმეორე და თავი აიღო, რათა ყური მიეგდო ამ მოულოდნელი სიტუაციისათვის, რომელიც მართალია, საწყენი იყო, მაგრამ თან სწორიც. — მე ხომ უკეთესი ცოლი ვარ მისთვის, ვიდრე ნატაშა: სახლისთვის ვზრუნავ. ძილით კი — ცალკე ოთახებში გვიძინავს...“

და ლიუბა სხარტად წამოვიდა, ხელები მუხლებს ისე შემოეხვია, რომ ძუძუებს ეხებოდა. როცა საკუთარი ტანის სისალექე იგრძნო, ერთბაშად მშვიდი და გულდაჯერებული გახდა. „შერმის ასე აღარ იქნება, იქნება ისე როგორც უნდა იყოს: ერთს ოთახში ვიცხოვრებთ, — მის ოთახში, ფარდა იქ უნდა გადავიტანოთ და საწოლიც მას უკან დავდგათ, მაგრამ ეს კი არა, უფრო ფართო, — როგორც სახლის საწყობშია. აი იმ ჩოლუქას უნდა ჩამოვართვათ, კანტორაში რომ უდვას...“

ძვიჭობდა იგი და ძილი წყნარად ეკიდებოდა.

ღილით სტეპან გრიგორიჩი ლიუბას ხშიანში სიმღერამ გააღვიძა.

„როგორღაც სხვანაირად მღერის... — სთქვა მან, როცა მის ყურს მხედრული „ზღვასა და ტალღებზე“ მოხვდა.

ცოტა ხნის შემდგომ მზემ ძალზე ნიაკუნა ფანჯარას. სტეპან გრიგორიჩი საამო სიმხნევებს გრძნობდა, რაც კარგა ხანია აღარ განეცადა. სწრაფად ჩაიკცა და საერთო ოთახში გავიდა. სუფრაზე უკვე შუა ჩაი იდგა.

— გამარჯობა ლიუბაშა!

მზიარულად მიესალმა იგი.

ქალმა თვალი შეაღწო და მის ცქერაში ვაჟმა წყენა და გამომცდეელი კითხვა შეინიშნა, მაგრამ ლიუბამ თვალი კვლავ დახარა და თითქმის ისევე მზიარული სიმღერა მორთო. სტეპან გრიგორიჩმაც წყნარად მიაყოლა ხმა. ბორისი რაღაც თავისას ფიქრობდა და გამალებული სევამდა ჩაის — იგი კვლავ ბანაკად მიდიოდა. სტეპან გრიგორიჩიც ჩქარობდა და ჩაი ბორისზე ადრე გაათავა და წამსვე წავიდა, ლიუბას კი მთელი დღე არ მოწორებია ის ფიქრი, რომ სტეპან გრიგორიჩი ასე ვერაგულად აყოლებდა ხმას მის სიმღერას, ჩაის სმის დროს პირს იწვევდა, რათა ბორისზე ადრე წასულიყო; ამაში რაღაც უსამართლო და ეშმაკური მოტყუება იმალებოდა, მაგრამ იგი როდი სცდილობდა ამ მოტყუების გამომიღვანებას.

„კვლავ ასე აღარ იქნება...“ — ამბობდა იგი თავისთვის და გულში ეძებდა იმ სიტყვებს, რომლებითაც სახლის მმართველობისათვის უნდა მიემართნა საწოლის სათხოვნელად, და ამასთანვე თვალ წინ წარმოადგენდა ავეჯეულობის გადადგმას საერთო ოთახში.

დღეს გამოცდები ჰქონდა. მაგრამ რაკი მისი გულისყური იმ სერიოზულსა და მთავარს შეეპყრო, რაც მისა და სტეპან გრიგორიჩს შუა ხდებოდა, ამიტომ საქმისათვის საჭირო მთელი ძალაც ვერ მოეკრიბა: ვერ მოლაპარაკებოდა იმით, ვინც უკვე ჩააბარა, მისი სუსტი ცოდნაც ერთბაშად გამოაშკარადა და — იგი ჩაიჭრა. სხვა დროს ეს ჩაჭრა უთუოდ ეწყინებოდა, სტეპან გრიგორიჩის საცუდურისაც მოერიდებოდა, მაგრამ ახლა კი ამ ეშმაკურისა და ბუნდოვანის მოტ-

ყუბით ვაყი თითქოს რაღაც უფლებას აძლევდა მას არ სწყენოდა, რომ წაქვამოდა შინ დაბრუნდა, გზაში სულ ავეჯუღოების გადადგმაზე ჰფიქრობდა. როგორც კი იხილა, რომ აქედან მოქმედებით აღსაესე თვისი ფიქრებისა, მაგრამ როცა მისი კაბინეთის ღია კარი დაინახა, საიდანაც იგი აღარ შეგვებებია, როგორც წინეთ იყო და ხოლმე; როგორც კი უცრად იგრძნო ოთახის რაღაც განსაკუთრებული, გულხათბრობილი მყუდროება, — მისი გულდაჯერებაც ერთბაშად გაჰქრა. მოულოდნელად დარცხვენილი, იგი მორიდებით აღებდა მისი ოთახის კარს. კარში ოდნავ გაიჭრიალა, ქალს შეეშინდა და იქვე გაქვავდა: ვაჟმა თვლი მიბაყრო, ქალისათვის უცნობი აზრებით დანისლული და ქალს მოეჩვენა—იგი მძრახავსო.

— არა გცალიან, ძია სტებ? იმუშავე, იმუშავე!

და კარი მიხურა.

იგი თავისგან არ მოელოდა ასეთს დანაშაულურსა და მლიქვნურ კილოს, მაგრამ უკვე დახურულ კარს უკან იდგა და ჰგრძნობდა, რომ სადღაც შეიგინდნ უმწიკო წყენა იმუშაობდა მაში. გამოცდაზე ჩაქრა ახლა უბედურებად ეტყვნებოდა; ცარცით გასერილმა თითებმა დამამცირებლად მოაგონეს ესა. გარშემოიხედა, თითქოს მოკავშირეს ეძებსო,—ყოველი წვრილმანი ამ ოთახისა მდუმარედ და უცრად მისი მომზრე იყო: ყოველივე ეს ხომ, თვით შხალიერის ფერადიფენებაც კი, მისი არჩეული და მოწყობილი იყო, მან შეჰქმნა ეს თბილი სამყარო და მთავარი ადგილიც მაში უფლებით ამას ეკუთვნოდა.

„იგი სულ ნატაშკაზე ჰფიქრობს...—ნაწყვეტ-ნაწყვეტ იგონებდა.—ნატაშკა კანონიერი ცოლი იყო, მე კი, გამოდის... ასე უკანონო ვარ...“

გჭვითა და მწარედ ატირებული ლოგინზე წამოწვა. ელოდებოდა, ოთახიდან როდის გამოვაო: ჰფიქრობდა, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ ეს სიტყვები როდი იყო,—ეს იყო ცრემლით გაღლენთილი, სასაყვედურო სლოკინი. და უცრადვე ჩაქმინა.

იგი, ალბად, ჭურის შემთხვევითმა ხმაურმა გააღვიძა. ტრანვიის ხმა უკვე აღარ ისმოდა. სტებან გრიგორიჩის ოთახის კარი დაეკტილი იყო; ესმოდა ვალკას წყნარი ხერინვა. სახე უხურდა, გული სადღაც ძირს ვარდებოდა. თავისი კმაყოფილი ვერ იყო როგორღაც, „გაუზბდელს მძინებია... მერე რა, ვავიხდი...“

როცა კაბას თავზე ივლებდა, ხელისგული ლოყას შეეხო და უცრად შეკრთა: ხელები ზინზლიანი და ქუჭყიანი იყო. „მერე რაო, ახლავე დავიბან... და ყოველივე...—წინდებით პირსაბანისაყენ გაიქცა.—დავიბან და—მასთან გავიქცივი და ყველაფერი რიგზე იქნება“. ბრმად და მძინარედ იშორებდა იგი ყოველივე ცუდს, რაც დღისით იყო, და რაც ახლა შემთხვევით რამედ ეტყვნებოდა. კარგად გაიბანა ხელები, კისერი, მკერდი—ძილი გაჰქრა, მაგრამ სავაგიყროდ დარჩა მკაფიო ღამური აღტყინება. და იმ უტყვი სიხარულით, რაც იქნება, და რაც ჩვეულებრივად იქცა უკვე, იგი წყნარად დააწვა კარის სახელურს—და კარი კვლავ არ გაიღო. ეს განცდა ისეთივე იყო, როგორც გუშინ. მაგრამ ახლა, რა კი მას არავითარი დღიური რამ აღარ ჰპურავდა, ეს განცდა საწამლაღვივით



შეერია, სისხლს, და სიხარულიც ერთბაშით შეიკუმშა, ვით მომხდებოდა ადამიანის სისხლი, კანკალი აუფარდა და თავის შოთელილს ციეს საწოლს დასტოვებდა.

როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე ძლიერი მღელვარების დროს, ნელა და ფროხილად იწყო თმის ვარცხნა. როდი სტიროდა: დანაწიერებელმა და უდიდესმა უბედურებამ თითქოს ცრემლები ამოუშრო, ჰგრძნობდა ან ადამიანის აღერსიან ენებას მისი სისხლი და თავი ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ადამიანი ცალკე ოთახში იკეტება მისგან; ფიქრით ისევ და ისევ კარის სახელურს ატრიალებდა და განცვიფრებულ-გაბოროტებული იახლებდა დაუძლეველი, გაუღებელი კარის შვერძნებას.

ფანჯარა კი თანდათან ნათლდებოდა და მტრედისფრად იმუქებოდა: ნაცნობი ნივთები კამოდი, კარადა, ბავშთა საწოლები ღამის ბინდიდან ერკვეოდა... მისი ოჯახური სამყარო კვლავ ჩნდებოდა და უხმოდ—ურყევად უტერდა მხარს, და იგიც მზად იყო ებრძოლნა, მთავარი ადგილისათვის ამ მისგან განუყოფელ სამყაროში. რა კი დარწმუნებული იყო ამ ბრძოლის სამართლიანობას, იგი წარბებს კმუნნიდა და კბილებს აკრაჭუნებდა.

„მას არ შეუძლია, ასე მომეპყრას: ეს გარყვნილებაა — ასე მოქმედება... იგი ძველი პარტიულია... მე ყველაზე უძვირფასესი მივეცი მას...“—ჭფიქრობდა იგი თავის ქალწულობაზე და სრულიად ბუნდოვანად და უეცრად ვალოდიანზეც—თითქოს სტეპან გრიგორიის მოყვებუბინოს იგი და ის არ მიეცეს, რისი მიცემაც ვალოდიას შეეძლო.

## 20

სალამოთი შორობოვმა, ვითომ საკუთარ თავსაც არ უზხელსო, თავიდან მოიშორა ლიუბაზე ფიქრი—მაგრამ მაინც ველარ გაუძლო და წყნარად გადაატრიალა კლიტე. ხოლო ღამის განმავლობაში, მშვიდად გამოძინებულმა რალაც სიმტკიცე იგრძნო და ამ სიმტკიცით გააშუქა მთელი თავისი ცხოვრების გამოცვლილი სახე. იგი ცხადად ჰგრძნობდა: მაზე ეიდნუნენი ბატონობდა, რაც შეუწყნარებელი იყო, რადგან ეიდნუნენი სტეპან გრიგორიის ნაკლებ სრულყოფილად ეჩვენებოდა, ვიდრე თვით იყო,—საჭირო იყო მისგან განთავისუფლება, ხოლო საამისოდ კი უნდა გამოენახა მიზეზი მისი ახალი, უცნაური და სამარცხვინო გავლენისა. ეს მიზეზი ერთს ძირითად უმართებულებაში იმალებოდა—ყველაფერი ერთს ნასკეში იყო გადახლართული: ეს იყო ლიუბა, ხოლო როცა ამ ნასკეს გასახსნელად ჩაპირკიციბდა, უეცრად დანახა რომ არავითარი ნასკეც არ ყოფილა: იგი და ლიუბა სრულიად ჩვეულებრივ ქორწინებას შეერთებინა; მართალია, ეს შეუღლება მასაკით შეუფერებელი იყო, მაგრამ ხომ უყვარდა ეს ქალი და აი ახლაც უტყვისა და გაუმადლარ ნაღვლსა ჰგრძნობდა მისდაი.

„არა, მე მიინდა მასთან ცხოვრება და კიდევ ციცოვრებ, — გარკვევით გაიფიქრა მან. — მხოლოდ, აი, ერთად არ უნდა ვიძინოთ ხოლმე... შერე კიდევ იმისი სასიყვარულო სიტყვები... ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი განუვითარებელია საერთოდ, და, საზოგადოდ ჩვენს ურთიერთობას ცხოველმყოფელობა

აკლია...—სასწრაფოდ დაძვარა მან ამ სუბუქი აზრებით ის წინასწარმეტყველი, რომ მასთან ძილი საჭირო არ არისო.—ჰო, ნატაშასთან როგორღაც სხვა იყო...—და ეს ახალი აზრი ნატაშას შესახებ ისე საამო იყო, რომ ყურბი არ უთხოვებია ამ უმკვლელად ეიდუნენისეული კილოსთვის:—ღიახ, ღიახ, საჭიროა ისე, როგორც ნატაშასთან. მაგრამ როგორ? ერთად ვიკითხოთ ხოლმე? ერთად ვინაუბროთ პოლიტიკურ თემაზე? ან იქნებ თან წავიტანო და ერთად ვიმუშაოთ ხოლმე?.

როგორც კი ზოგად მოსაზრებიდან მოქმედებაზე მიდგა საქმე, აზრის მწყობრობა ერთბაშად გაქრა და აღარ იცოდა, რა ექნა. „ნატაშა“... თითქოს რაღაც იდეალურიო, ნაღველით გაიფიქრა მან და ვითომ კიდევ გაიგონა რაღაც სიტყვები, ნაწყვეტი, ნაცნობი კილო, სუბუქი სიცილი,—და უეცრად მოაგონდა, რომ ყოველივე ეს შეუძლია ახლავდეს ალაღინოს, რომ მისი საწერი მაგიდის ქვედა ყუთი სავსეა ნატაშას წერილებით. სწრაფად წამოაღვა, ჩაიკცა და წერილებიანი ყუთი მაგიდაზე მოაპირქვედა. ამ დროს კარებზე დააკაკუნეს, მოწყვეტ და მწვავედ შემოვიდა ლიუბა და, როცა ნახა მისი გამხდარი სახე, ჩალურჯებული ტუჩები, თვალთა მშრალი ბრწყინვა და ათრთოლებული ხელები, სტეპან გრიგორისს ამ ცხუნარე მწუხარების წინაშე ერთბაშად დააიწყდა ეს აუარებელი ნაწერი ქალღი. ვაჟს უკვე უხაროდა მისი მოსვლა და უზნოდ და გაუმადლად ადევნებდა თვალს ყოველ მის მოძრაობას.

—გამოვინე, სტეპან!—ნიაძახა ქალმა,—მემალები განა? როგორ უნდა გავიგო შენი საქციელი?

არ იცოდა, რა ეპასუხა. ასე ეკონა, რომ გულმავიწყობით ჩაჰკეტა კარი—ლიუბა და იგი ზომ ჩაიკეტებოდნენ ხოლმე დამ-დამობით. მაგრამ ახლა ასეთი პასუხი კრუ მოეჩვენა. და სწორედ იმიტომ, რომ დაირცხვინა, უჩვეულო და უეცარი სიმკაცრით უთხრა:

—საჭიროა სერიოზულად მოვილაპარაკოთ ჩვენი ურთიერთობის შესახებ, ლიუბა...

—სერიოზულად...

თითქოს ამ მშრალი სიტყვის პირდაპირ აზრს არ ჩაჰკვირვებიაო, უნებურად გაიმეორა ქალმა.

„არ უნდა იყარ“... ასე დაათარგმანა თავისთვის ეს სიტყვა და სიანცუც ერთბაშად გაუქრა.

—სერიოზულად...—აბნეულად და საბრალოდ გაიმეორა მან,—ეს რა ამბავია?—მერე მხრები ჩამოჰკარა, სავარძელში ჩაჯდა და თავი ხელგამ დააყრდნო. მაშ, მართლა გინდა დამეხსნა?...—და თვით შეეშინდა ამ სიტყვების ხმოვანებისა, თითქოს იგინი ვიღაც სხვამ წარმოსთქვაო.—ეს რა მიყავი?

როცა მისა წყნარი და საბრალო ქეთინი ესმა, აქანკალებულმა მიიწია მისკენ. ის ერთობ სასტიკი სიტყვა რაც მისი გრძნობების გამომატველი არ იყო, ახლა სიტყვის განგრძობის საშუალებას ართმევდა.

—რაო, რაო, ლიუბაშა?—წაილულულა მან და ცხადად იგრძნო როგორ მატულობდა მასი დანაშაულური კავშირი ლიუბასთან.—ნუ, ლიუბაშა... ნუ, ჩემო საყვარელო გოგონა!

თაგზე ხელს უსვამდა და ეალერსებოდა იმიტომ, რომ ჩვენს ხელში და ბუნდოვანად დანაშაულსაც პგრონობდა მის წინაშე.

ხელი უნებურად მის მხრებზე ჩაწოტოცდა. ქალმა ღრმად ამოიოხრა და შვეე ეხუტებოდა:

— კატუნა!.. რა ცუდად მოიქეც!.. ერთობ ცუდად!..

ჩურჩულებდა ქალი, თანაც სლოკინებდა და ყელზე ეხვეოდა.

თუმცა ვაჟი ბუნდოვანად პგრონობდა, უკეთესია ახლა ეს არ ჩავიდინო მინც ხარბად დაეწაფა მის მშრალსა და ცხუნარე ტუტებს.

გვერდით მწოლარე ქალი ხეიხინითა და ვნებით იცინოდა. და ყველაფერი მისი შოროხოვს მეტად ურცხვი ეჩვენებოდა, და ის ცუდი უგუნებობა, რასაც იგი ყმაწვილობაში განიცდიდა ხოლმე იოლად დამნებე ქალებსადმი, ახლა კვლავ აღიძრა მასში.

„ამ შუადღისას!.. არა, ნატაშასთან ასე როდი ყოფილა ხოლმე“...

კვლავ გაიფიქრა მან და თვისი დამოკიდებულებანი ნატაშასთან განსაკუთრებით მალალი და წმინდა ეჩენა იმასთან შედარებით, რაც ახლა ლიუბასთან ხდებოდა.

— სტიობა ჩემო! რალაც უხვიროდ ვცხოვრობთ ხოლმე დამეობით... ყურში ჩასურჩულებდა ლიუბა. — აბა რასა ჰგავს? მე ბავშვებთან მიძინავს ხოლმე... მოდი, ჩემ საწოლს აქ დავედგამ... და არც შენ შეგიშლი—ფარდით გავეტისრავ: ოთახი დიდია...

არ იცოდა, რა ებასუხნა მისი სიტყვებისათვის: ჯერ კიდევ არ აეწონა იგინი, მაგრამ ფრთხილად და ალერსიანად გაითავისუფლა თავი მისი ხელებიდან და მაგიდისკენ გაემართა.

ნატაშას წერილები მაგიდაზე ეყარა; წერილი, გულდასნით გამოყვანილი ნაწერის ხვეულები, თითქოს შორიდან, კარგა ხნით გაუგონელს, თითქმის დავიწყებულ სიმღერას ღიღინებდა, — ფერმიხდილ, მტრედისფერ-მოლურჯო სიმღერას, როგორც განთიადის ცა, სრულიად ცივსა და ფერმკრთალს, — სავარძელზე კი მეორე, მრისხანედ და მკაფიოდ აღაღლაეებული, კუშტად იკრავდა ჟანგისფერ წარბებს; და მისი სხეული, სხეული, რომლის სუნელებასაც იგი აშკარად პგრონობდა, ტანისამოსის ხვეულებს აფოფინებდა სწორედ ისე, როგორც მადღარი და ახალგაზრდა ცხოველის მზხინავი ბეწვი.

„გაცხოვლება ჩვენი ურთიერთობისა!..“

მწარე ღიმილით გაიფიქრა ვაჟმა.

ლიუბა შეურაცყოფილი და განცვიფრებული იყო. იგი ახლა კვლავ პგრონობდა, რომ ვაჟს ესაპიროებოდა იგი და ამიტომაც დაიწყო ერთბაშად ლაპარაკი ერთს ოთახში ცხოვრების შესახებ. და ის გარემოება, რომ ვაჟი ახლა განშორდა და მაგიდაზე რალაც ქალაღდებს დაუწყო ჩხრეკა, იმისი ნიშანი იყო, რომ მისთან ცხოვრება არ სურდა, და კვლავ რალაც ეშმაკური მოტყუების სუნი ეცა—როგორც გუშინ საღამოს, როცა ვაჟმა ხმა ააყოლა მის სიმღერას.

—მანდ რას აკეთებ?

გამომწვევი კილოთი პკითხა ქალმა.

— ესა... — ქალმა წუთიერი დარცხვენა შენიშნა, მერე უკვე გასწორდა, დინჯი სიმშვილით შეხედა ქალს თვალში და მიუგო: ეს ნატაშას წერილებია. გინდა ერთად წაეიკითხოთ?

— ნატაშას წერილები... — სთქვა ლიუბამ და წამოდგა. — ნატაშასია...

ბრაზით და უმწყნოთ მიმოიხედა და თვალი მოჰკრა დის დიდ პორტრეტს.

— რა სულ მუდამ მას მაჩრაი?

წამოიძახა ბრაზით თავდავიწყებულმა.

წინედ, ნატაშას გახსენებაზე ლიუბა სდუმდა. მაგრამ ამ დღეში ის იქით ვაჟი ბუნდოვანად ჰგონობდა ხოლმე იმას, რაც ახლა წამოიძახა.

„ნატაშას ვაჩრაი?! — ჰფიქრობდა იგი და ციესა და მშვიდ აღშფოთებას ეძლეოდა, — და ამას ჰხედავს ნატაშაზე?! ჰო და, კარგი, მეც მოვახსენებ...“

— ჰო, და ლიუბა! შენ ბევრი რამ უნდა ისწავლო ნატაშასგან... — მშვიდად მიუგო სტეპან გრიგორიჩმა. — შენ, აი, ცუდად ნეცადინობ საკუთარი თავისთვის, იგი კი...

— ნურას მეუბნები მაზე... გესმის? — დაიყვირა ლიუბამ. — მიგებაძო... ვითომ რაო—მაზე ნაკლები ვარ? — და იგი გამომწვევად გაიმართა მის წინ, თითქოს თავი უნდა აჩვენოსო. — იგი არც შენთვის ზრუნავდა, არც ბავშვებისთვის... მაგრამ, ვიცი რითაც გხიბლავდა—და მის ყვირილში უკვე ავი ტირილი ისმოდა. — ნატაშა ეშმაკი ქალი იყო. თავს იკატუნებდა, თითქოს პარტია საჭირო იყო მისთვის, ან რევოლუცია, ყველაფერი-კი—შენს გასახლარათავად. ხოლო შენ უჯეროდა, დურაკო!

განცვიფრებულნი უსმენდა იგი და თვალეში ისე ჩასცქეროდა, ვით ილტკინებულსა და მოგუგუნე კოცონს; უღმობელი და საშინელი ნიშნები, რასაც წინედ მხოლოდ ჰგონებდა, ახლა ცხადად და გარკვევით გამოუმლავნდა მაში. და იგი ამ ქალს ახალ, რევოლუციის ნორჩ თაობად სთვლიდა, ისეთივე ეგონა, როგორც ოლგა! და უნებურად ოლგა მოაგონდა, მაგრამ წამსვე განახსენა იგი ამ გაწეწილ, გააფთრებულ ახალგაზრდა ქალისგან, ავტო რომ ხრინწინად ჰყვიროდა და ბრაზით სლოკინებდა.

— მე უბრალო ქალი ვარ... სიყვარულით დაგნებდი მხოლოდ! მაგრამ არა, კვლავ ასე აღარ იქნება! ყველაფერს გადავებოვნებ, ყველაფერს, და ნატაშასაც აქედან გავაგდებ!..

და პორტრეტისკენ გაექანა.

— მოშორდი!

მუშტის შეკერით დასკუივლა სტეპან გრიგორიჩმა, და ლიუბამაც მის სახეში ისეთი მრისხანება ამოიკითხა, როგორიც არაოდეს ენახა.

თითქოს ამ მრისხანებით სცემო, ქალი ერთბაშად მოეშვა და ატირებული გავარდა გარედ.

სტეპან გრიგორიჩი სავარძელში ჩაიკეცა, გული უკემდა, ხელები უკანკალეზდა, ტანში რალაც მწვავესა და მყრალ ოფელსა ჰგონობდა. დიდი ხანია, აღრინდელ ბავშობიდან აღარ განუცდია ასეთი მდაბალი და მახრჩობელი ბრაზი. არა, ეს სრულიადაც არ ჰგავდა იმ აშმაკურ სიძულვილს, თვისი კლასის

მტრებისადმი რომ ჰგრძნობდა იგი. ეს სულ სხვა იყო, წვრთნისა და შემბოჰველი და ძალის გამოძლეული გრძნობა.

„სანამდე მიმიყვანა!..“ — და მის არსებაში უეცრად სუსტი გამოხზობით განშეორდა ის მქუხარე სიტყვა, რომლითაც მისმა ვაჟმა შეავინა ეს ქალი, — და მან დარცხვენითა და წიწით მიმოიხედა. — არა, ასე არ შეიძლება!

ჰფიქრობდა იგი და თანაც ესმოდა, როგორი სლოკინით ეალერსებოდა ლიუბა პატარა ვალკოს.

ვაგი შეაკრთო თვისი ხასიათის ამ უეცრად გამოცვლანებულმა მდაბალმა და საშიშმა ნიწნებმა. „ასე ზომ კეშასაც აღარ მოვერიდები... — გაიფიქრა მან, რა უნდა ექნა?.. გავეყარო“ — მაგრამ ახლა, როცა ასე აშკარად გამოიჩინა ქალის მტრულობა, ვაგი ჰგრძნობდა, რომ იგი უკვე მიეჩვია მას, მის ხმას, მის სწრაფსა და ნოქნილ მოძრაობას, მასთან ფიზიკურ შესისხლბორცებას „ნატა-მასთან კი რა სიახე და თავისუფლება იყო!“ — გაიფიქრა მან და თვისი ცხოვრების მტანჯველი წინააღმდეგობიდან წასრულში გატყვევა სცადა, — იმ იდეალურ-მაღალს წარსულში, აი იგი — ეს წარსული — ქალადის გაყვითლებულ, უკვე ლობილ გროვად სძევს მის წინაშე. და სტეპან გრიგორიჩი მისდევს ხელნაწერის ამ წერილ, სწორ ძაღს, თითქოს იგი ნატაშას კვლიაო: ნატაშა წინ მიდის და ცბადად სწორწულებს რაღაცას, და ეს წურჩული ხან გაურკვეველია — უამთა სისტეს ველარ ატანს — ხანაც მკაფიოდ ისმის მისი თითოეული სიტყვა — და აბა იგი...

\* \* \*

„სტიობა, ჩვენ კვლავ ერთად არა ვართ. და მაინც — თითქოს შენთან ვარ: რა კარგად ვიყავით ამ საში კვირის განმავლობაში! მე ძალიან კარგად მაქვს წარმოდგენილი ყოველივე, რასაც აკეთებ, და თითქოს თვალის კი შემიძლია გადევნო, როგორ დადინარ, როგორ სცხოვრობ, სუნთქავ და მუშაობ — თითქოს ყოველივე ამას შენით ვტყუობილობდე. ამ წუთში ვფიქრობდი, რომ ყოველივე ამას საპატიმროს უფროსობა ვადაიკითხავს-მეთქი. მაგრამ, როცა ამას ვწერდი ასე მეგონა, რომ შენ თავისუფალი ხარ, მე კი დაპატიმრებული, და მე შათი არ შემრცხვებოდა და გადაგკოცნიდი, ყველაფერსაც გიამბობდი — ისინი თითქოს არც კი არსებობენ ჩემთვის...“

კამერაში, ჩვენს გარდა, რომელთაც უკვე იცნობ, ერთი ესერი ქალია. მასთან დამეგობრებული ვარ, რაც ძალიან აკვირვებს ჩემს ამხანაგებს, უამისოდ იგი, აღზად, მარტოობასა ჰგრძნობს...

ეს ქალი — ესერია, ძალიან ნაღვლობს ვილიცაზე, იღზად, საყვარელ იდამიანზე; უნდა მიამბოს, მაგრამ მაინც სდუმს. მე კი უუამზე შენსა და გოგონების შესახებ...“

„გოგონების შესახებ... ამით ოღვასა და ლიუბას ჰგულისხმობს“... გაიფიქრა მან და ახლა უკვე გარკვევით გამოჰყო ლიუბა მისი ახლადგამოჩენილი საშინელი ნიწნებით იმ ოღვასგან, რომელიც რევოლიუციონური ნორჩი თაობის ბუნდოვან და მახალისებელ განხორციელებად დაიჩა.

„როგორ შეეწე მათ?—კითხულობდა ქვემოდ.—თუნდაც კვლავ ვეძებ-  
რება, ალბად. იგი მართალია, უმცროსია, მაგრამ მეოჯახეობის მხრით საზრი  
როდი აქლია“...

იგი კვლავ შესდგა და საკუთარ თავს ყური ათხოვა. ამ ქებას მოულოდნე-  
ლად მის წინააღმდეგ შეაბრუნა ყოველივე, რაც მისა და ლიუბას შორის  
მოხდა.

„მე ისე მესიამებოდა ყველა თქვენზე ლაპარაკი, თითქოს უკლებლივ გხე-  
დავდიოთ. და ის ქალი ნელბნება: „მეგონა: თქვენ ყველანი მარქსისტები ხართ—  
გულგამომშრალნი. მე კი თქვენისთანა გულთბილი ხალხი არაოდეს მინახავს.  
თქვენ, ალბად, კუდი სოც.-დემოკრატი უნდა იყოთო“. ჩემზე ამბობს! აქ კი  
შეგვაშათდით და კოდეც გამოვლანძლე, მაგრამ საღამოთი კვლავ ჩემთან მოცოც-  
და და—ვხედავ, სტირის. მე გადავკოცნე, ის კი შეუბნება: „თქვენ მადონა ხარ-  
თო“... გაშეცინა, იგი კვლავ შეუბნება: „თქვენს სიცილში რალაც დედობრივი  
გამოკრთისო“... და ასეთი რამეები. გამიკვირდა, ესერებს ხომ ჩვენზე უფრო  
რევოლიუციონერებად შოაქვთ თავი და ეს კი... ასეთ სარწმუნოებრივ სისულე-  
ლესა როშავს: „მადონაო“!

შემდეგ შეუბნება: „ჩემი სიყმაწვილე მენახება, უიმისოდ ვდნები და ვნაღ-  
ვლობო“. მე კი ვუბასუბებ: „ვინც აგრე ნაღვლობს, ნას ნაყლებ უყვარს. ვისაც  
ძლიერ უყვარს, მას შეუძლია საყვარელს მუდამ თავის ახლო ჰგრძნობდეს-  
მეთქი“. მას გაუკვირდა, მერე ცოტა დუმილის შემდეგ დაუმატა: „თქვენ მარ-  
თალი ხართ: მალე იგი აღარ შეყვარებაო“... და კვლავ დუმილის შემდეგ გა-  
ნაგრძო: „აი, წელან მე ისეთი რამ ვითხარით, რასაც ჩემს თავსაც ვერ გავუმ-  
ხელდი, ნუ თუ ეს, მართლაც, ასეაო?“...

1910 წლ. 14 თებერვალი.

ვაჟი! დე, ეს სიტყვა თვითონ შემოძერეს შენს სამარტოო საკანში. სტიოპა!  
გოგონები იცინიან, რომ ისეთივე ელამია, როგორც შენ. გარედ მზეა, გაზაფ-  
ხული... მე კი... გამორატებული, განაწამები: ადრე აედექი ლოგინობიდან. რა სა-  
ხარბიელა უფულობა და გაზეთის რედაქტორ, ლიბერალ წამაძალზე დამო-  
კიდებულება! ძნელია: სამი ბავში. მართალია, ლიუბა ძალიან მეზმარება  
ოჯახში“.

სტეპან გრიგორიის კვლავ აღუჩუნდა დანაშაულობის ბუნდოვანი გრძნობა  
ლიუბას წინაშე, მაგრამ უკვე ქვემოდ განაგრძობდა კითხვას:

„და მეც თავს ვიზნევებ, სტიოპა. ჩვენ ორნაირად გვებრძვიან: ჯერ ერთი,  
საპრობილეები, ვადისახლება, დევნა—მაგრამ ყოველივე ამისი იტანა უფრო  
ადელია, ვიდრე როცა შენს წინააღმდეგ ცხოვრების წერილმანები აღიმართება,  
ბავშები ვერაფრით გამოიკვებნია... გული მისკდება... შემდეგ კი მივხედი, ეს  
კვლავ ჩვენი მტერია, კაპიტალისტური რეჟიმი, რომ იმით ებრძვის, ვინც რეაქ-  
ციის ხანაშიც კი თავის პოზიციებს არა სთმობს, და იცი, ვწუხდი, რომ უაზრო  
ინსტიქტს აყუფვი და ვშობე“...

სტეპან გრიგორიის შეშფოთდა და ქვემოდ აღარ წაიკითხა. ეს სიტყვები  
თითქოს იმასვე გამოხატავდა, რაც მან განიცადა, როცა ლუბაში ბრმა და სა-

შინელი ძალა დაინახა. ერთხელ კიდევ გადიკითხა ეს სტრიქონები დაეჭირა, გაეჭუსტებია, გამოეცნო ასეთი მზგაესება, მაგრამ იგი ვაქრა, წაიშალა: ახლა წინ წარმოსდგა უფრო ზერელე, ფანტასტიური აზრი ამ სამქაროდ დაწერილი სიტყვებისა ვეის დაბადების შესახებ. და იგი უკვე აღფრთოვანებით კითხულობდა ქვემოთ:

„პირველად როდი მინდოდა ყოველივე ამ მწუხარებაზე შენთვის მომეწერა. შემდეგ კი უეცრად გავიფიქრე, რომ თუმცა შენ უფრო მოსვენებული იქნები, რომ არა გწერდე, მაგრამ უფროც გიამება, თუმცა შემოფოთლები კი, როცა მოგწერ, რადგან გეცოდინება, რომ რაკი მოგწერე, ამით მწუხარება ოდნავ შეეისუბუქე. ხომ მიმიხვდი? აი, უკვე სისულუბნესა ვგრძნობ. მაშასადამე, შენც კარგად იქნები“.

„სტიოპა, ეს რა არის? ერთი წელია ერთმანეთი არ გვინახავს, სამი საათით მთლიანად, და ამ ორი დღის განშორებამ, რაკი შენ კვლავ საპატიმროში ხარ, შეიძლება თვეობით და წლობით გასტანოს.“

ხანდახან გაიფიქრებ: სიყმაწვილე მიდის, კუდი და რჩება, გაივლის სიცოცხლე და სადღა ჩვენი სიყვარული? იყო კი? როგორ არა: აი ბავშები. მაგრამ ჩვენ კი, რამდენჯერ ვიყავით ერთად? საათები მხოლოდ, დღეები კი—ძვირად. ხოლო ეს საათები, დროის ეს პაწია ნამცეცები—რა მძიმე, რა სასიხარულონი არიან ისინი! და განა იმათ, ვისაც ბედნიერ წილად ზედათ ყოველდღე ერთად სადილობა. (სერაიოზულად ვწერ: ძლიერ ვოცნებობდი ხოლმე ყოველ დღე შენთან შესადილნა, ეს კი ერთობ ძვირად ზდებოდა ხოლმე). განა აი ამ ხალხს ისეთი მძიმე ბედნიერება აქვს, როგორიც ჩვენ“.

1913 წლ. 11 ივლისი.

„ჩვენ ისევე მაღლა-მაღლა მივიდევართ: ახალი გგუფი დატუსაღებულია. და მათ შორის—აბა ვინ გგონია? ლიუსია. მინდა ახლა დაგინახო: ალბად დარცხვენით გაიღიმე. როცა გაიგო, შენი ცოლი ვარ, დარცხვენაზე შევატყე, რაც თქვენ შორის მომხდარა... და გულახდილად გეტყვი: მასაც ვცემდი და შენც... არა მსურს, რომ სხვა ვინმე გიყვარდეს... ეს იქნეულობაა ან, როგორც გინდა, ისე იანგარიშე, ხოლო მეტი არა შემიძლია რა, რომ არ გითხრა: არ მინდა-მეთქი.“

აჰ, სტიოპა! მე შენზე აღრე მოვხუცდები—შენ სხვას მოსტებნი... საშინელებაა, უღმობელი და აუცილებელი! მაგრამ რა ექნა, რომ არ მინდა?.. ბავშვებსაც რა ეშველებათ?“...

ტალია!

აღერსით, ნახად, დარცხვენით სიქვა სტეპან გრიგორიჩმა და ხელი გაიწოდა, თითქოს ხელი უნდა ჩამოართვას, დაამშვიდოს, დააჯეროს და უსაყვედუროსო.

მაგრამ ქალი არსად იყო, რამაც დაუწყაყოფილებლობის ცხოველი გრძნობა გიმოიწვია, თითქოს მას რალაც მნიშვნელოვანსა და მთავარს ეუბნება და უეცრად გაიგო, რომ იგი დიდი ხანია წასულაო. გონებით ესმოდა მისი ხმის გაჯავრებული კილო და მაშინ იგივე იყო, რაც ლიუბას მაშინდელ ყვირილში, ნატაშას პორტრეტისკენ ბრაზიან გაქანებაში. დიად ნატაშა იქნეულოდა და ოც-

ნებობდა ერთად სადილობაზე—ესეც ლიუბას აგონებდა მას. <sup>ერეკლე</sup> <sup>წინასწარ</sup> ბუნდოვანი იდეალობა ჰქრებოდა და მან გაჯავრებით კვლავ იგონო წაში რაღაც გაურკვეველი, ეიდუნისეული მოტყუება. მაგრამ რატომ მოტყუება?

და გაახსენდა ნატაშასთან გატარებული დღეები მოსვენებისა—ერთობ მცირე წუთები—როცა ერთად დასეირნობდნენ, ცირკში დაიარებოდნენ. ერთადაც კითხულობდნენ? ჰო, თითქოს რაღაც თავისთავად, მეტწილად კი ცელქობდნენ და სულელობდნენ, როგორც ბავშვები. მაგრამ პოლიტიკა—ის ჰაერი იყო, რისაც სუნთქავდნენ, ყველაფერი იმითი იყო გაფლენთილი. ლიუბა კი, პატარა, ახლობელი და საყვარელი გოგონა. როცა შორიხოვი მრავალი დღეებისა და არალეგალიზაციის შემდეგ წუთით შინ შეიხედავდა, მას ლიუბებს უკრებდა და საცვალს ურეცხდა... «დიახ, ზოგჯერ სადილსაც ამზადებდა და ბავშვებს უვლიდა... ნატაშას ხომ არ ეცალა, ლიუბას კი მუდამ უყვარდა ასეთი გარჯილობა... ნატაშას არ ეცალა...—კვლავ განიმეორა მან, ჩააკვირდა მის აზრს, თითქოს თავისთვის სურს, მისი გამორკვევაო. ამაში მოულოდნელი გამართლება იმალებოდა იმისა, როგორც ახლა ლიუბა იყო, და ის მდაბალი, საშინელი ლიუბას მტკიცებანი, როგორც სწორედ დღეს გამოაწკარავდა, ყოველივე ნატაშას აი ამ წერილიდან გამოდიოდა...

და შორიხოვი ერთბაშად აღწვოთდა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მას დაენართა, მთელი ამ უსწორო რაღაც სიყვარულის წინააღმდეგ. უეცრად წარმოიდგინა მისი დასაწყისი და ნახა, რომ იგი უაზროა და შემთხვევითი. «ჰო და, ერთიც ვნახოთ, კარზე დამეკაკუნებია, სანამ შევიდოდი? მაშინ ხომ შიშველს ვეღარ დაეინახავდი და არაფერიც იჭებოდა?»

მას სურდა განთავისუფლებულიყო ამ უაზრო შემთხვევისგან. მაგრამ ვერა. იგი ყველაფერში განხიზრებულიყო: ვალკას ხმაშიც, მეორე ოთახიდან რომ ყრუდ ისმოდა, ფანჯრების ფარდების რხევაშიც, მისი არსების ყოველ ძარღვში და ნატაშას აი ამ წერილებშიც კი, მის წინ რომ მაგიდაზე ელაგა.

ღრმად ჩაფიქრებული, თავჩაღუნული, მაგიდაზე ხელდაწყობილი სდგას სტეპან გროგორიანი, ხოლო მეორე ოთახში კი, ფანჯარასთან, ზის ლიუბა და ხელსაქმობს; ნამტირალევიცა, გამზადარა კიდევ ოდნავ, გაფერმკრთალებულა, მაგრამ სახის ყოველი იერი უძლეველი ჭინიანობის გამოხატულებაა.

### თავი მხეცხა

#### 21

როცა ბორისი მარტო დარჩებოდა ხოლმე, უყვარდა თავის თავთან იმ თამაშის დაწყება, რაც მის აზრებში ხდებოდა, და რის შესახებაც არავინ იცოდა რაიმე, რადგან რცხვენოდა ამაზე ლაბარაკი. წარმოიდგენდა დიდს რევოლუციურ ომს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. იგი მღელვარებით წარმოიდგენდა ხოლმე ყოველთვის ორივე ემისფეროს რუკას, (ლოგინის თავზე რომ ეცოდა)—და აი საერთაშორისო წითელი არმია უკვე შედის პარიზში (აღლუმში კომუნარების კედელთან მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ოცნება იყო) და ინდოეთიც უკვე



აღმდგარა ინგლისელების წინააღმდეგ. თვითონ კი, ბორის შერეულხანაშვილი რევოლუციური ჯარის უფროსია და ყველა წითელაქმიელს უყვარს იგი და კიდევ იცნობს მას, როგორც ჩაპაევს, ბლიუხერსა და ბუდიონის იცნობდნენ მათი დივიზიები და კიდევ უყვარდათ ისინი. მაგრამ ყველაზე უფრო ცხოველი ამ თამაშში ის იყო, რომ მასთან ერთად და მის ხელქვეითად იყო მისი რაზმის ყველა ბავში, და ეს გონებრივი თამაშიც სწორედ იმის გამოშატველი იყო, რაც რაზმში ხდებოდა. მოუხდებოდა თუ არა ბორისს რომელიმე ამხანაგთან ჩხუბი— ეს გარემოება მაშინვე გამოხატულემას ჰპოულობდა იმ თამაშში, და ის ამხანაგი, ვისაც ბორისი წაეკიდა, იქცეოდა დივიზიის კომისრად, რომელმაც არ აასრულა მისი ბრძანება, ან კიდევ მზევრავად, რომელმაც დაზვერვის დროს სიმბღალე გამოიჩინა; ზოგჯერ დახვერტასაც მიუსჯიდნენ ასეთ ჯარისკაცს, მაგრამ შემდეგ ბორისი რაიმე საბაბით აპატიებდა ხოლმე.

ასე თამაშობდა იგი თვეების განმავლობაში; წაყიებული ყოველი წიგნისა თუ გაზეთის შემდეგ რთულდებოდა ეს თამაში, მაგრამ ზოგიერთი საყვარელი ეპიზოდი არსებითად უცვლელი რჩებოდა, და ხშირად, თვალანთებული, გაურკვეველად მობუტბუტე ბორისი ბრბოში გაერეოდა და გამვლელს, რომელმაც კარგა შეაგინა მოჯიკავე, გაფიჭრებულნი, შავგვრემანი და გამხდარი პიონერი, ფიქრადაც არ მოუფიქროდა, რომ იგი „ბენარესში აიარალებს აჯანყებულ ინდუსებს“.

მაგრამ მას შემდეგ, რაც სტეპან გრიგორიძმა ლიუბა შეირთო და ამან კი ბორისს გაართვა, ეს გონებრივი თამაში რაღაცნაირად ჩაიშრა. თამაში სურდა, და როცა მართა რჩებოდა, იგი კვლავინდებურად შესცურავდა ხოლმე საოცნებო სანაყაროში, მაგრამ მისი ოცნებანი როგორღაც გაშეშდა: როდილა ენატებოდა ახალი, მალეღებელი და ცოცხალი წერილობანი—თამაში ისევ ძველ ხერხებს იმეორებდა ხოლმე.

ამ თამაშში განსაკუთრებით უშლიდა ხელს ის წერილმანი და სერიოზული ზრუნვა, რაც საავადმყოფოში ბერტას დედის ნოთავსებასთან იყო დაკავშირებული. განკარგულება მისი ნოთავსების შესახებ უკვე გაცემული იყო, მაგრამ ბორისმა ვერას გზით ვერ დაიყოლია ბერტა, რათა ამას სამკურნალოში წასაყვანად მოემზადებინა თავისი დედა.

და აი იგივე ერთხელ კიდევ მიდის ფაინერმანისას და წარმოდგენილი აქვს, როგორ შეიპყრობს ერთბაშად იძულების ჩვეული მოვლა. ამიტომ კარებში ხმაძალდა ამბობს:

— აბა, ბერტა, ყველაფერი ჩინებულადაა...

და უცრად ენა წაიკვნიტა ამ დიდი ხალებით მორთული ოთახის ყრუ სიჩუმეში; მავარი ყაყისა, ვალერიანის წვეთებისა და სუნნელებათა ჭირვეული სუნით გაელენთილს პაერში მისმა სიტყვებმა უმართებულო მზიარულებითა და ყივილით გაიხმაურა.

„მას ხომ ესმის ყოველივე ეს“...—გაიფიქრა მან სწორედ ის, რასაც მუდამ ჰფიქრობდა, როცა ბერტას დაკვირვებულს, საბრალოსა და მცოდნე თვალს შეხედებოდა ხოლმე, და უკვე სხვანაირი, გარემოების შესაფერისი კოლოთი დაუშატა:



ახლა უკვე ყველაფერი გავიგე, ბერტა. ის სანატორიუმში დასახლებულია. მოსკოვთანაც ძლიერ ახლოა, ტრამვით მისვლა შეიძლება... ნახვის ნებასაც იძლევიან.

ბერტას წარბები აუთოთოლდა, უბეები ცრემლით აევსო.

— საგიჟეთი?

ჰკიხა და ტუჩი ჩაიკვნიტა.

— არა. ხომ გითხარი სანატორიუმია-მეთქი... და ნახვაც შეიძლება. აბა, რა გაღრიალებს. გამიგონე, ფაინერმან, ნუ ღრიალებ, ოღონდ ნუ ღრიალებ... გესმის, თორემ წაველ და... მოსილაპარაკებელი კი ხომ კიდევ ბევრი გვაქვს.

— არა-არა... არაფერია, ბორია... დედა ხომ...

მისი ბავშური ფუნთუშა სახე საბრალოდ თრთოდა.

და ბორიაც ამ თრთოლების რიტმთან ერთად იწყებდა ცხოვრებას, მოძრაობასა და ლაპარაკს.

— განა თვითონ არ ამბობდი, ძლიერ მიჭირსო. შერე ხომ გცემს კიდევ!— მტკიცუნულად წამოიძახა მან.— როგორ შეიძლება მასთან?..

— იცი, ბორია: მე ზამილოს ვგვევარ:

— შერე?..

გაკვირვებით ჰკითხა ბორიამ, რაკი ბაასის ძაფი დაეკარგა.

— იგი ხომ წამამ მოჰკლა...

და ბერტამ თითი მიუშვირა მოღიმარე სტუდენტის პორტრეტს: ეს თითქოს მზიანი სატყეელი იყო სხვა, მზიარული სამყაროსაკენ გაღებული.

— კი, მაგრამ შენი რა ბრალია...

ბორისმა ხელი სტაცა, ხოლო გოგონა აცახცახებული ღიმილით ჩქარა აღაპარაკდა:

— დედა დამარტყამს, შერე — და ბერტამ პორტრეტს მიუთითა — იმას მიჩვენებს და მეკითხება: „იი შენ გეტყვინა, იმას კი რა მოუვიდოდა“?.. ისევ დამარტყამს უფრო მწარედ და კვლავ შემეკითხება... პირველად, მართალია, მტკივა, მაგრამ შემდეგ, როცა ძალიან მეტკინება, სიამესაც კი ვგრძნობ: მეცბელება და ვარშემოც ყველაფერი ატრიალდება...— და ბერტა უწნოდ, პრანკვით გაიღიმა, თვალებიც ოდნავ გადამალა.— პო და, მცემს, მე კი მებრალება... ისე მებრალება რო... და მე კარგად ვარ იმიტომ, რომ ვიცი, რომ იგი მცემს, მცემს და შემდეგ უეცრად შევებრალები, დამიწყებს კოცნას, ხვეწნას და პატიების თხოვნას— და ჩვენ უკვე მეგობრებივით ვართ, ერთად ვტირით... იგი ლაპარაკს დამაწყებს ნიმაზე და აი იმაზე... და რა კარგია და თან საშიშიც ეს—სიყვარული! შერე უეცრად ასე წამოიყვირებს: „ახლა კი აღარა დამრჩა—მიწია, ხრწნა, ძვლები... მატლები“... და მეც მასთან ერთად ავევირდები ხოლმე.

— არ მინდა ასეთი რამის გაგონება... ყოველივე ეს კარგი არ არის... სთქვა ბორიამ და შეუბღსა და ლოყაზე ხელის ზურგი გადაისვა, თითქოს ამ სიტყვების წებოვანი აბლაბუდა სურს მოიწიროსო.— გაჩუმდი, ფეინერმან.— თვალი შეავლო გოგონას დაწყნარებულს, დაფიქრებულსა და დატანჯულს სახეს.— საბრალო, საბრალო... ჰაწია...

უცხრად წამოიძახა ცხუნარე სააღერსო სიტყვები, ერთგულად იმდენში ამოეჩარა და სისასტიკის საბურველი დაჰგლიჯა.

გოგონამაც ხელი სტაცა სახელოში და სულ სხეანაირი სუბუქი ცრემლით ატირდა.

— ჰო და, აი... გამიგონე, ნუ სტირი თორემ წავალ... არ შემიძლია ამისი ცქერა...

ჩურჩულით ამბობდა იგი, რომ არ ატირებუდიყო, და, უხერხულად, მძლავრი დაჭერით უსვამდა თავზე ხელს.

გაისმა ზარის წკრიალი. ბერტამ საჩქაროდ მოიწმინდა ცრემლები.

— აი დედაშენიც მოვიდა, ჩვენ კი ჯერ ვერაფერზე შევთანხმებულვართ...

ესთერ ფაინერმანი ოთახში შემოვიდა, სიარულშივე მოიხადა ქუდი და გაჯავრებული მოძრაობით განთავისუფლდა ეკეტისგან, რომელიც იქვე იატაკზე დაავლო. მის შავ ხუჭუჭა თმას უკვე ჰქალარა შერეოდა, მაგრამ მისი სახის მტკიცე იერს, ავრთვევ გრძელი თითების მოძრაობასა და მოსული ტანის ყოველ რხევას სილამაზე და შნო ეტყობოდა. შეშფოთება დაჰქროლავდა მის სახეზე ვით ქარი ფართო ველზე; ოთახს თვალი მოავლო, შეიქმუნა, როილას მიუჯდა, რალაც ჰრელი აკორდი დაჰკრა, ადგა და გაიარ-გამოიარა; ბორისი რომ შენიშნა თავი დაუქნია, ესეც უხერხულად მიესალმა.

— ქუჩაში ისეთი მტვერია... ისეთი რომ... და სათვალესაც რალაც რგვალს ატარებენ, გემის სარკმელებსა ჰგავს.

— დედა, ჰემა არ გინდა?

კარებიდან გამოსძახა ბერტამ, და ბორისი შეკრთა; შეშლილის აშკარა სიტყვებითა და მოძრაობით შეპყრობილს როდი შეუმჩნევია ორახში მასთან მარტო დარჩენა.

— ჰემაო? ჰო, მინდა, ბერტა. ძალიან მინდა...

ბერტამ ფინჯანით რძე და ჰური შემოიტანა.

— გინდა, ბორია?

მეგობრულის მზრუნველობით ჰკითხა ბერტამ და საკმელი უჩვენა.

— არა...

მოწვევტ მიუჯო ბორიამ.

ესთერი გვერდულად წამოჯდა სკამზე, ხარბულად დაიწყო ჰემა და ყურადღებოსაც კი არ აქცევდა ბავშვებს, რომლებიც როილთან მიმდგარიყვნენ და წყნარად ჩურჩულობდენ; შემდეგ წამოიღვა, მაძლარის ფიზიკური კმაყოფილებით გაიარ-გამოიარა ოთახში და ლოგინზე წამოწვა. მხოლოდ ახლა შეხედა გულისყურით ბავშვებსა და წყნარად გაიციანა. მათ მყისვე შესწყვიტეს ჩურჩული.

— რა იყო, დედი?

— ეს საიდანია, ასეთი ბიჭი?

ცოცხალი ინტერესით იკითხა.

— ეს ბორია შორახოვია. ჩვენთან...

— ბორია შორახ... შორახ... ეს მართალია!—გამოცოცხლებით სთქვა ესთერმა,—თქვენ მანდ ჩურჩულებთ, და ის კი—მოზნელოა, ბოლიანი... და აი აქედან წარმოსდგა ჩურჩუნიც... აბა, შორახოვ, ერთი აქ მოდი!

ბორისი ლოგინთან მივიდა და თვალეში ჩააცქერდა. ქვეყნის მთელი — თაფლისდერი გუჯა ჰქონდა, — ცნობისმოყვარე ბავშვის მზიარული სურათი მისი თვალებში წუთს უცქერდა ბავშს და უცერად თვალი აემღვრა.

— რა გაფუჭებული გოგო ხარ, ბერტა! — მოულოდნელი დედობრივ შრუტუნელობით წარმოსთქვა ესთერ აბრამის ასულმა. — ეს ბიჭი რომ მოგყავს, განა ერთობ აღრე არაა ყოველივე ეს. — და დედობრივი შრუტუნელობის კილოს უცერად აეტმასნა გიგური თავწახსნილობის იერი. — ეს ხომ ყოველთვის ასე იწყება... აი ეს...

რა-ამდენი ბედნიერება-ა

და რა-ამდენი წა-შემა-ა...

მალალი და სუბუჭი ხმით დაიწყო მან სიმღერა.

— ბორია, შენ წადი და ქუჩაში დამიკადე: მე ახლავე დავაწვენ მაგას... სთქვა ბერტამ და ბიჭმა შენიშნა, როგორ გაუღიღდა და დაუნაღვლიანდა გოგოს თვალეში, — დიდის თვალეში ბავშვის სახეზე.

— ცემას ხომ არ დავიწყებს?

ჰკითხა ბორიამ და მხარში ჩაებლავა.

— არა, არა, ბორია! არა! წადი...

უბნებოდა და კარებისკენ ეზიდებოდა ბორიას, თან შეშფოთებული უცქეროდა დედას, რომელიც თავის თეთრ ხელს იქნევდა და ხმამალა მღეროდა; ბორისი უკვე ქუჩაში გავიდა, ხელის ზურგი შუბლსა და ლოყაზე გადაისეა და სუბუჭად ამოისუნთქა: ქუჩის პერი, მკავე კომბოსტოს, ბენზინისა და გამომცხვარი პურის სუნით გაჟღენთილი, უფრო უბრალო და მზიარული ეჩვენა ყვეწამლეულობით გაბრუნებული ოთახის პაერს შემდგომ, სადაც სუნნელებათა მოლუტუნე სუნი ისე დაჰქროდა, როგორც სიყვარულის სიტყვები, რომლებსაც შესლილი მღეროდა.

„რაა ყოველივე ესა?..“

აღშფოთებით შეეკითხა ბორისი გარემოს — ქალაქებისა და სოფლების მთელს ვრცელ სამყაროს — სადაც დიდთა შორის, ერთმანეთს რომ ებრძვიან, შრომობენ და სიყვარულს ეტანებიან, გაბნეულან პატარებიც, რომლებიც იმგვარადვე სცდილობენ აკეთონ თავიანთი დიდად მნიშვნელოვანი საქმეები — საბავშვო უზარმაზარი თამაშობა, რამაც მსოფლიოს ყველა ბავში უნდა ჩაითრიოს, მაგრამ თავიანთი საქმით გატაცებული დიდები უდარდელად აქცევენ ბავშვების მიერ აშენებულ ქვიშის ქალაქებს, სოფლავენ ფეხითა და კაბის ბოლოებით ჰგვიან, და სკამებს გადად-გადმოდგამენ ოთახში, სადაც ბავშვებს თავიანთი „რკინის გზების“ განსაკვირვებელი „ხიდები“ გაუღვეთ.

ყველა ესენი, — ეს მამები და დედები, — კომუნისტებიც, მუსუბიც, და ისეთი განათლებულებიც, როგორიც ბერტასია, — იმას ეტანებიან, რომ აკეთონ ის სამარცხვინო, მნიშვნელოვანი და გაუგებარი საქმე, საიდანაც ბავშვები იზადებიან, შემდეგ კი... აი თუნდ უპატრონო ბავში: ვინ დაბადა იგი — და მიატოვა, მამამ კი თვალი მოავლო და — არაფერი... მას არც შეუმჩნევია იგი... და მეც რამდენიმე ხნის წინედ ვერაფერს ვაშწნედი, და მაჭებდენ კი: სამაგალითო პიონერიო“...

— აჰ, არამზადები!

მამაცური მრისხანებით დუდუნებდა იგი და ყველაფერს მანიდან დაწყებული საკუთარ თავამდე, და მუშტს ისე მაგრად ჰკუმწავდა, რომ ფრჩხილები ხელისგულს ესობოდა, თანაც ხელმეორედ აკვირდებოდა ყოველივე იმას, რაც ახლა სხენაიარად წარმოუდგა თვალწინ.

აი, პეტკა კოლოსოვი ფეხბადგილში ჰხატავს იმას, რაც დედისა და მამის წაყიდების დროს გაუგია, ამისთვის კი ბანაკიდან გარიცხვას უპირებენ მას; აი ვიტია სიჩევი, შუშის შვილი, რომელსაც მამა პატარა ბავშობიდანვე არაყს აწვევს; აი ვალოდკა დოლოგოვის მამაც, წასწავლებელი, ცოლსა სცემა იმიტომ, რომ გპვიანობს! ვალოდკა სხვისგან გაუჩნდაო, თვითონ კი წაინც უყვარს ვალოდკა.

ბერტამ ჭურბაში ჩაიბრინა და მრისხანე ფიჭვები გაუწყვიტა. ბიჭი სიბრალულთა და ცნობისმოყვარებით ჩასცქეროდა თვალგებში. გოგო ნამტირალევი იყო, მაგრამ სცდილობდა გაეღიწნა.

— ძალიან ძნელი იყო დაწვეწა.. იგი ხომ მთლად ავადმყოფია...

— შერე სამსახურში როგორღაა?

უტბად იკითხა ბორისმა და ბრაზით დაამთავრა ის ფიჭვი, რომელიც მაშინ ველარ მოახერხა, როცა ესთერის სიმღერა განგებობი ეჩვენა.

— არა უშავს. სამსახურში--არაფერი...

გაურკვეველად ჩაილაპარაკა ბერტამ და წამოწითლდა, თითქოს საათუგოში დაიჭირესო.

— არამზადები! არამზადები!..— ზიზლით დუდუნებდა ბორისი.— გამიგონე, ერტა! განა ვერ ხედავ, რომ იგი განგებ გაწამებს, რომ ანით სიანოენებას ჰპოულობს? თავის შეკავება რომ არ შეეძლოს, სამსახურშიც ხომ ასე იქნებოდა...

— ჰო...

წურჩულით უპასუხა ბერტამ და თავი ჩალუნავ ბორისმა პირველად გაიგონა იმს ხმაში უბრალო და მწარე წყენა.

— აი, ხომ ხედავ.— წამოიძაბა ბორიამ და ხელში ხელი ჩაჰკიდა.— შემდეგში ასე აღარ უნდა იქნეს!

— მართალია... და ისიც შეიძლება განკურნონ.

დარცხვენით, მაგრამ კვლავ უბრალოდ და წყნარად სთქვა ბერტამ და ატირდა.

მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი, უბრალო და მწარე ტირილი,— სწორედ ასე ატირდა ვალკაც.

— რა ძალიან კარგი ხარ, ბორია!

ჭვითიხით სთქვა მან.

წინედ ბორისს ისე უტკერდა, როგორც ყველა იმის განხორციელებას, რასაც ბავშობა წარმოადგენდა და რაც თვით მას ასე ნაკლებად გააჩნდა. და როცა ეს შავვერემანი, წვრილი და გულადი ბიჭი ასე ახლოს მივიდა მასთან, გოგონამ დაინახა— რასაც წინედ ვერ წამოიღებდა— რამდენად არაჩვეულებრივი და უცნაურად კარგი ბიჭი ყოფილა იგი. და ეგონა, რომ მისი ერთი გრძობა, ერთი რაიმე აზრიც კი არ ჰგავდა თავისას. მაგრამ მაშინ ახლა არც იმას ჰგრძნო-



ბდა, იმ უმთავრესს, რაც მას ესაჭიროებოდა—ბავშურ უღმრთესობას და გოგონა უკვე ბანაკზე, ცელქობასა და მწვანე მინდორზე სიციხის მშენებლობის კომბდა.

როცა მარტო დარჩა, ბორისი ერთის წუთით ვაუჭრელს ყოფილი ჩაეარდა. უკვე გვიანი საღამო იყო,—ბანაკში რკინის გზით უნდა წასულიყო, ტყეში ღამით უნდა გაეელო. მაშასადამე, დასაძინებლად მხოლოდ ორ საათზე უნდა დაწოლილიყო, უმჯობესი იყო, ღამე შინ გაეთია და დილით ექვსზე, წასულიყო ბანაკში, მაგრამ არც შინ იყო კარგი: ახლა ის, რაც მამასა და ლიუბას შორის იყო, და რაც გაუგებარსა და რაღაც სასირცხვო სიხარულს აძლევდა მათ, ის ახლა სულ სვხა რამედ იქცა, რითაც ორივე ცუდათ გრძნობდა თავს... ეს კი ამოუთებდა, რაღაც მოსესვენარსა და ზედმეტ ნაღვლს იწვევდა.

და ბორისმა ცხუნარედ და სიხარულით გაიფიქრა ბანაკი, და ის თავისი, აი ახლა—ბერტასთან გამოთხოვების დროს—აღძრული განცდა, როგორც პატარა, ჩვეულებრივი, მტირალა გოგონასი, ბანაკში წასვლის გრძნობას შეუერთა. და ბერტა ისეთივე უბრალო და მხიარული წარმოუდგა ბანაკშიც, როგორც წებანდელი ტირილის დროს. იცოდა, რომ ბერტა ახლა უკვე დაიყოლიებს დედის სამკურნალოში წასვლას; იცოდა, რომ ყოველივე ეს ოცნება იყო, მაგრამ ეს ოცნება თვისი განხორციელების შესაძლოებით უფრო საამო იყო მისთვის, ვიდრე ოცნება საკუთარ თავზე, როგორც საერთაშორისო წითელი არმიის მეთაურზე.

22

ლიუბას გაცვეთილი კაბა აცვია, თავზე რამდენჯერმე ნარგები თავსაფარი მხურავს, საბეჭე აღფრთოვანება და ზეიმი აღბეჭდია, თავისი ბინის ზღრუბლებზე სდგას და გენერალური გადაღაგების გეგმას საზრობს.

აი მისი ოთახის ის ძველი, უკვე გამოფიტული სანახაობა, რასაც იგი ამ წუთს დაანგრევს—თავის საწოლს სტეპან გრიგორიჩის ოთახში გადაიტანს, მთელს მორთულობას განგებ შესვლის, და ამით თვისი ცხოვრების ახალ ხანას დაიწყებს, როგორც სტეპან გრიგორიჩის ცოლი და ამ ბინის ნამდვილი დიასახლისი.

და აი, თავისი ფიქრით, დააღაგა რა ხელახლა ყოველი ნივთი, ლოგინი დაახვია, სტეპან გრიგორიჩის ოთახში გაიტანა და შემდეგ რკინის ძველი, დაჯანგებული საწოლის დახსნას შეუდგა ისეთის გააფთრებული ბრაზით, თითქოს მათი ოჯახის ძველი, საზიზღარი წყობილება სწორედ ეს საწოლი ყოფილიყოს.

— ლიუბა! აი მამამ წერილი დაგიტოვა...

უთხრა ვალკამ და ოთახში შევიდა.

მუშაობით შეხტრებულმა ლიუბამ საწოლს თავი მიანება, გაფიქრებულმა ბავშვს თავზე აკოცა, კონფერტი შემოფოთებითა და საჩქაროდ გააშხია.

წერილი მოსქო იყო, და უეცრად გულიდან ქვევით, კუჭისკენ, რაღაც ნაღვლით დაეზიდა, მაგრამ ეს დაღლილობას მიაწერა და ამიტომ მის აზრსაც არ ჩაჰვირვებია.

... და როცა ამ წერილის კითხვას დაიწყებ, მე, ალბად, ერთი ოციოდე ვერსით ვიქნები მოსკოვს დაშორებული. უნდა გაიგო ჩემი ყოფა, ლიუბა: შემე-

ძლო მეტქვა, რომ წასვლას საქმეები მიიძღულებს, და სანაქვერსოვს წინააღმდეგობა აღიჭურვებოდა,—მაგრამ წარმოვიდგენია მეორე ნაბეგარი? იცი რა, ლიუბა, ვერ გამოვიგია ჩემი ურთიერთობა შენდამი. ჯერ ერთი, რომ შენ გამონიფიტე, როგორც იტყვიან ხოლმე; შენ სისხლ-ხორციანი ხარ და მეც შენთან ცხოვრება მსურს,—ეს ცხადია, მაგრამ ჩვენი ურთიერთობანი ისე როდი ეწყობა, როგორსაც ნატამასთან ცხოვრებით ვიყავი ჩვეული, არამედ სულ სხვანაირად,—ვიტყვიდი კიდევ: სულ საწინააღმდეგოდ. ამავე დროს ვგრძნობ, რომ შენ მართალი ხარ, როცა საკუთარი მიზნების მიღწევას სცდილობ. და აი, გუშინ ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე—თავს ძალა დავატანო. შემიძლია უშენოდ ვაძლებ? არ შემიძლია. ვინდა ჩემი ფორმალური ცოლი ვახდე? თანახმა ვარ. მეც იმიტომ მოვედი გუშინ და თვითონ გითხარი, რომ ჩემს ოთახში ვადმოსულიყავ ცხოვრებლად, და გადავწყვიტე მთელი დღე შენთან გამეტარებინა. მაგრამ რა უგემური და უმიზნო გამოდგა. კინოში შენ დასციხნოდი იმ საბრალო ადამიანებს—პატსა და პატაშონს—მთელ სულელ საზოგადოებასთან ერთად. შემდეგ დაუსრულებელი ჩაი... რაზე ებაასობდი შენთან—ალარც კი მაგონდება, დასაძინებლად კი ერთად დავწყვიტე.

შემდეგ კიდევ ერთი რამ შენ მთხოვე ნატაშა პორტრეტის ჩანოხსნის ნებართვა; პასუხად ხმა არ გამოიღია; შენ ჩანოხსენი და მეც წინააღმდეგობა არ გამოიწვევია. კარგად იცი, რა არის ჩემთვის ნატაშა. მაგრამ იგი აღარ არსებობს—პო და, რატომ არ შემიძლია ამ წერილმანით დავამშვიდო შენ, ჩემი ახლანდელი ცოლი?—ასე ესმეგლობდი, მაგრამ პორტრეტს ქვეშ გამოაჩნდა ახალი შპალიერი, თითქოს ნაშუკი რაღაც—ვითომ მზემ გააბარწყინაო ის ადგილიო. და აი, წარმოვიდგინე, ის ნათელი ლაქა მუდამ თვალ წინ მიდგას. სისულელეა, არა? მაგრამ მე კი ნგონია, რომ აი დაებრუნდები და დღითი-დღე მოწმე ვავხდები იმ ლაქას ვახუნებისა... ამ დროს მომისწრო სწორედ იმ საკითხის გადაჭრამაც: წავიდე თუ არა თურქისტანს. და გადავწყვიტე შენს უნახავად წავსულიყავ. შენს წინააღმდეგ—და შენც ჩემს წინააღმდეგ—ხანდახან ისეთი ბრაზი იმეძვრის ხოლმე, რომ მეშინია, ვინ იცის, ერთმანეთს არ წავეჩხუბოთ. და მაინც მივდივარ, თუმცა იმედი მაქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი ეს როგორმე მოეწყობა.

ჩემს ჯამაგირს გამოვიგზავნიან ხოლმე. თუ რამ ვაგვიკირდეს—დაურკვე ვინდუნუნეს, ის შემატყობინებს. გადაეცი ბორისს, რომ მივლინებაში ვარ. ელკას უკვე ვუთხარი. მშვიდობით. სტეპან“.

ლიუბას ეგონა, რომ იმ წამს, როცა ელკა წერილს აძლევდა, ქალი წინდაწინვე ხედებოდა მთელ ტუფილს, რითაც წერილი უნდა ყოფილიყო გაკლენთილი. მთელი გუშინდელი დღე და დღევანდელი დღე იგი პირველად ჰგრძნობდა თავს სტეპან გრიგორიჩის კანონიერ ცოლად. „ქმარიო“...—ჰფიქრობდა იგი, როცა კინოში გვერდით უჯდა და აღმაცერად უცქიროდა მის საამო სახეს. „ჩემი ქმარიო“...—სიამაყით ჰფიქრობდა იგი ხალამოს ჩაიზე, როცა სტეპან გრიგორიჩი გახეტის კითხულობდა. ძილშიც კი ბუნდოვანად, მაგრამ მწვავედ გაახსენდებოდა ხოლმე თავისი ცხოვრების ახალი, მშვენიერი ხანა, რომელშიც იგი

შედიოდა, და უფრო მკიდროდ მიეხუტებოდა ხოლმე მას—  
—“იგი სხვასთან... რასაკვირველია, სხვასთან წავიდა...—დაჯერებითა და სიმძლავრით გაიფიქრა მან და კვლავ გრძობდა და ნაღვლით, ჩასწყდა გული, და უეცრად პირისღებინება იგრძნო.—ნამდვილ ავადა ვარ, ქალაქში კი ასეთი მტერი არაა, სიტყე და ხმაურობა, დაწოლაც კი არსად შეიძლება.

მხედავდა საწოლის შუაზე გაეკცილს კუზიან ჩონჩხს, ჰედავდა მის დაკვანძულს, გაევეღვით საღსრებს, ტლანქსა და უსირცხვოს, და იგი მშარედ ატირდა, თითქოს ყოველივე ეს განზორციელება ყოფილიყოს მისი ცხოვრებისა, დამახინჯებული, მოსაწყობად განმზადებული და მოუწყობელი, უსირცხვოდ გამოშვებული ცხოვრებისა...

მაწია სამყარო,—მისი სამყარო,—რისთვისაც ასეთის გააფთრებით იბრძოდა, ახლა დნებოდა ილექებოდა. სტეპან გრიგორიჩის ოთახში გაიქცა და გაუშლელი ლოგინის ხეულზე წამოწვა და უეცრად კვლავ იგრძნო ის რალაც კუქის მწველავი ძალა, ოდნავ გულამრევი და სიმშობის გრძობასთან უცნაურად გადაქსოვილი. „ავადა ვარ,—გაიფიქრა მან,—იქნებ სიტყეც მაქვს?—შუბლს ხელი მიიღო, მაგრამ ვერაფერი გაიგო. მერე უბეში ჩაიყო ხელი და ერთბაშად წამოაჯდა: ხელის შეგებით სულ ველარ იცნო თვისი ძუძუები—ჩვეულებრივზე უფრო მკვრივი და მიძიმე ეჩვენა იგინი. „შეუძლებელია... შეიძლება, არა?...—ძრწოლით ჩაილაპარაკა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაითვალა რიკხეები.—რასაკვირველია, რა თქმა უნდა“.

თვალგამტერებული დარჩა და ასე ეგონა, ჩემი ცხოვრება გათავდა და წინ მხოლოდ რუხი რამ მღვიმე მიმელისო, „და შარშან კი, ან დროს, სწორედ მე მერგო სირბილის პირველობის ჯილდო! ყველა მე მიცქერდა და ხარობდა ჩემის ტანადობით. არა, ეს უთუოდ თავიდან უნდა მოვიშორო. მაშასადამე, მეუკლის მოშლა?“ და მას ძრწოლით გაახსენდა ფიზიკური ტკივილის ქროლევა, მის მეგობარ ქალს რომ სახეზე აუთამაშდა, როცა უამბობდა, როგორ გაუკეთეს ამორტი—ყველა ის დამამცირებელი და საშინელი წერილმანები.

„და ყველაფერი ეს კი—მისი გულისთვის...“ ახლა მისდამი მხოლოდ ჯავრს გრძობდა—ალარა დარჩენილიყო მისდამი წინანდელ პატივისცემიდან, არც მისი სხეულისა და აღერისადმი ლტოლვილებიდან. „იგი იქ დასეირნობს სხვასთან, მე კი აქ უნდა მიწამონ.—და ატირდა საკუთარი თავისადმი სიბრალულით.—აი, მუცელს მოვიშლი და წავალ... მოგვედები“...—ჰფიქრობდა ქალი და ყოველივე ისე წარმოედგინა, როგორც ამას წინედ წაკითხულს, გრძელსა და ნაღვლიან ლექსში იყო აღწერილი. მაგრამ ეს წარმოდგენა მკრთალი იყო, ვით აჩრდილი, და მყის გაჰქრა, როგორც კი ქალმა გაღებული კარის კრიალი გაიგონა. თავი აიღო და ცრემლიანს თვალეში ბუნდოვანად მოეჩვენა ვალკა.

— ნუ სტირი, ლიუბა, მამამ სთქვა, მალე დაგბრუნდები.

გულთბილად ჩასჩურჩულა ყურში ვალკამ და ქალმა თავის ცხელსა და სოველს ლოყაზე იგრძნო პავშური კონკა,—უხერხული, ზნეიანი და მისთვის სრულიად ზედმეტი.



თვითვე შეეშინდა ვალქასადმი თვისი ახალი, რაღაც უბნისა და მისი მტკბულებისა, მაგრამ მაშინვე ბუნდოვანად გაიფიქრა: „ჩემი რომ იყოს!...“ ისევე მალე ჩაისწო ეს, როგორც თვითონ ეჩვენა, უმართებულო ფიქრი, მოეხვია და ცხუნარედ ჩაჰკოცნა ვალქა. „ჰო, ეს რომ ჩემი იყოს, სტიოპა ასე არ მოიქცეოდა... ან რომ იცოდეს, ორსულადა ვარ, არც კი წავიდოდა. შოდი მიეწერო— მაგრამ მაშინვე შეურაცხოფილად შეიკმუნებნა, ამაში რაღაც დამამკირებელსა და უწესოს ხედავდა. „არა, არაფერსაც არ მიეწერ და არსადაც არ წავალ. აქვე დავრჩები და დე, მოხდეს რაც იქნება, მე წასვლა არ შემიძლია, — ბავშვები მყავს მონდობილი“... — ჭეჭირობდა იგი და ყურს უკდებდა, როგორ გაეტაკებინა მეორე ოთახში თავაშს ვალქა, რომელიც ოთხკუთხედებს ავორებდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. და კვლავ რაღაცამ შეუშალა ხელი, რომ ძველებურად სიყვარულითა და აღერპით გახმაურებოდა ამ საამო ბუტბუტს. და თითქოს იმიტომ, რომ გააგებინოს რამ შეუშალა ხელიო, კუქისკენ კვლავ გრძობად და ღრმად დაეწიღვა და ერთბაშად იგრძნო უცნაური, ჭირვეული სიმწილი, სურვილი რაიმე მტბარეს ჭამისა.

როგორც ყოველთვის სჩვეოდა ტირილის შემდეგ, რაღაც განსაკუთრებით ღრმად ამოიხენწეა, გულში სინარული აღედგა ამ ახლისა და მნიშვნელოვანი განცდისადმი; მერე წელში გაიმართა და იმედიანად მოავლო თვალი თავის ოთახებს. სადაც სული სხვანაირად მყარდებოდა.

## 23

ლიუბა სავარძელზე ზის ფანჯარასთან და ჰქსოვს. მას ყოველთვის უყვარდა ეს ადგილი, მაგრამ ახლა, სტებან გრიგორიჩის წასვლის შემდეგ, ამ უკანასკნელს კვირებში, რომლებიც აღსაესე იყო იმ უმთავრესი რამის შესახებდრო მზადებით, რასაც შეურყევლად უნდა განემტკიცებინა ეს ქალი ამ პატარა სამყაროს ცენტრში, იგი მთელ დღეებს აქ ატარებს. გააღებს კაბინეთის კარსა და მის თვალწინ— თუ მარცხნით გაიხედავს— მთელი გაკრიალებული ბინაა; მარჯვნივ კი— ფართო მოედანი, მოფუსფუსე ხალხით.

კარზე ისე წყნარად დააკაუნეს, რომ პირველად ლიუბას ეგონა, მომეტეწნაო. მაგრამ კაქუნი განშეორდა.

— შემოდით!

ხანტად მიუგო მან და ქსოვას განაგრძობდა; შემდეგ ნელა აიღო თავი და ელოდა მუზობელი ქალის ან ფოსტალიონის შემოსვლას. ერთბაშად სისხლი მზუილით აუვარდა თავში, მღელვარება ველარ შეიკაეა და ღრმად ამოიოხრა. ზღურბლზე ვალოდია იდგა და გაუბედავად, თრთოლვით იღიმებოდა. იდგა და ნაბიჯი ველარ გადმოედგა; თვალს არ უჯერიდა, რომ ეს ლურჯი თვალეები და მუქ-ქერა წარბები, მკაფიო ღაღლაფა ლოყები, — ყოველივე ეს ცოცხალი და განუმეორებელი შეხამება თბილი იერისა, — სწორედ მას, ლიუბას, ცკუთენის, ვისგანაც მთელი ზაფხულის განმავლობაში თითქოს მოჯადოებული იყო, ვინც პირველს ხანებში თავმოყვარულად სძავდა და ვისზედაც შემდეგ თავდამკირებითა და დაეწივებით ოცნებობდა, როცა მისი ხევენა-კოცნა გაახსენდებოდა ზოლმე.

— მოდი, ერთი შეველი-მეთქი...  
 სთქვა მან და ბუნდოვანად ვაახსენდა, რომ ოდესღაც უკვე უთქვამს მისთვის ეს სიტყვები.

„სდუმს, მიჯავრდება... მე რე რა, თუ კი უმისოდ არ შემიძლია“...

— მე პატიების სათხოვნად მოვედი, ლიუბა... — ხმა უკანკალებდა და უწყდებოდა. — ისე რომ გავლანძლე — თავი ველარ შევიკავე...

ქალი ისევ სდუმს, ვაეი კი, თითქოს სინათლეს აჩვევს თვალსაო, ისე როდი უცქერის, როგორც პირველ წუთებში, არა სინათლის წერტილების შეხამებით, არამედ ცხადი სახრით, მოფრთხილებული ცქერით. და ამჩნევს მაში ცვლილებას; ცუდსა და კარგს — ჯერ კიდევ ვერ გეტყვისთ — ქალი რაღაც უფრო დასქელებულა, მოწიფულა, დამძიმებულა; ხელში კრელი ნაქსოვი უჭირავს; ეს მოალერსე, ვერაფი და უღმობელი ზელები, ყაისნაყითა და ფერადი გორგლებით, რაღაც მარადიულად ბავშურს აკონებს — დედას თუ დას... და ეს ლიუბა მისთვის ერთბაშად უკეთესი და უნახესი ხდება ვიდრე ის, რომელზედაც იგი ოცნებობდა. „განა მე პატიება მესაქიროება? განა ამისთვის მოვსულვარ? — ქალის დუმლის გავლენით უარპყოფს იგი თავისსავე სიტყვებს, წელან რომ წარმოსთქვა და მაშინ მართალიც ეგონა. და თითქოს ფეხი მტკიცე ნიადაგზე შესდგაო, ძალუმად ამბობს:

— მე, ლიუბანკა, უშენოდ სიცოცხლე არად მიღირს... აი, შეგბულებიდანაც სამი კვირით ადრე დაებრუნდი, და თავშიც არაფერი წედის. განა აქ წამოსვლა მიწოდდა, მაგრამ ფეხები თავისით მოდის. მუზღებზე დავეარდებოდი შენს წინ და ე მაგ ფეხებს დაგიკოცნიდი... — ამბობდა იგი და ალტაცებაში მოდიოდა იმის გამო, რომ ამ სიტყვებს, რომლებს წინედ დამამკირებლად სთვლიდა, ახლა სწორედ ისე ადვილად ამბობს, როგორც კაცს გაუვლია, ან ხელი გაუჭნევი. — შენი სასიყვარულო ფეხები... — ერთბელ კიდევ სთქვა მან ქალის სანდღების სააღერსოდ, რომელთაც ხმარების გამო მისი პატარა და ფართო ფეხების ფორმა მიეღო.

და ლიუბა ხარბად უსმენს ამ სიტყვებს, რომლებიც აქამდე არაოდეს სმენია, და უცქერის მის საბეს, ახალგაზრდული თავდავიწყებით რომ გაბრწყინებულა, თვითონაც ავიწყდება თავი და ყოველივე ამას ისე ისუტავს, როგორც წვიმას ნავვალევი მიწა.

— მე ხომ არამხადა ვარ!.. სათამაშოსაყით მიწოდდი, გავლანძლე და თვითონვე ვიწყინე, რომ დიაკმა უარი მტკიცა... შემდეგ კი ვფიქრობ: „მოიცა! იგი ისეთი როდია, სულაც არა...“ — ამბობდა იგი და ხელახლად განიცდიდა მისდამი პატივისცემის იმ გრძნობას, რაც მას შემდეგ აღმოაჩინა, როცა ქალის უარით გამოწვეული წყენა და ბრაზი დაუცხრა. „და მხოლოდ, მხოლოდ შენზე დავიწყდი ფიქრი... შენ კი, აი, ხმას არა მცემ, მიჯავრდები...“

ამ უღმობელმა, გულის სიღრმიდან დაძრულმა წრფელმა სიტყვებმა სუნთქვა შეუერეს, და მან პორტსივარი მოიძებნა, მაგრამ თითები ისე უკანკალებდა რომ ჯიბეში ხელის ჩაყოფაც კი ვერ მოახერხა.

„ვჯავრობ განა?— ჩემად დაეკითხა თავს— ეგ ისეთი აიღე...“  
 ლამაზი, ისე დიდად მათვისებს... რისთვისა უნდა ვუჯავრობდე? ის უნდა  
 რამისთვის — მაში? მაგრამ ეს რა მოკედის ახლა?“

— ის უკვე დამავეიწუდა, ვალოდია, და აღარც ვჯავრობ...  
 ჩურჩულით უთხრა მან.

— გამიგონე! — სუნთქვა შეწყვეტით დაიწყო ვალოდიამ. — გამიგონე. ლიუ-  
 ბა!.. გამოძევი... ცოლად...

ამ სიტყვებს პირველად ამბობდა თავის სიცოცხლეში. როცა აქეთ მოდიო-  
 და, როდი იცოდა, იტყოდა ან საშინელ სიტყვებს თუ არა. და ახლა კი, როცა  
 ამბობდა, აღტაცებული იყო თავისი ძალით. — იმით, რომ ასე იოლად ისროდა  
 ცხოვრებაში ამ მძიმე და უხარმახარ სიტყვებს.

— შეგიყვარებ, მოგივლი, ჩემო ლიუბანკა!

„ამას რას მეუბნება?.. რა მშვენიერებაა, რა საჭირო, რა უსაჭიროესი რამ...  
 მაგრამ რაღაც რომ უშლის ხელს“!..

აჰ!..

და ქალი ერთბაშად ატირდა იმ საშინელი შეუსაბამობის გამო, რაც ამ  
 სიტყვებით გამოწვეული სიხარულისა და იმ მძიმე ფაქტს შორის არსებობდა,  
 რასაც იგი თავის გეგმაში ჰგანობდა.

— რათა, ლიუბა? რათა, ძვირფასო?

იგი უკვე ბუნდოვანიად გრძნობდა რაღაც წუხილს, რადგან ქალი ნეტად  
 მწარედ სტიროდა.

— წადი, ვალოდია! — სლოკინებდა იგი. — ნომშორდი!..

— კი, მაგრამ რათა?

აბნეულად ჰკითხა და გაუბედავად აკოცა თბილ თმაზე.

— ჩემთან არაფერი საქმე გაქვს!... — საბრალოდ მიუღო ქალმა. — გასწი, წადი  
 ახლავე... — თავი აიღო და, როცა მისი თანამგრძობი და შემოუთებული ახალ-  
 გაზრდა სახე დაინახა, უფრო ატირდა. — მე ორსულად ვარ... ორსულად... შომ-  
 შორდი!

ქვითინით ეუბნებოდა იგი.

ვალოდიამ ეს სიტყვა თუმცა გაიგონა, მაგრამ არ ეჯერა ელვასავით საშინ-  
 ლად გამკრთალი ახრი მისი.

— რაო?

პირიქით შეეკითხა იგი.

— ორსულად ვარ... — ცხვირის წმენდითა და საბრალოდ გაიმეორა მან და  
 კვლავ თვალი მიაკურო მის განცვიფრებულ სახეს. — ნომშორდი-მეთქი... — დაუ-  
 ყვირა თითქმის ბრახით და კვლავ ატირდა. — მე შენთვის საჭირო არა ვარ...

„და მართლაც, რად მინდა?.. ახლავე წავალ, ხომ აღარ შემიძლია მასთან“...  
 — მაგრამ ეს შეგნება თითქოს გარედან მოვიდა — გონების ზედაპირს შეეხო და  
 უძლური იყო, რათა მისთვის წასვლა ეძლეებინა, უცქერდა ქალსა და ჰგანობ-  
 და, რომ სწორედ ასეთი უსაჭიროება იგი — საბრალო, ნამტირალევი, გაბერილი,  
 სამარცხვინოდ და წარუხოცლად დამაბინჯებულის ტანით, სახის დაბუნძლილი  
 იერით.

„დამტყინებენ... და თვითონაც ვიტყინებდი... აბა რაა ყოველთვის...  
— როგორ, ლიუბა? — განცვიფრებით იკითხა. — ვერ გამიგნა...“

— სტიოპას შევერთე...

ამოსილოქინა მან.

— ეინ სტიოპაა?

გაკვირვებით ჰკითხა.

— ჩვენს სტეპან გრიგორიჩს...

და ის გარემოებაც, რომ ელოდიას ვერც კი წარმოედგინა, როგორ შეეძლო მას სტეპან გრიგორიჩთან დაახლოება, რაღაც განსაკუთრებული სიმწარით აღონებდა ქალს.

— გასწი... ჩქარა! — სახის დამალვითა და კარის ჩვენებით წაიძახა მან. — ვთხოვ წადი..

მაგრამ იგი არ მიდიოდა.

— სტეპან გრიგორიჩთან?

გაიმეორა მან.

„მას ხომ ლიუბა შეილად შევეყვება“... ყველფერი ეს დაუჯერებელი და უაზრო იყო, მაგრამ ამაზე როდი შეჩერებულა, — ახლა სხვა რამე უნდა მოესაზრებინა, უფრო მნიშვნელოვანი: როგორაა, რომ მიუხედავად იმისა, რაც ამ ქალმა თავის თავზე სთქვა, და რაც თითქოს ყოველივე ფასს უკარგავდა, მას მაინც არ შეუძლია მისი დატოვება. „ჰო, იგი შობს... შობს... მაგრამ იგი ხომ... აი იგი რა ახალგაზრდაა... არა იგი შე შესაჭიროება“... ეს აზრი ძალიან ბუნდოვანი იყო და თავისთვის ასე გამოარკვია: „ჰო ვერ მივატოვებ—მებრალემა... და ვანა ჩემ სიტყვას გავტყებ? ვანა ბულაინი ასეთი მოწინავეა“!... — ჰფიქრობდა იგი, როგორც გარეშე სწორედ ისე, როგორც წელიად გარედან წარმოედგინა, დამტყინებნო. ამოიხზრა და აღერსიანი თავმოწონებით სთქვა:

— დიახ... მეწყინა, ლიუბაშა! შენც კარგად გესმის... მაგრამ ცოლად მაინც წაგიყვან, რა თქმა უნდა...

მათრახივით გადაეწნა ლიუბას მისი სიტყვების დამამცირებელი აზრი. და მკისვე გაცოცხლდა ძველი შეურაცხყოფა, მისგან მოყენებული:

დაიკარგე აქედან! გესმის?!

დაუყვია ქალმა, მერე ზიხლით პირი იბრუნა და ისევ აქვითინდა.

„ეს რაა? — აბნეულად ჰფიქრობდა იგი. — მაგდებს, მაგრამ მე რომ წასვლა არ შემიძლია“?..

— მოდი, მოვილაპარაკოთ, ლიუბა!

სულ სხვანაირის კილოთი სთქვა მან, როცა ქალის აცახცახებული მხრები დაინახა.

ქალის ჩამოწეწილ თმებში ყური გამოჩნდა. იგი თუმცა სტიროდა, მაგრამ ყური კი არავითარ მონაწილეობას იღებდა ამ ტირილში: მის რბილსა და ვარდისფერ ნახვევებში გულუბრყვილო და ეშმაკური რაღაც მოსჩანდა—სწორედ იქ იყო ის განსაკუთრებული რაღაც, რაც მხოლოდ ლიუბას გააჩნდა—და ეთი დაიხარა, ხოლო ლიუბამ ერთნატილით იგრძნო მისი ტუჩები თავის ყურზე.

„არ მიდის...—გაიფიქრა მან.—ნეტავ, რა ამბავია? მაშინვე წავიქცეოდე, ასეთი კი“...

— ოდნავადაც არ გებრალეები... წადი, მომწორდი!

უთხრა ქალმა და ამ საბრალო სიტყვებში ერთბაშად გულის სიღრმეში შეარყია ვაჟის არსება, თვალამღურველმა, თითქმის ატირებულმა, ხელი მოჰხვია ქალს.

— გებრალეები. როგორ არა, გებრალეები.—გაიმეორა მან.—ნუ გამაგდებ, ლიუბოჩკა, გებრალეები...

და როცა ვაჟის ცხუნარე და მზიარული ტუჩები იგრძნო, ტირილი შესწყვიტა. ეს იყო სწორედ ის, რაც დიდი ხანია ესაჭიროებოდა, რაც დიდი ხანია, არა ჰქონია. ამასთანავე გამაძფრებით განაგრძობდა ფიქრს: „მაშასადამე, მეც მიყვარს. მაგრამ ვუფერავარ განა მას—ასეთს ყმაწვილსა და მზიარულს? ხომ შეუძლია შეურაცხმყოს“.

და, თითქოს მის ფიქრებს უპასუხებდნო, ვალოდიამ წამოწიალებული სახე-აღმართა, გაბრწყინებული და ბედნიერი თვალი მოაპყრო და უთხრა:

— ლიუბოჩკა, ახლავე ჩემთან გადმოხვალ. ჯერ-ჯერობით ერთ ოთახში ვიცხოვროთ და მერე ვეცდები, რომ ნამდვილი ბინა ვიშოვნო —ორ-სამ ოთახიანი.

ამ სიტყვებში თითქოს უფრო მომზიბელებელი გახადა იგი, და ქალმა, როცა ნამტირალეე სახეს იპუდრავდა, აღმაცერად შეავლო აციალებული, ალერსიანი, მაგრამ ჯერ კიდევ ოდნავ ფრთხილი თვალი.

— ეს შეუძლებელია—ახლა ბინის შოვნა...

ამოხერხით სთქვა მან.

— შეუძლებელია? უთუოდ ვიშოვნე,—თავდაჯერებით მიუგო, რაკი შენიშნა, რომ ქალი სიყვარულით უცქერდა.—შარშან, ლიუბანკა, მთელი წელიწადი საფეიქრო ქარხანაში ვიყავი პრაქტიკანტად, და იქ ისე მათასებენ, ისე მათასებენ, რო... და მეც საბინაო კოოპერაციის წევრად ჩაეწერე... ყოველი შემთხვევისთვის. ჯერ ისევ შარშან მაძლევდნ ბინას ქარხნის ახლოს იმიტომ, რომ მაშინ უფრო მეტ დროს მოვახმარებ მათ და საზოგადოდ კავშირიც უფრო მჭიდრო იქნება...

ქალს ერთობ მოსწონდა ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა. ეს მართალი ადვილგასაგები სიტყვები თითქოს აშუქებდა ვაჟს. და ქალიც ისეთი მცოდნე ცნობისმოყვარებით ათვალერებდა მას, როგორც წინედ არასოდეს ჰქონია. ის საჭირო რაღაც, რაც ქალს ასე მოსწონდა, ერთნაირი იყო ვალოდიამშიც და სტეპან გრიგორიჩშიც: ეს იყო ძლიერებისა და ეშმაკური მზიარულების შეზავება. მაგრამ სტეპან გრიგორიჩში ეს თვისება უცნაურად გაუგებარი იყო და ამიტომაც რაღაცნაირი მოხერხებული მოტყუების იერს იღებდა, ვალოდიამში კი ეს თვისება სწორედ იქითკენ იყო მიმართული, საითკენაც უნდა მიმართულიყო.

„არა, ეს ეგოისტი როდია—არამედ მზრუნველი.—ჰფიქრობდა ქალი და საამით აღნიშნავდა მის ტანადობასაც, ფეხების სიმაგრესაც, წერილ წელსაც და ლალ მოძრაობასაც.—ეს ყმაწვილია, ის კი—მოხუცი და დაუჯერებელი. და მე რა—მაგათი ყმა ვარ თუ?—უეცრად უბირულად გაიფიქრა სტეპან გრიგო-

რიზედაც, ბორისზედაც და ვალოდკაზედაც... ოჯახური პაწეუკა მძევრულა კრის-თვისაც იგი ასე იბრძოდა, ახლა ერთბაშად განიავდა და ნისტივალდჷქუჩუჩუ მხალი, ნამდვილი და მხურვალე ბედნიერების წინაშე, რომელშიც ახლა ფეხი უნდა შეედგა.

„ჰო და დე, ის მოვიდეს, მე კი იქ აღარ დაეხვდები... ხოლო თუ ბავშვის ნახვა მოენატრება, დე, მაშინ მთხოვოს“.

და მან მხურვალე და დაკმაყოფილებული სიძულვილი იგრძნო, თითქოს სტეპან გრიგორიძის ის მტკივნეული ადგილი ნიაგნო, სადაც დაქირვების დროს უნდა დაარტყასო.

— ეს როგორ იქნება, ვალოდია, რომ უეცრად ბავშვიანი კისერზე ჩამოგეკიდო?

ამოოხვრითა და თვალის დახრით ეუბნება იგი, თუმცა თავისთვის ყველაფერი უკვე გადასწყვიტა.

— ბავშვიანადო?

ეკითხება ვალოდია.

მას ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენია, რითი უნდა გამოხატულიყო ისა, რომ ლიუბა ბავშვიანად იქნებოდა, თუმცა ეს რაღაც შედმეტი, დამამკირებლად მამხილებელი რაღაც კი უნდა ყოფილიყო.

— განა მუცლის მოშლა არ შეიძლება, ლიუბაშა?

ხმის დაწვეით ჰკითხა მან.

— გვიანდა...—ქალი წამოწითლდა და თვალი დაჰხარა.—ჰო, იცი, კიდევ რომ შეიძლებოდეს... რა ვქნა... მიყვარს იგი. პხედავ?

და ვაქს ნაქსოვი უჩვენა, რაც ვაქს პირველად სახელო ეგონა, სათბური კი იყო,—ისე პაწეა, რომ წარმოუდგენელი იყო ადამიანს იგი ჩასცმეოდა.

— ძალიან მიყვარს იგი...

დარცხვენით გაიმეორა მან და ვაქს გამომცდელი თვალი მიაპყრო.

და ეს ცქერაც საქმაო იყო, რომ ვალოდიას საჩქაროდ ეპასუხნა:

— მაშასადამე მეც შეილივით, საკუთარ შეილივით მეყვარება... ისე, როგორც შენ, ლიუბანკა...

და თავისი ქარბი გულკეთილობით კვლავ სიამე იგრძნო.

ვაქი ლიუბას ახლოს ჩამოჯდა, ქალი თვით გადაიხარა მისკენ და მადლიერებით აკოცა ლოყახე. ვალოდიამ ხელი მოჰხვია, ქალი მისკენ მიიჩინდა და გვერდით მიუჯდა. ახლა ვაქმა უმთავრესი რამ გამოარქვია—ამ ქალს მიიღწია. და ბედნიერიც იყო, რომ სხვისგან დაორსულებული ერგო, დაუწნოებელი; ახლა ამ ქალს ისე ღებულობდა, როგორც ბედნიერებას, რადგან სრულიად არ აფასებდა მაშინ, როცა იგი ქალწულობით ჰყვოდა და მისკენ ილტვოდა...

—მერე როგორღა მოვივიდა სტეპან გრიგორიძთან?..

შვეკითხა იგი.

— ისე...

ლიუბა უამბობდა, აღმაცერად უცქერდა, წითლდებოდა და თან ვაქის ხელს ეალერსებოდა. ქალს ეგონა ისე ვუამბობ ყველაფერს, როგორც იყო, მაგრამ როცა ნაამბობი მოისმინა, ვალოდიამ ამოოხვრით სთქვა:

— ერთი დაბე! ძველი ბოლშევიკია და ასე კი მოხიბლა, <sup>კაცუნული</sup> მის ხმაში აღფრთოვანების კილო ისმოდა, მაგრამ შემდეგ <sup>საქმეებისთვის</sup> მძრახველი ხმით დაუმატა:

— ტყავი უნდა გააძრო, ი ბებერ ეშმაკებს, ამისთანა საქმეებისთვის!

— შე მხოლოდ ბავშების გულისთვის, ვალოდია!.. ობლები არიან... განა დედასავეთ არ ვეპყრობოდი... ჰო და, აი...

იგი კვლავ ატირდა, მაგრამ ეს ცრემლები სუბუქი იყო, და ტირილიც საამო, რაკი გრძობდა, რომ ვაჟი ნუგეშით უაღერსებდა მის მხრებს თავისი მძიმე და ღონიერი ხელით.

უცერად კარი გაიღო. ვალკა შემოვიდა და ისინიც ერთბაშად განწორდნ.

ჰო და, შე შემოვივლი, ლიუბაშა,—მაშინ კონკრეტულად მოვილაპარაკოთ.

მხიარული ღიმილით უთხრა ვალოდიამ და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ვალკა გაშტერებული უცქეროდათ. ვალოდიას და ლიუბას მდგომარეობა რაღაც სწორედ იმ მდგომარეობას ჰგავდა, როგორშიაც მან მამა და ლიუბა შეისწრო მაშინ როცა იგინი ჩახუტებული ნახა. მაგრამ მაშინ ეს სასიხარულო, საკვირო და სწორი იყო, ეს კი—რაღაც ახლა ნახა უბირი, მაშფოთარი და რაღაც ცუდი, ცივი წუხილის აღმებრელი.

შემდეგი იქნება



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



## ლიტერატურული პოლიტიკის წიგნიართი საკითხები

### 1.

საკითხი ლიტერატურულ პოლიტიკისა, ან პოლიტიკისა ხელოვნების დარგში მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენი პარტიის კულტურულ ფრონტზე მუშაობის საერთო საკითხებთან. ჩვენი სამხატვრო პოლიტიკის პრობლემები ბუნებრივად უკავშირდებოდნენ ჩვენს დისკუსიაში უფრო ზოგად საკითხს—პროლეტარული კულტურის შესახებ. პარტიის ძირითადი რეზოლიუცია მხატვრული ლიტერატურის შესახებ, მიღებული 1925 წელს, შეიძლება ითქვას, წარმოიშვა პროლეტარული კულტურის შესახებ აზრთა დაპირისპირების ქარ-ცეცხლში. ეხლა ეს დავა ისევ განახლდა ახალი ფორმით და ახალ სამოსელში.

ყველაზე მკაცრ პოზიციას პროლეტარულ კულტურის საკითხში იღვა ტროცკი. მისი პოზიცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტროცკის საერთოდ შემცდარ პოლიტიკურ კონცეპციასთან. პროლეტარული კულტურისა და პროლეტარული ხელოვნების შესახებ ტროცკი ამტკიცებდა, რომ „ძირეული შეცდომაა ბურჟუაზიული კულტურისა და ბურჟუაზიული ხელოვნებისათვის, პროლეტარული კულტურისა და პროლეტარული ხელოვნების დაპირისპირება. ეს უკანასკნელი საერთოდ არ იარსებებს, რადგან პროლეტარული რეჟიმი—დროებითია და გარდამავალი“ (ტროცკი—„ლიტერატურა და რევოლიუცია“ 1923 წ. გვ. 9). თავის მეორე წერილში ის სწერდა: „დიქტატურის (პროლეტარულის) ეპოქაში ახალი კულტურის შექმნის შესახებ, ე. ი. უდიდესი ისტორიული მამულები მშენებლობის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია, თორემ იმ კულტურულ მშენებლობას, რომელიც დაიწყება დიქტატურის რეჟიმის ბრჭყალების აუცილებლობის განვლის შემდეგ და რომელსაც ვერავითარი წარსული ვერ შეედრება—კლასობრივი ხასიათი არ ექნება. აქედან ის ზოგადი დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ პროლეტარული კულტურა არამც თუ არ არსებობს, არამედ არც იარსებებს და არც საფუძველი გააქვს ეს ვიწუხოთ. პროლეტარიატმა აიღო ძალაუფლება სწორედ იმიტომ, რომ საბოლოოთ პოლო მოუღოს კლასობრივ კულტურას (იქვე, გვ. 137).

აი, ტროცკის შეხედულებანი. აქ სავესებით განმეორებულია მისი პოლიტიკური კონცეპციის შეცდომები. ლენინი ჯერ კიდევ 1917 წელს ი აღნიშნავდა, რომ ტროცკის არ ესმოდა ბურჟუაზიული რევოლუციიდან—სოციალისტურ რევოლიუციაში გადასვლის არსება. ტროცკი აუბრალოებდა მთელ გარემავალ

პერიოდს, წარმოედგინა იგი როგორც რაღაც ძლიერ მოკლე პერიოდს, არ ითვალისწინებდა რა კომუნიზმისაკენ მსუღეულობის ყველა იმ რთულ ეტაპებს, რომლებიც უნდა გაიაროს პროლეტარიატმა თავის ბრძოლაში. ტროცკის აზრით გამოდიოდა, რომ გარდამავალი პერიოდი ისე მოკლე იქნება, რომ პროლეტარიატი ვერც მოიკლდის საკუთარი, პროლეტარული კულტურის შექმნისათვის და ეს საჭიროც არ იქნება, რადგან პროლეტარიატის წინაშე მალე წამოიჭრება საკითხი არა კლასობრივი კულტურის შესახებ. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისს არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან და ლენინიზმთან.

საკმარისია გავიხსენოთ მარქსის სიტყვები, რომ გარდამავალი პერიოდი შეიცავს 20—30—50 წლიან რევოლუციონურ და ნაციონალურ ომების პერიოდს, რომლის განმავლობაშიც პროლეტარიატი დასძლევს თავის ბუნებას. ტროცკის აზრით კი—გარდამავალი პერიოდი პროლეტარიატის სამხედრო მოქმედებათა მოკლე პერიოდია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის განმავლობაშიც კულტურის არავითარ მშენებლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

მეორე პოზიცია—ბუხარინის პოზიციაა, რომელსაც იგი განსაკუთრებით ვრცლად ანვითარებდა სწორედ იმ წლის განმავლობაში, როცა პარტიაშიც და ფართო საზოგადოებრივობაშიაც მუშავებოდა ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები; 1925 წელს ბუხარინი გამოდიოდა იმ თვალსაზრისადან, რომ კლასობრივი ბრძოლა სცხრება, რომ შესაძლებელია კულაკის სოციალისტში შებრდა და სხვ.—ე. ი. აყენებდა პრინციპს, გარდამავალ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის შენელებისას, ლაპარაკობდა მშვიდობიან მშენებლობის პერიოდის შესახებ, ლაპარაკობდა კლასობრივ ინტერესების მიჩქვალვისა და სოციალისტური სისტემის—ბურჟუაზიულში შებრდის შესახებ. აქედან კულტურული მუშაობის საკითხსაც, პროლეტარული კულტურის საკითხს იგი უდგებოდა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წინააღმდეგობათა მიჩქვალვის თვალსაზრისით.

მესამე პოზიცია—ეს არის მოგდანოვის, პროლეტკულტის პოზიცია. პროლეტკულტელების ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მათი აზრით პროლეტარული კულტურა შენდება როგორცაც მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის გარეშე, რომ იგი იქმნება და შეიძლება შეიქმნეს სპეციალურ ლაბორატორიებში, სპეციალური კარჩაკეტილი ორგანიზაციების მიერ. ისინი მხედველობაში არ იღებდნენ იმ ფართე და მრავალმხრივ მასიურ აქტიურობას და ფართე მასიურ შემოქმედებას, რაც პროლეტარული კულტურის ტიპურ ნიშანს წარმოადგენს.

დაბოლოს, მეოთხე პოზიცია—ეს არის პარტიის პოზიცია, რომელსაც ფორმულირაცა მისცა ლენინმა. ლენინს შედარებით იშვიათად უხდებოდა ამ თემაზე თავისი შეხედულებების გამოთქმა, მაგრამ მისი შეხედულებები ზედმიწევნით ზუსტია და გარკვეული. საკმაოა ორი ციტატის წაკითხვა, რომ ლენინის პოზიცია საესებთ ნათელი გახდეს ჩვენთვის. რეზოლიუციის პროექტში, რომელსაც იგი 1920 წელს, პროლეტკულტის ყრილობისათვის ადგენდა, ვკითხულობთ შემდეგს: „მარქსიზმმა, როგორც რევოლუციონური პროლეტარიატის იდეოლოგიამ იმიტომ მიაღწია თავის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, რომ



ენიკანული

მან ზურგი კი არ შეაქცია ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასეს მემკვიდრეობას, არამედ პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყოველივე, რაც ძვირფასი იყო კაცობრიობის აზროვნებისა და კულტურის ორიითასწლოვან განვითარებაში. მხოლოდ შემდეგი მუშაობის წარმოება ამ საფუძველზე და ამ მიმართულებით, გასულდგმულებული პრაქტიკული გამოცდილებით პროლეტარიატის დიქტატურისა, — რაც წარმოადგენს მის უკანასკნელ ბრძოლას ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, — შეიძლება აღიარებული იქნას ნამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებად.

ამავე რეზოლუციის სხვა პუნქტში ლენინი აღნიშნავს, რომ „პროლეტარიატი თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიისა და აგრეთვე უამრავ სხვადასხვა პროლეტარული ორგანიზაციების სახით საერთოდ უდიდეს მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელ სახალხო განათლების საქმეში“ (ტ. XXV, მე-2 გამოც., 409—410 გვ.).

ეს პუნქტი სპეციალურად მიმართულია პროლეტარიატის ლაბორატორიული კარჩაკტილობის წინააღმდეგ. ამ რეზოლუციის პირველსავე პუნქტში ლენინი აღნიშნავს, რომ განათლებისა და კერძოთ ხელოვნების სფეროში საქმის დაყენება „გაუღნითილი უნდა იყო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სფეროში, იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს პროლეტარიატი თავისი დიქტატურის მიზნების წარმატებით განსახორციელებლად“, — ე. ი. სოციალიზმის განსახორციელებლად.

კომკავშირისადმი მიმართულ ცნობილ სიტყვაში, ლენინი ეხება რა ნარქსს, ლაპარაკობს შემდეგს: „ყოველივე ის, რაც ადამიანთა საზოგადოებას ბჭონდა შექმნილი, მან გადაამუშავა კრიტიკულად და უყურადღებოდ არ დასტოვა არც ერთი პუნქტი. ყოველივე, რაც კი ადამიანის გონების მიერ იყო შექმნილი, მან გადაამუშავა და გაატარა კრიტიკის ქარცეცხლში“. შემდეგ ლენინი ეხება პროლეტარულ კულტურას და ამბობს: „საჭიროა ეს მხედველობაში ეიჭონით იმ დროს, როდესაც შავალითად ჩვენ ელაპარაკობთ პროლეტარული კულტურის შესახებ და მკაფიოდ კი არა გვაქვს შეგნებული, რომ მხოლოდ კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის ზედმიწევნითი ცოდნა და ამ ცოდნის გადამუშავება გახდის შესაძლებელს ავაშენოთ პროლეტარული კულტურა, — ამ ამოცანის კი, — თუ ასეთი შეგნება არ იქნა, — ჩვენ ვერ შევასრულებთ“. „პროლეტარული კულტურა უნდა გადაიქცეს კანონზომიერ განვითარებათ ცოდნის იმ მარაგისა, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულეთა საზოგადოებისა, მოხელეთა საზოგადოების უღელ ქვეშ“ (ტ. XXV, მე-2 გამოც., 387 გვ.).

ეს ციტატები სავსებით სჭირან პროლეტარული კულტურის პრობლემას, აღებულს იმ თვალსაზრისით, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს. ერთი მხრივ ლენინი აღნიშნავს, რომ პროლეტარული კულტურა ემყარება ყოველივეს, კაცობრიობის მიერ მოპოებულს წარსულ ეპოქებში, არა მარტო კაპიტალიზმის ხანაში, არამედ ფეოდალიზმის პერიოდშიაც და ა. შ. მეორე მხრივ ის, რომ პროლეტარიატი აწარმოებს ამ მემკვიდრეობის კრიტიკულ გადაამუშავებას. ლე-

ნინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი ეს მუშაობა რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციების საქმე როდია მხოლოდ, არამედ ეს არის საქმე მთელი მუშათა კლასისა, რომელიც თავისი სხვადასხვა ორგანიზაციების სახით ერგვა რა კულტურის ყველა სფეროში, აშენებს თავის პროლეტარულ კულტურას, — აწარმოებს ძველი შემეციდრობის კრტიკულ გადაშეშეებას და ამ ნიადაგზე ქმნის თავისი კლასის კულტურას. საჭიროა მოვიგონოთ აგრეთვე ისიც, რომ ლენინი არა ერთხელ შეხებია პროლეტარიატის დამოკიდებულებას სხვა კლასებთან. მაგალითად ლენინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატი ხელმძღვანელობს სხვა კლასებს, ასწავლის სხვა კლასებს, უძღვება მათ, აწარმოებს მათ გადაშეშეებას. პირველ რიგში აქ იგი გულისხმობდა, რასაკვირველია, გლეხობას, მაგრამ ამასთანავე ერთად წიუთათებდა, რომ ეს ეხება სხვა სოციალურ დაჯგუფებებსაც, მაგალითად ინტელიგენციას. ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარულ კულტურას ქმნის არა მარტო პროლეტარიატი, არამედ პროლეტარიატის ხელმძღვანელობისა და ჰეგემონიის ქვეშ მყოფი ზოგიერთი სხვა დაჯგუფება და კლასი, რომელთა გადაშეშეებასაც აწარმოებს პროლეტარიატი და აიძულებს იაროს მასთან ერთი ვხით. ამ მომენტსაც ჩვენ უსათუოდ უნდა გავუწიოთ ანგარიში.

თუ პროლეტარული კულტურის ასეთ გავებას გადავიტანთ ჩვენი სამხატვრო პოლიტიკის სფეროში, ჩვენ უნდა ხაზი გავუსვათ 4—5 ძირითად მომენტს, რომელიც განსაზღვრავს პარტიის სალიტერატურო პოლიტიკას.

პირველი—მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნება (როგორც მკაფიოდ აღნიშნა ლენინმა) უნდა იყოს გაუღნთილი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სულით. ჩვენ მუდამ და ყველგან ვიბრძვით იმისთვის, რომ ხელოვნება და ლიტერატურა ატარებდეს კლასიურად-გარკვეულ მიკერძოებულ ხასიათს.

მეორე—ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რათა პროლეტარიატი თავისი ორგანიზაციების (პარტიული და სხვ.) საშუალებით ნამდვილად წარმოადგენდეს ახალი კულტურის შემოქმედების ხელმძღვანელს.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რათა პროლეტარიატის პარტიამ თავისი ორგანიზაციების საშუალებით აქტიური ზეგავლენა მოახდინოს ლიტერატურულ მოვლენებზე. — ყველა მოვლენებზე ხელოვნების სფეროში, რათა იგი განსაზღვრულ ძალათ გადაიქცეს ამ საქმეში.

მესამე — იმგვარად უნდა დავაწყვათ ჩვენი ძალები სალიტერატურო ფრონტზე, რომ მაქსიმალური წარმატებით შევიძლოთ ჩვენდამი მტრულად განწყობილ, — ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, და აგრეთვე ხელოვნებაში პარტიის ხაზის ყოველგვარ დამახინჯებასთან ბრძოლის წარმოება. სხვანაირად რომ ეთქვას, ჩვენ ისე უნდა დავაწყვათ მუშაობა, რომ პროლეტარული იდეოლოგიის ელემენტებს მიეცეს განმტკიცებისა და რაც შეიძლება მეტი და გადაშეშევა ზეგავლენის მოპოების საშუალება.

მომდევ ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ პროლეტარული კულტურის მშენებლობას მარტო მუშათა კლასი როდი აწარმოებს, არამედ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სხვა სოციალური ჯგუფებიც, აქედან

გამომდინარეობს პრობლემა პროლეტარიატის ურთიერთობისა სხვა სოციალურ დაჯგუფებებთან ხელოვნებისა და ლიტერატურის ფრონტზე, — გლეხურ ლიტერატურასთან, თანამგზავრებთან და სხვ.

დამოლოს ჩვენ მტკიცედ უნდა ვანხორციელებდეთ ლენინის იმ შეხედულებას, რომ მუშათა კლასი თავისი ყველა ორგანიზაციების საშუალებით მონაწილეობას უნდა ლეზულობდეს კულტურულ მუშაობაში. სხვანაირად — სამხატვრო პოლიტიკაში ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ მუშათა კლასის ფართოდ გაშლილ აქტიურობას.

## 2.

სანამ შეეცებოდეთ 1925 წლის პარტიულ რეზოლუციას, რომელიც აქნამდის განსაზღვრავს ჩვენს პოზიციას სალიტერატურო ფრონტზე, საჭიროა ორიოდენ სიტყვით მიინც მოვიგონოთ ის დისკუსია, რომელიც წინ უძღოდა ამ რეზოლუციას. ამ დისკუსიაში ორი ძირითადი მხარე არსებობდა: ტროცკი-ვორონსკის ჯგუფი გამოდიოდა იმ დებულებიდან, რომ არ შეიძლება არსებობდეს პროლეტარული კულტურა და მასთანადამე პროლეტარული ლიტერატურაც, და თუ ეს ასეა, იმ შემთხვევაში უმთავრესად უნდა დაეყაროთ არა რომელიღაც მოგონილ პროლეტარულ მწერლებს, არამედ იმ რეალურად არსებულ, წყრილ-ბურჟუაზიული მოდემის სამწერლო ძალებს, რომლებიც მოქმედებენ საბჭოთა კავშირში და რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პარტიამ. ამ პოზიციას ვორონსკი საჭმით ანხორციელებდა მაშინ, როდესაც იგი სათავეში უდგა ჟურნალს „კრასნაია ნოვ“-ს.

მეორე, მოპირდაპირე პოზიცია ეკავა „ნა პოსტუ“-ს ჯგუფს. ნაპოსტოველები ხაზს უსვამდენ, რომ ძირითადი ძალები, რომელთაც მიჰყავთ ჩვენი ლიტერატურა, ეს არის მუშათა კლასის ძალები. ისინი ამტკიცებდენ, რომ პროლეტარული ლიტერატურა შორეული მომავლის კი არა, — უახლოესი პერიოდის საქმეა, რომ იგი ჩანასახში უკვე არსებობს და სწრაფად მტკიცდება და ვითარდება. ბრძოლა ვორონსკის წინააღმდეგ და ბრძოლა პროლეტარული ლიტერატურისათვის შეადგენს ამ მოძრაობის ძირითად დადებით მხარეებს. მაგრამ ნაპოსტოველებმა დაუშვეს გადახრები, სახელობრ, მით გადაჭარბებით გააზვიადეს იმ მხატვრულ პროლეტარულ ძალების მნიშვნელობა, რომელიც მაშინ არსებობდა, მათ მეტისმეტი უნდობლობა გამოიჩინეს სხვა დანარჩენ არაპროლეტარულ მხატვრულ ძალებისადმი — გლეხურ ძალებისა და თანამგზავრებისადმი, რომლებიც უნდა შესულიყვნენ პროლეტარიატის პოლიტიკური გავლენის ორბიტაში და რომელნიც უნდა გადაამუშავებულყვნენ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანგარიშში არ იღებდენ იმ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც პროლეტარიატმა მთელ მის პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში საკუთარი გავლენის სფეროში უნდა იყოლოს, გადაამუშავოს, უხელმძღვანელოს და სხვ. ერთ რეზოლიუციაში, რომელიც მიღებული იქნა იმავე 1925 წელს (პარტიული რეზოლიუციის რამდენიმე თვის წინად) პროლეტარულ მწერალთა 1-ლ საკავშირო კონფერენციაზე, ნათქვამია: „უმთავრეს ტიპს „თანამგზავრისას“ წარმოადგენს მწერალი, რომელიც ლიტერატურაში ამხინჯებს რევოლიუციის, ხშირად ცილს სწამებს მას, რომელიც გავლენითლია ნაციონალიზმისა, დიდ-

მყრობელობისა და მისტიციზმის სულით, რამდენადაც ეს უნდა გვეჩვენოს, თანამგზავრისა ნების შემდგომი პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაში ტონის მიმცემი იყო, იმდენად სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ „თანამგზავრული“ მხატვრული ლიტერატურა—ეს არის ძირითადში ლიტერატურა, მიმართული პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. საჭიროა თანამგზავრობის ამ ანტირევოლუციონურ ელემენტთან გაეჩაღოთ უსასტიკესი ბრძოლა“. ამგვარად თანამგზავრობის წინააღმდეგული ნაწილი გამოცხადებული იქნა კონტრ-რევოლუციონურად, რომლის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოება იყო საჭიროდ მიჩნეული.

მეორე ადგილას ვკითხულობთ შემდეგს: „თავისი საკუთარი კლასიური კულტურის, საკუთარი ლიტერატურის გარეშე პროლეტარიატი ვერ შესძლებს გლებობაზე ჰეგემონიის შენარჩუნებას“. ერთი მხრივ ნაპოსტოველები გაემიჯნენ ყველა არა წმინდა პროლეტარულ ჯგუფებს, ე. ი. ისინი ფიქრობდნენ, რომ საჭიროა დაყრდნობა მხოლოდ პროლეტარულ ლიტერატურაზე, სხვა მომიჯნავე ჯგუფები კი მათ გამოაცხადეს არა სანდოთ, კონტრრევოლუციონურად და სხვ. მეორე მხრივ ისინი გარკვეულ უნდობლობას უცხადებდნენ თვით პროლეტარიატს, არა სჯეროდათ მისი ძალების, რაც სჩანდა იმის მტკიცებიდან, რომ პროლეტარიატი ვერ შეინარჩუნებს თავის ჰეგემონიას გლებობაზე, თუ კი მას საკუთარი ლიტერატურა არ ექნება.

ამ დისკუსიის შემდეგ მიღებული პარტიული რეზოლუცია საფუძვლად დაედო მთელ ჩვენს შემდგომ წუწაობას ლიტერატურის სფეროში და საგრძნობლად აგრეთვე ხელოვნების სფეროში.

მთელ რაგ პუნქტებში ეს რეზოლუცია უფრო ახლოს სდგას იმ პოზიციასთან, რომელსაც იკავდნენ ნაპოსტოველები, მან გაეკცა ის უნდობლობა პროლეტარულ ლიტერატურისადმი, რომელსაც იჩენდნენ ტროცკი და ევრონსკი. რეზოლუციაში სპეციალურად არის ლაპარაკი პროლეტარული წყურლობის, პროლეტარულ ლიტერატურის შესახებ, იმის შესახებ, რომ მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე პროლეტარიატი ადრე თუ გვიან მიადგინებს ისეთსავე მტკიცე მდგონარეობას, როგორსაც მან მიადგინა სხვა იდეოლოგიურ ფრონტებზე. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პროლეტარული ლიტერატურა მითოსი კი არ არის, არამედ წარმოადგენს ჩვენი მიმდინარე დღის ფაქტს, ტროცკისა და ევრონსკის პოზიცია დაგმობილი იქნა. დაგმობილი იქნა იგი, როგორც კაპიტულიანტური პოზიცია, რომელიც უნდობლად არის განწყობილი პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალების მიმართ. მეორე მხრივ რეზოლუციამ დაჰკვირა კომპრომისობა, კომპრომისებად კი წაგულისხმევი იქნა ნაპოსტოველთა ის შეცდომები, რომელთა ნაწილიც აქ უკვე ჩამოეთვალეთ: სხვა დანარჩენი ჯგუფების უგულვებელყოფა, თანამგზავრთა ძირითადი მასისათვის კონტრ-რევოლუციონერობაში ბრალის დადება და სხვ.

რეზოლუციის ამ პუნქტებთან დაკავშირებით განსაკუთრებულად გამახვილებული იქნა საკითხი თანამგზავრების შესახებ, ე. ი. იმ ძალის შესახებ, რომელსაც ევრონსკი და ტროცკი ძირითად და განმსაზღვრელ ძალად სთვლიდნენ,

ხოლო ნაპოსტოველებს კი მათი უმრავლესობა „ანტირევოლუციური“ და მუშაობის შემფერხებლად მიიჩნდათ. რეზოლუციამ აღნიშნა: „...საზღვრებს შორის არსებობენ სხვადასხვა დაჯგუფებები, ე. ი. მათში არსებობს გარკვეული დიფერენციაცია. რეზოლუციის ეს პუნქტი უპირისპირდებოდა როგორც იმ ბრალდებას, რომელსაც ნაპოსტოველები ხელაღებით უყენებდნენ თანამგზავართა ძირითად მასას მთლიანად ისე, თანამგზავართა იმ გადაჭარბებულ ხოტბა-შეჭებას, რომელსაც მიმართავდა ევროპისკი. მოცემული იქნა დირექტივა, რომელიც სრულ ძალაში რჩება დღესაც. თანამგზავართა მიმართ ტაქტიკური და ფრთხილი მოპყრობის შესახებ, რათა მათ შეეცმნეთ პირობები კომუნისტურ თვალსაზრისზე სწრაფი გადასვლისა; ამასთანავე ერთად საჭიროდ იქნა ცნობილი ბრძოლის წარმოება ყოველგვარი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ და სხე.“

ამგვარად რეზოლუცია დიფერენციაციას უკეთებდა ჩვენში არსებულ სამწერლო დაჯგუფებებს, აღნიშნავდა, რომ არსებობენ სავარძნობი კადრები, რომლებიც არა თუ მუშაობენ ჩვენთან, არამედ გარკვეულ პირობებში კიდევ შეიძლება მათი გადმოყვანა კომუნისტური იდეოლოგიის თვალსაზრისზე; ამავე დროს რეზოლუცია წინადადებდა აძლევდა ჩვენს კრიტიკას ბრძოლა გაეჩაღებინა ბურჟუაზიულ გავლენათა წინააღმდეგ.

იმდენად, რამდენადაც მაშინ უკვე დასმული იყო საკითხი პროლეტარულ ძალების ჰეგემონიის შესახებ ლიტერატურაში, რეზოლუციამ შესაძლებლად არ ჩასთვალა ამ პუნქტის უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბება, ამიტომ მოცემული იქნა ფორმულიროვნა, რომ პროლეტარიატმა „უნდა პოიპოვის ისტორიული უფლება ჰეგემონიისა“ ლიტერატურის სფეროში. აღნიშნული იქნა, რომ იმ მომენტში პროლეტარულ ლიტერატურას არ ჰქონდა მოპოებული ეს ჰეგემონია, ე. ი. იმყოფებოდა თავისი იდეოლოგიური გავლენის დასაწყის პერიოდში.

შემდეგ ამ რეზოლუციაში დამახასიათებელია ის პუნქტიც, სადაც ნათქვამია, რომ ლიტერატურას მხედველობაში უნდა ჰყავდეს ფართე მასები. ამ რეზოლუციის უკანასკნელი სტრიქონები ეხება „მილიონებისათვის გასაგები“ ლიტერატურის შექმნის ამოცანას. ამგვარად, დასმული იქნა პრობლემა ლიტერატურის ფართე ზეგავლენისა ჩვენს მუშურ და გლეხურ მასებზე.

დაბოლოს აღნიშნავ კიდევ ერთ არსებით პუნქტს ამ რეზოლუციაში, რომელიც ეხება მხატვრულ ფორმას. რეზოლუცია შესაძლებლად არ სთვლიდა გარკვეულად ეჭვგამგებინა თუ რომელ მხატვრულ ფორმას სთვლის პარტია პროლეტარული ლიტერატურის შესაფერის ფორმად. მიღებული იქნა პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ მხატვრული ფორმის დარგში პარტიას დასაშვებად მიიჩნია შეგიბრი და არაფითარ აპრობაციას არ აძლევს ამა თუ იმ მიმართულებას მხატვრული ფორმის სფეროში. ისეთია მოკლედ რეზოლუციის ზოგიერთი დებულებები, რომლებმაც განსაზღვრეს ჩვენი სალიტერატურო და სამხატვრო პოლიტიკა მთელი რიგი წლების მანძილზე.

რა მოიტანა ახალი გასულმა ხუთი წლის პერიოდმა, როგორ უნდა დავსვათ ეხლა ჩვენ თანამგზავრული ლიტერატურის საკითხი, რა თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ პროლეტარიატის პეგემონიის პრობლემას, გლეხური მწერლობის პრობლემას და სხვ.—ეხლა, რეკონსტრუქტიულ პერიოდში, მთელი რიგი პრობლემებისა სულ სხვაგვარად უნდა იქნეს დაყენებული.

რეკონსტრუქტიულ პერიოდის თავისებურობა ბუნებრივად გავლენას ახდენს მხატვრულ პოლიტიკაზედაც. უწინარეს ყოვლისა, დღევანდელი პერიოდი მით ხასიათდება, რომ ჩვენ შევუდგებით კაპიტალიზმის ძირფესვიანად ამოგდებას, კულაკის, როგორც კლასის განადგურებას და ჩვენს ქვეყანაში მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებას ხუთწლედის დამლევისათვის. ჩვენ იერიში გვაჭყს მთელი ფრონტით მოტანილი კაპიტალისტურ ელემენტებზე. ამას კავშირი აქვს ბრძოლის გამწვავებასთან, იდეოლოგიურ და მასშასადამე, ლიტერატურულ ფრონტზედაც, კავშირი აქვს იმასთან, რომ კულაკი ცდილობს შემოგვიტოვოს ჩვენ, გავლენა მოახდინოს ჩვენს კადრებზე,—იმასთან, რომ ძლიერდება ბურჟუაზიული გავლენა ლიტერატურაზე, ჩვენს იდეოლოგიაზე. კლასიურ შეჯახებათა ყველა პრობლემები განსაკუთრებულ სიმახვილეს დებულობენ და ჩვენ ამჟამად უფრო მეტის სიმკაცრით უნდა მოვეკიდოთ პროლეტარული ლიტერატურის იდეოლოგიურ სიმტკიცეს, ვინაიდან ყოველგვარი წაფორხილება მოასწავებს მტრული გავლენის გაძლიერებას ჩვენს კადრებზე. მუშათა კლასი და მისი პარტია განიცდიან კულაკური იდეოლოგიის უდიდეს დაწოლას, რაც გამოიხატა შემარჯვენე გადახრაში. ჩვენ გადაჭრით ვებრძვით ამ გავლენას პარტიულ, პოლიტიკურ სფეროში და ამგვარათვე სასტიკ წინააღმდეგობას ვუწვევთ ლიტერატურის სფეროში ყოველგვარ შემცდარ ნაბიჯს, რომელიც მოასწავებს კულაკურ გავლენას.

მეორე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს სოციალისტური სექტორის სწრაფი ზრდა, პროლეტარული პოზიციების ზედმიწევნით განმტკიცება როგორც მეურნეობის, ისე პოლიტიკის სფეროში, ქალაქად და სოფლად. ხუთი წლის წინად ჩვენ საკმაოდ მტკიცედ ვვარძობდით თავს მსხვილი მრეწველობის დარგში, მაგრამ სოფელში კი სოციალისტური სექტორი სრულს არარაობას წარმოადგენდა. იგივე იყო ვაჭრობის სფეროშიდაც. კერძო სექტორი უაღრესად ძლიერი იყო. ეხლა კი ჩვენ ვაშწნავთ სოციალისტური სექტორის სწრაფ გაძლიერებას, განსაკუთრებით სოფელში, და მასშასადამე პროლეტარიატის დიქტატურის გაძლიერებასაც. სოფლად სოციალისტური სექტორის ეს გაძლიერება საეხებით სცვლის ძალთა განწყობილებას სოფელში და კერძოთ სხვაგვარად აყენებს გლეხური ლიტერატურის პრობლემას.

რეკონსტრუქტიული პერიოდის მესამე თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვაშწნებთ ჩვენს მეურნეობას ახალ ტენიკურ ბაზაზე. ხუთი წლის წინად, აღდგენით პერიოდში, ჩვენ ვემყარებოდით ძველ ტენიკურ ბაზას. ამჟამად ჩვენა გვაჭყს ახალი ტენიკური ბაზა, ახალი ტენიკა, ელემენტროფიკაციის გა-



ფართობი, ახალი სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა გამოყენება და მუშათა სამოსახლოების მშენებლობა და სხვ. აი, ესაა მწიგნობარის მისი ბაზა, რომელიც ნიადაგს უმტკიცებს ჩვენს რეკონსტრუქციას, სვამს მხატვრის წინაშე ახალ სპეციფიურ ამოცანებს და ამით გარკვეულად ახდენს და უნდა ახდენდეს გავლენას ჩვენს ხელოვნებასა და ჩვენს ლიტერატურაზე.

დაბოლოს, მეოთხე თავისებურობას წარმოადგენს მასების გაზრდილი აქტიურობა, კერძოდ კულტურული მუშაობის სფეროში და, გაძლიერებული მიდრეკილება წიგნისაკენ, ხელოვნებისაკენ და სხვ. პროლეტარული და გლეხური მოსახლეობის მილიონიანი მასები უდიდეს აქტიურობით მოითხოვენ მათთვის ვასაგებ ხელოვნებას. ისინი აყენებენ მოთხოვნებს, რომ ხელოვნება ანაზღაურებდეს სოციალურ ფუნქციას სოციალიზმის მშენებლობის ხაზით. მათ თითონ სურთ აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ კიდევაც მხატვრულ შემოქმედებაში. ასეთია ახალი პერიოდის ზოგიერთი ძირითადი თავისებურობა.

4

თუ შევხებით იმ ცვლილებებს, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში მოხდა სალიტერატურო ფრონტზე, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ პროლეტარული ლიტერატურის სწრაფი ზრდა და მის მიერ ბევრი მზრძანებელი სიმაღლის უდავო დაპყრობა. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე გლეხური ლიტერატურის მნიშვნელოვან ზრდას და ამ ლიტერატურის პროლეტარულ ლიტერატურასთან დაახლოვებას. ჩვენ ვამჩნევთ, რომ გრძელდება თანამგზავრობის ფენებზე დაყოფა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო და უფრო უახლოვდება პროლეტარიატს, ხოლო მეორე ნაწილი გარკვევით შორდება პროლეტარიატს და აშკარად გადადის ბურჟუაზიულ და კონტრრევოლუციონურ ბანაკებში. ჩვენ ვხედავთ კულაკის, მკენებელის გააფთრებულ შემოტევას, ჩვენ ვხედავთ გაბოროტებას ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში.

პირველი კითხვა შეეხება პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიას. ამასთან დაკავშირებით ბევრი საკითხი უკვე სხვაგვარად ისმება, ვიდრე ხუთი წლის წინად. ხუთი წლის წინად მოცემული იყო ფორმული როგორცა, რომ პროლეტარიატმა უნდა მოიპოვოს „უფლება ჰეგემონიაზე“. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ უფრო კონკრეტულად, რომ პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია უკვე აღარ წარმოადგენს შორეული მომავლის საქმეს, არამედ ეს არის უკვე უახლოესი დროის პრობლემა. ამის მტკიცება არ არის კომპოყოფილი. განა სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენილი არა გვაქვს ისეთ რამეთ, რაც „ისტორიულად მინიმალურ ვადებში“ უნდა განხორციელდეს? ჩვენ ვიცით თუ რა რიგ სწრაფად, რა რიგ ძლიერ იზრდება პროლეტარული ლიტერატურა მისი იდეოლოგიური ღირებულების, მხატვრული ფორმის, პროლეტარულ მასებზე მისი გავლენის თვალსაზრისით, ამ საკითხის გარშემო დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და როგორც სჩანს იწარმოებს კიდევაც სკამოდ მძაფრი პოლემიკა, კერძოდ იმ საკითხის გარშემო, თუ რას ვუწოდოთ პროლეტარული

ლიტერატურის ჰეგემონია. ეს არის პირველი საკითხი, რომელიც მათთვის გადაკრას.

მე მომყავს ერთ-ერთი მოხსენება, რომელიც შეესება ლიტერატურულ პოლიტიკას, კერძოდ ჰეგემონიის საკითხს. ეს არის აშხ. სუტირინის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა ა/კავკასიაში, პარტიულ ორგანიზაციაში. იგი, რას ამბობს იგი პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიის შესახებ: «რას წარმოადგენს პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია? პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია განსაზღვრული უნდა იქნეს იმავე ნიშნებით, რომელიც განსაზღვრავს პროლეტარიატის ჰეგემონიას ეკონომიკისა და პოლიტიკის დარგში. ამხანაგმა ლენინმა განსაზღვრა პროლეტარიატის ჰეგემონია სამსახოვან და სამწეფრიან ფორმულით. იგი ვეუბნება, რომ ჰეგემონია არის უწინარეს ყოვლისა კლასიური მტრის განადგურება. შემდეგ ეს არის გლეხობის ხელმძღვანელობა და მისი გადამობრება და შესაძენ—ეს არის ძალა-უფლების გამოყენება სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია—ეს არის ლიტერატურაში კლასიური მტრის განადგურება, შემდეგ—ხელმძღვანელი როლის მოპოება თანამგზავრების მიმართ და ბოლოს—საკუთარი შკოლის „საკუთარი სტილის შექმნა“ („მხატვრული ლიტერატურის საკითხები ამიერ-კავკასიაში“. ზაკენივა, 1928 წ. გვ. 170).

უწინარეს ყოვლისა, ჰეგემონიის ასეთი განსაზღვრის შესახებ უნდა ითქვას, რომ აშხ. სუტირინმა დაუშვა უხეში ელემენტარული შეკდომა, ვინაიდან აურია ორი სხვადასხვა, თუმცა ნაწილობრივ ერთმანეთის შემეები მცნება, სახელდობრ, მან აურია ერთმანეთში პროლეტარიატის დიქტატურა და პროლეტარიატის ჰეგემონია. მტკიცება იმისა, თითქოს ლენინს ჰეგემონია სამსახოვან ფორმულით განესაზღვროს, სრულებით არ არის მართალი. ლენინის ეს სამსახოვანი, სამწეფრიანი ფორმული პროლეტარიატის ჰეგემონიის კი არ ეხება, არამედ პროლეტარიატის დიქტატურას. თუ წვენ გადავხედავთ ლენინის ცნობილ შენიშვნებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, დაბკდილს ლენინის მე-III-მეკრებულში და ნაწილობრივ მე-XXV ტომში,—იქ მთელ რივ ადგილებში შეიქლება ვნახოთ პროლეტარიატის დიქტატურის ეს დამახასიათებელი თვისებები.

პროლეტარიატის ჰეგემონია დაკავშირებულია პროლეტარიატის დიქტატურასთან. პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება იყოს პროლეტარიატის ჰეგემონიის გარეშე, მაგრამ პროლეტარიატის ჰეგემონია კი შესაძლებელია არსებობდეს პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე. პირველი რევოლიუციის დროს რამოდენიმედ ადგილი მქონდა პროლეტარიატის ჰეგემონიას, ვინაიდან პროლეტარიატი ხელმძღვანელობდა გლეხობას, ხელმძღვანელობდა სხვა კლასებს ცარიზმთან ბრძოლაში, მაგრამ არავითარი პროლეტარიატის დიქტატურა არ ყოფილა.

სუტირინმა აურია პროლეტარიატის ჰეგემონია მის დიქტატურაში და გადაიტანა ეს აღრვეა ლიტერატურის სფეროშიდაც. ამგვარად მან დაიწყო ლაპარაკი არსებითად პროლეტარულ ლიტერატურის დიქტატურისა და არა მისი ჰეგემონიის შესახებ (თუმცა იგი განაგრძობდა სიტყვა ჰეგემონიის ხმარე-

საქართველო

ბას). ამიტომ იგი ლაპარაკობს არა ბრძოლაზე კლასობრივ მტკრბსს,საშაპედ შის განადგურებაზე, ე. ი. ხმარობს იმ ტერმინს, რომელიც აღნიშნავს ბრძოლის ყველა ზომებს, რომელსაც მიმართავს დიქტატურა,—აქ შედის გადასახლება, დახვრეტაც და სხვ. მაგრამ პროლეტარულ ორგანიზაციათა ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე, ბრძოლა პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონიისათვის თხოულობს ბრძოლის სხვა მეთოდებს.

აქ არ შეიძლება მოქმედება ბრძანებითა და ადმინისტრაციული ზეგავლენის ზომებით, ყველას, ვინც არა-პროლეტარულად სწერს, ბეჭდვა რომ აფუკრძალოთ ან სალოცავში გადაეხასხლოთ, ამით პროლეტარული ლიტერატურა არ შეიქმნება. 1925 წლის რეზოლუციანი მრავალ ადგილას არის ნათქვამი, რომ ადმინისტრაციული ძალდატანება, ადმინისტრაციული დატუქსვის ზომები სალიტერატურო ფრონტზე დაუშვებელი და მიუღებელია. და ლენინი, როდესაც ეხებოდა კულტურის საკითხებს, გაუთავებლად იმეორებდა, რომ ადვილი იყო შემამულეთა დამარცხება, ადვილი იყო ბურჟუაზიის განდევნა, მაგრამ უფარესად ძნელია გლახაკს წერაკითხვა ვასწავლოთ, უფარესად ძნელია დახმარება გავუწიოთ პროლეტარიატს, რათა მან შეითვისოს კულტურული მემკვიდრეობა და ისიც ისე შეითვისოს, რომ შესძლოს მისი გადაშუშავება და მის საფუძველზე საკუთარი პროლეტარული კულტურის განვითარება. როდესაც ზოგიერთი აშანავი პროლეტარიატის დიქტატურას ურევს ჰეგემონიაში, ამით იგი პროლეტარულ ლიტერატურას აცდენს იმ გზას, რომელსაც დიქტატურისაკენ მიუყვართ. ამგვარად ჰეგემონია არ იქმნება.

ჰეგემონიას ვალწვეთ მხოლოდ იმის წყალობით, რომ პროლეტარული ლიტერატურა იბრძვის მეტი იდეოლოგიური სიმაღლეების დასაპყრობად და ამ სიმაღლეთა შესაფერის მხატვრულ საშუალებათა მეტი სრულყოფილობისა და ფორმათა მრავალფეროვნების მოსაპოვებლად. როდესაც პროლეტარულ ლიტერატურას ყველა ძირითადი პრობლემების შემკველ მალა იდეოლოგიურ გამიზნეასთან ერთად ექნება სრულყოფილი ფორმებიც, რომელშიდაც გამოჩვენდება ეს იდეოლოგია, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარულმა ლიტერატურამ მოაპოვა მტკიცე ნიადაგი თავისი ჰეგემონიისათვის. მაშინ დაიპყრობს პროლეტარული ლიტერატურა მკითხველთა ფართე მასებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მომენტი არ წარმოადგენს განმსახლრელ მომენტს. არ შეიძლება ითქვას, რომ თუ საბჭოთა კავშირში ყველა მუშები იკითხავენ პროლეტარულ ლიტერატურას, ზოლო თანამგზავრებს კი არა, ამით ჩვენ გვექნება პროლეტარული ლიტერატურის ჰეგემონია. ეს არ არის მართალი, ვინაიდან პროლეტარული ლიტერატურის წარმატება კიდევ არ ანიჭებს მას ჰეგემონიას. ეს არის ერთერთი ელემენტი ჰეგემონიისა, დამყარებული თვით ლიტერატურის მალა ლიტერატურულ და მხატვრულ ღირსებაზე. უკანასკნელი წარმოადგენს განმსახლრელ მომენტს. ავილოთ ანალოგია. მარქსიზმი იმიტომ იმარჯვებს მთელ მსოფლიოში, რომ მან საფუძვლად მიიღო წარსულის მეცნიერული მიღწევები და შესძლო ისეთი საფუძვლიერო სისტემის შექმნა, რომლის დამარცხება მეცნიერულ ფრონტზე შეუძლებელია,—იგი მეცნიერული თვალსაზრისით წარმოადგენს

## ეკონომიკური

ისეთ სისტემას, რომელიც შეეფარდება ადამიანის გონების უწყალობის მოქმედებებს, სისტემას, რომელიც განსაზღვრავს კაცობრიობის შემდეგ განვითარებას. მარქსიზმის ეს იდეოლოგიური სიძლიერება ის მიზეზი, რომელიც ემხარებოდა და ეხლაც ემხარება მარქსიზმს დაამარცხოს ბურჟუაზიული იდეოლოგიები და გარდასული კლასის იდეოლოგია. რასაკვირველია, მარქსისტული იდეოლოგიის სიძლიერე მატულობს იმით, რომ მარქსიზმის იდეები რაც დრო გადის მტკიცად და ფართოდ მასებს ეფინება, პირველი მჭიდროთაა დაკავშირებული მეორესთან. თვით უძლიერესი იდეოლოგიური სისტემაც კი ვერ ნიაღვეს ჰეგემონიას, თუ იგი კარჩაკეტილი იმყოფება რომელიმე ლაბორატორიაში, თუ იგი გამოძახილს ვერ პოულობს ფართოდ მასებში, მაგრამ უმთავრესაა და განსაზღვრულ მომენტს მაინც წარმოადგენს მაღალი იდეოლოგიური და მხატვრული ღირსება.

როდესაც იძლევიან წინადადებას, რომ ამჟამად „პარტიამ უნდა გააძლიეროს პროლეტარული ლიტერატურის ნიჭიანობა ჰეგემონიის დაპყრობის ხაზით“, ჩვენ უნდა ვთქვათ—ეს განსაზღვრავს ანტიმარქსისტულია. რას ნიშნავს პროლეტარული ლიტერატურის გაძლიერება ჰეგემონიის დაპყრობის მიმართულებით? აქ ცხადია გულისხმობენ ძალდატანებისა და ადმინისტრატიული ზეგავლენის რაღაც სპეციალურ ზომებს. არავითარ სხვა აზრს ეს სიტყვა არ შეიცავს. აქაც ჩვენ ვხედავთ დიქტატურისა და ჰეგემონიის ერთმანეთში აღრევას.

რასაკვირველია, ჰეგემონია ასე არ იქმნება. ჰეგემონია იქმნება პროლეტარულ მწერალთა დაქობული შემოქმედებითი მუშაობით და სასტიკი ბრძოლით კლასიურ მტერთან იდეოლოგიურ ფრონტზე. ჰეგემონია იქმნება იმ მომენტებში, როდესაც პროლეტარული ლიტერატურული შემოქმედება მართლაც მჭიდროდ უკავშირდება მუშათა კლასის მთელ ბრძოლას, სოციალიზმის მთელ მშენებლობას, კლასობრივ ბრძოლების ციკალში პროლეტარული შემოქმედება იძენს ისეთ სიმახვილეს, ისეთ იდეოლოგიურ და მხატვრულ სრულყოფილებას, რომელიც ემხარება მას მოწინავე პოზიციების დაპყრობაში.

გეგემონიის დაპყრობა მოხდება იმდენათ, რამდენათაც პროლეტარული ლიტერატურის კლასობრივი სიმტკიცე შესძლებს ასახოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი პროცესები, გამოავლინოს კლასობრივი ბრძოლისა და მშენებლობის მთელი სირთულე, პროლეტარიატის, როგორც ხელმძღვანელის და ორგანიზატორის როლი, მისი გავლენა გლეხობაზე და სხვ. ეს თემატიკა ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. ხოლო სწორედ ეს მოუპოვებს პროლეტარულ მწერლობას ძლიერ გავლენას ფართო მასებში.

ცხადია, გეგემონიის პრობლემასთან დაკავშირებით მეტად მწვავედ სდგება საკითხი მხატვრული მეთოდის შესახებ. ალბათ პარტია არ მისცემს რაიმე გარკვეულ მითითებას იმის შესახებ, თუ რომელი მხატვრული მეთოდი უფრო შესაფერია პროლეტარული ლიტერატურისათვის. რეზოლუცია ამბობდა, რომ პარტიას „არ შეუძლია თავი შეიზღუდოს ლიტერატურული ფორმის დარგში რომელიმე მიმართულების მიმდევრობით“.

თვით პროლეტარული შემოქმედებისათვის, მხატვრული მეთოდის პრობლემა მეტად მწვავეა და მნიშვნელოვანი. ეხლა, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ

პროლეტარული ლიტერატურა გეგმონიას უახლოვდება, რომელიც კულტურულ ახალ და ახალ პოზიციებს იპყრობს, როცა ყოველწლიურად ლიტერატურაში შემოდინან ათობით ახალი პროლეტარული მწერლები, ასეთ მომენტში მეთოდის პრობლემა განსაკუთრებით მახვილდება.

ჩვენ გვჭირდება ისეთი მეთოდი, რომელიც დაგვეხმარება იდეოლოგიურად მტკიცე, მაღალბარისხოვანი და უფართოესი მასებისათვის წესადერი ლიტერატურის შექმნაში. ეხლა ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პოლიტიკა, როგორც ლენინი ამბობდა, იქ იწყება სადაც მილიონებს ვგულისხმობთ. პროლეტარული კულტურა და პროლეტარული ლიტერატურა იქ იწყება, სადაც მილიონებს ეწევა ანგარიში. პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ ათეული ათასებისათვის, ჩვენს პირობებში კიდევ არ შეიძლება პროლეტარულ ლიტერატურად ჩაითვალოს. პროლეტარული ლიტერატურის ძირითადი, განმსაზღვრელი თვისება ინაშთაც უნდა მდგომარეობდეს, რომ მუშათა კლასის მილიონები, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში კითხულობდნენ მას, მიაჩნდეთ იგი თავისად, შეეძლოთ მასში დაინახონ თავისი კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი.

## 5

გლეხურ მწერლობის დარგში მთელი რიგი მწვავე პრობლემებისა გვაქვს, რომელთა გარშემოც პოლემიკა სწარმოვებს. აქ ორი ძირითადი პოზიციაა. ერთის მხრივ ის ხაზი, რომელსაც განსაკუთრებით იცავენ და მხარს უჭერენ ვიანჩესლავ პოლონსკი და მისი მომხრენი. ისინი გლეხურ მწერალთა ჯგუფს აკუთვნებენ კულაკურ მწერლებსაც. მათი აზრით გლეხური მწერალი ის არის, ვინც მხატვრულ სახეებში ასახავს სასოფლო-სამეურნეო პროცესს, ასახავს თავის კავშირს შრომის ამ დარგთან. გლეხური მწერლობის ეს რაზმი პოლონსკის აზრით იყოფა რამოდენიმე ჯგუფად და მათ შორის ერთ-ერთი კულაკური ჯგუფია. პოლონსკის სიტყვით გლეხური მწერალი ის არის, „რომლის მხატვრულ სახეებშიაც გამოიხატება მსოფლშეგრძნება დამბახისიათებელი სწორედ სოფლად აღზრდილი ადამიანისათვის, რომელიც სამყაროს მიმართ გამოხატავს სოფლურ შეხედულებას და არა ქალაქურს, რომლის მსოფლშეგრძნებაც ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო და არა ინდუსტრიალურ ნაწარმოების პირობებში, რომლის მიდგომაშიც სამყაროს მიმართ აშკარავდება იმ ადამიანის თვალსაზრისი, რომელსაც საქმე აქვს არა ქარხნების კორპუსებთან, არამედ ნიწასთან, არა მრეწველობასთან, არამედ ბუნებასთან!

ამ რიგათ ის იძლევა გლეხური მწერლობის არა კლასიურ დახასიათებას, არამედ ასე ვსთქვათ, მის ტოპოგრაფიულ დახასიათებას. ამის მზაგესად რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება ვსთქვათ: რატომ ვლაპარაკობთ პროლეტარული მწერლების შესახებ; უნდა ვსთქვათ, რომ არიან ასეთი და ასეთი გლეხური მწერლები და კიდევ არიან ქალაქის მწერლები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინდუსტრიასთან, სცხოვრობენ ქალაქში, მცირე კავშირი აქვს ბუნებასთან, არაფერი იციან მიწის შესახებ, ქერს—შერისასაგან ვერ განასხვავებენ. ეს ქალაქის

მწერლები განიყოფებიან პროლეტარულ მწერლებათ, ბურჟუაზიულ ბურჟუაზიულად და სხვ. და სხვ.

პოლონსკის ეს ხაზი არა მარქსისტულია. ის სჩქმალავს სოფლად კლასობრივ წინააღმდეგობებს. ის ამახინჯებს პარტიის ხაზს კულაკობის მიმართ, პოლონსკის მთელი დაბნეულობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მას არ ესმის თუ რას წარმოადგენს გლეხობა საბჭოთა პირობებში, არ ესმის ელემენტარული რამ, რახედაც ლენინი სწერდა. თავის წერილში გლეხურ მწერლობის შესახებ პოლონსკის წყაყეს ლენინის ციტატები, მისი „კაპიტალიზმის განვითარებიდან“ მოყავს ციტატები პირველი რევოლუციის პერიოდის ლენინის წერილებიდან, საბჭოთა პერიოდის წერილებიდანაც და სხ. ლენინი ყოველთვის ანსხვავებდა ერთმანეთისაგან გლეხობას ბატონყმობის წინა პერიოდისას, გლეხობას თვითმპყრობელობის პერიოდში, როცა ბატონ-ყმური სისტემის ნაშთები კიდევ დარჩენილი იყო, მაგრამ უკვე არსებობდა გლეხობის ბურჟუაზიული ექსპლუატაცია. ამავე დროს ლენინი აღნიშნავდა იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდებოდა გლეხობაში სხვადასხვა პერიოდში ოქტომბრის შემდეგ. პოლონსკიმ ყველა ფერკი ეს ერთმანეთში აურია. მან ამოიკითხა, რომ კულაკი გლეხია. და რაკი კულაკები გლეხები არიან,—მაშ გლეხური მწერლობა კულაკურსაც შეიცავს და სხვ. ცხადია, კულაკი გამოსულია გლეხობიდან, რომელიც თავის დროზე ებრძოდა მემამულეს, როგორც ერთი კლასი. მაგრამ რა მდგომარეობაა ეხლა? ეხლა ლენინის სიტყვით ჩვენ გვაქვს ორი ძირითადი კლასი: მუშებისა და საშუალო გლეხობის. ჩვენ ეხლა ვიბრძვით კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის. კულაკობა, თუმცა გლეხობიდანაა გამოსული, მაგრამ ეხლა უპირისპირდება სოფლის ძირითად მასესებს, როგორც მათდამი მტრულად განწყობილი კლასი. ასეთ პირობებში იმის თქმა, რომ გლეხური ლიტერატურა კულაკურსაც შეიცავს, ნიშნავს ამ მომენტში არსებულ ძირითად კლასობრივ დაყოფის დამახინჯებას. კლასობრივი დაყოფის ყოველგვარი არეგ-დარეგვა, კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვა განსაკუთრებით გამამაფრებულ კლასობრივ ბრძოლის პერიოდში—ეს არის ჩვენი მტრებისათვის დახმარება, ეს არის ჩვენს კომუნისტურ კრიტიკაზე კულაკური ზეგავლენა.

პოლონსკის ყველა მითითებანი ლენინზე გვიჩვენებენ, რომ მას არ ესმის კლასობრივი განვითარების დიალექტიკა, არ ესმის, რომ კლასი სამუდამოთ მოცემული რაღაც კი არ არის, არამედ დიალექტიურად ცვალებადი, არ ესმის ეხლა ჩვენს წინაშე მდგარი ძირითადი კლასობრივი პრობლემა—კულაკობის როგორც კლასის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან დაკავშირებით მას გამოუღდის სრული და მავნებელი არეგ-დარეგვა.

ეხლა მეორე, სრულიად საწინააღმდეგო პოზიციის შესახებ. ავიღებ გლეხურ მწერალთა პლატფორმას 1928 წელში. მართალია, ეს პლატფორმა გლეხურ მწერალთა ყრილობაზე გასულ წელს რამდენათმე შეიცვალა, მაგრამ მინც მოვიყვან ციტატებს ამ პლატფორმიდან, რამდენადაც ამ ფორმულიროეკის მომხრეები კვლავ განავრძობენ თავისი პოზიციის დაცვას.

## საქართველოში

აქ ნათქვამია: „გლეხურად ისეთი მწერლები უნდა ჩაითვალოს, რომლებიც პროლეტარული იდეოლოგიის ნიადაგზეა, მაგრამ მათთვის თავისებური გლეხური სახეების დახმარებით თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებით ახდენენ გლეხობის მშრომელი ფენების და ყველა მშრომელთა გრძობისა და შეგნების ორგანიზაციას წვრილ-ბურჟუაზიული განსახლებულობის წინააღმდეგ საბრძოლველად, მეურნეობის, ყოფისა და ფსიხიკის კოლექტივიზაციისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის და საბოლოო ანგარიშში უკლასო, კომუნისტური საზოგადოებისათვის“. ამ რიგით გლეხური მწერალი ისეთი მწერალი ყოფილა, რომელიც უკვე იზიარებს პროლეტარულ იდეოლოგიას. ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით ფართოდაა ხმარებული თერმინი: „პროლეტარულ-გლეხური მწერალი“. ეს არ არის მარქსისტული თერმინი, რადგან იგი ორ სხვადასხვა კლასს აერთიანებს. ეს იგივეა, რომ ესთქვით „პროლეტარულ-ბურჟუაზიული“. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოფლად ზოგიერთი ისეთი ფენების შესახებ, რომლებიც სავსებით პროლეტარული არ არიან, ჩვენ ვამბობთ: „ნახევრად-პროლეტარული“. აქ იგულისხმება სოფლის ლატაკთა ფენა, რომლებიც ნახევრად უკვე პროლეტარებად იქცევიან, სცხოვრობენ უმთავრესად თავისი სამუშაო ძალით, თუმცა ჯერ ისევ მიწის ნაკვეთთან არიან დაკავშირებულნი. მაგრამ მთელ რიგ ჩვენს მარქსისტებს, გლეხური მწერლობის მთელ რიგ ხელმძღვანელებს (ჩვენშიც და უკრაინაშიც) შეუყვარდათ ეს არამეცნიერული, არამარქსისტული თერმინი. ეს დაკავშირებულია პლატფორმის იმ პუნქტთან, რომელიც მე მოვიყვანე. გლეხური მწერალი თურმე უკვე სდგას პროლეტარული იდეოლოგიის ნიადაგზე. მაგრამ თუ გლეხური მწერალი უკვე პროლეტარული იდეოლოგიის ნიადაგზე სდგას, მაშინ ის პროლეტარული მწერალი ყოფილა, რომელიც სოფლის შესახებ სწერს და მეტი არაფერი. 1925 წლის რეზოლუცია სრულიად სხვაგვარად აყენებდა საკითხს. გლეხური მწერლობის შესახებ იქ შემდეგია თქმული: „გლეხურ მწერლებს მეგობრული შეხედვრა ესაჭიროებათ და ისინი უთუოდ ჩვენი მხარის დაჭერით უნდა სარგებლობდნენ. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათი მოზარდი კადრები პროლეტარული იდეოლოგიის რელსებზე გადავიყვანოთ“ და სხვ. ამ რიგით პარტიის რეზოლუცია ამტკიცებდა, რომ გლეხური მწერლები ჩვენ უნდა გადავიყვანოთ პროლეტარული იდეოლოგიის რელსებზე.

რატომ? იმიტომ, რომ ისინი ამ რელსებზე არ სდგანან, ან შეიძლება რელსებზე შესდგნენ, მაგრამ ცოტა მანძილი განეღეს მათზე. ეს სავსებით სწორია, რადგან თუ ისინი უკვე გადავიდნენ პროლეტარიატის მსოფლმხედველობაზე, მაშინ უკვე ისინი არაგლეხური მწერლები იქნებიან, იმ აზრით, რომ მათი კლასობრივი თვალსაზრისი უკვე შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროლეტარული იდეოლოგიის გამოხატულება. საკმაოდ სრული ანალიზია იმ ინტელიგენტებთან, რომლებიც ჩვენს პროლეტარულ მწერლობაში მრავლად მოიპოვებიან; თავისი არსებით ისინი წვრილ-ბურჟუაზიული წრიდან არიან გამოსული, მაგრამ ისინი პროლეტარიატის თვალსაზრისზე გადავიდნენ და ბევრი მათგანი ნამდვილ პროლეტარულ მწერლებად გახდნენ.

ამხანაგები აუბრალოებენ გლეხური მწერლების გადამუშავებებს, თქონი სპობენ გლეხობაზე პროლეტარიატის ხელმძღვანელობის პრობლემას. გლეხური მწერლები ხომ, მათი აზრით, უკვე პროლეტარული მწერლები არიან.

რასი მდგომარეობს საკითხის ძირითადი შინაარსი გლეხური ლიტერატურის შესახებ? იმაშივე, რაშიაც მდგომარეობს პროლეტარიატისა და გლეხობის მთელი ურთიერთ დამოკიდებულება. პროლეტარიტი ეწყობება ლატაკ გლეხობას, მისი დახმარებით იზრდობს საშუალო გლეხობას, გადაამუშავებს მას, თანდათანობით ანთავისუფლებს მას წვრილმესაკუთრის იდეოლოგიისაგან, გადაყავს იგი განსაზღვრადობრივებულ მეურნეობის ახალ ბაზისზე, აქცევს რა საშუალო გლეხს კოლმეურნეთ, მისი სახით პროლეტარიტი იძენს მტკიცე დასაყრდენს მთელი სოციალისტური მშენებლობისათვის. ასეა ლიტერატურის დარგშიაც. პროლეტარული ლიტერატურა, პროლეტარიატის პარტია უნდა დაეხმაროს გლეხურ მწერალს, რომ იგი დაადგეს პროლეტარული იდეოლოგიის რელსებზე, უარყოს წვრილმესაკუთრული განსაზღვრულობა, გვერდში ამოუდგეს პროლეტარიატს, არა მარტო მშენებლობის საქმეში, არამედ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის საქმეშიც. ამაში მდგომარეობს პრობლემა. თუ გლეხური მწერლები უკვე პროლეტარული იდეოლოგიის ნიდაგზე სგანან—მაშინ აღარავეითარი პრობლემა აღარ არსებობს.

ამ რბგათ, როგორც პოლონსკის პოზიციია ამხინგებს კლასობრივ ხაზს სოფლად და ხელს უშლის ჩვენს ბუზაობას გლეხობის შორის, ისე ეს „მემარცხენე“ პოზიციაც, რომელიც გლეხურ მწერლებს უკვე პროლეტარულ მწერლებად აცხადებს, აგრეთვე ამხინგებს ჩვენს პოზიციას, აბუნდოვანებს იმ ამოცანებს, რომლებიც ისახება პროლეტარიატის წინაშე სოფლად.

იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც სოფლად მიმდინარეობენ, გლეხური მწერლობის პრობლემა ამ ეპოქად განსაკუთრებით მახვილდება. ადგილი აქვს არა მარტო კულაკის წინააღმდეგ გამწვავებულ ბრძოლას, არამედ ჩვენ ეხედავთ ძველი გლეხობის მოსპობის პროცესის დასაწყისს. საშუალო და ღარიბი გლეხობა იწყებს ქცევას რაღაც ახალ კატეგორიად—კოლმეურნეებად. აქ, რა თქმა უნდა უეტრად არ მოისპობა განსხვავება საშუალო და ლატაკ გლეხობის შორის, მაგრამ აქ გლეხობა გადამუშავდება და იქცევა ახალ სოციალურ კატეგორიად.

სოფლად ამ ეპოქად მიმდინარე პროცესების ეს სირთულე განსაკუთრებით მწვავედ აყენებს საკითხს გლეხური ლიტერატურის შესახებ, ე. ი. იმ მწერლების შესახებ, რომლებიც პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, კოლექტივიზაციის გზით სოციალიზმისაკენ მიმაველი, კულაკობის წინააღმდეგ გამძაფრებელი ბრძოლის მწარმოებელი ლატაკი გლეხობისა და სოფლის პროლეტარული ფენების ინტერესებს გამოხატავენ.

ლიტერატურის ამ გლეხურ კადრებს პროლეტარული ლიტერატურა უნდა დაეხმაროს, რომ მათ შესძლონ საკუთარი განსაზღვრულობის დაძლევა და დაქარებით გადავიდნენ პროლეტარიატის თვალსაზრისზე. ეს დიდი პრობლემაა.

რასაკვირველია, თვით თერმინი „გლეხური მწერალი“ ჩვენს დროში სავარძლობი ნაკლის შექცეული თერმინია, რამდენადაც „გლეხობამ“ სხვადასხვაგვარი



ისტორიული ეტაპები განელო და ამ ხნის განმავლობაში არსებობდა და არსებობდა თავის კლასობრივ ხასიათს, ამ თერმინზე აღიბეჭდა სხვადასხვაგვარ ეპოქათა ნა-  
 ლექი. მეორეს მხრივ გლეხობა ამ ეპოქად განიცდის ახალ ზონას თავის შრავალ-  
 საფუძვლიან ისტორიაში და ჩვენს თვალწინ არა მარტო ისობა კულაკობა, რო-  
 გორც კლასი, არამედ თვით გლეხობა რაღაც ახალ სოციალურ კატეგორიად  
 იქცევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება თუ ჩვენი ლიტერატურა შეს-  
 დებს ასანოს ეს უღრმესი სოციალური პროცესები და იმ კლასობრივი ბრძო-  
 ლის უდიდესი სიმბაფრე, რომელიც სოფლად სწარმოებს. საწუხაროდ უნდა  
 ითქვას, რომ ჩვენი პროლეტლიტერატურული ორგანიზაციები ყოველთვის მე-  
 ტად უფურადღებოდ ეპყრობოდენ და ეპყრობიან ეხლაც გლეხური მწერლობის  
 კადრებს. აქ არ სჩანს ის გავლენა და ხელმძღვანელობა, რომელიც უნდა ყოფი-  
 ლიყო და შეიძლებადა კიდევ რომ ყოფილიყო.

## 6

1925 წლის რეზოლუციაში თანამგზავრების საკითხს დიდი ყურადღება  
 ქონდა მიქცეული. გლეხურ ლიტერატურაზე მხოლოდ ერთი ფრაზა იყო თქმული,  
 თანამგზავრების შესახებ კი, გაცხლებითა უფრო დაწვრილებით იყო ლაპარაკი.  
 მაშინ ეს პრობლემა ცენტრალურ პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენდა. თანამ-  
 გზავრების მიმართ ძველი ფორმულიროკვა და ძველი ლოზუნგები ძალაში რჩე-  
 ბიან. მაგრამ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თანამგზავრთა საგრძნობი ნაწილის მი-  
 მართ ეს თერმინი უკვე აღარ გამოდგება. თერმინი თანამგზავრი ყოველთვის  
 არასავსებით მოხდენილი იყო. ეხლა იგი სულ უფრო და უფრო უვარგისი ხდე-  
 ბა. ჩვენ უხედავთ, რომ თანამგზავრების შემარცხენე ფრთა უკვე აღარ წარმოად-  
 გენს თანამგზავრებს, რადგან თანამგზავრებში ყოველთვის მხოლოდ ისინი იგუ-  
 ლისხმებოდნენ, რომლებიც მოგზაურობენ პროლეტარიატთან ერთად ამა თუ იმ  
 პუნქტამდე. რომელიმე შეაღულ, და არა საბოლოო სადგურამდე. თანამგზავრი  
 არ მიდის სოციალიზმამდე პროლეტარული რევოლუციის მატარებლით, არამედ  
 მიდის მხოლოდ დემოკრატიის ფართოდ განხორციელებამდე, ამ სიტყვის თა-  
 ვისებური, ინტელიგენტური გაგებით.

თანამგზავრებს შორის არიან მწერლები, რომლებიც გულწრფელად სკდი-  
 ლობენ მოლიანად დასდგენ კომუნისტურ პოზიციაზე და იარონ პროლეტარიატ-  
 თან ერთად, ბოლომდე, სოციალიზმამდე, კომუნისმამდე. მაგალითად, მიიკოვსკი  
 ისეთი თანამგზავრი იყო, რომელიც გვერდში გვიდგა უმწვავეს და უმძიმეს  
 წუთებში, ერთხელაც არ შეტყუალა და რომელიც უთუოდ ივლიდა ჩვენთან  
 ერთად თვით უმწვავეს კლასობრივ ბრძოლებამდე და ომებამდე, რომლებიც ჩვენ  
 მოგველის. ჩვენი დროის მთელი რიგი მწერლები ასეთსავე თვალსაზრისზე სდგა-  
 ნან. მათ შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანამგზავრები კი არა, მეშვითა  
 კლასის მოკავშირეები არიან. თერმინი „მიკავშირე“ ვერ არის საეცებით  
 შესაფერი, რადგან მას არ აქვს საკმაო სპეციფიურობა. მაგრამ პროცესის შინა-  
 არსს იგი სწორად არკვევს. თანამგზავრების ნაწილი მეშვითა კლასის მოკავში-  
 რებმათ იქცა; ე. ი. ისეთ მომწვავეებათ ლიტერატურულ ფრონტზე, რომელთაც

### ეტიკონი

საკუთარ ამოცანებათ მიიჩნით პროლეტარიატის ყველა ამოცანებას პროლეტარიატის სათვის ბრძოლაში და არ გამოყოფენ რაღაც შუალედ სადღურს, სანამდეც ისინი პროლეტარულთან ერთად მიდიან — ეს პროცესი მეტისმეტად მნიშვნელოვანია. უეჭველია, რომ თანამგზავრების საუკეთესო და უნიჭიერესი ნაწილი სწორეთ ასეთ გარდაქმნას განიცდიან.

ამასთან ერთად ადგილი აქვს გამოცოცხლებას ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში. ჩვენ ვხედავთ ისეთ შემთხვევებსაც, როცა თანამგზავრი გადადის ჩვენი მტრების ბანაკში და აშკარად ჩვენს საწინააღმდეგოთ მიმართულ ნაწარმოებს სწერს. არის მრავალი შემთხვევა, როცა ჩვენდამი მტრული იდეოლოგია ამოფარება ხელოვნურ ნიღაბს და ამით კიდევ უფრო მეტად საშიში ხდება (მაგალითად „პერველი“).

დამახასიათებელია, რომ ახალ თანამგზავრ მწერლობის ახალგაზრდა ძალები ხშირად პირველისავე ნაბიჯებიდან ხდებათ პროლეტარიატის ახლობელ მოკავშირეებად და ალბათ შემდეგ მთლიანად გადავლენ კომუნისტური პარტიის თვალსაზრისზე. ამაში შედგენდება სოციალისტის მშენებლობის ძალა და შემოქმედებითი სიმტკიცის მქონე და სულ უფრო და უფრო მოხარდი პროლეტარული ლიტერატურის ზეგავლენა. რასაკვირველია, გადაშეყვები როლი თანამგზავრებისათვის აქვს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას, პროლეტარიატის წარმატებებს სოციალისტურ ფრონტზე, ხუთწლედის გამარჯვებას, რევოლუციონური მოძრაობის ზრდას და გაძლიერებას მთელს მსოფლიოში, მაგრამ სავრძნობ გავლენას ახდენს პროლეტარული ლიტერატურის ზრდა და მხატვრული ხარისხიც.

### 7

1925 წლის რეზოლუცია არაფერს ამბობდა ნაციონალური ლიტერატურის, ს. ს. რ. კ-ის მრავალრიცხოვანი ერების ლიტერატურის შესახებ. ეხლა ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რამდენათაც ადგილი აქვს მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სწრაფ ზრდას მთელ რიგ ჩვენს რესპუბლიკებში. უეჭველია, რომ ჩვენ ესდგევართ ნაციონალურ კულტურათა სრული აყვავების წინაშე. სწრაფად იზრდება უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, შუაზიის რესპუბლიკათა მხატვრული ლიტერატურა. ყველან მეტად საინტერესო მხატვრულ მიღწევებს ვხვდებით. პროლეტარული კულტურა და პროლეტარული ლიტერატურა შესაძლებელია მხოლოდ როგორც შედეგი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა შემოქმედებისა. ანას ხშირად იგიწვებენ. სამწუხაროდ ჩვენ ვერ კიდევ სათანადოთ ვერ მოვაგვარეთ რესპუბლიკათა შორის მხატვრულ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლა. 1929 წელს მოსკოვში ჩამოვიდნ უკრაინელი მწერლები.

მთელი რიგი ჩვენი მწერლების ცალკე ჯგუფებისა გაემგზავრენ უკრაინაში, საქართველოში, ბელორუსიაში. ბელორუსიის მწერლები იყვენ ლენინგრადში, აპირებენ მოსკოვში ჩამოსვლას. ჩვენს ქვეყანაში ხდება მხატვრულ ძალითა ერთ-

გვარი გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ რუსი მწიგნობრები მსიერ სუსტად იცნობს უკრაინულს, ქართულს, თუ ბელორუსულ ლიტერატურას<sup>1)</sup>

ეს მეტისმეტად აფერხებს ახალი, პროლეტარული კულტურის მშენებლობის საქმეს. ამ უფრო ვადამწვევტი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. თეატრალურმა ნაციონალურმა ოლიმპიადამ მოგვცა ვაკვეთილი, რომელიც ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. სტალინმა ვარკვეული ფორმულა წამოაყენა, რომ ჩვენ ვაშენებთ შინაარსით სოციალისტურს (პროლეტარულს), ხოლო ფორმით ნაციონალურ კულტურას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პროლეტარული და გლეხური ლიტერატურა ყოველგვარი თავისებურობებით მკლავდება არა მარტო რუსულ ენაზე, არამედ იმ 150 ენაზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში არსებობენ. როდესაც ჩვენ წევსდებით პროლეტარული ლიტერატურის მიღწევათა ნამღვილი, ცოცხალი, შემოქმედებითი გაცვლა-გამოცვლის მოგვარებას, მაშინ ჩვენ მართლაც მძლავრად წინ წავსწევთ ჩვენს ლიტერატურას და მთელს ჩვენს ხელოვნებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ლიტერატურის საერთაშორისო მნიშვნელობა. ეხლა პროლეტარულ მწერალთა ყველა უდიდესი ნაწარმოებნი ითარგმნებიან ძირითად ენებზე. ამერიკანულ, გერმანულ და სხ. ბიბლიოგრაფიულ გამოცემათა ყოველ ნუმერში ეპოულობთ ცნობას ჩვენს ქვეყანაში გამოსული ამა თუ იმ რომანის, მოთხრობის თუ პიესის თარგმნის შესახებ.

ნაციონალური ლიტერატურის დარგში ჩვენ გვაქს ორი ძირითადი შეცდომა. ერთის მხრით ვხედავთ დიდმპყრობელობას, ე. ი. სხვა ეროვნებათა ლიტერატურის მიწართ ამპარტავნულ დამოკიდებულებას. ამას ხშირად ვამჩნევთ რუსულ ლიტერატურაში.

რუს მწერალთა წრეებში შემსწეულია უკრაინული, ქართული და ყოველგვარი სხვა ეროვნების ლიტერატურის იგნორაცია. მეორეს მხრით ვხედავთ მეორე უკიდურესობას (ეს ჩვეულებრივ შემსწეულია იმ ეროვნებაში, რომელთაც ჩავგვრის პერიოდი განვლეს) როცა ნაციონალურ კულტურას, ნაციონალურ ლიტერატურას აყენებენ ყველა სხვა ლიტერატურათა საწინააღმდეგოთ, როცა თავს იჩენს საკუთარ ნაციონალურ ნაქუჭში მომწველვეის სურვილი. ამ ნიადაგზე უკანასკნელ წლებში გვქონდა მეტად დამაფიქრებელი სიმპტომები (რომლებიც ეხლა უკვე აღმოფხვრილა), როცა მაგალითად ზოგიერთი უკრაინელი მწერლები აყენებდენ ლოზუნგს, რომ უკრაინულმა ლიტერატურამ და საერთოდ უკრაინულმა კულტურამ ორიენტაცია უნდა აიღოს არა მოსკოვზე, არა რუსეთზე, არამედ დასავლეთზე. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, გამოდიოდა, რომ უკრაინულმა ლიტერატურამ სანიმუშოდ უნდა აიღოს არა ის პროლეტარული კულტურა, რომელსაც ჩვენ ეხლა ჩვენში ვქმნით, არამედ დასავლეთის ბურჟუაზიული კულტურა. ანალოგიურ განცხადებებს ადგლი ქონდა ბელორუსების მწერალთა წრეებშიაც. ამიერ-კავკასიაში კი ვიღაც მოითხოვდა, რომ ორიენტაცია აღებულიყო არა საბჭოთა რუსეთზე, არა დასავლეთზე, არამედ აღმოსავლეთზე, ოსმალეთზე.

<sup>1)</sup> დამახასიათებელია, რომ „ნალიტბოსტუ“-ს ჯგუფის წარმომადგენელმა კი, რომელმაც პატაკი წარუდგინა ყრილობას პროლეტლიტერატურის მიღწევათა შესახებ, არ დაასახელა არც ერთი ნაწარმოები უკრაინულ, ქართულ, ბელორუსულ და სხ. ლიტერატურიდან.

აი, ის ორი უკიდურესობა, რომელთაც ჩვენ ვხედავთ ნაციონალისტურ-რატურათა განვითარებაში. უმთავრესი საფრთხე, რასაკვირველია! კლასიკობელურ, ველიკოროსულ შოეინისში მდგომარეობს, რომელიც აფერხებს ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გატარებას, რასაკვირველია ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ გადახრასაც გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.<sup>1)</sup>

## 8

დასასრულ მე შევეხები საკითხს იმ ტიპურ შეცდომათა შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი სახმაცრო პოლიტიკის დარგში. აქ სრული ანალოგია იმ შეცდომებთან, რომელთაც ვხედგებით საერთოდ პარტიული ხაზით.

ერთინ მხრივ გვაქვს შემარჯვენე შეცდომები: ლიტერატურულ პოლიტიკაში შემარჯვენე შეცდომების საუფუძველი მდგომარეობს კლასიური მტრის წინაშე კაპიტულიაციაში, მტრულ იდეოლოგიასთან შემარიგებლობაში, დათმობაში კულაკობისა და წვრილბურჟუაზიის მიმართ და სხ. არიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიულ ტენდენციებთან ლიტერატურაში არ შიანიათ საკიროთ, ან შიანიათ იგი ჩვენის მხრივ მეტისმეტად გადაქარბებულიად, ამხანაგები, რომლებიც დასკინიან ჩვენს მოთხოვნას, რომ ნაწარმოები იდეოლოგიურად მტკიცე იყოს. არის ისეთი შემთხვევები, როცა იწყებენ შწერლის თუ კრიტიკოსის მართლებას, თუ მან დაუშვა დათმობა ბურჟუაზიულ ტენდენციების მიმართ; თუ კი მან შეაქო ასეთი ბურჟუაზიული, თუ კულაკური ტენდენციების შემცველი ნაწარმოები, რასაკვირველია ამ შეცდომებს უმაღლესი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს, რადგან ამ ფრონტზე დაშვებული შეცდომები მოასწავებს ჩვენს კაპიტულიაციას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე, ნიშნავს პროლეტარიატის განიარაღებას მისი იდეოლოგიური ბრძოლის საქმეში თავისი პოლიტიკური პოზიციებისათვის. არავითარი დათმობა, არავითარი შემარიგებლობა აქ არ შეიძლება იქნას დაშვებული.

შემარცხენე შეცდომები რამდენაიზე იმ შემარცხენე შეცდომათა განმეორებას წარმოადგენენ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1925 წელსაც. აი, მაგალითად ჟურნალ „ნასტოიაშინი“-ს ის შეცდომები, რომელთა შესახებაც პარტიის ცეკას შიერ სპეციალური დადგენილება იყო მიღებული. რაში მდგომარეობს ჟურნალ „ნასტოიაშინი“-ს შეცდომები? სწორედ იმაში, რომ მან მთელ რივ პლიუსების მიუხედავით, რომლებიც მას ჰქონდა, არსებით საკითხებში არასწორი ხაზი აიღო. ჟურნალმა ანგარიში არ გაუწია იმას, რომ პროლეტარული და რევოლიუციონური ლიტერატურა მართო პროლეტარიატის ძალებით არ იქმნება, რომ პროლეტარულ ლიტერატურას ქმნიან აგრეთვე მთელი რიგი რევოლიუციონური მწერლები, რომლებიც შეიძლება პროლეტარულ პარტიაში არ ირიცხებიან, მაგრამ მაინც თავისი შემოქმედებით ეხმარებიან პროლეტარიატის ბრძოლას მისი პოზიციებისათვის. ასეთ მწერალთა რიგს ეკუთვნის მაგალითად გორკი.

<sup>1)</sup> მე არა მაჭვს საშუალება ამ წერილში შევხებო ლიტერატომცოდნობისა და კრიტიკის საკითხებს. ეს ცალკე თემაა. აქ უმთავრესია—პერსეკუტეშიონის რეალური დაძლევა. ამ საკითხისადმი მიძღვნილია ამ ნუმერში მოთავსებული სხვა წერილები.

ამიტომაც, როცა „ნახტოიშივე“-მ გორკისა და ამავე დროს მწერალთა ჯგუფის მიმართ დაიჭირა საეხეხითი უარყოფითი პოზიცია და ისინი „ყოველგვარ კონტრ-რევოლუციონურ ძალთა რუპორად“ გამოაცხადა, რასაკვირველია, ის იყო „ნახტოელები“ 1925 წლის შეცდომათა სრული განმეორება.

მემარცხენე შეცდომებს ეკუთვნის აგრეთვე ჩვენი ლიტერატურის გლეხური სექტორის იგნორაცია. ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაციები და კერძო რუსეთის პროლეტმწერალთა ასოციაცია არასაკმარისი ყურადღებით ეკიდებოდა და ეკიდება გლეხურ ლიტერატურას. არსებითად ეს ნიშნავს მუშათა კლასის იმ მოკავშირისადმი უყურადღებობას, რომელსაც პროლეტარიატი გვერდს ვერ აუღლის, ურომლისადაც იგი ჩვენს გლეხურ ქვეყანაში სოციალიზმს ვერ ააშენებს.

აქა იქ ადგილი აქვს პროლეტკულტურის იდეების აღორძინებას. ზოგჯერ ბოვდანოვიჩინის რეციდივებიც იჩენენ ხოლმე თავს.

ყველა ამ გადახრათა წინააღმდეგ ჩვენ გადაწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ლიტერატურა, როგორც მთელი ხელოვნება, ამ ეპოქაში, მოსახლეობის წერაკითხვის მკოდნეობის ზრდის პერიოდში, მოსახლეობის მასსიური აქტიუზაციის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. პროლეტარული ხელოვნება ამ ეპოქაში წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღთაგანს კლასობრივი აღზრდის საქმეში და ერთ-ერთ უმძლავრეს საშუალებათაგანს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში. ეს იარაღი მით უფრო მძლავრი ხდება, რომ ჩვენი პროლეტარული ლიტერატურა, ჩვენი ხელოვნება ფართო გამოხმაურებას პოულობს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გადაღმაც. ჩვენი პროლეტარული ხელოვნება ვერ შესძლებს სწორი ხაზით განვითარებას და განმტკიცებას თუ იგი გასინჯული არ იქნება ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ მრავალრიცხოვან მკითხველთა, მსმენელთა და მაყურებელთა აქტიუზზე, და თუ ჩვენი პროლეტარული მიღწევები არ შემოწმდნენ მთელი მსოფლიოს ფართო პროლეტარული აქტივის მიერ. ამიტომაც მით უფრო მკაცრი მოთხოვნები უნდა წარვუდგინოთ ჩვენ პროლეტარულ მწერლებს, კომპოზიტორებსა და მემარცხენე გადახრებთან ბრძოლასთან ერთად, განსაკუთრებული სიძლიერით თავს უნდა დავატყდეთ კაპიტულიანტებს, ბურჟუაზიულ გაელენათა წინააღმდეგ ხელოვნებაში, მათ წინააღმდეგ, ვინც ყრის პოლიტიკური ბრძოლის იარაღს, ვასაც სურს პროლეტარიატს ბურჟუაზიის საქმე აკეთებოს.

ამ გამაფრებულ ბრძოლებში იქმნება პროლეტარული ხელოვნება.

## პროლეტარული სტილის პროკლემა

### 1. სტილის ცნება

თეორეტიულ ესთეტიკის ერთ დიდ სადაო საკითხს სტილის სტრუქტურის პრობლემა წარმოადგენს. დავას ამწვავებს სტილის ფარგლების გაურკვევლობა. სტილს ეძღვევა ხან სახეობითი, ხან გვარეობითი ცნების მნიშვნელობა. სტილი აქვს მხატვრული ფაქტის კონკრეტ სახეს (მაგ. „ჰამლეტი“), სტილი აქვს ავტორს (მაგ. შექსპირს). სტილი აქვს ეპოქის ლიტერატურულ გვარს (მაგ. ელისაბედის ეპოქის დრამატიულ მწერლობას).

ამ წინააღმდეგობათა წრეში სტილი გვევლინება ლოდიკურად ერთმანეთს უარყოფელ კატორიით. სტილის სტრუქტურის სირთულე შელანდება ამ ცნების სპეციფიკუმი გაურკვევლობაში. სტილი ხან კერძობითი ნიშანია, ხან ზოგადი, ხან სახეობითი ცნებაა, ხან გვარეობითი. ეს გარემოება იწვევს სტილის მოკლთვებას მრავალგვარ მხატვრულ მოვლენებისადმი. ხელოვნების თეორიაში შეეხვედებით: ავტორის სტილს, ნაწარმოების სტილს, მხატვრული მიმართულების სტილს, ეპოქის სტილს, საზოგადოების სტილს, ეროვნულ სტილს და სხ. ველევაძიებას არათულებს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე ნაწარმოები შეიცავს ყველა ამ სტილისტურ ენებათა ელემენტებს. „ჰამლეტს“ აქვს თავისი სტილი, როგორც ნაწარმოებს. ის ატარებს შექსპირის, როგორც ავტორის, სტილის საერთო ნიშნებსაც. შექსპირის სტილი არის ელისაბედის მეფობის დრამატიული მწერლობის საერთო სტილის ერთ-ერთი სახეობა. ეს დრამატიული მწერლობა მთელი სიტყვა-კაზმული მწერლობის ორგანიზულ სტილისტურ კონტექსტშია. ეს უკანასკნელიც ატარებს მოცემული ეპოქის ხელოვნების საერთო სტილისტურ ნიშნებს. ამ ეპოქისაც აქვს თავისი სტილი, როგორც გარკვეულ სოციალ-ეკონომიური წყობის იდეოლოგიური განმსახევა. ამავე დროს ამ ეპოქის სტილი ინგლისის ნაციონალური სტილია.

ამ რთულ ლამირინში ინსაკება სტილის პრობლემა. ყოველი მხატვრული ფაქტი, ასული სტილის სიმადლენდე, ხდება შესწავლის საგნათ მრავალი სახის სტილისტური ცნების თვალთახედვით. ესწავლობთ ნაწარმოების სტილს (მაგ. „ვეფხისტყაოსანი“). ჩვენთვის საინტერესოა ამ კონკრეტი მასალის სტილი. აქ სტილი ინდივიდუალიზაციის იარაღათ გვევლინება. ესწავლობთ ეპიური ნაწარმოების სტილს (მაგ. ჰართულ ეპიურ მწერლობას). აქ სტილი ტიპიზაციის იარა-

ღათ გამოდის. კიდეც უფრო ფართოვდება სტილის ცნების შინაარსი, სტილისტურ-კლასიკურად ეპოქის, საზოგადოებისა და ეროვნულ სტილს. (მაგ. აღმართების სტილი, სტილისტურ-კლასიკური სტილი, მოწინააღმდეგეობის სტილი, ეგვიპტური, ასურული, ბერძნული, ჩინური, ფრანგული, რუსული, ქართული და სხ. ხელოვნების სტილი). ამ შემთხვევაში, სტილი გამოდის როგორც გვარეული ცნება. მასში ერთიანდება მხატვრული მოვლენების უდიდესი კრებადობანი. ამ კრებადობათა მოღიანობა ემყარება გარკვეულ სტილისტურ სტრუქტურულ ნიშნებს, რომლებიც აერთებს კრებადობის ყველა წევრს, ლემენტს.

სტილის ცნებას ვერ გამოეპარკვეთ, თუ ეს ლოლიკური წინააღმდეგობა სტილის ბუნებაში, რომ ის ერთსა და იმავე დროს, არის ინდივიდუალიზაციისა და ტიპიზაციის იარაღი, არ იქნება მოხსნილი ან ახსნილი. შესაძლოა პირველი დებულების მიღება? შესაძლოა ამ წინააღმდეგობათა მოხსნა? მიემართოდ ფაქტური მასალის ანალიზს: ლეონარდო დე-ვინჩის სურათი „ჯიოკონდა“, მიქელანჯელოს ქანდაკება „მოსე“, რაფაელის ფრესკო „დისპუტი ევზარისტის შესახებ“ ატარებენ საკუთარ სტილისტურ ნიშნებს, რომლებიც მხოლოდ ამ ნაწარმოებთათვის არის დამახასიათებელი. ამ ნიშნებს ჩვენ ვამყარებთ როდესაც მოცემულ ნაწარმოებთ გამოვყოფთ მოცემულ შემოქმედათა მთელი შემოქმედების ჯამიდან. „ჯიოკონდას“ სტილია განირჩევა „საიდუმლო სეროამის“ სტილისაგან, „მოსეს“ სტილი სხვაა, ვიდრე „სიქსტინის კაპელის“ „დისპუტის“... სტილიც განირჩევა „წმიდა ოჯახის“ სტილისაგან. დასკვნა: ერთსა და იმავე ავტორის სხვადასხვა ნაწარმოებს აქვს თავისი ინდივიდუალური სტილი. აქ ჩვენ გვინტერესებს არა ამ სხვაობის შინაარსი, არამედ ამ შინაარსის დამყარების მეთოდი. ეს კი შეიძლება მხოლოდ მოცემული ნაწარმოების გამოყოფის საშუალებით შემოქმედის ყველა სხვა ნაწარმოებიდან. ამავე მეთოდით შეიძლება სხვადასხვა მხატვრულ მიმართულებათა სტილის გამოცნობა. ვიღებთ მხატვრობას, როგორც ხელოვნების გარკვეულ დარგს და გარკვეული სტილისტური ნიშნებით გამოვყოფთ მისგან პრიმიტივიზმს. თუ კონსტრუქტივიზმს, მაროკოს, როკოკოს თუ იმპრესიონიზმსა და კუბიზმს. ასეთივე წესით ვამყარებთ ხუროთმოძღვრების, ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, კინოსა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის სხვადასხვა სტილს.

მაშასადამე, სტილის დამყარება შესაძლოა არა იმ ნიშნებით, რომლებიც აერთებს მოცემულ მხატვრულ მოვლენათა დარგს, არამედ იმ ნიშნებით, რომლებიც მათ ასხვავებს, აცალკევებს. მგზავსების ნიშნები მხატვრულ ფაქტათა ან ამ ფაქტათა კრებადობებს შორის, არ არის სტილისტური ნიშნები. სტილისტური ნიშნები არის მხატვრულ ფაქტათა კერძობითი, სახეობითი თავისებურების ნიშნები. სტილისტური ნიშნებით ჩვენ ვასხვავებთ, ვაცალკევებთ, ვაშორებთ ერთმანეთს მხატვრულ ფაქტებს ხელოვნების ერთსა და იმავე დარგიდან. აქედან დასკვნა: სტილისტური ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალიზაციის იარაღი და არა ტიპიზაციის. ეს დასკვნა ნაადრევია. სტილისტური ნიშანი, მაშინ ხდება ინდივიდუალიზაციის იარაღი, როდესაც ესწავლობთ მხოლოდ ერ-

თელ მხატვრულ მოვლენას (მაგ. „ჰამლეტი“, „ჯიოკონდა“ <sup>გერმანული</sup> <sup>ფრანგული</sup> <sup>იტალიური</sup>) მაგრამ ის იქცევა ტიპიზაციის იარაღად, როდესაც ვიღებთ მხატვრულ ფაქტთა დიდ კრებადობას (ევგვიპტური, ბერძნული, ფრანგული და სხ. სტილი). აქ ინდივიდუალიზაციის მომენტი ძალაში რჩება (რამდენადაც სტილის დამყარება შეიძლება მხოლოდ გარკვეული ნიშნების ნიადაგზე, მხატვრულ ფაქტთა გამოყოფით მგზავს მხატვრული გვარიდან), მაგრამ სიძლიერით გამოდის ტიპიზაციის მომენტით. რამდენადაც იქმნება გამაერთიანებელი სტილიური ნიშნები უკვე გამოყოფილ მხატვრული ფაქტებისათვის.

აქედან ნათელია: სტილის ცნების შინაგანი წინააღმდეგობა მოუხსნელი პოსტულატია. სტილი რჩება ცერძობისა და ზოგადის, სახეობითისა და გვარობითის აღმნიშვნელ ცნებათ.

რას შეეკუთვნება სტილი?

ვსაჯულობთ დორიული სტილის შესახებ—მხედველობაში გვაქვს პარფენონის ტაძარი (ათინის აკროპოლი). ვლაპარაკობთ ილინისტურ-რომანულ სტილზე—ვიგონებთ პანთეონს (რომი). წარმოვიდგენთ გოტიურ ხუროთმოძღვრებას, ჩვენს წინაშე ჩნდება—კელნის ტაძრის ფასადი (საფრანგეთი). ვდაობთ ქართული სტილის შესახებ—წარმოვდგენაში ისახება ყოფილი ქართული ბანკის შენობა, ან ახლათ დასრულებული საქართველოს მუზეუმის ფასადი და სხ.

სტილს ვაკუთვნებთ საგნებს, ჯერო სწორეთ, საგნებში ვათავსებთ სტილს. სტილისტურ ნიშნებს საგნის ნიშნებში მივიჩნევთ. ყოველ ცალკე სტილისათვის ამ სტილის საგანს ვეძებთ. აშკარაა: საგნის ნიშნები არ არის სტილის ნიშნები. კელნის ტაძრის ფასადი არ არის გოტიური სტილი, არამედ მას ე. ი. ამ ფასადს ეს სტილი ახასიათებს. რას ნიშნავს ახასიათებს? ამ ფასადს ახასიათებს გარკვეული კომპოზიცია, სიმეტრია, არქიტექტონიკა, მასალა, ფერი, სიდიდე და სხ. ყველა ეს მას ახასიათებს, შეადგენს ყველა ეს დამახასიათებელი ნიშნების ცალკე, ან ყველა ერთად გოტიურ სტილს? ცხადია არა. მაშასადამე, გოტიური სტილი ახასიათებს მხატვრულ ფაქტს, ამ შემთხვევაში კელნის ტაძრის ფასადს, მაგრამ ამ „ახასიათის“ აღნიშვნით სტილის ბუნების ახსნა პასუხს ვერ იღებს.

სად არის სტილის სპეციფიკუმი? მივმართოდ ცნობილ თეორეტიკოსთა დებულებებს.

კ. მარიტუ სწერს: მკაცრად რომ ესთქვათ არ არსებობს სტილის არავითარი წესები. სტილში იგულისხმება წერის მანერა, გარკვეული თავისებურობა. ამ თავისებურობით იცნობენ წერის მანერას, მისი წყალობით შეიძლება ლაპარაკი სტილზე. თავისებურობა არ ემორჩილება წესებს. <sup>1)</sup>

სტილი წერის მანერით არ განისაზღვრება. სტილი არ წარმოადგენს წესთა გარეშე მდგარ თავისებურობას. ავტორის მტკიცება სწორი რომ იყოს, სტილის შესწავლა მოუხერხებელი იქნებოდა, ვერ იარსებებდა ვერც სტილის ის-

<sup>1)</sup> Vorlesungen über den Styl. I Teil Berlin, 1798. s. 8.

შენიშვნა: უცხოეთის წყაროების დამუშავებაში ესარგებლობთ ხელაწილების შენიშვნებითა აკადემიის კარტოტეული განყოფილების დახმარებით.



ტორია, ვერც სტილის სოციოლოგია. სინამდვილეში კი არსებობს მხოლოდ ერთი და მხოლოდ ისინი ემყარება სტილის წესებს, ამ წესთა ცვლას და ცვლის ფაქტორთა ანალიზს. სტილი არ იქმნა წინასწარ შედგენილი წესებით, ამ აზრით სტილი არ ემორჩილება წესებს. შექმნილი მხატვრული ფაქტის სტილისტური სტრუქტურა კი შეიცავს წესებს და ემორჩილება კიდევ გარკვეულ კანონზომიერებას. წინააღმდეგი გარემოება, „ურთიკო“ თავისებურება და „უწესო“ ანარქია ვერ შეადგენდა სტილს, როგორც მხატვრული ფაქტის უმაღლეს მთლიანობის გამოვლენას. შეუძლებელი იქნებოდა სტილის შესწავლა, რადგან სადაც კანონზომიერება არ არსებობს, მეცნიერების ობიექტი მოხსნილია.

გაქვს ამტკიცებს: ხელოვნება დიდი შრომითა და ბუნების მიბაძვის გზით ძოვობს საერთო ენას. ხელოვნება საგნების ზუსტი და ღრმა შესწავლით დაბოლოს აღწევს ამ საგანთა სულ უფრო და უფრო ზუსტ თვისებებსა და ყოფას. ის არკვევს სახეთა მთელ წყებას, ეჩვევა მათი დამახასიათებელი ფორმების ერთმანეთთან შეფარდებას და აბაძავს მათ. ამით ხელოვნება აღწევს სტილს, უმაღლეს საფეხურს, რომლის მიღწევაც კი მას შეუძლია და რომელიც უდრის ადამიანის უმაღლეს მიღწევას. <sup>1)</sup>

ავტორი სტილის ბუნებაში ათავსებს ბუნებისადმი უბრალო მიმბაძველობას. სტილს იღებს როგორც ბუნების ზუსტ შესწავლას. მისი აზრით: ბუნების ღრმა შესწავლა, მიბაძვა ბუნების ფორმებისადმი, დამახასიათებელი ფორმების შეფარდებით საუკეთესო სახის მიღება გვაძლევს სტილს, როგორც ხელოვნების უდიდეს მიღწევას. ავტორი მხედველობაში არ იღებს, რომ ხელოვნება არ წარმოადგენს ბუნების უბრალო შესწავლასა და ბუნებისადმი მიბაძვას. ხელოვნება საზოგადოებრივი მოვლენაა, ის საზოგადოების შინა წყობის სასოციალურ ენაა. ბუნებისადმი მიბაძვის მომენტსაც ხელოვნებაში განსაზღვრავს გარკვეული საზოგადოებრივი ფაქტორები. ამას გარდა, ხელოვნებაში სტილი ბუნების მკაცრი შესწავლითა და მიბაძვით რომ იქმნებოდეს მხატვრული სტილის ცვალებადობა დამყარებული იქნებოდა ბუნების საგანთა, ან საგნის შემეცნების ტრანსფორმაციაზე. ამ უკანასკნელთა შედარებითი სიმტკიცე, შექმნიდა პირველის უცვლელობას. ისტორიულად კი სტილის ცვალებადობა გაცილებით წინ უსწრებს ბუნების ან ბუნების სხვადასხვა თვალთახედვით თვისების ცვალებადობას.

ჩველი ვეუბნება: სიტყვა სტილი არ შეიძლება შემოვფარგლოთ გრძობის მომენტით. მისი მნიშვნელობა შეიძლება გაავფაროვოთ და გაავრცელოთ იმ მხატვრულ გამოსახვის ცნებებზე და კანონებზე, რომლებიც გამოდინარეობენ ხელოვნების ამა თუ იმ დარგის პრინციპიდან და რომელთა შიგნით ხდება საგნობრივი საესტეტიკის ამოცანა, მიღწევა. ამ თვალსაზრისით განვსაზღვრებთ ჩვენ მაგ. მუსიკაში საეკლესიო სტილს სააპეროდან; მხატვრობაში ისტორიულ სტილს ყოფის სტილიდან და სხ. სტილი ახასიათებს მხატვრული გამოსახვის ისეთ საშუალებას, რომელიც მკაცრად შეფარდება როგორც მას-

<sup>1)</sup> „Einfache Nachahmung der Natur, Manier Stil“. s. 80.

ღის თვისებებს, ისე გარკვეულ მხატვრულ დარგის მიღწევებისა და მხატვრულების რეალიზაციის ამოცანებს, მათ მიერ განსაზღვრულ კანონებს.<sup>1)</sup>

ასეთივე თვალსაზრისს ანვითარებს ფრ. ფიშერი: დიდათ შემდეგ და შრავლ-შემცველი სუბიექტიურობის მთლიანობა და სრულყოფილი ტენზია არის უნაღვლესი და უკანასკნელი საფეხური ჰემარიტი ხელოვნების, ოსტატობის. ეს სუბიექტიურობა აღწევს საგანში ანუ საგანი აღწევს ასეთ სუბიექტიურობას. ტენზია, როგორც ჩვეულებრივი გამოხატულება გენიის ამ ობიექტიური სიძლიერის, ან იდეალურის გამოხატვა ტენზიკური ცოდნით, იწოდება სტილით.<sup>2)</sup>

ჰეგელის, ფიშერის, თანამედროვე მკვლევართაგან ფოლკელტის, უტიტუს თვალსაზრისით სტილის პრობლემა უკავშირდება ფორმის პრობლემას. ჰეგელი სტილში გულისხმობს მხატვრული გამოხატვის საშუალებას, ფიშერი სტილს ეძებს ტენზიკურ დახელოვნებაში, ოსტატობაში, „იდეალურის ტენზიკური ცოდნით გამოხატვაში“. ფოლკელტი სტილით მიიჩნევს „ერთგვარ ტიპურ ფორმალურ სტრუქტურას“.<sup>3)</sup> უტიტუ გვარწმუნებს: სტილი ნიშნავს ერთგვარ ტიპურ ფორმალურ სტრუქტურას (იმეორებს ფოლკელტის დებულებას ს. ა.). ჩვენ ვაწყობთ გარკვეული ნაწარმოების სტილს, როცა ვათავსებთ მას სტილისტურ რიგებში, რომლის ფარგლებში მას მიეკუთვნება განსაზღვრული ადგილი. ცალკე რიგებში ფუნქციონალური ღირებულების სხვაობა მიგვიყვანს ხელოვნების შემოქმედების დროულ-ერცულობის კვალიფიკაციასთან... სტილი თუმცა არის ერთგვარი ფორმალური სტრუქტურა, მაგრამ ამ სტრუქტურის შნიშვნელობა ხასიათდება დროსა და სივრცის განსაზღვრულობით.<sup>4)</sup>

აქ ისმება საკითხი სტილისა და ფორმის ურთიერთობის. თუ სტილსა და ფორმას შორის იკავებობას დავამყარებთ, მაშინ ყოველი ფორმა უნდა ჰქონდეს სტილს, სტილი უნდა ახასიათებდეს ყოველ მხატვრულ ფაქტს, როგორც მხატვრული ფორმის მქონეს, სინანდილზე სხვა სურათს გვაწვდის. არა ყოველ ფაქტს რომელსაც აქვს მხატვრული ფორმა უგებველად აქვს სტილი. არსებობს უსტილო ფორმა, ფორმა რომელიც არც ერთ სტილს არ მიეკუთვნება და არც ერთ სტილს არა ჰქმნის. ეკლექტიზმი როგორც სხვადასხვა სტილისტურ ნიშნების შექანიკური შეერთება, ჰქმნის გარკვეულ ფორმას, მაგრამ ვერ ჰქმნის განსაზღვრულ სტილს. ეკლექტიზმი კი იშვიათი მოვლენა არ არის ხელოვნებაში. ის გამოდის მაშინ, როდესაც საზოგადოების სასიცოცხლო ენერჯია სუსტდება და შემოკლებას ახალ სტილის შექმნის საფუძველი ეკარგება. ევროპის ხუროთმოძღვრება, ამ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ეკლექტიზმის ფარგლებში მოექცა. ანტიური და რენესანსის კლასიკების მიბადვის ნიადაგზე მოხდა ერთმანეთისათვის შეურიგებელ ფორმალურ ელემენტების შექანიკური შეერთება. ამ გზით ვერც კლასიკოსები გააცოცლდა, ვერც ახალი სტილი ჩამოყალიბდა. შეიქნა უსტილო ფორმა, როგორც სხვადასხვა სტილისტურ ელემენტთა შეერთების გამოხატულება.

<sup>1)</sup> Dsthetik. naz. Hotta. 1840. I Feil 578-579.

<sup>2)</sup> Aesthetik oder Wissenschaft der Lebhönen. III Teile. 1851.

<sup>3)</sup> Der Begriff der Stils\* Zeitschrift für desthatsik. 122 3 14. 1913.

<sup>4)</sup> Grundlegung der allgemeinen Kunstmissnscheff. s. 11. 1920.

მასადადე, ყოველი ფორმა არ ჰქმნის სტილს. სტილის მქონე ფორმები (ფოლკლორი), „თავისებური ფორმა“ ინდივიდუალიზაციის ფორმა (კონნერტი). ეს მტკიცება ჩვენ ვერ გვიხსნის სტილის ბუნების სირთულისაგან. სტილი, როგორც ზემოთ გავარკვეეთ, არის მხატვრული ფაქტის ზოგადი ცნება და კერძობითაც. აქედან ნათელია, ის ვერ მოექცევა ვერც „ტიპური ფორმის“ ფარგლებში, (მაშინ იკარგება მისი სახეობითი ცნების მნიშვნელობა), ვერც „თავისებური ფორმის“ ცნებაში (ამ შემთხვევაში ჰქრება მისი გვარეობითი ცნების ხსიათი).

მხატვრული სტილი შეიძლება იყოს იქ, სადაც არის მხატვრული ფორმა, მაგრამ მხატვრული ფორმის არსებობა არ გულისხმობს სტილის აუცილებლობას. ფორმა, როგორც მთლიანობის მწყობრი კავშირი ლოლიკურად არ გულისხმობს სტილს, როგორც მხატვრული თავისებურობის გარკვეულ სახეობას.

სტილი გულისხმობს ფორმას, მაგრამ არ ამოიწურება ფორმით. სტილის-ტურ სტრუქტურაში მასალის, შინაარსის ელემენტს სათანადო მნიშვნელობა ენიჭება. ხუროთმოძღვრებაში ჩვენ ვმსჯელობთ ავურის, ქვის, რკინა-ბეტონის შენობის სტილზე. ქანდაკებაში მივიჩნევთ თიხის, მარმარილოს, ძვლის, მაგარი ლითონისა და სხ. სტილს. მხატვრობაში ვიცნობთ საფრესკო სტილსა და პორტრეტის სტილს. ლიტერატურაში ვარჩევთ ფორმისა და შინაარსის სტილს, ლიტერატურაში ფორმის აქვს თავისი სტილი, როგორც ფონეტიურ ლექსიკონს, როგორც სიტყვის მასალის თავისებურ მანერას. შინაარსიც არ არის სტილს გარეშე მდგარი. მისი წყობა, განვითარების შინაგანი ლოლიკა, სიუჟეტური ხერხების ოსტატურაო გამარჯვება შინაარსის მთლიანობის ასაგებათ—ისეთივე უფლებით ატარებს სტილისტურ თვისებებს, როგორც ფორმა. მასალა, შინაარსი ცალკე აღებული არ შეადგენს სტილს. მასალისა და შინაარსის „ცალკე აღება“ შეუძლებელიც არის. შეიძლება მხოლოდ მათი გამოცალკეება განკუთვნილად, შესწავლის გასაადვილებლათ. სილაზის ობიექტიური კრიტერია შეიძლება იყოს ფორმისა და შინაარსის შეფარდება (პლენარის დებულება). მასალა და შინაარსი ცალკე სტილისტურ ნიშნებს ვერ ჰქმნის. თიხა, მარმარილო, რკინა, მაგარი ლითონი ვერ შექმნის ქანდაკების სტილს, მაგრამ ეს მასალა მოქანდაკეს უკარნახებს გარკვეულ ფორმებს, იწვევს გარკვეულ გამოხატულებას ფორმაში, გავლენას ახდენს ფორმის ყალიბობაზე. ასევე ხუროთმოძღვრებაში. ეგვიპტის ხუროთმოძღვრების ტექნიკური მასალა—ავური და ქვა. დღევანდელი ამერიკული ხუროთმოძღვრების მასალა—რკინა-ბეტონი ლოლიკურად მოითხოვს სხვადასხვა მხატვრულ სტილს. ყურადღების გარეშე რომ დავტოვოთ ყველა სხვა ფაქტორები, ამ ორი სტილის სხვაობის განმსაზღვრელი, მასალის სხვაობა მაინც ააშკარავებს ამ ორი სტილის შინაგან წინააღმდეგობას, მათ თავისებურებას მასალისაგან ნაკარნახევს. აქედან ნათელია—სტილს ვერ შემოვფარგლავთ ფორმის საზღვრებით. სტილს ვერ გვაძლევს ვერც ფორმა და ვერც ში-

ნაირსი ცალ-ცალკე აღებული. სტილი ახასიათებს მხატვრული ფაქტის მთლიანობას და არა მიჩნეულა მხატვრულ მხარეს.

კარიერი სწერს: სტილი არის სუბიექტიური გაფორმების მანერა. ის არის რაღაც საგნისა და იდეალის შესაფერი. მასში მხატვრული ფაქტის ბუნება, როგორც პიროვნული ისე საგნობრივი, იშლება საკვებით თავისი სიწმიდისა და სიკბადის ფორმაში. სტილი, რომელიც ამყარებს იდეალურსა და ნორმატიულს, გამოხატავს მხატვრულ თავისებურობას, არის სილამაზის ცნების ამოვსება. აქ მოქმედობს სულის არაცნობიერი სტიქია...<sup>1)</sup>

ავტორის განსაზღვრა ვერ ამოსწორავს სტილის ბუნებას. სტილს „სულის არაცნობიერი სტიქია“, რომ ჰქვნიდეს, უნდა არსებობდეს იმდენი სტილი, რამდენიც არსებობს „სული“ და მისი „არაცნობიერი სტიქია“, ე. ი. უნდა არსებობდეს მხოლოდ შემოქმედის სტილი, როგორც ინდივიდუალური მოვლენა. მაშინ სტილი იქნებოდა მხოლოდ სახეობითი ცნება. ასეთი თვალსაზრისი ვერ ახსნის იმ „უცნაურ ფაქტს“, რომ რენესანსის ეპოქის დიდ მხატვრებს: ლეონარდოს, მიკელ-ანჯელოს, რაფაელს, დეორდოკონეს, ტიციანოს, ვერონეზეს, კორნელის და სხ. აქვს არა მარტო თავისი ინდივიდუალური სტილი, (როგორც „სულის არა ცნობიერი სტიქია“)... არამედ თავის ეპოქის სტილი (რენესანსი) და თავისი ეროვნული სტილი (იტალიური სტილი). ხელოვნების ისტორია სიკბადით გვიმტკიცებს, რომ სტილი არ იქნება მხატვრის „არაცნობიერი სულის სტიქიით“. სტილი იბადება, ვითარდება, იცვლება. სტილი ყალიბდება საზოგადოების მხატვრული გემოვნებით, რაც თავისი მხრით განისაზღვრება მოცემული ეპოქის სოციალ-ეკონომიური წყობით. სტილი იცვლება ეპოქის სოციალურ ძალთა ცვალებადობასთან ერთად. ისტორიის მამოძრავებელი ძალები (კლასები) ჰქვნიან ცხოვრებისა და ყოფის თავისებურ სახეს, ძველი ადგილს უთმობს ახალს. სტილი განიცდის ახალ მოვლენათა ზეგავლენას. ძველი სტილი ვერ პოულობს დასაყრდენს ახალ ვარემოში. ხდება სტილის ტრანსფორმაცია. ამ პროცესში იცვლება ინდივიდუალური სტილიც. ფოლკმანი გვეუბნება: სტილი ისეთი სიტყვაა, რომელმაც დიდი გაუგებრობა შექმნა და რომელიც ცუდად გვემისს. სტილი არ შეიძლება ნიშნავდეს სხვა რასმეს თუ არა ბუნების ბერეტისა და მხატვრული წარმოდგენის პარამონიულ შეერთებას. ვერც ბუნების მიშველი იმიტაცია, ვერც შემოქმედება ნაძალადეგით გამიჯნულ ბუნებიდან და შექმნილი სქემატიური წესებით, ვერ ჰქვნიან სტილს. იქ, სადაც ცხადი მხატვრული წარმოდგენა და ნიჭი იღებს ბუნებას და თავისით ჰქვნიან რაღაც ახალს, იქ არის წინასწარი პირობები სტილის აღმოცენებისათვის.

ავტორი დასძენს, რომ ეს მთავარი დებულება ძალაში რჩება ყოველ პირობების დროს, მიუხედავად იმისა, რომ დროსა და ადგილის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის, ტენიკის გამოყენებისა და მხატვრის თავისებურობის გამო მხატვრული ნაწარმოების ფორმები იცვლება.<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> Aesthetik I Teil 8 Aufl. 1885. s. 617.

<sup>2)</sup> Grundfrage der Kunstbetrachtung Leitzig, s. 80. 1925.

ავტორის მტკიცებაში არ სჩანს სტილის საზღვრები. ყველაქმის დებულება შესაძლოა მოვიმარჯვოთ არა სტილის სპეციფიკუმი გამორჩეულად, არამედ მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიის ასახნელათ. მართლაც, ვერც ბუნების შიშველი იმიტაციით და ვერც სქემატიური წესებით, ბუნების მიღმა და მის გარეშე განყენებულათ, ვერ შეიქმნება ვერც სტილი და ვერც საერთოდ მხატვრული ფაქტი. ეს სწორია, მაგრამ ეს ზოგადი დებულება, სრული კეშმარიტების შემცველი, ვერავითარ პასუხს ვერ გვაწვდის სტილის რაობის შესახებ.

სტილის ბუნების ნათელსაყოფათ საინტერესო თვალაზრისს ეხდებით კრეისის (Kreis) შრომაში. ის სწერს: მიუხედავათ იმ გარემოებისა, რომ სტილი უნდა იქნეს გაგებული, როგორც თვალსაჩინო-ფორმალური მხატვრული თავისებურობა, ამ თავისებურობის ფორმალური სტრუქტურა თავის ყველაზე მეტად დამახასიათებელ ნიშნებში რადიკალურად განიზრჩევა ესთეტიური ფორმისაგან. ამ სხვაობას ეწყარება სტილის ცნება, როგორც მხატვრულ-ისტორიული პრინციპი. სტილი... არის შედეგი გარკვეულ ცნებათა დამუშავების, რომელიც ჰგულისხმობს ერთგვარ მტკიცე თეორეტიულ კავშირს ხელოვნების ნაწარმოებში. <sup>1)</sup>

ავტორი თითქო მივიდა სტილის იდეოლოგიურ საწყისთან, თითქო მან მონახა ხიდი საზოგადოების მსოფლმხედველობისა და სტილის გენეზისს შორის, მაგრამ როგორც სჩვევიათ ბურჟუაზიულ მოაზროვნეთ უახლოეს პერიოდში, იცვალა გზა და განაცხადა: მსოფლმხედველობა, რომელიც აქვს ამა თუ იმ ეპოქას, რომელმაც კიდევ რომ შესძლოს ხელოვნებაზე თავისი გავლენის მოხდენა, არ შეიძლება დაეასკნათ, რომ ის უშუალოთ ახდენდეს გავლენას სტილის ყალიბობაზე. არ არის ხიდი სხოლასტიკიდან გოტიკისაკენ, იეზუიტთა მსოფლმხედველობიდან მაროკოსაკენ (გვ. 34—35). ამიტომ ავტორი გვირჩევს სტილი შევისწავლოთ მკაცრი მხატვრულ-ემპირიული მეთოდით. სად მიგვიყვანს „მკაცრი ემპირიული მეთოდი“? მხოლოდ ფორმალურ სტილისტურ ნიშნების აღნუსხვამდე, რასაც ავტორი თითონვე უარყოფს. ფორმალურ სტილისტური ნიშნების აღნუსხვა არსებითად იძლევა მხოლოთ ტაეტოლოგიას, რადგან გარკვეულ სტილათ ის მიიჩნევს მხოლოდ იმავე სტილის მნიშვნელობის მქონე შემოქმედების, ე. ი. რენესანსი უდრის რენესანსს, კლბიზმი—კლბიზმს.

სტილის გარკვევაში ვერ დაგვეხმარება ვერც ვორინგერი, რომლის აზრით სტილის განვითარება ასახავს „მსოფლიო გრძნობის“ განვითარების განსაზღვრულ საფეხურს, ვერც ვერონი, რომელიც ამტკიცებს, რომ სტილი არის „კაცობრიობის ბეჭედი, დასმული ბუნებაზე“. ბურჟუაზიული ესთეტიკა უძღური გამოდგა სტილის ბუნების ახსნაში. ამ მოაზროვნეთა ჯგუფს მიეკუთვნება ვილკელმანი, რომლისთვის სტილის ცნებასა და კლასიკური ხელოვნების ცნებას შორის მოხსნილია საზღვრები. სამართლიანია მ. ფაბრიკანტის შენიშვნა, რომ ვილკელმანის დებულებათა მიხედვით ყველა მხატვრული ძეგლი, რომელიც არ მიეკუთვნება კლასიკურ ხელოვნებას, უნდა იქნეს ცნობილი ნამდვილი სტილის არ მქონე ძეგლებათ. <sup>2)</sup> ზემპერის ცდა, აავოს სტილის სწავლა დარვინისტულ

<sup>1)</sup> Der kunstgeschichtliche gegenstand. s. 18. 1928.

<sup>2)</sup> М. Фабрикант: „Признаки стиля“. Жур. „Искусство“, г. 8. 1927 г. ГЛХН.

ბიოლოგიის საფუძვლებზე, ვერ გვაძლევს სტილის სოციოლოგიურ შედეგების ახსნას. ბიოლოგია — პლენანოვის სამართლიანი შენიშვნით — უნდა შეტყობოს რომ ადამიანს აქვს სილამიზის გრძნობა, მაგრამ ვერ ვეიბ.სუბებს თუ რა პირობებისა და ფაქტორების გამო ადამიანის ეს გრძნობა განიცდის ცვალებადობას.

სტილის ცნების გამორკვევასთან შვიდროთ დაკავშირებულია სტილითა კლასიფიკაციის საკითხი. შ. ფაბრიკანტის აზრით სტილი შეიძლება იქნეს განხილული როგორც: 1. ისტორიული კათეგორია და როგორც 2. არა ისტორიული კათეგორია (1). პირველი არის სტილი როგორც შთლიანობის თავისებური ფორმა, როგორც უცვლელი და გარკვეული ეპოქის მხატვრულ მოვლენათა უკიდურესი ინდივიდუალიზაცია. მეორე გაგებით სტილი არის ტიპური ფორმა ხელოვნების გამოშლენების, რომელიც ამა თუ იმ ვარიაციაში გვევლინება რეალურ-ისტორიული სტილის ბუნებაში, მაგ. კონსტრუქტიული და დეკონსტრუქტიული სტილი. ისტორიული სტილი თავისი მხრით იყოფება გარკვეული ადგილის, დროს, ერის, კლასის, სკოლის, ხელოვანის და ცალკე ნაწარმოების სტილით. ამავე ფარგლებში თავსდება გარკვეული ხელოვნების დარგის, მასალის სტილი (მაგ. გრაფიული და მხატვრული სტილი, ან ბრინჯაოს, აკვარელის სტილი და სხ.).<sup>1)</sup>

სტილის აღნიშნული კლასიფიკაცია კრიტიკას ვერ უძლებს. „არა ისტორიული სტილი“ არ შეიძლება არსებობდეს, რადგან სტილი როგორც ემპირიული ფაქტი, ემპირიულ-ისტორიულ სამყაროში არსებობს. ავტორი „არა ისტორიულ სტილში“ არსებითად ათავსებს იმ ზოგად სტრუქტურულ-ტენიკურ პრინციპებს, რომელიც ახასიათებს სტილის განვითარების ისტორიას. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. აქ საკმაოა იმის აღნიშვნა, რომ სტილის კლასიფიკაციის ის წესი, რომელიც არ ემყარება ერთ საფუძველს, არაშედეგალოს, მიზანს ვერ აღწევს. მონისტურია თვალსაზრისი მოითხოვს მოვინახოთ ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი სტილის ევოლუციის და ამ ფაქტორის ანალიზის ნიადაგზე ავაგათ სტილის კლასიფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა საკლასიფიკაციო საფუძველთა ერთმანეთის გადამრაცლებით მივიღებთ ცნებათა უდიერ არეკას, რაც შეცნიერულ მსჯელობას სამსახურს ვერ გაუწევს. ასეთ მდგომარეობაში ვარდება უტიტუს, რომლის აზრით არსებობს რვა სტილი—მხატვრის, მასალის, მიზნობრივი, ეროვნული, ადგილის, დროს სტილი და მასთან ერთად სტილი ნატურალისტური, რეალისტური, იდეალისტური. ეს უკანასკნელნი თავისი შინაარსით ჭეშრავენ პირველ რიგს და არსებითად ვიღებთ „რვა სხვადასხვა ცნებას, რომელიც იფარება სტილის ერთ ცნებაში“.<sup>2)</sup>

აქედან აშკარაა იმის დასტურება, რომ ბურჟუაზიულმა აზროვნებამ ვერ შესძლო ვერც სტილის ბუნების ახსნა ვერც მისი კლასიფიკაციის შექმნა. სად არის ამ მარცხის საფუძველი? ბურჟუაზიული ესთეტიკის გამოსავალ წერტილებში, იმ თვალსაზრისში, რომელიც სტილის პრობლემას უკავშირებს იდეალისტურ-მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობას, ან უკეთ შემთხვევაში ბიოლოგიურ

<sup>1)</sup> М. Фабрикант: „Приваияи стили“, გვ. 11.

<sup>2)</sup> С. Скрабин. „Понятие стила“, გვ. 29.

საფუძვლებს. ვიდრე სტილის პრობლემა შორდება საზოგადოების მატერიალურ სამყაროს და ადის „მაღლა“ მეტაფიზიკური, სპეკულიატიური ფუნქციების სფეროში, ან ეშვება „დაბლა“ ბიოლოგიური არსებობის ფაქტში, ის ვერ იპოვის პასუხს და ვერ შექმნის კლასიფიკაციას ისტორიულათ მოცემულ სტილთა მეცნიერული შესწავლისათვის.

სტილი ხელოვნების პრობლემაა. ხელოვნება საზოგადოებრივი მოვლენაა. საზოგადოების მამოძრავებელი ძალების გათვალისწინება ნათელს ჰფენს ხელოვნების ევოლუციას. ამ პროცესში ხდება სტილის გენეზისი, მისი აღმოცენება და ცვალებადობა, მისი აღორძინება და გადაგვარება. სტილთა ბრძოლა, კლასთა ბრძოლაა, სტილთა აღორძინება კლასთა აღორძინების თარიღებს უკავშირდება. სტილის გადაგვარება კლასთა გადაგვარების, მათ სოციალურ ფუნქციათა დაცვით ხდება. ვიღვლემ ჰაუზენშტეინი ამბობს: სტილი არის არსებობის ყველა ფორმების შეკუმშული სინთეზი. ამ სინთეზის გამორკვევა მოითხოვს სტილის სოციოლოგიურ შესწავლას.

## 2. სტილი მარქსისტული სოციოლოგიის თვალსაზრისით

ვიღვლემ ჰაუზენშტეინი სწერს: ხელოვნება არის ფორმა. ამიტომ ხელოვნების სოციოლოგია მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს თავის სახელწოდებას თუ ის იქნება ფორმის სოციოლოგია. შინაარსის სოციოლოგია შესაძლოა არის და საჭიროც, მაგრამ ის არ არის ხელოვნების სოციოლოგია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ხელოვნების სოციოლოგია შეიძლება მხოლოდ როგორც ფორმის სოციოლოგია. შინაარსის სოციოლოგია კი უფრო შეეხება საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრებას, ვიდრე ესთეტიკურ ისტორიას.<sup>1)</sup>

ხელოვნების სოციოლოგია თუ ფორმის სოციოლოგიას უნდა წარმოადგენდეს საკითხავია—როგორი მიმართულება არსებობს ფორმასა და სტილს შორის? ავტორი სწერს: ...თითოეული ეპოქა თავისი მხატვრული ფორმების სტილში ახდენს თავისი საზოგადოების სტილის კონცენტრაციას. ამით მხატვრული სტილი ხდება ეპოქის სასოციალური ენერჯის უმაღლესი გამოხატულება არა მარტო ფსიქიურის, არამედ მისი მატერიალურის, ცხოველური ენერჯის, რომელიც წარმოადგენს ყველა საგანთა საფუძველს.<sup>2)</sup>

ავტორის მტკიცებით ხელოვნების სოციოლოგია შეიძლება იქნეს მხოლოდ ფორმის სოციოლოგია. ფორმათა სტილი იქმნება საზოგადოების „სასოციალური ენერჯის უმაღლეს გამოხატვით“. ავტორს კარგათ მოეხსენება, რომ ხელოვნება არ არის აბსტრაქტია, მდგომი შინაარს მიღმა, რომ ხელოვნება არ შეიძლება დაიშალოს შინაარსით და ფორმით, რომ ფორმა „მიკრულია თავისი ეპოქის შინაარსზე“. ავტორთან კამათი შეუძლებელია ამ ჩვეულებრივი წესით, რომელიც გამოსადგვია ფორმალისტებთან დავის დროს, ავტორი მარქსისტია მაგრამ მისში როგორც ყოველ ფორმალისტში, შემკვიდრების „სიმდიდრე“ ხშირად თავის არსებობას იხსენიებს, მაგრამ მისთვის შინაარსის როლი არ

<sup>1)</sup> В. Гаузенштейн: „Опыт социологии изобразительного искусства“ 1924. 33. 27.

<sup>2)</sup> В. Гаузенштейн: „Искусство и общество“. 1923 г. 33. 32.

არის გაუქმებული. ის აყენებს საკითხს სოციალური ფაქტორებზე, უფრო სწორედ ფორმაზე გაკლენის შესახებ. ყველაზე მკაცრად ეს საკითხი აფიქსირებს მხატვლის ფორმათა გამოხატვაში შეიძლება შემოწმდეს. ის სწორეთ ამ გზას მიჰყვება. სხვადასხვა სოციალური ენერგია ჰქმნის ადამიანის სხეულის ფორმის სხვადასხვა გვარ ასახვას. პოლიკლეტის, იან-ვან-ეიკის, მიქელ-ანჯელოს, კრონახის, ბეგამის, გრეკოს, რემბრანდის, ფრაგონარის, როდენის, მუნხის, შაიოლის და სხ. შემოქმედებაში ფორმის სოციოლოგიის ანალიზით აშკარავდება ადამიანის სხეულის ასახვაში ეპოქათა სასიცოცხლო ენერგიის სხვადასხვა სახე.

ავტორის მსჯელობა ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ სტილის განმარტების საკითხისათვის. მოგვცა კი მან სტილის განმარტება? რასაკვირველია, არა. ავტორის შემეცნებაში სტილი და ფორმა ვერ პოულობს მკაცრ განსაზღვრას. სტილი მას შიანია ფორმათა სისტემით „ეპოქის სასიცოცხლო ენერგიის უმაღლესი გამოხატვისათვის“. ის არსებითად ისეთ ფორმალისტურ ნიადაგზე სდგას, როგორც ფოლკლტი და უტიტუ. ვ. ფრიზე სწერს: შეიძლება ხელოვნების სოციალური მნიშვნელობა ისე არსად არა სჩანს, როგორც მასში, რაც შედის მოცემული ეპოქის ხელოვნების ყველა დარგში, ჰქმნის ძირითად ტონის მთლიანობას, მასში რასაც ჩვენ უწოდებთ „სტილს“. ამ სიტყვაში ჩვეულებრივად იგულისხმება მოცემულ ისტორიულ პერიოდში გაბატონებული მხატვრული ხერხები, წესები, რომელთა ყველა ნაწილები და წერილობები ისე ორგანიზულად აკვებენ ერთმანეთს და ისე მტკიცეთ არიან ერთმანეთთან შეერთებულნი ერთ მთლიან განუყოფელ მხატვრულ სისტემაში, რომ არც ერთი მცირე ნაწილის შეცვლა, არც ერთი წერილობანი მხარის შესწორება არ შეიძლება, ისე რომ არ დაირღვეს მთლიანობა. ამ აზრით სტილი არის უმთავრესად ფორმალური მოვლენა. ანუ წმინდა ფორმალურ-მხატვრულ საკითხებზე აქ არ შეეყრდებით.“<sup>1)</sup>

ავტორი თვით ხელს იღებს სტილის ბუნების გამორკვევაზე. ის აღნიშნავს სტილის ერთ თვისებას—მთლიანობას. საკითხი რჩება ღიათ—რა ჰქმნის ამ მთლიანობას და რას წარმოადგენს თვით ეს მთლიანობა? ამ საკითხზე ავტორი პასუხს არ იძლევა. ის აღნიშნავს, რომ „მხატვრული სტილი ჩამარბულია ეპოქი საზოგადოებრივ-ყოფითი სტილში, შეიძლება ხელოვნების ძეგლებით აღვადგინოთ ამა თუ იმ საზოგადოების ცხოვრებისა და ყოფის ძირითადი მისწრაფება და იღვა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, რომლის ატმოსფეროში იქმნებოდა ეს ძეგლები.“<sup>2)</sup> ამ განმარტებაშიაც არა სჩანს მხატვრული სტილის ბუნების გამორკვევა. ავტორის დებულება სწორია, როგორც სტილის სოციალური ბუნების გარკვევა.

ჩვენ ვამტკიცებთ—ხელოვნების სოციოლოგია შესაძლოა არა როგორც ფორმის სოციოლოგია, არამედ როგორც სტილის სოციოლოგია. ფორმის სოციოლოგია ვერ მოგვცემს ხელოვნების შესწავლის უტყუარ საშუალებას. ხელოვნების სოციოლოგია სწავლობს მხატვრულ სინამდვილეს, მხატვრულ ფაქტებს. მხატვრული ფაქტი კი

<sup>1)</sup> В. М. Фраче. „Очерки по искусству“ стр. 21—22. из. 1923 г.

<sup>2)</sup> Ibid, გვ. 22.



ორგანიული მთლიანობაა. მისგან ფორმის გამოყოფა შესაძლოა მხოლოდ მეთოდურად და არა არსებითად. ამ გამოყოფის დროსაც არ უნდა გავსწავდეთ, როგორც უნდა ვიხსენიებოდე, რომ მიღებული ფორმა ნაკარნახევია ეპოქის შინაარსითა და მასალის თავისებურებით. ამდენათვე აუცილებელია შინაარსის და მასალის შესწავლაც ფორმის ახსნისათვის. ამას გარდა: ხელოვნების სოციოლოგია ვერ შეისწავლის მხატვრული ფორმების ყველა სახეს. თუ შეისწავლის ის გააფქმებს თავის თავს და იქცევა ხელოვნების სოციოლოგიურ ისტორიად. ხელოვნების სოციოლოგიას აინტერესებს მხატვრული ფორმის ის წყებანი, რომლებშიც ხდება ეპოქათა, საზოგადოებათა იდეოლოგიური მისწრაფების კონცენტრაცია, ე. ი. ისეთი მხატვრული ფორმები, რომლებიც გამოხატავენ მოცემული სოციალური უჯრედისა და ერთეულის სასოციალურ ენერჯის უმაღლეს სახეს. ასეთი მხატვრული ფორმები შეადგენენ საზოგადოების მხატვრულ სტილს.

მაშასადამე, სტილი უნდა განვიხილოთ არა როგორც ტექნიკურ ნიშანთა გარკვეული სისტემა, არა როგორც ტიპიური ფორმა, არამედ როგორც განსაზღვრული მსოფლშეგრძნობის უმაღლესი მხატვრული გამოხატულება, როგორც საზოგადოების ფსიქო-იდეოლოგიის ესთეტიური სრულყოფა.

სტილი კულტურის მთლიანობაშია. ფორმა არსებობს მთლიანობის გარეშე. დორიული, იონიური, კორინთული სტილის სვეტი, აღებული განწყენებულათ ატარებს გარკვეულ ფორმას, დასრულებული ფორმის ყველა ელემენტებს, მაგრამ ისინი ვერ ჰქმნიან სტილს. თავიანთი სტილის შენების სისტემაში ისინი აღწევენ გარკვეულ მსოფლშეგრძნობის სახეს, ხდებიან მთლიანობის ორგანიულ განუწყრელ ნაწილათ, ამ მთლიანობაში ჰპოვებენ სტილისტურ გამართლებას, რადგან გამოხატავენ გარკვეულ მსოფლშეგრძნობას.

სტილი ახასიათებს მხოლოდ მთლიანობას. ეს მთლიანობა ატარებს საერთო ნებას, მისწრაფებას. ამ მთლიანობას შეიძლება წარმოადგენდეს ერთი მხატვრული ფაქტი (მაგ. „ჰამლეტი“), შეიძლება მთელი მხატვრული ეპოქა (რენესანსი), ან მთელი კულტურის თავისებურობა (ეროვნული სტილი, მაგ. ჩინური). მაგრამ ყოველ სტილისტურ ფაქტში მთლიანობას ამყარებს მსოფლშეგრძნობის გარკვეული მხატვრული გამოხატვა, მოცემული საზოგადოების ფსიქო-იდეოლოგია.

სტილი არ არის არც მხატვრული ფაქტი, არც ფაქტის ნიშანი. ის არ ამოიწურება არც ფორმის, არც შინაარსის და არც მათი მთლიანობის ცნებით. სტილი არის მხატვრული საგნის, ფაქტის თავისება, როგორც მისი გამოხატულება, რომელშიც ისახება განსაზღვრული მსოფლშეგრძნობა. ამიტომ სტილის ანალიზი ჩვენ მიგვიყვანს არა სტილის ტექნიკურ სტრუქტურულ ნიშნებთან, არამედ ეპოქისა და საზოგადოების ფსიქო-სოციალურ მისწრაფებებთან, რომლებიც საბოლოო ანგარიშში ყალიბდებიან განსაზღვრული ეკონომიური სისტემების ნიადაგზე.

ხელოვნების სოციალოგიას შეუძლია არსებობა, როგორც სტრუქტურული სოციალოგიის, სტილის ისტორია იძლევა სოციალოგიურ ეპოქათა სტრუქტურულ სტიპოლოგიას (მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური სტილი). ამ ტიპოლოგიურ სტილებს შიგნით ისახება სტილის სხვადასხვა მოდულია: (ეროვნული სტილი, მხატვრულ მიმართულებათა სტილი, ავტორთა და ნაწარმოებთა სტილი). მოცემული ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრება არ წარმოადგენს ერთგვარ და ერთფეროვან მილიანობას. საზოგადოების დიფერენციაცია კლასებით, კლასთა შიგნით ფენებით, კულტურულ-ტენზიკურ ძალებით და სხ. და სხ. ჰქმნიან ერთი საზოგადოების სტილის შიგნით სტილთა სხვადასხვაობას. დოსტოევსკი და ტურგენევი, ბუწე და დიურერი, ვრუბელი და რემბრანდი, ბეტხოვენი და დებუსი ერთი კლასობრივი ნიადაგით ნოყიერდება, ბურჟუაზიულ საზოგადოების სტილში თავსდება. მაგრამ ისინი ატარებენ როგორც თავიანთ მხატვრული ენარის საერთო სტილს, ისე ინდივიდუალურ სტილსაც.

სტილის შესწავლა სტილის სოციალოგიით უნდა დავიწყოთ, ისე როგორც ადამიანის საქციელის შესწავლა ადამიანის სოციალური გარემოს გარკვევით. აკრებითი მეურნეობის ადამიანის საქციელი განირჩევა საგვარეულო მეურნეობის ადამიანთა საქციელიდან. საგვარეულო მეურნეობის ადამიანის კი ფეოდალურის, კაპიტალისტურის და სხ. სოციალოგიურ ეპოქათა ადამიანთა საქციელისაგან.

ფრიდლანდერი სამართლიანთ სწერს: ყოფა-ცხოვრების დარგში ადამიანს აქებენ იმით, რომ მას მიაწერენ სტილს. ამით სურთ სთქვან, რომ მისი გარეგნობა, თვისებები, მისი ხასიათი იძლევიან მილიან დადებით ესთეტიურ შთაბეჭდილებას. მილიანობა, მიღებულ თვალსაზრისის მიხედვით შეურყვეველი სელა, ცალ-ცალკე მოქმედებათა შარმონია, ემყარება იმ გარემოებას, რომ ადამიანის პიროვნების ცენტრიდან გამოსული, თავისუფლად მოქმედი ძალა, პოულობს ყველა მის ნაწილს და მიმართავს მათ შეთანხმებულათ. კარგი მანერები შეიძლება ისწავლოთ, სტილი კი შეიძლება გექნეს, ან არ გექნეს. <sup>1)</sup>

ავტორის დებულება სწორია. ადამიანს აქვს სტილი. სოციალური ცხოვრების ესთეტიური გამოხატულება მხატვრულ სტილში ყალიბდება. შეთხერილი—ადამიანის სტილში. საბერძნეთის ადამიანის სტილი ჯანსაღი მეომარია. ის არის ბერძნული ქანდაკების თემა. საშუალო საუკუნოების ადამიანის სტილი—სიკეთიბერი და ფეოდალი—რაინდია. ამ ტიპთა ფსიქოლოგია სკარბობს ფეოდალურ ხელოვნებაში. კაპიტალიზმის ადამიანის სტილი—ზოსანქმის, ვაჟარის, შრეწველისა და გონებრივი შრომის ადამიანში სახიერდება. საბჭოთა ადამიანის სტილი—კომუნისტისა და მუშის პროფილით გვევლინება. ყველა აღნიშნულ ეპოქას აქვს მრავალი კლასობრივ-სოციალური ფენა, რაც ჰქმნის ადამიანთა მრავალგვარ ტიპებს, მაგრამ ადამიანის სტილი, როგორც გარკვეული ეპოქის ოფიციალური და ძირითადი ტიპი, მხოლოდ ერთია. ეს სტილი არის საზოგადოებრივი პიროვნების ფსიქოლოგიის კონკრეტი გამოსახვა მოცემული ეპოქის სოციალ-ეკონომიურ საფუძვლებზე. სტილის გარკვევა, როგორც განსახლურული მსოფლ-

<sup>1)</sup> „Ztil und Manier“, s. 48.



ქართული

შეგრძობის, შესაძლოა მაოლოდ სოციალ-გენეტიური მეთოდების გამოყენებით, სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორთა შესწავლით. მხატვრული სტილისა და ადამიანის სტილს შორის პრინციპიალური სხვაობა არ არსებობს. ადამიანის სტილი იგივე მხატვრული სტილია, რამდენათაც სტილში იგულისხმება არა კონკრეტი ინდივიდი, არამედ მოცემულ ადამიანთა ტიპების ზოგად მხატვრულ-მორფოლოგიური მხარე.

სტილზე მსჯელობის დროს ჩვეულებრივად მხედველობაში ვიდებთ ხუროთ-მოდღერებას. ეს შეეკლავა. ხუროთმოდღერების სტილი, მხატვრული სტილის ერთ ერთი სახეა. ეს შეეკლავა იმით არის გამოწვეული, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგი სტილს სხვადასხვა სირთულითა თუ სიმარტივით გამოხატავენ. ხუროთმოდღერება ყველაზე ნათლად და მარტივად სახავს თავის სტილს. ჯონ-ვინერი სწერს: გამოცენებითი ხელოვნება (ხუროთმოდღერება, მხატვრული ხელოსნობა ს. ა.) ვითარდება ადამიანის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში და დამოკიდებულია მათზე. ის გამოხატავს ცხოვრებისა და ეპოქის სტილს უფრო უშუალოთ, ვიდრე თავისუფლად შემოქმედი მხატვრული დარგები. <sup>1)</sup>

ამ მოსახრებათა გამო ჩვენც მოგვიხდება უფრო მეტად ვიმსჯელოთ ხუროთმოდღერებაზე, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტილის პრობლემა ხუროთმოდღერების სტილის პრობლემაზე დავიყვანოთ. მხატვრული სტილის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესწავლილი იქნება ხელოვნების ყველა დარგის სტილი. პროლეტარული ხელოვნების სტილი ვერ კიდევ მთელი სიცხადით არა სჩანს. ამ სტილის პირველი ნიმუშები უნდა შევისწავლოთ ხელოვნების ყველა დარგში, სადაც კი ასეთი მოიპოვება. ხუროთმოდღერებაში სტილის სიცხადე მოითხოვს უპირველესად ამ დარგის სტილის გათვალისწინებას.

რა კლასიფიკაციას ემორჩილება ხუროთმოდღერების სტილი? რა ტიპოლოგიურ ჯგუფებს გადადევს სტილის ისტორია? სად უნდა ვეძებოთ პროლეტარული სტილის საწყისები?

ჯონ-ვინერი სწერს: ევროპის სტილის ისტორიული განვითარების თანამიმდევრობიდან, კრიტოს-მიკენის სტილიდან მე-19 საუკუნის სტილამდე, გამოძინარეობს რომ ყოველთვის კონსტრუქტიულ სტილს მოსდევს დეკორატიული, შემდეგ კი ორნამენტალური სტილი, რომელიც ხელ-ახლა აღვიღს უთაობს კონსტრუქტიულს. <sup>2)</sup>

ავტორი ამყარებს სამი ტიპის სტილს: კონსტრუქტიულს, დეკორატიულს და ორნამენტალურს. კონსტრუქტიულს ანუ ტექტონიკურ სტილს ახასიათებს ფუნქციონალური მიზანშეწონილება. შენობის შინაგანი და გარეგანი ფორმები საყვარებით შეფარდებიან ერთმანეთს. შენობის სტრუქტურა თავისუფალია ზედმეტი დატვირთვისაგან, ის ემსახურება შენობის დანიშნულების ამოცანას. საგნები იქმნება მხოლოდ საჭიროებისა და დანიშნულების მიხედვით. საზეიმო სასახლეები, რომელთა დანიშნულება მხოლოდ ვართობა და წარმო-

<sup>1)</sup> Кон-Винер. „История стилей“, гл. 4.

<sup>2)</sup> Кон-Винер. „История стилей“, гл. 267.

მადგენლობაა, არ შენდება. კურკლები სამკაულისათვის არაა დასაშვანი, კონსტრუქტიულ სტილში ავტორი ათავსებს: ძველი საბერძნეთის დორიულ სტილს, საშუალო საუკუნოების რომანულ სტილს, იტალიეთის უახლოეს რენესანსის სტილს.

კონსტრუქტიული სტილი ადგილს უთმობს დეკორატიულს ანუ დეკონსტრუქტიულს. ფუნქციონალური მიზანშეწონილება ვიწროვდება დეკორატიული მორთულობის სახარკებლოთ. შენობის დანიშნულება არ განსაზღვრავს მის გარეგან გაფორმებას. სამკაულის ელემენტები, დეკორატიული ნაწილები არღვევენ შენობის ტექტონიკურ-კონსტრუქტიულ სისადავესა და სისწორეს. შენობის თაღზე და ფასადზე იქნება ნაგებობანი, რომელთა დანიშნულებაა გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა და არა შენობის შთაბეჭდილების, ორგანიზაციის გამტკიცება. ასეთ დეკორატიულ ანუ დეკონსტრუქტიულ სტილში ავტორი ათავსებს: ელინისტურ და რომაულ სტილს, განვითარებულ გოტიკასა და მაროკოს.

დეკორატიული სტილი გადადის ორნამენტალურ სტილში. ამ სტილში უკიდურესობას აღწევს დეკორატიულ-ორნამენტალური გადაჭარბება. ტექტონიკურ-კონსტრუქტიული მიზანშეწონილების გრძობა სავსებით ჰქრება. შენობის ფუნქციონალური დანიშნულება ვეღარ იწვევს მისი გარეგანი ფორმებას განსაზღვრას. უმთავრეს ამოცანათ ისახება ფუფუნების სამკაულის, სიმდიდრის შთაბეჭდილების შექმნა. ორნამენტი ჰელოზს შენობის მთელ არსებობას. ასეთ სტილში ავტორის აზრით შედის: რომის უგვიანესი სტილი, გოტიკა და როკოკო.

როგორია ამ სტილთა ჯგუფების მსოფლშეგრძობა?

კონ-ვინერი სწერს: ყველა ტექტონიკურ სტილს ახასიათებს რაღაც დემოკრატიულობა, რადგან მის ფორმათა სიმარტივე მას ზღის მისაწვდომით ღარიბი ხალხისათვის. თითველა ხელოსანი სრული სრულყოფითა და სილამაზით შესძლებს, და უნდა შესძლოს კიდევ, ასეთი ნაწარმოების შექმნა. დეკონსტრუქტიული, მდიდრულ ორნამენტალური სტილი წინააღმდეგ, მისაწვდომი ხდება მხოლოდ შეძლებული კლასებისათვის. ხელოსანის მუშაობას აქ უფრო ნაკლები ადგილი აქვს, რადგან ხელოსნის მარტივი და უბრალო გრძობა ვერ მისაწვდება მის ფორმათა სირთულეს. <sup>1)</sup>

ხუროთმოძღვარი მ. გინზბურგი ამბობს: სტილის ისტორიის ანალიზით ჩვენთვის ძნელი არ არის შევამჩნიოთ კანონი, რომელიც დამახასიათებელია თითქმის ყველა შთავარი აღორძინებისათვის. მაშინ, როდესაც იქნება სტილის ახალი ფორმა, როდესაც ჩნდება მისი ახალი ელემენტები, მაშინ არ არის შესაძლებელი, რომ ისინი აურიოთ სხვა რამეში. ახალი იბადება უმთავრესათ როგორც კონსტრუქტიული და უტილიტარული აუცილებლობა, დაშორებული დეკორატიულ გალამაზებას. შემდეგ გამოდის დეკორატიული ელემენტები, რომლებიც თავდაპირველად არ არღვევენ მოცემული ძველის ორგანიულ ცხოვრებას, ვიდრე მათი მოჭარბება არ შორდება

<sup>1)</sup> Кон-Винер. „История стилей“. გვ. 271.

## ეპიკრიზი

სახლეებს, რის შემდეგ იქცევა დეკორატიულ ელემენტად და დამოუკიდებელ ვარჯიშობათ. ახალი სტილის ახალგაზრდობა უმთავრესად კონსტრუქტიულია; სიმწიფის ხანა—ორგანიული; სიბერე—დეკორატიული. ასეთია სტილის დიდი უმრავლესობის განვითარების დაახლოვებითი სქემა.<sup>1)</sup>

სტილი ზენ დაესახეთ, როგორც გარკვეული მსოფლშეგრძნობა საუკეთესო მხატვრულ სახეებში. ამ მსოფლშეგრძნობის ძირი ეპოქის სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში მივიჩინეთ. ზემოთ მოცემული კლასიფიკაციები ამყარებენ სტილის ტიპოლოგიურ ჯგუფებს, მაგრამ ვერ ააშკარავენ მათი მსოფლშეგრძნობის შინაგან ბუნებას. კონ-ვინერის ცდა, მიაწეროს კონსტრუქტიულ სტილს დემოკრატიული ტენდენცია მხოლოდ იმიტომ, რომ ხელოსანსაც შეუძლია მისი შექმნა, დეკორატიულს კი აქვს წინააღმდეგი თვისება მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ამ სტილის რთულ ფორმათა გამოკვეთას ხელოსნის მარტივი გრძნობა ვერ შესძლებს, საკითხის გამარტივებას ვაძლევს. ეს თვალსაზრისი ტენიკურ მომენტს ემყარება და არა ფსიქოლოგიურს. ხელოსანმა, რომ მიიღწიოს როკოკოს სტილის დეკორატიულ-ორნამენტალურ სიმსუბუქეს, ამით ეს სტილი არ იქცევა დემოკრატიული ტენდენციის მატარებლათ. ჩინეთში ხელოსნის შრომის გამოყენებით იქმნება დეკორატიულ-ორნამენტალური სტილის უკიდურესი გამოხატულება. ხელოსნის როლის გამო ჩინურ სტილს კონსტრუქტიულათ ვერ მივიჩნევთ. თანამედროვე კონსტრუქტიული სტილი უმთავრესად ემყარება მანქანურ და არა ხელოსნურ წარმოებას. ამ შემთხვევაშიაც ხელოსნის როლის გაუქმება თანამედროვე ამერიკულ ხელოვნებაში მას არ აქცევს დეკორატიულ-ორნამენტალურ სტილათ.

კონ-ვინერს აქვს კიდევ ერთი თეორეტიული დებულება, რომლითაც ის ცდილობს კონსტრუქტიულსა და დეკორატიულ სტილის ცვალებადობის ახსნას. მისი აზრით ტექტონიური, ანუ კონსტრუქტიული სტილი იქმნება ყოველთვის თავისი დროის ყველაზე ძლიერი ხალხის მიერ. ადგილობრივი პირობები და ტომობრივი თავისებურობანი აჩენენ მასში სხვადასხვაგვარი ხასიათის თავისებურობას. სტილი, დაშორებულ ტექტონიურ გრძნობას, ატარებს გამაერთიანებელ, ინტერნაციონალურ ტენდენციას.<sup>2)</sup>

რა იგულისხმება „ხალხის სიძლიერეში.“? ხალხი შეიძლება მივიჩნიოთ ძლიერათ ეკონომიურათ, პოლიტიკურათ, კულტურულათ, ფიზიკურათ და სხ. რომელი „სიძლიერე“ მშენის ტექტონიურ სტილს? საბერძნეთის ხალხის „კულტურულმა სიძლიერემ“ მოგვცა ბერძნული დორიული სტილი. დორიული სტილის შეცვლა იონიურ და კორინთულ სტილათ არ ხდებოდა არც საბერძნეთის კულტურული და არც ეკონომიური დაქვეითებისა და დასუსტების ნიადაგზე. წინააღმდეგ, ბერძენთა ხალხის მხატვრული ეკონომიური ძლიერების ზრდის ფონზე წარმოიშვა დორიული სტილიდან იონიურ და კორინთულ, როგორც დეკორატიულ სტილზე გადასვლა, რომის ბატონობა ჰქმნიდა რომაელთა დიდ

1) M. Гинзбург. „Стиль и Эпоха“, გვ. 120.

2) Кон-Винер. „История Стилей“, გვ. 270.

„ძლიერებას“, მაგრამ ამ ძლიერებით შეიქმნა არა კონსტრუქტიული, არამედ დეკორატიულ-დეკონსტრუქტიული, ელინისტური და რომაული სტილის სახით.

ავტორი უფრო მტკიცე ნიადაგზე სდგას, როცა ამბობს: სტილი არ იქმნება შეგნებულათ, არანედ დამოკიდებულია მშენებლობისა და რღვევის კანონ-ზომიერ მოძრაობაზე, განვითარების საერთო კანონზე. ავტორის ეს დებულება სწორია, მაგრამ ის ვერ წვდება „განვითარების საერთო კანონის“ ახსნას, ვერ აღწევს მარქსისტულ სოციოლოგიის თვალსაზრისს, რომელიც მას საშუალებას მისცემდა გამოეყენა როგორც განვითარების საერთო კანონი, ისე ამ განვითარების ზედნაშენის ერთი სახის ცვალებადობის მიზეზებიც.

მ. გინზბურგი სტილის კლასიფიკაციას ამყარებს სტილის ასაკობრივ მდგომარეობის ნიადაგზე. ახალგაზრდობა სტილის—კონსტრუქტიულია; სიკმაბუკე—ორგანიული; სიბერე—დეკორატიული. საკითხავია, რა ჰქმნის ამ ასაკობრივ მომენტს? რა ფაქტორები განსაზღვრავენ ასაკობრივ მომენტებთან სტილის თავისებურებას? როგორ საზოგადოებრივ ფორმაციას შეეფარდება ეს ასაკობრივი სტილების თვისებები? რაგვირ მსოფლმეგრძნობას გამოხატავენ ისინი? ამ კითხვებს ავტორი არ უპასუხებს. საერთოდ, ის უპირატესობას აძლევს ტენიკურ მომენტს სტილის ყალიბობის პროცესში. ამ საკითხს ჩვენ ჰქვამთ გავარკვევთ. აქ საკმაო აღინიშნოს, რომ მ. გინზბურგის კლასიფიკაცია დაახლოვებით ემთხვევა კონ-ვინერის კლასიფიკაციას, მაგრამ როგორც ეს უკანასკნელი, ისე პირველაც კლასიფიკაციის ფსიქო-სოციალურ საფუძველს ვერ იძლევიან.

ვ. ფრიხე იღებს ორივე ავტორის სქემას და სცდილობს მათ სოციოლოგიურ დასაბუთებას. ის სწერს: ზრდის პროცესში მყოფი სიმდიდრე, მატერიალური სიკეთის დაგროვება, ათავისებურებს გაბატონებულ კლასს ცხოვრების ელემენტარულ-პრაქტიკული საქმიანობიდან და განთავისუფლებულ ძალასა და ენერგიას მიმართავს ყოველგვარი საცხოვრებელის (როგორც კერძოს, ისე საზოგადოებრივის) ესთეტიზაციისაკენ. ტექტონიური მიზანშეწონილება ადგილს უთმობს დეკორატიულ ესთეტიზმს. ერთ დროს მთლიანი—მეტათ თუ ნაკლებათ ერთგვარი საზოგადოებრივი მთლიანობა,—ნაწილდება დამოუკიდებელ კლასებათ და ინდივიდებათ. მისწრაფება კლასობრივი გამიჯნვისა და ინდივიდუალური გამოყოფისაკენ (მდიდრები) მოქმედობს დეკორატიულ-ესთეტიური მიმართულების სასარგებლოთ. დასასრულ, რამდენათაც ტექტონიურ სტილში უმეტესი მნიშვნელობა აქვს მასლის მატემატიკურ-ზაზობრივ ორგანიზაციას, მასში აშკარად ვხვდებით გონებრივი მიდრეკილებას, დამახასიათებელი ამომავალი კლასისათვის. რამდენათაც დეკონსტრუქტიულ სტილში უმეტესათ ჰარბობს დეკორატიული პრინციპი, მასში აშკარად ვხვდებით გედონისტური გონებრივი მისწრაფებას, დამახასიათებელი გაბატონებული კლასისთვის. იქ კი, სადაც დეკორატიული ელემენტი სავსებით ჰფარავს თავდაპირველ პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, მასში იმალება გადაგვარებული კლასის გონებრივი მისწრაფებანი. <sup>1)</sup>

<sup>1)</sup> В. Фриче. „Соцология искусства“, стр. 84—85.

ავტორი ამ სოციოლოგიური ანალიზის საილიუსტრაციო მხარეში ისტორიულ მიგალითებს. ათინის ახალგაზრდა ბურჟუაზია, აღმოსავლეთის კუთხეში მყოფი, ჭეშმის დორიულ სვეტის კარნიზს, რომელიც წარმოადგენს უბრალო ოთხკუთხედს. მისი დანიშნულებაა გარკვეული პრაქტიკული როლის შესრულება, ის არის სახურავის დირეთა სიმძიმის დასაყრდენი. გამდიდრებული საეპრო ბურჟუაზია—ვერ იონიური, შემდეგ ატიკური—ამ პრაქტიკულ მიზანშეწონილ ოთხკუთხედ ბალიშს უმატებს ჩუქურთმებს, მიზანშეწონილების ელემენტს თავის მორთვისა და სამკაულის მომენტი. როდესაც ეს კლასი ადის სიმდიდრის უმაღლეს სიმაღლეზე და იქცევა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივი კლასიდან მომხმარებელ-განცხრომილ კლასათ, იონიური კარნიზი იქცევა კორიფულათ, სადაც პირველყოფილი პრაქტიკული მიზანშეწონილობა (დირეთა სიმძიმის საყრდენობა) საესებით იცვლება კარნიზის მდიდრული დეკორატიულობით.

ავტორის მტკიცებით ასეთივე განვითარებას განიცდის გოტიური სტილიც. იწყება ტექტონიური სტილითა და სრულდება დეკორატიულით. აგრეთვე რენესანსი აღორძინების ხანაში უკავშირდება აღორძინების პერიოდში მყოფ ბურჟუაზიას, ატარებს მიზანშეწონილების პრაქტიკულ უბრალო ფორმებს. გამდიდრებული ბურჟუაზია კი ჭეშმის პასიურ-განცხრომილი კლასის სტილს (პაროკო).<sup>1)</sup>

ვ. ფრიჩე იმეარებს კონ-ვინერისა და მ. გინზბურგის სტილის ტიპების იდეოლოგიურ დასაბუთებას, გვმძღვეს ამ ტიპების სოციოლოგიურ საფუძველთა გარჩევას, აღნიშნავს გარკვეულ კლასობრივ მსოფლშეგრძნობას, რომელიც ჰპოულობს თავის გამოხატულებას სტილთა ცვლაში. ავტორის ძირითადი თვალსაზრისი სწორია, მაგრამ ის ვერ გვაძლევს ისტორიულად მოცემულ ყველა ფაქტების ახსნის საშუალებას.

კონსტრუქტიულ-ტექტონიური სტილი თუ უკავშირდება აღორძინების პროცესში მყოფ კლასს, დეკორატიული კი სიმდიდრის მქონეს, ორნამენტალური დაცემის პერიოდში მდგარს, თუ ერთი მხრით სიმდიდრის ხარისხი და მეორე მხრით პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივობის ხასიათი ჭეშმის გადასვლას კონსტრუქტიული სტილიდან დეკორატიულზე, მაშინ უცნაურათ გვეჩვენება დღევანდელ ბურჟუაზიულ ქვეყნებში დეკორატიულ სტილიდან კონსტრუქტიულზე გადასვლა. ბურჟუაზიამ დაიწყო უახლოესი რენესანსის მარტოვი ფორმებით, ტექტონიური მიზანშეწონილობით, გადავიდა დეკორატიულ ფორმაზე, უგვიანეს რენესანსზე, მაროკოზე, სადაც ბურჟუაზიის სიმდიდრემ და პასიურობამ მოგვცა დეკორატიული ფორმების გამდიდრება. ამავე კლასმა თავისი პასიობისა და ფუფუნების პერიოდში შექმნა ორნამენტალური სტილი როკოკო, როგორც ტექტონიური პრინციპის სრული უარყოფა. უკანასკნელი ორი საუკუნე ის მოექცია ეკლექტიზმის ფარგლებში. უახლოეს პერიოდში კი ის გამოდის კონსტრუქტივისტული სტილით, თავისუფლდება ყოველგვარი დეკორატიულობისაგან.

<sup>1)</sup> В. Фриче: „Социология искусств.“, стр. 85—86.

ვ. ფრიჩეს ანალიზის თანახმად თუ ვიმსჯელებთ, დღეს მარქსისტულ-როგორც დაკუმის პერიოდის კლასს, უნდა ახასიათებდეს ორნამენტალური სტილი, ის უნდა იყოს ან როკოკოს ფარგლებში, ან უნდა ჰქონდეს ასეთივე ხასიათის ორნამენტალური სტილი, თუ ტექტონიურ-კონსტრუქტიული სტილი შეიძლება ექნეს მხოლოდ ისტორიის საბიძგელზე ახლად გამოსულ აქტიურსა და გამდიდრებისა და აღორძინების პირველ საფეხურზე მდგომ კლასს, მაშინ თანამედროვე ბურჟუაზია, რომელმაც შექმნა კონსტრუქტიული ზუროთმოძღვრება უნდა მივინიშნოთ აღორძინების პერიოდში მყოფ კლასათ. სხვა დასკვნის გამოტანა ვ. ფრიჩეს ანალიზიდან შეუძლებელია. ეს კი ეწინააღმდეგება ფაქტებს. ამერიკული რკინა-ბეტონის სტილი, კონსტრუქტიულ-ტექტონიური ზუროთმოძღვრება არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ანერჯის ბურჟუაზიის გამდიდრებასა და მის მიერ ქონების დაგროვების პირველ პერიოდს. ამერიკის ბურჟუაზია უფრო მდიდარია, უფრო მეტი ფუფუნების მქონე, ვიდრე მაროკოსა და როკოკოს ეპოქის ევროპის ბურჟუაზია. ამის მიუხედავად იქ კონსტრუქტიული სტილია და არა დეკორატიული.

სად უნდა ვიპოვოთ ამ მოვლენათა ახსნა? რა ფაქტორები ჰქმნიან ასეთ თავისებურობას? ეფექტობით, პასუხს ვიპოვით თანამედროვე მსოფლშეგრძნობის, როგორც სტილის პირდაპირი წყაროს, გათვალისწინებით. ხელოვნება სოციალური მოვლენაა და არა ტექნიკური, ან ეკონომიური. ეკონომიკა საბოლოო ანგარიშში განსახლურავს მხატვრულ სტილს. სტილში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის საზოგადოებრივ ფაქტორთა ზეგავლენის მთელი კომპლექსი. სტილის სოციალოლოგიის ანალიზი უნდა ამყარებდეს ამ რთული კომპლექტის მთლიან მისწრაფებას, როგორც სტილის ბუნების სოციალურ ეკვივალენტს. თანამედროვე ბურჟუაზიული სტილის გამოსარკვევად საქირთა მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის მამოძრავებელი ძალების გათვალისწინება და ამ ნიადაგზე შექმნილი ფსიქო-იდეოლოგიური ატმოსფერის შესწავლა.

## II. პროლეტარული სტილის ელემენტები

### ა) ზუროთმოძღვრება

ფინანსური კაპიტალიზმის განვითარებამ შეცვალა ის ფსიქო-იდეოლოგიური მისწრაფება, რომელიც ჰქმნიდა ეკლექტიზმის ბატონობას ბურჟუაზიულ ზუროთმოძღვრებაში. ინდუსტრიალურმა მრეწველობამ ტექნიკის უმაღლესი მიღწევების გამოყენებით, მოახდინა როგორც წარმოების გიგანტიური გაფართოება, ისე მისი ნაწილობრივი რაციონალიზაცია დიდ ტრესტებსა და სინდიკატებში გაერთიანებით. საბანკო კაპიტალმა მიიღო ფართო გამოყენება. დიდ სამეურნეო გაერთიანებებთან ამუშავებამ მოითხოვა დიდი საქარხნო-საფაბრიკო მშენებლობა. ქალაქების სწრაფმა ზრდამ, ცხოვრებთა შეგროვებამ მცირე ტერიტორიაზე ფაბრიკა-ქარხნების ცენტრებში, მკაცრად დააყენა საკითხი მუშათა სახლების მშენებლობის. საერთაშორისო სავაჭრო და სამოქალაქო ურთიერთ-




 ეკონომიკური

ბის გაფართოვებამ მოითხოვა სატრანსპორტო შენობათა გაუმჯობესებები ზრდა.

ბურჟუაზიის წინაშე დაისვა საკითხი ახალი სტილის ძიების შესახებ. მშენებლობის გაფართოვებამ და სისწრაფემ განდევნა ის აკადემიზმი და ეკლექტიზმი, რომელიც ჰქმნიდა დეკორატიულ-ორნამენტალურ უსტილო სტილს ე. ი. ხუროთმოძღვრებას, რომელშიც მოცემული იყო მრავალგვარ სტილთა მექანიური წარევი. საქარხნო მშენებლობამ მოითხოვა ტექტონიური მიზანშეწონილების შენობა. მისი დანიშნულება გახდა უტილიტარული მიზნების სამახსორო.

ინჟინერია შეებრძოლა ხუროთმოძღვრებას, ტეხნიკა დაუპირისპირდა მხატვრობას. ხუროთმოძღვარი სცდილობდა მასალა შეეფარდებია ესთეტიური ფორმებისათვის, შენობის დანიშნულება დაეფარა დეკორატიული სტილიზაციით. ასეთი შემოქმედება ჰქმნიდა შინაგან წინააღმდეგობას, დუალიზმს. შინაარსი არ მორჩილებდა ფორმას, ფორმა არ გამოხატავდა შინაარსს. ინჟინერმა აიღო მასალა და შენობის დანიშნულება დასაბა, როგორც ხუროთმოძღვრების ძირითადი პრინციპი. მან მოიმარჯვა თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები მშენებლობის პროცესში. უტილიტარულ-ფუნქციონალურ მომენტს დაუმორჩილა სივრცის ორგანიზაციის მთელი საქმიანობა. დეკორატიული ესთეტიზმი დიშმსხვრია. ორნამენტალური მოდულიაციები გაჰჭრა. „მხატვრული“ სტილი მოისპო. ჩამოყალიბდა მარტივ სიბრტყეთა ინჟინერული შეთანასწორება. შენობის დანიშნულებამ დაფარა მისი ყველა სხვა ელემენტები. საფუძველი ჩაეყარა ახალ სტილს, ხუროთმოძღვრების კონსტრუქტივიზმს, ანუ კონსტრუქტიულ ხუროთმოძღვრებას.

როგორია ის სამეურნეო და საზოგადოებრივი წინამძღვრები, რომლებიც საფუძვლად უდევს კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრების აღმოცენებას? ი. მაცა აღნიშნავს უმთავრეს ხუთ წინამძღვარს: 1. წარმოების სხვადასხვა დარგის კონცენტრაცია, (მისი ნაწილობრივი ცენტრალიზაცია) ცალკე ჯგუფების ხელში. (სინდიკატი, ტრესტი, კარტელი) საწარმოო რაიონებში მოპყდ საწარმოო დარგთა კონცენტრაცია (საწარმოო ცენტრები, ქალაქები, მეტროპოლიები და სხვ.). 2. მოგების მიღების გამარტივება და გადიდება (მუხანიზაცია, რაციონალიზაცია, და ტიპიზაცია როგორც საწარმოო ურთიერთობის, ისე წარმოების ცალკე პროცესების). 3. კონკურენციის ხარისხობრივი და რაოდენობითი ზრდა (კონკურენციის წესთა დიფერენციაცია, მისი მამუტაბის გაფართოვება, ჯერ არ ნახული ბრძოლის ტემპისა და მახრისათვის ბრძოლების ვაცხოველება). 4. ტეხნიკის სწრაფი განვითარება. 5. სპეკულიაციის განვითარება მშენებლობისათვის თავისუფალი სივრცეების გამოყენების მიზნით (ფაბრიკა, რკინის გზები და სხვ.). ასეთ პირობებში ხუროთმოძღვრებიდან მოითხოვენ: სივრცეთა ეკონომიურად გამოყენებას; შენობათა ახალი ტიპების შექმნას ახალი მიზნობრივი დანიშნულებით: სააღმშენებლო მასალათა ფრთხილ შერჩევას და მათ ეკონომიურად გამოყენებას; თვით მშენებლობის ტემპის გაუმჯობესებასა და აჩქარებას და სხვ.)

<sup>1</sup>) Н. Маца. „Искусство эпохи зрелого капитализма на западе“, 1929. гл. 195.

კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაისახა. აქ კაპიტალიზმის განვითარებამ მიიღწია თავის ტერიტორიულ-საქონლურ-საწარმოო წარმოების კონცენტრაცია, მისი განვითარების ტემპი, ახალ მშენებლობაზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდა, ტენიკის უმაღლესი განვითარება და მისი გამოყენება მშენებლობის პროცესში, ძველი ხუროთმოძღვრების ტრადიციის შედარებითი სისუსტე ჰქმნიდნენ ნოყიერ ნიადაგს ახალი, კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრების შექმნისათვის. ამ პროცესში თეორეტიული დასაბუთება პოვა ფრანგ ლიოდ რაიტის სწავლაში. მისი აზრით ხუროთმოძღვრების სილამაზეს ჰქმნის შენობის ისეთი გაფორმება, რომელიც ემყარება მის ფუნქციონალურ მიზანშეწონილებას. მთელი შენობა და მისი ნაწილები უნდა წარმოადგენდეს იმ ფუნქციებისათვის გაპოსადაც მოვლენას, რომელსაც ის ემსახურება. მთლიანად შენობა და მისი ნაწილები უნდა შეეფარდოს მის მიზანშეწონილებას და უნდა ილენინავდეს ფორმისა და შინაარსის მთლიანობას.<sup>1)</sup>

ამერიკელი ხუროთმოძღვრები, რაიტის მოწაფენი, ვერც თითონ რაიტი საესებით ვერ განთავისუფლდნენ ძველი ხუროთმოძღვრების ესთეტიზმიდან. კონსტრუქტივიზმის ფუნქციონალობას შეღწერთდა ნაწილობრივ გოტიური და რომანული დეკორატიულობის ელემენტები. ცათ მიზჯელ სრა-სასახლეთა მწვერვლები „დაამშვენა“ გოტიური კოშკების ორნამენტალობამ. ამის მიუხედავად ამერიკა უფრო სისწორითა და სისწრაფით შედგა კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრების ნიადაგზე, ვიდრე ევროპული ქვეყნები. ევროპაში გერმანეთში და პოლანდიაში უკეთ შეითვისა ამერიკელი მშენებლობის ფორმები. პირველში ეს პროცესი გამოიწვია სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ, მეორეში ომის პირობებში ნეიტრალური მდგომარეობის გამო სამრეწველო დარგების სწრაფმა განვითარებამ.

კონსტრუქტივისტულ ხუროთმოძღვრებაში ჩაისახა ორი მიმართულება, პირველი მიმართულების მამამთავრად შეიძლება მივიჩნიოთ ამერიკელი რაიტი, მეორის—ფრანგი კორბიუსიე. პირველი მიმართულება მკაცრათ ემყარება შენობის ფუნქციონალიზმის პრინციპს, მოითხოვს შენობის დანიშნულებისადმი მისი ყველა ნაწილებისა და ფორმის დამორჩილებას. მეორე მნიშვნელობას აძლევს ფორმის საკითხს. ის ცდილობს უტილიტარული ფუნქცია შეუერთოს ესთეტიურ ფუნქციას. ი. მაცა ამ ორ მიმართულებას უწოდებს: კონსტრუქტიულ ფუნქციონალიზმსა და კონსტრუქტიულ ფორმალისმს. ამ მიმართულებათა გარჩევა ააშკარავებს ეპოქის სტილის ძიების კონკრეტ ნიშნებს უახლოესი ხანის ხუროთმოძღვრებაში.

როგორია მათი კლასობრივი საფუძველი? კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრება არ არის პროლეტარული ხუროთმოძღვრება. კონსტრუქტივიზმი მოცემული არ არის, როგორც ახალი კლასის სტილი, რომელიც ტექტანიკურ მომენტს აყენებს დეკორატიულის საწინააღმდეგოთ. სოციალოგიური ანალიზი, რომელიც კონსტრუქტიულ სტილს მიიჩნევს ახალი აღორძინების პროცესში მყოფი კლასის სტილათ, ვერ უძლებს ფაქტების კრიტიკას. თანამედროვე კონს-

<sup>1)</sup> И. Мача. „Искусство эпохи зрелого капитализма на западе“. стр. 197.

ტრექტიული სტილი ხუროთმოძღვრებაში არის ინდუსტრიალური სტილის სტილი. ინდუსტრიალიზმში მტერია დეკორატიულობის. ინდუსტრიის დედა-ძარღვი — მანქანა ფუნქციონალიზმის უკიდურესი სახეა. მანქანაში ყოველი ნაწილი გარკვეულ დანიშნულებას ემსახურება. მანქანას ახასიათებს: ნაწილთა მიზანშეწონილი შეფარდება, მასალის ეკონომია, მთლიანობის აღდგენა დანიშნულების საშუალებისათვის. მანქანა დეკორატიულობას ვერ ითმენს. ის, რაც არ შედის მანქანის ორგანიულ სისტემაში ხელს უშლის მის მუშაობას. მანქანა მოძრაობის სიმბოლოა და განსაზღვრებაა. მოძრაობის სიჩქარე შთანთქავს დეკორატიულობის მომენტს. დეკორატიულობა ლოდიკურად ჰკარგავს თავის ადგილს დინამიურ სრბოლაში. დინამიკა ჰქმნის ახალ სილამაზეს, მოცემულს შეუჩერებელ მოძრაობაში. მანქანამ დაიპყრო ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. ის შეიჭრა ჩვენი ყოფის ყოველ დარგში. ხუროთმოძღვარი მ. გინსბურგი სწერს: „მანქანიდან გაქცევა შეუძლებელია. მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობა კიდევ მეტ მომავალს უჭადის მანქანის ბატონობას. ამ გარემოებას ასე თუ ისე, ანგარიში უნდა გაეწიოს“<sup>1)</sup>.

მანქანა დაებატონა ინდუსტრიალურ წარმოებას. წარმოების ძირითადი პროცესი ადამიანიდან მანქანაზე გადავიდა. მანქანათა კომბინატებში ვამოიწვია სათანადო საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობა. ინჟინერიამ თავდაპირველად აქ იპოვა თავისი მიღწევების მომარჯვების არე. საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობაში „ხუროთმოძღვრებამ“ მას უფრო ადვილად დაუთმო თავისი პოზიციები, ვიდრე საცხოვრებელ მშენებლობაში. ბურჟუაზიამ ეერ დასტოვა მემკვიდრეობით მიღებული კულტურა. თავისი საცხოვრებელი შენობები მან „შეამკო“ კლასიციზმით, აკადემიზმით, ამპირით, მოდერნიზმითა და მათი სტილისტური ნიშნების ნარევით. ხუროთმოძღვარი აქ შეებრძოლა ცხოვრების ახალ მისწრაფებას. მან მოისურვა „წმინდა ესთეტიკის“ ფარგლებში დარჩენა. ინჟინერია მან მიიჩნია უღირს მოვლენად, რომელსაც წილათ ერგო მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნებისა და მუშათა სახლების აგება.

უკანასკნელთა ბატონობა დაიწყო სწორეთ იქ, სადაც ახალი სამეურნეო ცხოვრება ყველაზე მეტად მოითხოვდა თავის შესაფერ მხატვრულ სტილს, ინდუსტრიალურმა ქალაქებმა, ცენტრებმა ინჟინერიის გზით მიაღწიეს კონსტრუქტიული ნაგებობის სტილის დამყარებას. შენობის მორთულობამ ადგილი დაუთმო მასალის ორგანიზატორობას, ფუნქციების გრძნობამ — მიზანშეწონილები-საქნ მისწრაფებას.

კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრება არის მსხვილი, ფინანსიური, ინდუსტრიალური ბურჟუაზიის ხუროთმოძღვრება. ინდუსტრიალური წარმოების ტენზიკური, ეკონომიური და ფსიქო-იდეოლოგიური მისწრაფება მასში ჰპოულობს თავის გამოხატულებას. ი. მაკას სამართლიანი შენიშვნით, ფუნქციონალიზმი არ გულისხმობს აუცილებლათ მასალათა ისეთ წყობას, რომ მიღებულ იქნეს ხუროთმოძღვრება, როგორც ხელოვნება. კიდევ მეტი: ფუნქციონალიზმი აყენებს განყენებულ ხუროთმოძღვრების სქემას. ის ანგარიშს არ უწევს ხუროთ-

<sup>1)</sup> М. Гинзбург. „Стиль и эпоха“, 33. 86.

მოდერნების სოციალურ ფუნქციას. ის აშენებს ნაგებობას განსაკუთრებით დანიშნულების მიზნით, ფორმალისტი-კონსტრუქტივისტი ესთეტიურ საწყისებსაც კი უბრუნდება. აქაც სჩანს ფინანსური კაპიტალის ორი ტენდენცია: უტილიტარისტული-აბსტრაქტიული სქემატიზმი და ფორმალისტური ესთეტიზმი. ორივე ტენდენცია თავსდება ფინანსური ბურჟუაზიის ფსიქოლოგიაში. ის მოითხოვს უკომპრომისოთ, განურჩევლად ერთგვარ ვიწრო უტილიტარულ ნაგებობას თავისი შეურწმობისათვის, ვირტოუზულ ფორმალურ ესთეტიზმს თავისი ცხოვრებისათვის.

კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრება შესაძლოა იყოს არა მარტო მშრალი ინჟინერია და წმინდა ტექნიკა. მანქანურმა წარმოებამ გამოიწვია ძველი კუსტარულ-ხელოსნური ხელოვნების კრიზისი. ბევრმა ამ კრიზისში, ხელოვნების დასასრული დაინახა. კარლილის, რესკინის, მორისის, შეიერგრაფეს, პაუზენ-შტაინის, შპენგლერის და სხვების პესიმიზმი არსებითად გამოაწვეული იყო მანქანური წარმოების სტილის აღმოცენებით, რომელმაც უარპყო ესთეტიური ფენტიზმი და განუყნებელი „უსარგებლო და უმიზნო“ ორნამენტალობა. უახლოესი პერიოდი უკვე იძლევა ხელოვნების ახალ სახეს, დანაგარბულს ტენსიკის ბახახე-კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრება ახალი ხელოვნების ერთი დარგია, მაგრამ ეს „ახალი“ არ არის ახალი, სოციალისტური საზოგადოების ხელოვნება. ის არის ხელოვნება ფინანსური კაპიტალიზმის, რომლის წიაღში არის ჯანსაღი ელემენტები (ფუნქციონალიზმი, ეკონომიის პრინციპი). მაგრამ მთლიანათ ის ატარებს არა მარტო ბურჟუაზიული საზოგადოების სულისკვეთებას, არამედ შედის თავის გადაგვარების პერიოდშიაც, უბრუნდება ესთეტიზმის ნაშთებს (კორმუსიეს შკოლა).

პროლეტარული ხუროთმოძღვრება ახალი კლასის მისწრაფებასა და მსოფლ-შეგრძნებას უნდა ატარებდეს. ფუნქციონალიზმი უნდა დაუკავშირდეს კოლექტივიზმს. ყოველი ნაგებობა უნდა იძლეოდეს არა მარტო თავის ვიწრო დანიშნულებისათვის გამოსადეგ (მაგ. სართავი, სახერხი და სხვ. ქარხანა, კლუბი, თეატრი, საცხოვრებელი ბინა), არამედ იმ კოლექტიური ცხოვრებისაკენ იღებურ მისწრაფებას, რაც შეადგენს პროლეტარიატის ბრძოლის საგანს. კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრების სქემებით გატაცება არ არის პროლეტარული ხუროთმოძღვრების საშისხური.

კონსტრუქტიული პრინციპი მხოლოდ მაშინ ემსახურება პროლეტარულ ხუროთმოძღვრებას, როდესაც ის შექმნის მხატვრულ სტილს, როგორც პროლეტარიატის მსოფლშეგრძნობის მხატვრულ გამოხატვას.

დღეს პროლეტარული ხუროთმოძღვრება კიდევ არ არსებობს. კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრების გამოყენების ცდები წარმოადგენენ პროლეტარული ხუროთმოძღვრების პირველ საწყისებს. კონსტრუქტიული ფუნქციონალიზმის სოციალურ-კლასობრივ ტენდენციით გადამუშავება მოცველს პროლეტარული სტილის პირველ ნიმუშებს.

მ. გინსბურგი ახალი სტილის დამახასიათებელ ნიშნებში ეკლექტიკურ-ეკონომიურ და სოციალ-ყოფითი მომენტებს. ის გვეუბნება: ჩვენი სინამდვილე არ იძლევა ეკონომიურ საშუალებას მხატვრული ფანტაზიის შეუკავებელი გაშლისათვის, „უმიზნო“ და „წმინდა მხატვრული“ წესების გამოყენებისათვის. ის განავრძობს: გარდამავალი პერიოდის ეკონომიური თავისებურებანი ხუროთმოძღვრის ყურადღებას ავიწროებს და მიზართავეს მას უპირველესად ყოველისა ცხოვრებისათვის უტილიტარულ მასალის ორგანიზაციის გამოყენებისაკენ, რაც შეიძლება მეტი შეკუმშული გამომეტყველებითა და ადამიანის ენერჯიის ნაკლები დახარჯვით<sup>1)</sup>.

ხუროთმოძღვარი ვერ დარჩება მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიურ ფარგლებში. ხუროთმოძღვრება, როგორც ხელოვნება, მოითხოვს მხატვრულ სტილს, როგორც იდეოლოგიურ მომენტს. სად უნდა ეძებოს ხუროთმოძღვარმა ეს იდეოლოგია? აეტორა უბასუბებს: თანამედროვე ადამიანის ახალი ყოფის ჩამოყალიბება მოვეცემს ძიებისათვის გამოსავალ წერტილს, რომლის კონკრეტ შევლითად გამოდგება თანამედროვე საწარმოო ინჟინერული ნაგებობანი— თანამედროვე ფორმის მოწინავე ავანპოსტები<sup>2)</sup>. აეტორი დასძენს: ხუროთმოძღვარი გახდება ცხოვრების არა დეკორატორი, არამედ ორგანიზატორი.

თანამედროვე ადამიანი, თუ მასში ვიგულისხმებთ მუშათა კლასის წევრს, თავის ყოფის ჩამოყალიბებაში უკვე ატარებს ერთ ძირითად მისწრაფებას— კოლექტივიზმის გრანძობას. პროლეტარული ხუროთმოძღვრების ამოცანის სიმძიმე სწორედ იმაშია, რომ ის უნდა დაეხმაროს ამ მისწრაფების ფაქტად ქცევისა. საცხოვრებელი ბინის გარკვეული სახე უკვე წინასწარ, ნაწილობრივად განსაზღვრავს ყოფის მომენტებს. სასტუმროს მცხოვრების ყოფა განსხვავდება ცალკე „ქალაქ-ბაღის“ სისტემით ნაგები შენობის მცხოვრებისაგან. საერთო საცხოვრებლის ყოფა ვერ მიენგზავსება ზურჭუაზიულ-ინტიმური ბინის ყოფის თავისებურობას. ნაშასადამე, ხუროთმოძღვარმა არ უნდა უცადოს ახალი ყოფის ჩამოყალიბებას. მან უნდა აითვისოს პროლეტარიატის მსოფლშეგრძნობა და ააგოს ისეთი შენობა (ბინა, კლუბი, თეატრი, აბანო, ქარბანა და სხვ.) რაც დაეხმარება ახალი ყოფის ორგანიზაციას. ხუროთმოძღვარი მხოლოდ ამ შემთხვევაში იქცევა ცხოვრების ორგანიზატორად, დაეხმარება სოციალისტური მშენებლობის პროცესს.

პროლეტარული ხუროთმოძღვრების ხელთ არის: ყველა ისტორიული სტილის ტექნიკური გამოცდილება, თანამედროვე მანქანური ტექნიკა, მასალის ახალი სახე, თანამედროვე ეპოქის ახალი ფსიქო-იდეოლოგიური მისწრაფება. ამ მონაცემით მან უნდა დასახოს ახალი მხატვრული ფორმები, ეძებოს ახალი პროლეტარული სტილი.

ხუროთმოძღვრების ფარგალი არ შეიძლება განისაზღვროს საქალაქო მშენებლობით. გარდამავალი პერიოდი, უახლოესი ხანა არ სძობს სოფელს, რო-

<sup>1)</sup> M. Гинзбург. „Стиль и эпоха“, გვ. 139.

<sup>2)</sup> იქვე, გვ. 140.

გორც თავისებურ საშეურნეო ერთეულს. საჭირო ხდება ძიება მსრუტუნის შეგებობათა ახალი სტილის, სოფლათ ტეხნიკისა და თავისებური მასალების გამოყენებით სხვაგვარათ ისახება, ვიდრე ქალაქში. ბუროთმოძღვარისაოვის იქმნება მეტად მრავალმხრივი და მეტად ძნელი ამოცანა სოფლის შენობათა ფორმების შექმნის დარგში.

პროლეტარული სტილი ვერ გაქცევა ნაციონალური სტილის პრობლემის გადაჭრას.

რა არის ერი და რა სახითა სდგას ჩვენთვის ეროვნული ხელოვნების საკითხი? ანხ. ი. სტალინი სწერს: ერი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული მტკიცე მთლიანობა ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების, ფსიქიური წყობის, რომელიც გამოიხატება კულტურის მთლიანობაში<sup>1)</sup>.

ეროვნული კულტურა არის კლასობრივი კულტურა. სტილი ეროვნული ხელოვნების არ უარყოფს კლასობრივ სტილს. ყოველი კულტურა თავისი სოციალური ბუნებით, სოციალური დანიშნულებითა და ფუნქციით კლასობრივი კულტურაა. ამ კლასობრივ კულტურას ახასიათებს ეროვნული სტილი, რამდენათაც „ფსიქოლოგიური წყობა, რომელიც გამოიხატება კულტურის მთლიანობაში“ კულტურას აძლევს გარკვეულ ფორმალურ სტილისტურ იერს.

ანხ. ლენინი სწერდა: ყოველ ნაციონალურ კულტურაში არის ელემენტები დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის, რადგან ყოველ ერში არის მშრომელი და ექსპლოატაციკმნილი მასა, რომლის ცხოვრების პირობები აუცილებლობით ბუნებრივად დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. ამავე დროს ყოველ ერში არის კულტურა ბურჟუაზიული (უმრავლეს შემთხვევაში ჯერ კიდევ შაერაზმულ და კლერიკალური), არის არა მარტო „ელემენტების“ არამედ გაბატონებული კულტურის სახით. ამიტომ „ნაციონალური კულტურა“ არის კულტურა მემამულეების, მღვდლების, ბურჟუაზიის. ავტორი განაგრძობს: ვაყენებთ ლოზუნგს „დემოკრატიზმისა და მსოფლიო მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის“, ჩვენ ყველა ერის ეროვნული კულტურიდან ვიღებთ მხოლოდ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მხოლოდ მას და აუცილებლათ ბურჟუაზიულ კულტურის საწინააღმდეგოთ, ყოველი ერის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საწინააღმდეგოთ. არის ველიკორუსული კულტურა ბუჩიშკევიჩების, გუჩკოვების, ბტრუევის და არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელსაც ახასიათებს სახელები ჩერნიშევსკისა და პლუხანოვის. არას ასეთი ორი კულტურა უკრაინაში ისე როგორც გერმანეთში, საფრანგეთში, ინგლისში ებრაელებში და სხვ.<sup>2)</sup>

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კულტურა გაბატონებულ კლასის კულტურაა. ამ კულტურის ყველა სახენი გამოყენებულა არსებული წყობილების დასაცავათ. ის მიმართულია დამონებულ კლასისადმი იმ მიზნით, ომ ჩააქროს მასში კლასობრივი თვითშეგნების გრძნობა, თავისი ინტერესების გათვალისწინების უნარი. ბურჟუაზია თავის შინაურ საქმეებში „საკუთარ სამშობლოში“

<sup>1)</sup> И. Сталин. „Сборник статей“, № 7, 1920 წ.

<sup>2)</sup> Ленин. „Собрание сочинений“ том X(X), № 40—41.

კულტურას იყენებს ერთი მხრით საკუთარი კომფორტისათვის, მეორე მხრით მუშათა კლასის დამონებისათვის. კოლონიებში, ნახევრად კოლონიებში „ნაციონალური კულტურა გამოდის“ მეტროპოლიის ბატონობის იარაღად, დაპყრობილი ქვეყნების ძალად გადაგვარების საშუალებათ. ბურჟუაზიული კულტურა, კლასობრივი თავისი შინაარსით, თავისი ფორმალური თვისებებით მოცემული ნაციონალური სახით, ვერ გახდა ნამდვილ ეროვნულ, ნაციონალურ კულტურათ. ვიდრე ბურჟუაზიული კულტურის მიზანია ერის უმეტესი უმცირესობის სამსახური, ის ვერ იქცევა ნამდვილ ხალხურ, მასიურ, ეროვნულ კულტურათ—ერის უმეტესობის კულტურულ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საშუალებათ.

გამარჯვებული პროლეტარიატი იღებს არსებული კულტურის დემოკრატიულ-სოციალისტურ ელემენტებს და ჰქმნის ეროვნული კულტურის ალორძინების საფუძვლებს. პროლეტარული კულტურა კლასობრივი კულტურაა. მაგრამ ის ერის უდიდესი უმრავლესობის კულტურული ცხოვრების იარაღია. პროლეტარული კულტურა კლასობრივია და ამავე დროს ეროვნულიც.

ამხ. ი. სტალინი სწერს: ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. ეს სავსებით სწორია. მაგრამ სწორია ისიც, რომ პროლეტარული კულტურა სოციალისტური თავისი შინაარსით იღებს სხვადასხვა ფორმებს თავის გამოხატულებისა სხვადასხვა ერში, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტურ მშენებლობაში, იმის მიხედვით, რომ მათ აქვთ თავისი ენა, ყოფა და სხვ. პროლეტარული თავისი შინაარსით, ნაციონალური ფორმით—ასეთია საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისაკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა არ აფუჭებს ნაციონალურ კულტურას, არამედ, აძლევს მას თავის შინაარსს. და წინააღმდეგ, ნაციონალური კულტურა არ აფუჭებს პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას თავის ფორმას<sup>1)</sup>.

ხელოვნება სოციალურად დეტერმინაციულია ე. ი. ხელოვნება, როგორც შინაარსისა და ფორმის ორგანიზული მთლიანობა ეყარება სოციალ-ეკონომიურ ფაქტორებს და განისაზღვრება ამ ფაქტორთა ზემოქმედებით.

ხელოვნებაში ფორმა ამოვსებულია შინაარსით და შინაარსი მიკრულია ფორმაზე. ამხ. ი. სტალინის დებულება უნდა ვაკებულ იქნეს საერთოდ კულტურის და არა სპეციალურად ხელოვნების ხასიათის განმმარტავ ცნებათ. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ავტორი თავის მაგულაბაში სრულიად არ ხმარობს ხელოვნების ცნებას. ამის მიუხედავად ავტორის ზოგადი დებულების სისწორე ნაწილობრივად დახმარებას გვიწევს ხელოვნების მეტყველების სპეციალურ საკითხთა გარკვევის დროს.

კულტურა საერთოდ და კერძოდ, ხელოვნება ფორმის მიხედვით ნაციონალურია—შინაარსით კი პროლეტარული. ნაციონალური კულტურა აძლევს ფორმას პროლეტარულ კულტურას, პროლეტარული აძლევს ნაციონალურს შინაარსს. ამხ. ი. სტალინის ეს თეზისაზრასი გაგებულ უნდა იქნეს არა იმ მხრით, რომ თითქო არსებობს კულტურის გენეზისის ორი ფაქტორი—ნაციონალური და სოციალური, რომელთა შორის პირველი ფორმას განსაზღვრავს, მეორე კი ში-

1) II. Сталин. „Вопросы Ленинизма“, в. 257—258.

ნაარს, არამედ იმ მხრით, რომ ერთ მონისტურ საფუძველზე, <sup>საქართველოში</sup> ნიადაგზე, იშენება ორი ზედნაწენის ზემოქმედება. ავტორის <sup>საქართველოში</sup> დებულებებში საქმე გვაქვს არა დუალისტურ, არამედ მონისტურ თეალსაზრისთან. ეს თეალსაზრისი გვაყალიბებს უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ ის ზემოქმედება, რომელიც არსებობს ნაციონალურ მომენტსა და სოციალურ მომენტს შორის.

გ. პლექხანოვი სწერს: ყოველი საზოგადოება სცხოვრობს თავის, განსაკუთრებულ ისტორიულ გარემოში, რომელიც შეიძლება და სინამდვილეში იაცხშირად ხდება — მეტად პავადეს ისტორიულ გარემოს, რომელიც აქვს სხვა ხალხებს, მაგრამ ის არასოდეს არ წარმოადგენს სრულ იგივეობას სხვა ხალხის ისტორიულ გარემოსთან. ამას შენაძენს მეტად ძლიერი ელემენტი მრავალფეროვნების საზოგადოებრივი განვითარების იმ პროცესში, რომელიც ჩვენი, წინანდელი, განცხნებული თეალსაზრისით, წარმოდგენილი გვეჩინდა მეტად სქემატიურათ<sup>1)</sup>.

გარკვეული ისტორიული გარემო, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ხალხს და რომლის თავისებურობა ახდენს გავლენას ხალხის ფსიქოლოგიის ყალიბობაზე თავის გამობატულებას კხოვლობს ხელოვნებაში. ნაციონალურა მომენტი ხელოვნებაში ფორმალური ხასიათის მომენტით ხდება ხალხის ისტორიული განვითარების იმ საფეხურზე, როცა უკუგდებულია ეთნოგრაფიულ-ლოკალური კარჩაკეტილობა და ავტორიტურ-კუთხური ტრადიციები. ერი, გამხდარი დიდი კულტურის მიწლებ ერთეულათ, თავისუფლდება ვიწრო ეთნოგრაფიულ-ნაციონალური თემებისაგან. ხელოვნების დარგში მისი შემოქმედება უკავშირდება ფორმალურ მომენტს, გარკვეულ კომპოზიციას, ფერებისა და სინათლის თავისებურ ასახვას, განსაზღვრული რიტმისა და ტემპის, ტონალობის ორგანიზაციას. ხელოვნება თავისი საწყისებით სოციალური გარემოდან გამოდის. ეს გარემო განსაზღვრავს მის შინაარსსა და ფორმასაც, მაგრამ ფორმის გარკვეულ ელფერს, კოლორს, გამომეტყველების განსაზღვრულ თვისებას ნას აძლევს ნაციონალური გარემო. ხელოვნების საწყისები სოციალურ გარემოში მარხია, ხელოვნების ფუნქციაც სოციალურ დანიშნულებას ემსახურება. ორივე შემთხვევაში საზოგადოების გაბატონებული კლასის ფსიქო-იდეოლოგიური საწყარო ახდენს ხელოვნების შინაარსისა და ფორმის როგორც ყალიბობას, ისე იმ რესონანს, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებს აქვს საზოგადოებაში. გ. პლექხანოვი სამართლიანათ სწერს: ფორნა შკიდროთ დაკავშირებულია შინაარსთან<sup>2)</sup>.

ნაციონალური მომენტი ხელოვნების ნაწარმოების ფორმას უმატებს ნაციონალურ თვისებას, მას აძლევს ნაციონალურ გამომეტყველებას.

ერთა ურთიერთობის გაფართოება, ერთა შორის მგზავსი სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა, ახდენს სხვადასხვა ერთა ხელოვნებაში მგზავს მიმართულებათა და ფორმათა აღმოცენებას და ამ ერთი ხელოვნების ურთიერთ-ზეგავლენის გაძლიერებას. საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკათა

<sup>1)</sup> Г. Плеханов. „Собрание сочинений“. тт. 208—210. ტომი VII.

<sup>2)</sup> Г. Плеханов. „Нет. руд. общ. мысли“. тт. 7—8, III г. 1919.



სოციალ-ეკონომიური განვითარება საერთო გზის მისწრაფებაა. ევროპის კულტურა ვიწრო ნაციონალურ-კუთხური ელემენტის შევიწროებისა და ყველა ერთა კულტურული ურთიერთობის გაძლიერების. ამ პროცესით სრულიად არ იზრდება ნაციონალური კულტურის აღორძინების საქმე, წინააღმდეგ, მხოლოდ ეს პროცესი აძლევს ნაციონალურ რესპუბლიკებს ნაციონალური კულტურის უმაღლესი განვითარების საშუალებას. ნაციონალურ შემოქმედებაში გადაშუშავდება ის მასალი, რაც სოციალურ გარემოსა და მესობელ ერთა კულტურას მოაქვთ. ნაციონალური ხელოვნების ტენდენცია იქნება სოციალისტური, მისი გამოეტყველება ნაციონალური. ხელოვნების სხვადასხვა დარგში ეს პროცესი სხვადასხვა სახით მელაენდება. ხელოვნობაში უფრო ვიწრო იქნება ის მოცუვლი, ვიდრე ლიტერატურაში თუ თეატრში, სადაც ენისა და მეტყველების მომენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნაციონალურ რესპუბლიკებში უმთავრესად სამი ხაზით მიმდინარეობს მშენებლობა: ნაციონალური სტილის რესტავრაცია, მისი მოდერნიზაცია და კონსტრუქტიული სტილის დანერგვა. ნაციონალური სტილის რესტავრაცია ვერ უძლებს კრიტიკას. ფეოდალურ-პატრიარქალური კონსტრუქციის შენება, თავის დეკორატიულ-ორნამენტალური დატვირთვებით, ჩვენს სინამდვილეში უდრის სიმდიდრის ბოროტმოქმედულ გაფლანგვას. უკრაინული, ქართული, სომხური და სხვა სტილების „აღორძინება“ არსებითად არის ხელოვნობაში უკიდურესი რეაქცია. ეს რეაქცია გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქმე ვეაქვს არა ნაციონალური სტილის ორგანიზულ ზრდასთან, არამედ მის არქაული ფორმების რესტავრაციასთან. ისტორიული უკუღმართობით, პოლიტიკური მონობის გამო, ნაციონალური სტილის განვითარება შეწყვეტილი იყო მთელი საუკუნის გასწვრივ. ნაციონალური სტილი იყოფებოდა სტატიურ-ნეკომარეობაში. ეხლა, როცა მექანიკურად უბრუნდებით ნაციონალურ სტილს, არსებითად ვაკოცხლებთ ნაციონალური სტილის ფეოდალურ სახეს. სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში ფეოდალიზმის დამკვიდრება ხელოვნობაში წარმოადგენს რეაქციონერ ფაქტს.

ნაციონალური სტილის მოდერნიზაცია იწვევს ხელოვნობების დეალიზმს. შენობა მოცემულია თავის შინაგანი წყობით თანამედროვე ტექნიკისა და დანიშნულების მიხედვით, შენობის ფორმა კი მორთულია ძველი ნაციონალური ორნამენტაციის თავისებური გადაშუშავებით. ეს აშკარა წინააღმდეგობა, შენობის შინაარსსა და ფორმას შორის, ჰქმნის კიდევ უფრო ნეტ რეგრესიულ მისწრაფებას, ვიდრე ნაციონალური სტილის რესტავრაცია. რესტავრაციით იქმნება მთლიანი სტილი, სტილი რეაქციონერი, ფეოდალური, მაგრამ მთლიანი, გარკვეულ დეკონსტრუქტიული სტილის ნიმუში. მოდერნიზაციის დროს ხელოვნობების დეალიზმი იწვევს არა მარტო შენობის უტილიტარული მხარის შემცირებასა და თავისუფალი ორნამენტაციის ძიებას ნაციონალური სტილის, ვარიაციით, არამედ გაუმართლებელ ეკლექტიზმს. შენობის სტრუქტურა და მასალა, შენობის ტექნიკა და ნაგებობის დანიშნულება მოითხოვს გარკვეულ სტილს შინაარსი ჰარმონიის გარკვეულ ფორმას. მოდერნიზაციის დროს ფორმა ძალათ ეხვევა თავზე შინაარსს, როგორც უცხო, არა შესაფერი ტანსაცმელი.

კონსტრუქტიული ნაგებობის დამკვიდრება, აღნიშნულ ფუნქციონალურ-შედა-რებით, წარმოადგენს პროგრესულ მოვლენას, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობის განკუთვნილ კონსტრუქტიულ სქემებს, შეუფარდებულს ქვეყნის კლიმატიურ ყოფითი მხარესა და მასალისა და ტექნიკის თვისებებთან. სამხრეთის მცხუნარე მზის სხივებში როცა აგურისაგან შენდება რკინა-ბეტონის სტილის კონსტრუქტიული ნაგებობა, ფართო ფუნქციონალური მისწრაფებით, ის იქცევა კონსტრუქტიულ სტილის ძიებათა ფუნქციონალობისა და ტექტონიურობის უარყოფის ნიადაგზე, ე. ი. კონსტრუქტივისის უარყოფათ. სამხრეთის ქალაქები, ცენტრალური გათბობის არ მქონე ზამთარში, და სიცხის ბუღში გახვეული ზაფხულში. „კონსტრუქტიული სტილის“ ფართო ფანჯრიანი შენობებით, წარმოადგენენ ზამთარში ცივსა და ზაფხულში ცხელ სადგომებს. აგურით აგება რკინა-ბეტონის სტილის შენობის იწვევს რკინის თაღებისათვის მასალის არა ეკონომიურ ხარჯებს. ის, რაც განვითარებული ტექნიკისა და ახალი მასალის პირობებში, გარკვეული კლიმატიური გარემოს დროს, წარმოადგენს პროგრესულ მოვლენას სამხრეთის ქალაქებში იქცევა რეგრესიულათ. ასეთ პირობებში კონსტრუქტივისში ველარ აქმაყოფილებს ვერც კლიმატიური პირობების მოთხოვნილებას, ვერც მასალის ეკონომიის მიზნებს, ვერც ფუნქციონალური დანიშნულების ამოცანებს, ე. ი. ის იქცევა საკუთარი თავის უარყოფელ მოვლენათ.

სად არის გამოსავალი? როგორი ვხვით უნდა ვითარდებოდეს ნაციონალური ხუროთმოძღვრება? ვიწრო ნაციონალური სტილი, როგორც სპეციფიური ლოკალური ფენომენი, შეუძლებელია გარდაამავალ პერიოდის ხუროთმოძღვრებაში. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრება არ წარმოადგენს ნაციონალური სტილის ნაწარმოებს. ის სხვაობა, რომელსაც ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნის კონსტრუქტიულ ხუროთმოძღვრების შორის, უფრო სოციალური ხასიათისაა, ვიდრე ნაციონალურის. ამერიკის სრა-სასახლენი უპირველესად ემსახურებიან არა ამერიკის ეროვნულ სტილს (საკითხავია—არსებობს კი ამერიკის სტილი?), არამედ იმ ფინანსიური და კომერციული დაწესებულებების ინტერესებს, რომელთათვის იქმნება ეს ნაგებობანი. გერმანეთში საწარმოო კაპიტალიზმის ჩქარი განვითარება ჰქმნიდა კონსტრუქტიული ნაგებობის გავრცელებას სპეციალურათ სამეურნეო-საწარმოო ერთეულებისათვის. პოლანდიაში კონსტრუქტიულმა ხუროთმოძღვრებამ უპირველესად სამსახური გაუწია საბინაო მშენებლობას, რაც გამოწვეული იყო ომის დროს მისი ნეიტრალობის წყალობით, საწარმოო ცენტრებში მუშა ხელის დიდი დაგროვებითა და მოსახლეობის ორგანიული ახრით. საფრანგეთის მშენებლობაში კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრება ემსახურება პატარა სახლების მშენებლობას. ის ეფუძება იმ თავისებურობას, რომელსაც ჰქმნის ადგილობრივი სამეურნეო-სოციალური პირობები.

ეს სხვაობა სოციალურ-ეკონომიური ხასიათისაა და არა ეროვნულის. სივრცის ორგანიზაციის ფორმების მხრით, ხუროთმოძღვრული მხატვრული შემოქმედების თავისებურობის თვალსაზრისით, შეუძლებელია ვიპოვოთ ნაციონალური სტილი ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის, პოლანდიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების კონსტრუქტიულ ნაგებობათა შორის. მანქანას სამშობლო არა



აქვს. მანქანის კონსტრუქცია და ფორმა ნაციონალურ თავისებურებას ვერ ჩილება. მანქანამ იცის მხოლოდ გარკვეული წყობა თავის მექანიზმის გარკვეული დანიშნულებისათვის: კონსტრუქტიული ხუროთმოძღვრების გამოსავალი წერტილი მანქანური წარმოებაა, მისი იდეოლოგიური გარესენელი ინდუსტრიალური საზოგადოების ფსიქოლოგიაა. ამდენათვე ის ნაციონალურ თავისებურობათა გამოკვეთას უყურადღებოთ სტოკებს.

პროფ. გერვიცი სწერს: თლილი ჭეა უარს ამბობს ახალი ქალაქის სამსახურზე, აგური ხდება უნდო. რკინა და რკინა-ბეტონის პირველი გაუმბედავი ნაბიჯები სისწრაფით ვითარდებიან და იპურობენ საკუთარი ძლიერების გრძობას. ისინი უზრუნველყოფენ ახალ ფორმათა ვრცელდებრივ გამოვლენას, ახალ სასიცოცხლო პროცესებში. ისინი გვიკარნახებენ კონსტრუქციის ახალ წესებს, აძლევენ გარკვეულ მიმართულებას ხუროთმოძღვრულ ფორმათა ყალიბობას. ჩვენს წინ არის ახალი ძლიერი სტილის ყველა მომენტები: ახალი ამოცანები, ახალი მასალა, ახალი იდეოლოგია.

უკიდურესი ზუსტი შეფარდება შენობის ყოველი ეტაპის მის დანიშნულებასთან ხდება აუცილებელ ლოზუნგათ. შენობა იღებს კოლოსალური აპარატის, უდიდესი მანქანის ფორმას, რომლის ყოველი ნაწილის გარკვეულ ფუნქციონალურ დანიშნულებას შეფარდება დამახასიათებელი ვრცელუბობითა ფორმა. ასეთ შენობებში ჰქრება საზღვარი ნაგებობის ხუროთმოძღვრულ ფორმებსა და მანქანათა მექანიურ ფორმებს შორის<sup>1)</sup>.

ხუროთმოძღვრების ფორმებსა და მანქანის ფორმებს შორის თუ განსხვავება ჰქრება, შეუძლებელია ლაპარაკი არა თუ ნაციონალურ სტილზე ხუროთმოძღვრებაში, არამედ თვით ხუროთმოძღვრებაზე, როგორც ხელოვნებაზე. არაებითად სინამდვილე სხვა სურათს იძლევა. იქნება სილამაზის ახალი სახე. ის, რაც ტენიკისა და ურბანიზმის გაელენის ქვეშ იწყობებოდა—ტყელი, ბურჭუაზიული ესთეტიკისათვის არ წარმოადგენდა სილამაზეს. სილამაზეს უნდა ჰქონოდა „უსარგებლო“, „უმინო“ თვისება. დღეს სარგებლიანობა და მიზანშეწონილება, დამყარებული ტენიკის უკიდურესს მიღწევებზე, ჰქმნის სილამაზის ახალ სახეებს, ხელოვნების ახალ მიღწევებს. სასარგებლოსა და სილამაზის საკითხი ყველგ სდგება ესთეტიკის წინაშე. ჩვენ ზემოთ ავლიწნეთ, რომ იქნება სილამაზის ახალი სახე ტენოლოგიის ნიადაგზე. საკითხავია ეს სილამაზე არის თუ არა მხატვრული სილამაზე? ხუროთმოძღვრება დამყარებული გეომეტრიზმის, კონსტრუქტივიზმისა და ტენოლოგიის ნიადაგზე წარმოადგენს თუ არა მხატვრულ მოვლენას?

სილამაზის ცნება უფრო ფართოა ხელოვნების ცნებაზე. ყოველი ხილამაზე არ შედის ხელოვნების სფეროში. სილამაზე მოცემული ბუნებაში, თვით ბუნების მრავალფეროვანი სილამაზე, სილამაზე მოცემული მეცნიერულ-ტენიკური მიღწევებით, სილამაზე ინსტრუმენტების, მექანიკური აპარატების, მანქანების ვერ მიეკუთვნება ხელოვნების სფეროს. საგანი ხდება მხატვრულ მოვლენა-

<sup>1)</sup> Проф. А. Г. Гервид—„Архитектурные формы и композиция здания“.

ნათ, როცა მას დაერთვის თვისება ემოციონალობის, მეტყველების, რომელიც იქმნება მხატვრული შემოქმედების გზით. თანამედროვე ხუროთმოძღვრება ამერიკული კონსტრუქტივიზმის გავებით, წარმოადგენს სინამდვილის და არა ხელოვნების სილაშაზეს.

ხელოვნების სპეციფიკური — მარქსისტული ხელოვნების მეტყველების თვალსაზრისით — მდგომარეობს ხელოვნების ზეუტილიტარულ ინტერესში მხატვრული ფაქტის ამთავებლისა და მისი შემოქმედის მხრივ. ეს პრინციპიალური დებულება ერთსა და იმავე დროს ზეუტილიტარულიც არის და უტილიტარულიც. ხელოვანისა და ამთავებელის ესთეტიური განცდა „უანგარო“ განცდაა, მაგრამ თვით ეს ესთეტიური განცდა, როგორც ადამიანის ფსიქიკის ყალიბობის ერთ-ერთი ელემენტი, როგორც სოციალური ფუნქცია, სოციალური დანიშნულების მქონეა. მხატვრულ ფაქტს არა აქვს ინდივიდუალურ პრაქტიკულ-უტილიტარული დანიშნულება (გამოყენებითი ხელოვნების გამოკლებით), მაგრამ მისი სოციალ-უტილიტარული დანიშნულება დაეის გარეშე სდგას.

უტილიტარიზმის პრობლემა მარქსისტულ ხელოვნებათმეტყველებაში არ სწყდება იმ სიადვილით, როგორც მას წარმოადგენენ ეგ. წოდ. ზემატერიალისტები: ლუი შერტენი, ადოლფ ბენე, არფატაუცი, ვინსტურვი, ჟანარე, ოფენზანი, შმიტი, იოფე, და სხვ. ამხ. ი. მაცა სამართლიანათ სწერს: ზემატერიალისტება უარყოფენ ფსიქიურ ფაქტორებსა და მათ მნიშვნელობას და არ არკვევენ მათ ისე, როგორც ეს საჭიროა. ისინი უარყოფენ მხატვრული ნაწარმოების შინაარს (ლიუ ბარტენი), ან ავიწროებენ მას ბიო-მექანიურ კანონმდებ (ა. ბენე), ან იღებენ სუბიექტიური შინაარსის შესაძლებლობას საგნების მიმართ წვენი დამოკიდებულების ფორმის სახით, მაგრამ უარყოფენ ობიექტიური შინაარსის შესაძლებლობას (იოფე), ან შინაარსათ იღებენ მხოლოდ საგნისა და მასალის ვიწრო უტილიტარულ ფუნქციას (კონსტრუქტივისტი). ყველა ისინი ერთნაირად ერთმანეთს იმაში, რომ მათი წარმოდგენით მხატვრული ნაწარმოები არის „ნივთი“, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ყოფის ნივთისაგან; მასასადაიშე განიხილავენ ხელოვნებას, როგორც ნივთების წარმოებას<sup>1)</sup>.

ავტორი სამართლიანათ უარყოფს ასეთ ზემატერიალისტურ უტილიტარიზმს, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის ვულგარიზაციას, მარქსიზმის შეცვლას ვულგარული მექანიური მატერიალიზმით. გ. პლენანოვი უტილიტარიზმის საკითხს ხელოვნებაში უკავშირებდა არა კონკრეტ ინდივიდის ვიწრო უტილიტარულ-პრაქტიკულ თვალსაზრისს, არამედ საზოგადოების, კლასის სარგებლიანობას, როგორც სოციალური ერთეულის მოთხოვნილებათა ჯამს. ის სწერს: არა სილაშაზისათვის ადამიანი, არამედ სილაშაზე ადამიანისათვის. ეს კი არის უტილიტარიზმი, გაგებული ნამდვილი, ღრმა მნიშვნელობით, ე. ი. არა კერძო ადამიანის სარგებლობის, არამედ მთელი საზოგადოების: ტომის, გვარის, კლასის სარგებლობის მიზნით. მსჯელობა გემოვნების შესახებ აუცილებლათ მგულდისხმობს ინდივიდისაგან, რომელის გამოთქმამ

<sup>1)</sup> „Вестник Коммунистической Академии“. 1928 წ. № 25. „К вопросу марксистской постановки проблемы стиля“. გვ. 97-98.

ამ გეგმვებზე, ყოველგვარ უტილიტარულ მნიშვნელობაზე უარყოფს<sup>1)</sup>.

უტილიტარისმის პრობლემა, როდესაც ასე ფართოდ და ღრმად იქმნება გაგებულნი, მხოლოდ მაშინ ხდება ის მნიშვნელობის მქონე ახალი სტილის ყალიბობის პროცესში. პროლეტარულ ხერხით მოძღვრების მიზანს შეადგენს არა მარტო კერძო, ვიწრო უტილიტარული ამოცანა-შენობის მიზანშეწონილი შეფარდება მის სპეციალურ დანიშნულებასთან, არამედ ისეთი მსოფლშეგრძნობის მხატვრული ასახვა, რომელიც ხელოვნებას აქცევს მასების ორგანიზაციის ემოციონალურ იარაღად.

საერთოდ, ამ სიბრტყეზე ისმის საკითხი მთელი ახალი ხელოვნების რაობის შესახებ. ვიწრო უტილიტარისტული თვალსაზრისი ზემატერიალისტების, „ლევის“, „ფაქტის ხელოვნების“ თეორეტიკოსების მიუღებელი ხდება, რადგან პროლეტარული მსოფლშეგრძნობის, კომუნისტური ფსიქო-იდეოლოგიის ნაცვლად ისინი იძლევიან ვიწრო პრაქტიკულ უტილიტარისტულ კონცეპციას. ეს უკანასკნელი კი ისე გამოსადეგია პრაქტიკულიათვის, როგორც ყოველა კლასისათვის. კონკრეტი სარგებლიანობა იდეოლოგიურ მნიშვნელობის გარეშე სდვას.

ხერხითმოძღვრება თუ მხოლოდ ვიწრო პრაქტიკულ-უტილიტარულ მიზნებს ემსახურება, ის იქცევა გამოყენებითი ხელოვნების ვიწრო წრეში, მისი ემოციონალურ-მხატვრული გამოხატულება მცირდება. ხერხითმოძღვრება თუ მანქანის სიმარტივემდე და პრაქტიკის მანქანამოვლად, მისი მხატვრული ღირებულება იკარგება. ის ვეღარ მანქანის მხატვრულ სტილს, როგორც კლასის ფსიქო-იდეოლოგიურ მისწრაფებას, მის მსოფლშეგრძნობას. კონსტრუქტიულმა ხერხითმოძღვრებამ უნდა გაარღვიოს თავისი რკალი, რომ იქცეს მხატვრულ მოვლენად. პროლეტარული ხერხითმოძღვრება, როგორც უდიდესი იდეოლოგიის მხატვრული განსახება მშრალი გეომეტრიზმით თავისი სტილს ვერ მანახავს. პროლეტარულმა ხერხითმოძღვრებამ უნდა გაარღვიოს კონსტრუქტივიზმის მანქანური სქემატიზმი და უნდა მონახოს პროლეტარიატის მსოფლშეგრძნობის მხატვრული ხერხითმოძღვრული ფორმები; პროლეტარული ხერხითმოძღვრება, ქცეული მხატვრულ მოვლენად შეინარჩუნებს ნაციონალურ სტილსაც. ხერხითმოძღვრულ ფორმათა ძიებაში გამოისახება პროლეტარულ-ნაციონალური ტენდენცია. კლიმატიურ-გეოგრაფიული პირობები ერთი მხრით, ყოფა-ცხოვრებისა და ნაციონალური კოლორის ელემენტები მეორე მხრით, იპოვის თავის გამოხატულებას ახალ ხერხითმოძღვრებაში. კლიმატიურ-გეოგრაფიული პირობები სტატისტიკური მოწინააღმდეგეობისა და ნაციონალური კოლორის ელემენტები დინამიური. გარდამავალ პერიოდში მთელი სულიერ-მხატვრული კულტურის ძირითადი გარდაქმნა მანქანის ნაციონალური ფსიქოლოგიის, ყოფა-ცხოვრების, ნაციონალური კოლორის გარდაქმნას. ერის საფუძვლად იტყვევებს ერის უმრავლესობა მუშათა და გლეხთა მასები; ამ უმრავ-

<sup>1)</sup> Г. Паеханов. „Сочинения“. т. XIV. „Фрацузская драматическая литература“ 25. 118—119.

ლესობის ბრძოლა საზოგადოებრივი გარდაქმნისათვის არის გარდაქმნის პროცესი არა მარტო ობიექტიური სამყაროს, არამედ სუბიექტიური ცხოვრებისაც. პროლეტარიატი ახალი სოციალური ურთიერთობის უაღბობის პროცესში თვით იცვლება თავის ფსიქო-იდეოლოგიურ კონტექსტში, ჰკარგავს გარკვეულ ტრადიციებს, წასული ცხოვრების ნაშთებს, იძენს ახალი ყოფის თვისებებს, მომავალი ცხოვრების წინამძღვრებს. ეს პროცესი მიმდინარეობს საერთო კლასობრივი შინაარსით, მაგრამ ნაციონალურ-ლოკალური ჩარისობით, ფორმებით. ამის შედეგი იქნება ახალი ნაციონალური პროლეტარული სტილის ჩამოყალიბება. ის ვერ იქნება ძველი ნაციონალური სტილის რესტავრაცია, ან მოდერნიზაცია. ორივე ტენდენცია რეაქციონური ბუნებისაა, ორივე ტენდენცია რეგრესიულია როგორც იდეოლოგიურად, ისე ტექნიკურად. ეს ტენდენცია განწირულია სასოკდით. თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა, მოსწრაფება მასში ვერ პპოვენს თავის გამოხატულებას. ნაციონალურ სტილთა რესტავრაცია, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში, სომხეთში, უკრაინაში და სხვ. ნაციონალურ რესპუბლიკებში წარმოადგენს საბჭოთა ხუროთმოძღვრების უდიდეს მარცხს. ხუროთმოძღვართა გონებრივი სიფიჭროვე ნაციონალურ სტილს ხედავს ფეოდალური კოშკებისა და ტაძრების ნანგრევებში. ღარიბი მხატვრული ფანტაზია კმაყოფილდება რესტავრაციით, რადგან ორიგინალური ძიების ძალღონე მას არ შესწევს. ამ ტენდენციას უნდა ვებრძოდეთ არა კონსტრუქტივიზმის ადმინისტრაციული დაკანონებით, არამედ მისი ძირითადი პრინციპების გამოყენებით ნაციონალური ფორმების ძიებისათვის. ეს ამოცანა რთულია და ძნელი. ადვილია კონსტრუქტიული სტილის დამკვიდრება, ადვილია თუნდა მაშინაც, როცა რკინა-ბეტონის ნაკვალავი ავტორია ჩვენს განკარგულებაში, მანქანური წარმოების მაგივრად კალატონის ხელია მომარჯვებული. ასეთ პირობებში „კონსტრუქტიული სტილი“ ჰკარგავს თავის ძირითად პრინციპებს—ფუნქციონალიზმსა, უტილიტარიზმს და ეკონომიზმს. ასეთი მშენებლობა არის არა კონსტრუქტიული სტილის დამკვიდრება, არამედ კონსტრუქტივისტული ფასადებისადმი ავადმყოფური მისწრაფება. ეს არსებითად არღვევს კონსტრუქტივიზმს და იქცევა დეკორატიულ სტილად, თუმცა ის ატარებს კონსტრუქტიულ ფორმას. ამ ხუროთმოძღვრების დეალიზში—შეუფარდებლობა შინაარსისა და ფორმის, მთელი სიმკაცრით იჩენს თავს. მასალა—ქვა და აგური—მოითხოვს გარკვეულ ტექნიკურ ფორმას, ხუროთმოძღვარი მას თავზე იხვევს „კონსტრუქტიულ სტილს“, რკინა-ბეტონის ფორმებს. ეს მოვლენა ისეთივე რეგრესიულია, როგორც ძველი ნაციონალური სტილის რესტავრაცია, სოციალისტური სამყაროსაკენ ფეოდალური კოშკებით მოგზაურობა.

სტილი, როგორც ფორმალური ხერხების გარკვეული სისტემა, დამყარებული განსაზღვრულ მსოფლმეგობრობაზე, იქნება კლასის ფსიქო-იდეოლოგიური სწრაფებით. პროლეტარიატის იდეოლოგია მატერიალისტურია, მისი ფსიქოლოგია „პრაქტიკულ იდეალიზმის“ სამყაროა. მატერიალისტური დიალექტიკა პროლეტარიატს საშუალებას აძლევს შეისწავლოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოძრაობის, განვითარების კანონები და თავისი ნებისყოფა მიმართოს ქვეყნის

გარდასაქმნელათ, ფილოსოფოსები ბევრს მუშაობდნენ მსოფლიო კაცობრივად. მარქსიზმში ახსნა მსოფლიოს განვითარების კანონები და დასაბამისი გარდაქმნის გზებიც. გარდამავალი პერიოდი წარმოადგენს ისეთ ისტორიულ ხანას, როცა პროლეტარიატი იმყოფება სოციალური ცხოვრების გარდაქმნის პროცესში, რაც უდრის თვით პროლეტარიატის გარდაქმნასაც, ისეთ რთულ ისტორიულ ეპოქას აქვს თავისებური მნიშვნელობა სტილის დამკვიდრებაში. პროლეტარიატის მსოფლშეგრძნება წარმოადგენს იმ რეზერვუარს, საიდანაც უნდა წარმოიშვას პროლეტარული სტილი. პროლეტარული მსოფლშეგრძნება თვით იმყოფება ცვალებადობის პროცესში, რამდენადაც პროლეტარიატის ისტორიული როლი გარდამავალი პერიოდის გასწვრივ, მდგომარეობს გადასვლაში კლასობრივი საზოგადოებიდან უკლასო საზოგადოებაში. ამავე დროს, გარდამავალი პერიოდი, როგორც გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის ხანა, იწვევს მოწინააღმდეგე კლასთა ენერჯის ამოძრავებას თავის არსებობის შესანარჩუნებლათ. კლასთა ბრძოლის სიმწვავე ჰქმნის სტილთა ბრძოლის სიმწვავეს. სტილი, როგორც განსაზღვრული მსოფლშეგრძნობა, ემყარება კლასს, როგორც სოციალურ უჯრედს გარკვეული ფსიქო-იდეოლოგიის მატარებელს. კლასთა ბრძოლის გამოხატულება ხელოვნებაში სტილთა ბრძოლაში იჩენს თავს. მართალია, მხატვრული სტილით განირჩევა არა მარტო სხვადასხვა კლასი ერთმანეთისაგან, არამედ ერთი და იგივე კლასიც—ე. ი. ერთ კლასს შეიძლება ექნეს მრავალი მხატვრული სტილი. ამით არ არის უარყოფილი სტილის კლასობრივი ხასიათი. ერთი და იგივე კლასის განვითარების სხვადასხვა ეტაპები ჰქმნის სხვადასხვა მხატვრულ-სტილისტურ ფაქტებს, ისე როგორც ერთი და იგივე კლასის სხვადასხვა სოციალური ფენები ერთსა და იმავე დროს საუფუძველი ხდება სხვადასხვა სტილის შექმნისათვის. სტილი, შექმნილი კლასის ევოლიუციის სხვადასხვა საფეხურზე, ან დამაყარებელი ერთი და იმავე კლასის სხვადასხვა სოციალურ ფენაზე, თავსდება იმ მთლიან კლასობრივ სტილში, რომელიც აქვს მოცემულ საზოგადოებას. ბურჟუაზიული ხელოვნების განვითარება უტყუარათ იმტკიცებს ამ დებულებას. ხელოვნების ცნობილი ისტორიკოსი პროფ. ვიორმანი სამართლიანათ აღნიშნავს, რომ ევროპის ხელოვნებაში მიმართულებათა ცვლას მე-16 საუკუნიდან მე-19 საუკუნის დამლგვამდე ხელოვნების ისტორია მიკუთვნებს მალალ რენესანსს, გვიან რენესანსს, მაროკოს, როკოკოს, კლასიციზმს, ეკლექტიზმს, რეალიზმს, ნატურალიზმს და იმპრესიონიზმს.<sup>1)</sup> ყველა ეს მიმართულებანი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიერ განიხილება, როგორც გარკვეული სტილისტური მოვლენები ერთსა და იმავე კლასობრივ საზოგადოებაში. დაწყებული მე-16 საუკუნიდან, ვიდრე დღემდე ბურჟუაზიულმა ხელოვნებამ განვლო თავისი განვითარების სხვადასხვა სტილი. მეოცე საუკუნეში სტილთა ცვლა, მიმართულებათა ჭიდილი მთელი სიმძაფრით განვითარდა. იმპრესიონიზმით თუ დასრულდა მე-19 საუკუნე, მე-20 საუკუნემ მოგვცა დიდი მრავალფეროვნება დაწყებული ექსპრესიონიზმითა და დასრულებული ფუტურზიზმით, ნეო-კლასიციზმითა და ეკლექტიზმის ტენდენციებით.

<sup>1)</sup> Проф. К. Верман. „История искусств всех времен и народов“. ტომი III. გვ. 1. გვ. „მნათობი“ № 10.

ყველა ამ მიმართულებაში, როგორც სტილისტურ მოვლენებში, ვინაიდან ნებულია ერთი კლასობრივი ფსიქო-იდეოლოგიური მისწრაფება, სტილის ცვლა, როგორც ბარომეტრი კლასის მსოფლშეგრძნობის ცვალებადობის, ყოველთვის ამკლავებს ერთსა და იმავე კლასობრივი ფსიქოლოგიის სხვადასხვა მხარეს, ან სხვადასხვა მომენტს. სტილში ძირითადი გადატეხა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კლასობრივი ფსიქოლოგია იცვლება, როდესაც ახალი კლასის მსოფლშეგრძნობა მოითხოვს ახალი სტილის ყალიბობის პროცესს.

დღევანდელი დღე იმ მომენტს წარმოადგენს, როდესაც როგორც ახალი ადამიანის ისე ახალი ხელოვნების სტილი ობიექტიურ აუცილებლობით იკაფავს გზას. ყოფილ ადამიანთა ტიპები, ძველ განცდათა და მისწრაფებათა კომპლექსები, ტრადიციით გადმოსული ახალ ადამიანში, ჩქარი სისწრაფით აღვილს უთმობს ახალ მსოფლშეგრძნობას, ახალ ყოფას. ამ ობიექტიურ პროცესს მოაქვს ახალი მხატვრული სტილის ძირითადი ტენდენციები.

კ. მარქსი ამბობდა: ბერძნული ხელოვნება ჰგულისხმობს ბერძნულ მითოლოგიას (1). ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: პროლეტარული სტილი, რაშიააც არ უნდა გამომეტყველდეს ის—ხუროთმოძღვრებაში, თუ ლიტერატურაში, მხატვრობაში თუ კინო ხელოვნებაში, ჰგულისხმობს კომუნისტურ იდეოლოგიას, კოლექტივისტურ-კომუნისტურ მსოფლშეგრძნობას.

ბერძნული მითოლოგიის საფუძველზე თუ წარმოიშვნენ ისეთი გენიები, როგორც ფიდიუსი, მირონი, პოლიკლეტი, პრაქსიტელი და სხვ., კომუნისტური მსოფლშედეგობა ჰქმნის ყოველგვარ პირობებს საზოგადოებაში მოცემული მთელი შემოქმედებითი ნიჭის გაშლისათვის, რაც მოგვეცემს ჯერ არ ნახულ მხატვრულ შესაძლებლობათა განაღდებას. ყოველი თაობა ბიოლოგიურათ დაახლოვებით ნიჭიერების ერთგვარ რაოდენობას ატარებს, სოციოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავენ როგორც მოცემულ ნიჭიერების გამოყენების პროცენტს, ისე ამ ნიჭიერებათა შემოქმედების სტილისტურ ფორმებს.

კომუნისტური წყობილება პირველად ჰქმნის ნიჭიერების მთელი ჯამის გამოყენების საშუალებასა და უმაღლესი მხატვრული სტილის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელშიაც მოცემული იქნება მთელი საზოგადოების მსოფლშეგრძნობა.

ჩვენ შორს წავედით. ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს დასაძლევნი, ვიდრე კომუნისტური საზოგადოების სტილის პრობლემას მივიღწევდეთ. გარდამავალ პერიოდში პროლეტარული სტილის საკითხი არის კლასობრივი ბრძოლის ძირითადი მომენტი ხელოვნების დარგში. ამ მომენტის გათვალისწინება შესაძლოა ხელოვნების ყოველ დარგში პროლეტარული სტილის ვარკვევის გზით. ხელოვნების სხვადასხვა დარგში სხვადასხვა სახით სდგას, როგორც საფუძველი—გონიერების, ისე ზედნაშენების—იდეოლოგიური ფორმების ურთიერთი გავლენის საკითხი რაც ახდენს სტილის მორფოლოგიას. ამ სირთულეს ერთვის ხელოვნების სხვადასხვა დარგის სტილთა მეტი თუ ნაკლები კონსერვატიული ბუნება, რაც ჰქმნის პროლეტარული სტილის ყალიბობის პროცესის თავისებურობას.

1) К. Маркс. „К критике политической экономии“. стр. 82-83. გამოც. 1920.



## მასალა ეგნატ ნინოშვილის ბიოგრაფიისათვის

### 3. ეგნატ ნინოშვილის ავტობიოგრაფია და კმაყოფილება<sup>1)</sup>

როგორც უკანასკნელ დროს აღმოჩენილ ცნობებიდან ირკვევა, ე. ნინო-შვილს დარჩენილი დიდძალი ხელნაწერები, ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტები და მიწერ-მოწერები სხვადასხვა პირებთან. „კვალში“ ეკითხულობთ:

„ეგნატე ნინოშვილს დარჩა მრავალი ხელნაწერები; ამათში უმთავრესათ დაუსრულებელი მოთხრობები და სურათებია. დასრულებულია თხი: „სოფლის გმირები“, რომელსაც მეორე სახელათ „პატარა სურათი“ აწერია, და ერთი დიდი ისტორიული რომანი „სამწებარო შედევი“. ყველა ეს ჩვენ იმდენათ საინტერესათ მოგვანია, რომ გადავწყვიტეთ „კვალში“ დავბეჭდოთ“<sup>2)</sup>.

მართლაც, 1901 წლიდან შეუდგნენ „კვალში“ ეგ. ნინოშვილის დაუბეჭდავი მოთხრობების ბეჭედას. 1901 წ. გამოაქვეყნეს „სოფლის გმირები“ (№ 5), „ცოლი და ქმარი“ (№ 6, 7, 8, 9, 10 და შემდეგი). 1902 წ. დაიბეჭდა ნაწილი ისტორიული რომანისა „სამწებარო შედევი“. 1901 წ. უცდიათ გამოქვეყნებათ ერთი მისი პუბლიცისტური წერილი: „საბაასო“, მაგრამ ეს წერილი ცენზურას არ გაუშვია. როგორც ვიცით, ბევრათ ადრე, 1894-95 წ. გ. წერეთელმა გამოაქვეყნა „პატარა“.

რასაკვირველია, ეგ. ნინოშვილის ხელნაწერები აქ აღნიშნული დაბეჭდილი თხზულებებით არ ამოიწურებოდა. სხვა დოკუმენტებიდანაც სჩანს, რომ მას უფრო მეტი ხელნაწერები ჰქონია, ვინემ ეს გამოაქვეყნა 1901 წლიდან „კვალში“. მაგ., გ. წერეთლის მიერ დაწერილ ეგნატეს ბიოგრაფიიდან ჩვენ ვიცით, რომ მას ჰქონია დაუშთავრებელი მოთხრობა ბათუმის მუსეათა ცხოვრებიდან. ამ დაუშთავრებელ მოთხრობიდან გ. წერეთელმა მხოლოდ პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო ციტატა მოიყვანა ეგნატეს ბიოგრაფიაში. გარდა ამისა, ეგნატეს კერძო წერილებიდან 1893-94 წლებში „კვალის“ რედაქციისადმი,—გ. წერეთლისა და ან. წერეთლისადმი,—ჩვენ ვტყობილობთ, რომ მას 1893 წელს ვრცელი პუბლიცისტური წერილი დაუწერია შემდეგი სათაურით: „ძველი თუ ახალი“, რომელიც პუბლისა და მეველეს წინააღმდეგ უოფილა მიმართული. ამ წერილს იხსენიებს პუბლიცისტი ა. ნა—ლი (ა. ნანვიშვილი) ერთს თავის პოლემიკურ წერილში. ეგნატ რა იგი ეგ. ნინოშვილს, სწერს: „... ნინო-

<sup>1)</sup> იხ. „მნათობი“ № 8-9.

<sup>2)</sup> იხ. „კვალში“ № 5 გვ. 78, 1901 წ.

შვილს რამოდენიმე პოლემიკური წერილები დაუბეჭდია და ერთი პარტიული პუბლიცისტიკური წერილი დაუტოვებია, რომელიც ჯერ-ჯერობით დაბეჭდილი არ არის<sup>1)</sup>. ეგ. ნინოშვილის ახლად აღმოჩენილი კერძო წერილების მიხედვით უკვე ნათელი არის, თუ რისთვის არ დაიბეჭდა 1893-94 წლებში მისი პუბლიცისტიკური წერილი „კვალში“. გ. წერეთელს არ მოსწონდა ამ წერილის შინაარსი და ამიტომ გაურბოდა მის დაბეჭდას. სამწუხაროთ ეს წერილი ჯერჯერობით არსად სჩანს. ხოლო ეგნატეს უკანასკნელი ხანების აზროვნების შესასწავლად ამ წერილს შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამ მასალებისა, იმავე გ. წერეთლის მიერ 1895 წ. დაწერილ ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ ეგნატეს ძქონია „დღიური“, საიდანაც მოყავდა გ. წერეთელს ცნობები ეგნატეს ცხოვრების შესახებ<sup>2)</sup>. შემდეგში ეგნატეს ბიოგრაფები არა ერთხელ უთითებდნენ ამ „დღიურზე“ ან „უბის წიგნზე“, მაგრამ არ სჩანდა დაბეჭდილი იყო ეს დღიური, თუ ხელნაწერით სარგებლობდნენ. უმეტესობა გ. წერეთლის მოყვანილი ციტატებით სარგებლობდა, ხოლო თვითონ დღიური მათ არ ენახათ. ეგ. ნინოშვილის სრული ნაწერების საშს გამოცემაშიაც (ქ. თაყაიშვილის 1904 წ. წერა-კითხვის საზოგადოების—1920 წ., სახელგამის 1924 წ.) ეს დღიური არ ყოფილა დაბეჭდილი. ცხადია, ეს დიდი დანაკლისი იყო ყოველის მხრივ. საკუთარი ხელით დაწერილი ეგნატეს დღიურს დიდი დახმარების გაწევა შეეძლო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში. სწორეთ ამიტომ, როდესაც სახელგამთან არსებულ კლასიკოსთა ქვესექციის დაჯალბებით ეგნატე ნინოშვილის სრული ნაწერების აკადემიურ გამოცემას შეუდგებოდა, არსებითი ყურადღება ამ დღიურის ბედის გამორკვევას მივაქციე. სამწუხაროთ, მისი დედანი ვერსად აღმოვაჩინე, ვერ ვნახე ვერც წამკითხველი ამ დღიურისა. სამაგიეროთ გამოირკვა, რომ იგი დაბეჭდილი ყოფილა 1901 წლის „კვალში“. აღნიშნულ წელს 7 წელი შესრულდა ეგ. ნინოშვილის გარდაცვალებიდან და „კვალში“ წერილი უძღვნა სახელოვან ბელეტრისტსა და რევილიუციონერს<sup>3)</sup>. ამ ცალკე წერილში ვრცელი ციტატის სახით მოყვანილია „სიტყვა-სიტყვით“ ეგნატეს აღნიშნული დღიური. სწორეთ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეგნატეს ეს ავტობიოგრაფია დაიწყო იმ დროის „კვალის“ თანამშრომლებსაც კი და არც სრულ თხზულებებში იყო გადმობეჭდილი და ვერც მკვლევარები იყენებდნენ მას.

ამ ეამათ ამ „ავტობიოგრაფიას“ წვენ ვაჭვეუნებთ „კვალის“ ტექსტის მიხედვით და მცირედი კომენტარიით, სრულს თხზულებაში მას გაკეთებული ექნება ვრცელი კომენტარიები და თუ სადმე აღმოჩნდა დედანი შედარებული იქნება მასთან.

აღნიშნულ წერილის უცნობი ავტორი („კვალში“ აღნიშნული წერილი ეგნატეს შესახებ ხელმოწერულია) შემდეგ წინასიტყვაობას უკეთებს ეგნატეს ავტობიოგრაფიას:

<sup>1)</sup> იხ. „მოაზრება“, № 7, გვ. 127, 1894 წ.

<sup>2)</sup> იხ. „ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა“ გ. წერეთლის წინასიტყვაობით, გვ. II-III, 1895 წ.

<sup>3)</sup> იხ. „კვალი“ № 21, გვ. 540-48, 1901 წ. წერილი: „ეგნატე ინგოროვცა (ნინოშვილი)“.

ეკონომიკური

„მ ამ თვეს (მაისს) შესრულდა 7 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენი სა-  
ყვარელი მწერალი და მეგობარი ეგ. ინგოროყვა მიწას მივაბარეთ. ჩვენი საზო-  
გადოება მას იცნობს უმოაერესათ როგორც მწერალს. 1) მოვა დრო, როცა სა-  
ზოგადოება განსვენებულ ეგნატეს გაიცნობს და ღირსებისამებრ დააფასებს.

დღეს, 20 ამ თვეს, ჭეშვეთის წმინდა-გიორგის ეკლესიაში დანიშნული  
განსვენებულის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი. ჩვენ მასზე იმაზე უკეთეს ვე-  
რას ვიტყვი, რასაც ერთ თავის უბის წიგნში თვითონ ლაპარაკობს. ამ მოკლე  
ავტობიოგრაფიიდან მკითხველი გაიგებს მის ცხოვრებას და სულის კვეთებას.  
აი ეს ავტობიოგრაფია სიტყვა-სიტყვით“ 2).

ამის შემდეგ მოყვანილია წერილის ტექსტში ეგნატეს ავტობიოგრაფია.

როგორც ამ ავტობიოგრაფიიდან და მისი სათაურიდან სჩანს, ეს დღი-  
ური არ არის. წერილის სათაური — „ძველი სამახსოვრო წიგნებიდან  
ამოწერილი“ — ამოწმებს, რომ ეგნატეს ამის გარდა დღიური ან სამახ-  
სოვრო წიგნები ჰქონია, რომლის მიხედვითაც შეუდგენია ეს თავისი ავ-  
ტობიოგრაფია.

ფიქრობთ, გ. წერეთელიც ამ ავტობიოგრაფიით სარგებლობდა და არა  
დღიურით, ან სამახსოვრო წიგნებით, რადგან გ. წერეთლის მიერ მო-  
ყვანილი ციტატები საესებით ეგუება ავტობიოგრაფიას, (გ. წერეთელს მხოლოდ  
რამოდენიმე ადგილას სტილი შეუსწორებია).

აქედან ცხადია, რომ ეგნატე ნინოშვილის დღიური, ან როგორც თვი-  
თონ უწოდებს „ძველი სამახსოვრო წიგნები“ ჯერ-ჯერობით არსად  
სჩანს და იგი საძებარია.

საინტერესოა საკითხი: როდის არის დაწერილი ეგნატეს ავ-  
ტობიოგრაფია. როგორც ამ ავტობიოგრაფიიდან სჩანს, მასში შეტანილი  
არის 1892 წლის დეკემბრის 13-ის ფაქტები — ბიძის წერილი ეგნატესთან. ცხა-  
დია, ამაზე ადრე ვერ იქნებოდა დაწერილი იგი. ეგნატე გარდაიცვალა 1894  
წლის აპრილის 29-ს. ამ დროის განმავლობაშია დაწერილი იგი. სახელდობრ  
როდის — ამის თქმა ძნელია, სანამ დამატებითი ცნობები არ იქნება აღმოჩე-  
ნილი.

მოვისმინოთ ახლა ეგნატეს ავტობიოგრაფია.

**ძველი სამახსოვრო წიგნებიდან ამოწერილი:**

შვიდი თუ რვა წლისა ვიქნებოდი, როცა ჩემმა მამიდამ ერთ დღიას წა-  
მიყვანა მდინარეზე, ჩამადგმევინა ფეხი შიგ და დამაწყებინა „ან“ „ბან“-ის კი-  
თხეა კარანდაშით დაწერილ ნაგლეჯ ქალაღზე (ეს ანბანი მამაჩემმა მოიტანა,  
წინა დღით ერთს აზნაურიშვილს დაეწერა მისი თხოვნით). ამ კარანდაშით და-  
წერილ 34 ასოს გარდა, სხვა დაწერილზე დახედვა, აგრეთვე წერის დაწყება  
აქრძალული მქონდა, რადგანაც, მამიდას ფიქრით, სწავლაზე ხელს შევიშლიდა.  
ანბანის გაზეპირების შემდეგ წამიყვანეს ერთი აზნაურის ოჯახში, ღვდელთან

1) აქ ცენზორის მიერ არის ამოღებული ადგილი. ს. 5.

2) „კვალი“ № 21, გვ. 546, 1901 წ.

(ეს აზნაურის ოჯახი მეტათ გარყვნილი რამ იყო). აქ ლედელის მასწავლებელი რა-  
ლაც ლოცეებს; მხედრული წერა-კითხვა თითონ ლედელმა არს მასწავლებელმა  
შეეძლო ჩემთვის ესწავლებინა და არც მასწავლიდა. თუმცა სახლში ბავშვო-  
ბისას ძრიელ ფუფუნებით და სათუთათ აღზრდილი ვიყავ, მაგრამ აზნაური  
ლედლის ოჯახში (დიდ ჯალაბიანი იყო) აუარებელ საქმეს მაკეთებინებდნენ, ერთ  
წამს არ მასვენებდნენ. ნახევარი წლის შემდეგ ლედელთან ყოფნისა მშობლებმა  
გამგზავნეს ქ. ფოთს ამ ლედლის იმისწულთან, რომელსაც ქალაქ ფოთში ხის ვა-  
ქრობა ჰქონდა, მთელი ერთი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული, ვეგდე ამ  
ვაქარი აზნაურის სამზარეულოში და ვაცხოზდი მისი ბრძანებით მუკადს. წერა-  
კითხვის, ან სხვა რამეს სწავლა-კი ჩემთვის აღარსად იყო ამ დროს. უკანასკ-  
ნელ, მშობლებმა (ზიძამ) მომავლოა ამ საშინელ ცუდ მდგომარეობას, წამომი-  
ყვანა შინ და მიმეცა სოფლის სასწავლებელში.

1871-1875 წლების განმავლობაში ხან შინ ძროხებსა და ცაერებს ვწვე-  
საედი და ხან, დრო-გამოშვებით, სკოლაში დავედიოდი. ერთის სოფლის სკო-  
ლიდან შემდეგ გადავედი მეორეში, რადგანაც მამაჩემი კამელარიის აღწერის  
დროს შეაწერეს მეორე სოფელს. მასწავლებლები ამ სკოლებისა არც ერთი არ  
იყო სახეირო, თუმცა-ღა პირველს მეორე სჯობდა. 1876 წელს, სასწავლო წლის  
შუას (თებერვალში) შევედი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. მიმიღეს  
მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფილებაში. იმავე თვეში გადამიყვანეს მე-  
სამე განყოფილებაში, ესწავლობდი გაკეთილებს ან განყოფილებისათვის და აგ-  
რუთვე ვეშადებოდი მოსამზადებელიდან პირდაპირ მეორე კლასში გადასასვლე-  
ლათ. იმავე წელს, ეგზამენების დროს, მართლაც გადაველ მეორე კლასში. შემ-  
დეგ წელს გადაველ მესამეში. 1878 წელს, როცა მესამე კლასს ვასრულებდი,  
სკოლაში (მესამე კლასის შაგირდებში).. იმავე 1878 წელს, სექტემბერში, გადა-  
ვედი თუ არა მეოთხე კლასში გამოველ სასწავლებლიდან.....<sup>1)</sup>

1878 წელს შემოდგომა და ზამთარი ოზურგეთს გავატარე, ჩემს ამხანაგ  
შეგირდებთან, თუმცა-ღა სკოლაში აღარ ვიყავ, მაგრამ გაკეთილებს მაინც  
ესწავლობდი, რაც შესაძლო იყო უმასწავლებლოთ. 1879 წელს გაზაფხულზე წა-  
ველ ქუთაისის სახალხო სკოლის დირექტორთან (მარსოვი იყო), დაეიქირე ეგზა-  
მენი სახალხო სკოლის მასწავლებლობისა (მამასახლისის მოცემული შინაური  
სწავლის მოწონება მქონდა) და შემოდგომაზე (ოქტომბერში 1879 წელს) გავემ-  
გზავრე ჩემსავე სოფელში (ჩოჩხათის საზოგადოებაში) მასწავლებლათ. 1881 წ.  
მარტში დავენებე თავი მასწავლებლობას და ვეძებდი რამე საქმეს იმ დროს ახ-  
ლათ დაწყებულ ბათუმის რკინის გზაზე; მიხდოდა ფული შემეგროვებინა და  
ხელ-ახლა სწავლას შევედგომოდი, წვედი ამხანაგათ ვილაც „პოდრიანიკებთან“,  
მაგრამ ვალეების მეტი არა დამირჩენია რა. 1882-1883 წლებში ვიყავი ტელე-

<sup>1)</sup> აქ ცენზორის მიერ არის ამოღებული, როგორც ეგნატის ბიოგრაფიიდან ვიცი, 1878  
წ. მონღა მოწაფეთა არეულობა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, არეულობის მეთაური  
ეგნატე იყო. ამოღებული ადგილები სწორით ამ მოძრაობას ეხება. ეგნატე კი არ გამოსულა  
სასწავლებლიდან, არამედ დაითხოვეს. ამ ცოტა ხანში ჩვენ გამოვაქვეყნებთ „მნათობში“  
ამ არეულობისა და მასში ეგნატეს მონაწილეობის შესახებ დოკუმენტებს და მოკონებებს.

გრაფისტათ იმავე გზაზე. 1884 წელს ზამთარში ვიყავი თფილისში კარსენ კალანდაძის ტიპოგრაფიაში „ნაბორშიკათ“, მაგრამ ჯამაგირი-კი არ შეკონია, მხოლოდ ხარჯის ფულს დღეში 7 კაპიკს მაძლევდა კალანდაძე. მეტის მოცემა არ შეეძლო, რადგანაც შემოსავალი მცირე ჰქონდა.

1885 წელი გავატარე ჩემს სახლში; წიგნები და ჟურნალ-გაზეთობა არსად იშოვებოდა.

1886 წელს ექვს თვეს ვიყავი სოფლის მწერლათ.

იმავე 1886 წელს, ნოემბერში (26) წაიყვანი საფრანგეთში (poroხა Mingrelic-Marseille, კაპიტანი ჟიბუენი. გავიარეთ ტრაპიზონი, ორდა, სამსონი, სტამბოლი და მივედით მარსელში, იქიდან რკინის გზით მონპელიეში). 25 მარტს დაებრუნდი საქართველოში (სტანციები მარსელსა და მონპელიეს შუა: 1) ნიმი, 2) ტარასკონი, აქ სხვა მატარებელში უნდა ჩაჯდე, 3) შირმა ესენმასა. სულ 6 საათის გზა).

1887 წელს აპრილამდე ვიმყოფებოდი შინ. აპრილში დავდექი გრივოლ გურიელთან მწერლათ.

1888 წელს 7 ნოემბერს გურიელთან ყოფნას დაეანებე თავი და 1889 წლის ოქტომბრამდე ვიმყოფებოდი შინ.

ოქტომბერში (1889) ჩაველ ბათუმს სამუშაოს საძებნელათ, ათი დღე, ოქტომბერში, ვიშუავე პრისტანზე, ვილაც კატუროვთან. ეესტებს ვზიდავდი, ვაწყობდი ყუთებში, ვებჭდავდი და ვაწყობდი დანიშნულ ადგილას. მეტათ შიშიმე სამუშაოარი იყო ჩემთვის. დღეში მაძლევდენ ათ შაურს. ორი დღე ვიშუავე ბურგლარდტის ზავოდში (სტანკაზე რალაც ეესტის თავებს „კაპსულებს ვაკეთებდი. ჩემზე წინ აქ ერთი ჩვენი მახლობელი სოფლის ბავშვი მუშაობდა, ლომიძე ყოფილიყო, ხელი გაფუჭებინა და შემდეგ მე მომიცეს ეს ადგილი). 1899 წელს ოქტომბრის დამლევიდან დაწყებული 1890 წლამდე ვიშუაობდი როტშილდის ზავოდში (ეესტებს ვაწყობდი იანჩიკებში და ვჭედავდი) დღეში მანეთათ 1).

1) ინტერეს არ იქნება მოკლებული აქ მკითხველს გავაცნოთ ერთი ადგილი გ. წერეთლის მოგონებებიდან ეგ. ნინოვილის ბათუმის მუშებთან დაახლოების შესახებ. 1890 წელს ბათუმში გაიღვიცა როტშილდის ქარხნის ზღოთსამდე მენა. საქმის ვითარებამ მეტად მწვევე ხასიათი მიიღო. ამ დროს—სწერს გ. წერეთელი—ქართველი მუშების არტელის დასაარსებლათ ვიყავი მოწოდებული ბათუმში და ასე, წირვის დრო იქნებოდა, რომ როტშილდის ქარხნის მუშები ერთიანათ შემოვიდენ ჩემი არტელის განტარებაში და მთხოვეს შუამდგომლობა გამეწია სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან, თ. ნ. ერისთავთან, როგორც ქართველ კაცთან. ისინი თხოვდენ მას პატრონობას როტშილდის ქარხნის უფროსის ზრიდლოვსკის მიერ შევიწროებისაგან. ერთმა ამ მუშათაგანმა ამოიღო კვადრის ნახევი და იქიდან მავიდაზე გადმომიყარა ორი წაქრული თითი: „ა, ბატონო, ჩვენი გაჭირვება ამით დაიწაზე. თითები აღარ შევიწრენია და მკლავებია. დღეშიადაც ასე წვალეებაში ვართ, თერთმეტი საათი ვიშუაობთ ქარხანაში, ჩვენები, ტანისამოსი ნათის ცეცხლში გუბრაყება, რასაც ქირას ვიღებთ, ტანისამოსსა და მანისინგან მოჭრულ თითებს წამალში არ გვეყოფნის და იმასაც ვე ვინახევრებენო“.

— სად არის ახლა ჩვენი ეგნატე ინგოროვცა, რომ ამას არ ზედაუს, მეთაურათ, პატრონათ არ გაგვიბდებოთ, წამოიძახეს მუშებმა, თითქოს ჩემ წასაქმებლათ.

— ვინ არის-მეტეი ეგნატე ინგოროვცა.

1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიანი, ზეიმიანი იყო; მე დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავი დილის 4 საათზე, ამ საშინელ დარში გამეველო კარგი დიდი მანძილი და მიესულიყავ ზავოდში. ხან ზაფხულის კარი დაკეტილი დამზღვებოდა და უნდა მეცადნა გარეთ.

1890 წელს დავედქი ნ. ლოლობერიძის კანტორაში დ. ზესტაფონს, მეტათ ბევრი საქმე იყო, მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმართლე დავღუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროდან მოწყებული შემეჭვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათათ ვყოფილვარ კარგათ, თუმცა-ლა წინეთ იშვიათათ ვიცოდი ავადმყოფობა. 1891 წელს დავანებე თავი ლოლობერიძის კანტორას და შეველი საფილოქსერო დასში (აგრონომ ტიმოფეევის „პარტიაში“). ვიმყოფებოდი 1891 წლის ოქტომბრის დამლევამდე. ამ დასში მუდამ ერთმანეთთან ჩხუბით და უსიამოვნობით სცხოვრობდნენ. მოვიარეთ დალესტანი (დერბენტი, პეტროვსკი, შურა, გიბრი, სუმბარ-კალე და სხვა), ლეჩხუმის და რაჭის მაზრების რამდენიმე სოფელი (ლეჩხუმში—დნორისა, ალბანა, აქარა, საირში, ზოგოში, დავორა, ცაგერი, სადაც მაზრის უფროსია, რაჭაში—ტოლა და ორა სხვა).

1891 წლის ნოემბრიდან 1892 წ. აპრილამდე ვცხოვრობდი ხან ბათუმში და ხან ზესტაფონში.

1892 წელს 15 აპრილს ხელ-ახლა დავედქი ლოლობერიძესთან გომის კანტორაში. იმავე წელს აგვისტოში დავანებე თავი ლოლობერიძეს, ამ დროდან 10 ოქტომბრამდე ვიმყოფებოდი შინ.

1 ნოემბრიდან თფილისში. 1892 წელს დეკემბრის 13-ს ტფილისში მოვიეიდა შინიდან წერილი, რომლითაც მატყობინებდა ალექსი (ბიძა) ნინოს (ჩემი მამიდა) სიკვდილს: 9 ამ თვეს მოკვდაო.

\* \* \*

ამით თავდება ევ. ნინოშვილის ავტობიოგრაფია. შემდეგი ხანა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა—1893 წელი მოლიანად 1894 წ. აპრილის გასულამდე ამ ავტობიოგრაფიაში გაუშუქებულია. რასაკვირველია, აქ ჩვენ არ შეუღლებით ამ პერიოდის მისი მოღვაწეობის დახასიათებას. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ როდესაც 29 აპრილს ეგნატე გარდაიცვალა, მის შობილებს და ახლობლებს დასამარხი ფული არ აღმოჩენია და დასასაფლავებელი ხარჯების გასაწევათ ფული მოუგროვებიათ სიით, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით:

„შემოწირულდება დასამარხავათ ქართველი ბელეტრისტის ევ. ინგოროყვასი (ე. ნინოშვილის), რომლის დასაფლავებისათვის სახსარი არ მოეპოვებათ მის მახლობელთ“.

ეს განცხადება მრავლის მეტყველია და არც კომენტარიებს საჭიროებს.

— იგი ჩვენი ძმა კაცია, ჩვენი კარში და ლხინში მოხიარე, ჩვენს მასწავლებელიაო. იგი რომ გვეყოფა, ამას ვერ გვიხამდე ევ ავი კაცი ხოლოდოქსკია, თუ ვინცაა..

— მერე რა იქნა ევ, ინგოროყვა?—ეკითხე მეშვება.

— ავით გაბდა და ქე წავიდა სახლში, თვარა კაი მოკცეს ღმერთმა, კაი მოთავე იგი ჩვენ გვეყოლებოდა ეხლა! (იხ. „ორი მოთხრობა“ გვ. IX-XI).



4. მხ. ნინოშვილის კარკა წერილები

ნარკვეული

ამასთან ერთად ვაქვეყნებთ ე. ნინოშვილის ორს ახლად აღმოჩენილ წერილს. პირველი მათგანი მოყვანილია „კვალის“ იმავე წერილში, რომლიდანაც ჩვენ ვაღმოვებუდეთ ავტობიოგრაფია. წერილი სტატიის ტექსტშია დაბეჭდილი და შემოკლებით არის მოყვანილი. ვის მიმართ არის მიწერილი არა სჩანს. „კვალის“ უცნობი ავტორი ვაღმოვკვეყმს, რომ იგი ვაგზავნილია ეგნატეს მეგობრისადმი. წერილი დაწერილია 1894 წლის მარტში, ოცი რიცხვის შემდეგ. ეს წერილები ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც ეგნატე მეტად დასუსტებული და თითქმის ლოგინად ჩავარდნილი იყო.

მეორე წერილი აღმოჩნდა საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში<sup>1)</sup>. იგი დაწერილია 1888 წ. ოქტომბერში. წერილში მოხსენებული სამსონ კანდელაკი. 1888 წელს ეგნატე ნინოშვილთან ერთად ვაემგზავრა საფრანგეთში, მონპელიეში. ვინ არის ალექსანდრე, რომელსაც უგზავნის ეგნატე წერილს, ამის თქმა ძნელია. შეიძლება ეს იყოს ქ. მონპელიეს რომელიმე ქართველი სტუდენტი, ან ალექსანდრე კვიციანიძე, რომელიც ეგნატესთან ერთად ვაემგზავრა მონპელიეში და რომელსაც იგი რამდენჯერმე იხსენიებს მონპელიედან ვამოგზავნილ თავის წერილებში.

წერილი პირველი

[1894 წ. მარტი]

ოცს ამ თვეს (მარტი) როგორც იყო ვავემგზავრე ბათომისაკენ, ვესტუმრე ბათომს, ვაგრამ ვაი ამ სტუმრობას! სახლები ბლომით არის ბათომშიო, რომ ვვეგონა, სულ ბათომში ოთხი ოთახი აღმოჩნდა ცალკე ვასაქირავებელი, ისიც ჩვენი ვემოგზავნის არა. ვაგრამ ვაიგეს თუ არა, რომ მე ვავათმყოფი ვარ, უარი თქვეს, ვავათმყოფს ჩვენს სახლში ვერ ვაფაყენებთო... მიემართეთ „გასტინიკას“, პირველ ლამეს ლამე იყო, რომ მივედით და მიგვიღეს, ვაგრამ მეორე დღეს, როცა მიტკლის ფრათ თეთრ ჩემს „სახე-სკელეტს“ შეხედეს ვამომიცხადეს: მიბრძანდით, ვავათმყოფს ნომერს ვერ მივაქირავებთ, რადგანაც სხვა პასაჟირები ვაგვიფრთხებო. რალა ვვექნა, მოვიცადეთ ვადამებანდის (ვითომდა კარგა ვერ ვაგვიჩავენ სახესო) და ვადამებულში შევატყუეთ თავი ერთ სასტუმროს პატრონს...

წერილი მეორე

18  $\frac{X}{11}$  88 წ. ს. ჩოჩხათი.

ალექსანდრე!

თქვენი წერილი, ათასგვარი რეკებტებით „Отчет“-ებით, les mots picants (თქვენი ტერმინია) და კიდევ ათასი სხვა რამეებით ვავსებული, მივიღე. მწერო, რომ სამსონ კანდელაკის ამბავი და აღრესი ვამცენო. დიდის კმაყოფილებით, მე რაც ვიცი, მოგწერთ.

<sup>1)</sup> იხ. ხელნაწერი Q 142. ამ წერილზე მივითითა პ. ინგოროვამ, რისთვისაც ვადლობას მოვასწებო.

გასულ წლის დეკემბერში სამსონის წერილი მივიღე; მწერლევან-ბაქოში მოველი. მე, რა თქმა უნდა, ვიშოვე გროში თუ არა, ჩვეულ მასაჟში/მასსანახავათ. ჩასვლისთანავე გაეიგე, რომ სამსონ სიო კალანდაძესთან დგასო და ამიტომ არ გამძნელებია მისი ნახვა. ძრიელ მეწყინა ისეთ ცულ-მდგომარეობაში იყო იმ დროებით; ისეთ ცულ კაცებთან ცხოვრობდა (სიო კალანდაძესთან იმ დროებით კიდევ ოცი ვიღაც კინტო-კინტო ყმაწვილები ცხოვრობდა), რომ ზიზლი მომივიდა გულზედ: არც ერთი მდგმურთაგანი სამსონის მდგომარეობას (მე ვამბობ უფულობაზედ) არ თანაუგრძობდა, პირიქით, კიდევაც ჩუმ-ჩუმათ (მაშ ცხადათ სამსონს ვერ გაუბედადენენ) დასცინოდნენ—პირიქიდან მოსული ბულანჯაო. როცა სამსონს გამოვკითხე თუ რა საქმეს ადგებარ შეთქი, ვითხრა—სამუშაო თუ ვიშოვე დროებით ბათომში დავრჩებიო. მეც, ჩემის მხრით მოუწონე ეგ განზრახვა: სულ უსაქმოთ გაჩერებას, რასაკვირველია, საქმეს დაადგეთ ის აჯობეს შეთქი. ის დღე და ღამე ერთათ გავატარეთ მე და სამსონმა და მეორე დღეს მე წაველ სოფელში და სამსონი კი იქ დარჩა. იმ დროდამ მოწყობილი ვიდრე გასულ აგვისტოს თვემდე მხოლოთ ორიდა წერილი მივიღე მისგან (ხომ იცით სამსონი წერილის მიწერაში პურადი არ არი, მას არ უყვარს უსაქმოთ მიწერ-მოწერა); პირველი წერილით მწერდა, რომ 30 მან. თეთრათ ადგილი ვიშოვნეო და მეორეით-კი ის ადგილი მივატოვეო. გასულ აგვისტოს თვეში (კარგათ არ მახსოვს აგვისტო იყო თუ ივლისი) თვითონ ჩემთან, სოფელ ორაგვეს (გრიგოლ გურიელის აგარაა), გამოიარა სამსონმა ბათუმიდან, ერთი ღამე დარჩა და მეორე დღეს სადღაც წავიდა. ჩემ კითხვაზედ—სად მიდიხარ შეთქი, მიპასუხა: იქიდან მოგწერ წერილს, ეხლა არ არის საქირო გითხრაო. მე ცოტა არ იყო, იჭვი შემევიდა—არაფელი აუტეხოს თავის თავს შეთქი. არ გასულა მისი წასვლის შემდეგ ორი კვირა, რომ სამსონიდან ერთი ღია წერილი მივიღე, რომლითაც მოკლეთ მაცნობებდა—რაზედაც წავედი, ის არ აღმისრულდა და ეხლა თბილისში ვიმყოფებიო. ამაზე მეტი არც სამსონის აღრესი ყოფილა იმ წერილში არც-რა. ის დღე იყო და ის, მას შემდეგ სამსონისგან წერილი არ მიმიღია. ეხლა თვითონ მე არ ვიცი სად უნდა იმყოფებოდეს სამსონ. ეორდანიას (თბილისის სასულიერო სემინარიას შეგირდია) მივწერე, გაიგე და მამკენე შეთქი, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმისგანაც არაფელი მომდის. იჭვი არ არის, რომ სამსონის მდგომარეობა ეხლა მაინცადამაინც სახარბიელო აღარ არის, ის გაჯავრებულა თავის ხედრზედ, რომ ისეთი კეთილი განზრახვის, როგორც მას ქონდა, განხორციელება შეუფერხდა და ამიტომ აღარავისთან მიწერ-მოწერაში არ არის.

აი სულ ეს არის რაც მე ვიცი სამსონზე. თუ რამ აწი გაეიგე, იმასაც მოგწერ.

ჩემი მდგომარეობის რა მოგწერო? ერთბელ, რომ მოგწერე, კიდევ იგია. თუ დაგაეიწყდათ, ბატონი ბრძანდები, განგიახლებ ამის შესახებ ცნობებს:

მე ჯერ-ჯერობით კიდევ გრიგოლ გურიელთან ვიმყოფები და შეპყურებ უკბილო პირში—იქნება ვალოკილი ძვალი გაეარდეს შეთქი. ჯამაგირი თვითრათ თითო თუშანი მატქს, მაგრამ ეგ ხარჯათ არ მყოფნის და ამიტომ თანდათან





ვალეტი შემატება, მომავალი ჩემი ჩემთენაც ამოცანაა, არ ვიცი, თუ ვინაა ეს, და ვაძლავ დაეადგები, როცა ეს ასი წლის ყმაწვილი გრიგოლ წაბრძანდება წიაღსა აბრამისასა! თან თუ წავყვები, თორემ სხვა გზა ჯერჯერობით არა ჩანს. ოფიციალურ სამსახურში შესვლა არ შემძლია, რადგან ვინმე „კუქს“ მომაცვანიებს და ტყვილა „გამაუბედურებენ“. ამბობენ, რომ ვილაც ბელგეელი კაპიტალისტები (ანდრიეს კამპანია) მოდის გრიგოლ გურიელის მამულში ნეეთის მადნის საძებნელათო. ვნახოთ. იქნება მაშინ შეიცვალოს ჩემი მდგომარეობა. ფრანგულის შესწავლას თავი გაეანებე, თუ საჭიროთ დაეინახე, აწიცი შემძლია შევისწავლო. აი გათავდა, ჩემი ცხოვრების ავან-ჩავანი ეგ არი.

ისეთი შესანიშნავი სხვა არაფელია, რომ მოწერათ ღირდეს. მართალია ამ დროებით ბრიყვითში (საქართველოსთვის ახალი ამოკვლეული სახელია) ამ დროებით ხელმწიფე მოგზაურობს და დიდ სიხარულში არიან მკვიდრნი ბრიყვთისანი. გათავდა ესე წერილი ვითა სიხმარი ღამისა.

Отует-სა (..... შესახებ, და თქვენგან გამოგზავნილ წამალს (ზეთს) ამასთანავე უკანვე გიგზავნიო, რადგან ჩემთვის არც ერთი საჭირო არ არის.

გინატრი ზეირს.

შენი მეგობარი ეგნატე ინგოროყვა.

\* \* \*

დასასრულ არ შეგვიძლია ამხანავური თხოვნით არ მიემართოთ საზოგადოებას:

ვისაც მოეპოება ეგნატე ნინოშვილის ხელნაწერები, კერძო მიწერ-მოწერები, მოგონებანი, ცნობები მისი ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობიდან და სხ.— მიაწოდონ ამ წერილის ავტორს. ამ ეამად მზადდება ეგნატეს სრული ნაწერების აკადემიური გამოცემა და აღნიშნულ სახით საზოგადოების და ეგნატეს პატივისმცემლების დახმარება დიდათ შეუწყობს ხელს ამ დიდი საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

## ზ ი ნ ა ა რ ს ი:

### მხატვრული ლიტერატურა.

	გვ.წ.
1. ვარლამ ფურული—დამკვრელთა სიმღერა. . . . .	5
2. ფრიდონ ნაროუშვილი—ქალადიდი. . . . .	6
3. აღ. ადამია—შე და მოხუცი ბაქოში . . . . .	10
4. დემნა შენგელაია—ბათა ქექია . . . . .	13
5. გალაკტიონ ტაბიძე—რევოლუციონური საქართველო . . . . .	39
6. ალექსანდრე ქუთათელი—განთიადის წინ (გაგრძელება). . . . .	55
7. რაფლენ გვეტაძე—ჭიაკოკონა (გაგრძელება) . . . . .	88
8. ლიბედინსკი—გმირის დაბადება. . . . .	108

### ქრიტიკა, მემწიერება, პუბლიცისტიკა

9. პ. კერძენცევი—ლიტერატურული პოლიტიკის ზოგიერთი საკითხები. . . . .	139
10. სერგო ამალღობელი—პროლეტარული სტილის პრობლემა . . . . .	160
11. სიმონ ხუნდაძე—მასალები ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიისათვის . . . . .	195